

# მნათობი



7-8

---

2001

# მნათობი



საქართველოს ეროვნული  
საგანმანათლებლო  
კვლევითი ცენტრი

წელიწადი 77-მ

№ 7-8

2001 წელი

საქართველოს მწიგნობრობის კავშირის ორგანო

დამფუძნებლები:  
საქართველოს მწიგნობრობის კავშირი და  
ქართულ „მნათობის“ რედაქცია

## შინაარსი

### აოჯიანა, აროჯანა, ღრამატურგია

გვიჩი ქაღალაქი - ლექსები.....	3
ჯანირა არსანიშვილი - „ვა, სოფელში...“ რომანი. გაგრძელება .....	6
ოვარ შამათაძე - ლექსები .....	45
გვანცა აბაღალაქი - თუთიყუში.პიესა .....	47

### ინტერვიუ

გურამ ბანაშვილი - ვიეგარტოლა პრობლემის ჩრდილში.....	54
-----------------------------------------------------	----

### კრიტიკა, აუგლიცისტიკა

ანდრო ბუაჩიქი - კეთილქმედება დღევანდელურის კონტაქტში .....	59
ნელი საგინაშვილი - თანამედროვეთა მოგონებები მიხაკო ნერეთლის შესახებ .....	62
მეჟვალა ბაჩიჩილაქი - ბაჩეთი „კვალი“ და „თ ნული“ .....	73

### მეხინარება

მერაბ რობაქიქი - „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონიდან .....	82
გურამ მინსურაქი - მნიშვნელოვანი საკითხი .....	88
თამარ შარაბიქი - ქალთა სალოცავების ილუმინაცია საქართველოში .....	93

იხ. მე-2 გვ.



## შინაარსი

(გაგრძელება)



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მამუკა დოლიძე - ძრისტიანული რწმენა და ფანომენოლოგიური ლოგიკა.....	101
ბესიკ ბარათელი - ბრეჟნევისტული ესთეტიკა და კარლ-გუსტავ იუნგის არქეტიპების თეორია .....	105

### ჟამთაპი, მოგონებები

თამაზ ბუაჩიძე - ზურაბ კაკაბაძის გახსენება .....	110
-------------------------------------------------	-----

### ხელოვნება

ნათელა ურუშაძე - მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს... გაგრძელება.....	113
გვანტა ღვინჯილია - „ცისფერის“ სემანტიკა ქართულ მხატვრულ პემომემდებაში .....	123

### რეცენზია

მაკა ჯოხაძე - ორი ახალი წიგნი.....	128
ეკა მიხელიძე - „შუშს ნუ ჩამიძრობთ“.....	130
ანდრო ბუაჩიძე - წიგნები ფრანგული მწერლობის შესახებ .....	131

---

მთავარი რედაქტორი  
თამაზ შილაძე

სარედაქციო საბჭო:  
მარიამ აბიაშვილი  
ანდრო ბუაჩიძე  
აკაკი მინდიაშვილი  
მანანა მიქელაძე  
მზია შატბერაშვილი  
ვაჟა ჩოგღელი

---

## ნიგნილან „გაქლება“

მზერი ამოდი, ამოდი!

„არ მომკედარა, მხოლოდ სძინავს...“  
აკაკი

...წუხელ ძილში დამქისხმრა  
ცხო მთანი და ცხო ვეღანი,  
ოქროსფერში გავლებული  
ფრინველნი და ცხოველანი:

დიდნი ღოღნი რიყავდნენ,  
მთა მთას გადაჰხვეოდა, —  
შუქით ავებულიყო  
უფსკრული და ზეობა...

...არც არავინ ქიშპობდა,  
არც არავინ დავობდა,  
ველაფერი ღვიოდა,  
ველაფერი ჰყვავოდა, —

ციდან თაფლი ჩამოსწევოდა,  
ჩიტნი დაფართქალობდნენ, —  
შამუები და ბულბულები  
საამურად გალობდნენ!..

ცისარტყელა შვიდფერი —  
თბილი იყო ბარტყევით...  
ეკლის ბუჩქი კორტოხზე  
შრიალებდა ცაცხევით...

... გამეღვიძა: ძონტებში  
ძლივს ზუნთქავდა მიწა და —  
გამიფუჭდა გუნება, —  
სიზმარი ჩამიმწარდა...

ჩანჩქერები — ჩქარ-ჩქარი,  
ხენი — ყვითელ-ამარტნი...  
ვაღოსნურად ნაქარვნი  
ღალმართნი და აღმართნი...

არ სხივოდნენ არაით  
ცხელი სხიენი მზეთანი...  
... რომ არ გამღვიძებოდა, —  
აღბათ ჯობდა — ღმერთმანი!..

### ღაზარამეი!

... გაწვიმდება, აღბათ... თუმცა  
არც ეს არი უთუმცაო:  
ფერით თუთუნს მოჰგავს თუ ცა, —  
ანუ — მწიფე თუთუნსაო —  
ამტკიცებდა ამით თომა  
(სატყუა მისი არ გაწვილდეს!)  
ვინ იცისო, — ამიტომაც  
ვეგბაო არც გაწვიმდეს!..

... გვაღვა თვალებს აბრიალებს, —  
ცეცხლი დროშებს აფრიალებს —  
ფერად ფარდებს ფხრინავს ქარი...  
... ღმერთო! ღმერთო! — გუბვეწები:  
ერთი — ვადმოაფრიალე,  
ერთი — ვადმოაქრიალე  
ამ გადამწეარ მიწას წყალი!..

### ვამლის ხე თოვლში...

გაყინულ  
თოვლზე  
ეკება  
სხივი  
და ხანთელივით დნება...

ამ ვამლის ხეზე  
გუშინ საღამოს  
თეთრი  
თიყანი  
ება!..

გამგლეღ-გამომგლეღს არ კედარჲბი...



„...ამგეარ ვრძნობებს ქმნის მხოლოდ ნაშება!...“  
გალაქტიკონი

... ზღვათა დინებას და ცათა აღერსს —	კვეს-აბეღივით
ჰა, — კიდევ ვუძღენი	ჩინზხლებს ჰყრის და... კენებს!..
ერთ გულიან ლექსს!...	
ერთგულად ვუძღებ დღეებს,	... სიცოცხლე ჩემი,
რომლებიც	შენი და მისიც, —
სეკდის უღელში	ჰგავს (ღმერთმა იცის!) —
შებმულია დღეს!..	ღამით ხავს დღეს!..
გამგლეღ-გამომგლეღს	... ძაღლივით ყოფნას
არ კედარებია, —	და კულის ქიციანს
თუმცა ჩუმ-ჩუმად ვისერი ქვას და ლექს... ნუმც მოვსწრებოდე —	
დღეთა ჯანების ავი დარები	კეხვეწები ღმერთს!

ანდმრძი უმარიდლო!

... როს შევეუდგები ბურნათის აღმართს —	... შემოეცლება სულს ნისლის ბლონი —
უსვს ვიქცევი უნაღულო ბაღლად:	წყაროსთან შავ ლოდს დუმილით
სახსნი ძარღვებში მიბრუნავს წაღმა	ვუმზერ...
და... ცრემლი დამდის თვალითაგან	ვთხოვ, გაუთლელად აიღე ლოდი
ღვარ-ღვარ...	და საფლავის ქვად დამაღე გულზე!..

ნანვა

„უსისხლოდ არ გაივლები  
ამ სისხლის ალაზანზე...“  
გალაქტიკონი

... იქედან მოხულს რაც დამხვდა —	... ღმერთო! — რა დღეში ჩამაგდე.
მითხარით — ამას რა ჰქვია!..	რა ცვეცხლის აღში გამხვიე;
რაც ქებად მიიქვამს ხანდახან —	რა დაეიშავე საბარალომ —
ტყუილად მილაქლაქია!..	შენს ხატზე რატომ მამთხვიე!..
იქედან მოხულს რაც დამხვდა —	ღამურასავით შემცდარმა —
ენით ვერც იტყვი ადვილად:	რაღაც ავებურდე... დავებურდე... —
მიღად ჯოჯოხეთი არ ეთქმის,	იქ, — საიდანაც მოვედი, —
მოჯოჯოხეთი — ნამდვილად!..	რა პირით უნდა დავებურდე!..

23 აბჰისტო (1993 წ.)

ვუძღენი ჩემს დას - ლამარა ძნელაძეს

... ვიცოცხლებ კიდევ ცხრა წელიწადს,	ლოცვისას ხანთლად სხივს ავინთებ —
ან უფრო მეტსაც	ცით ჩამოღვენთილს!..
(კაცი ბჭობდაო, ნათქვამია, —	
იცინის ღმერთი...)	... ვიწვალეს კიდევ ცხრა წელიწადს
რძედ — ღრუბლებიდან ჩამოწველილ	და უფრო მეტსაც.
წვიმის წყალს შევზამ, —	აჰა, ჯანდაბას: ვიქვით — თერთმეტი,



ვინდა თორმეტი!..  
 დღეს დღემინა — ომშივარი აბნელებს  
 ზეცას —  
 ორმოცს აჩვენებს მხუთავ ზვატში  
 მზის თერმომეტრი!..  
 ... ჭიშკარს მოადგა სამათხოვროდ  
 მოხეტე ქალი,  
 მიწაველებულად დაიძახა:  
 — კანტელეიმოლონ! —  
 გამზდარი თხები ხეებს ხრავენ —

ორ ფეხზე მდგარნი,  
 დანარჩენები საცოდავად დაპეტყდნენ...  
 ... საყანე მიწებს ზედ აყრია ღორღი  
 და ბრემი,  
 შიმშილისაგან ფრინველებსაც  
 უბმებათ კუჭი...  
 მთელი ხეობა ხამუმ-ხამუმ ვმინავს  
 და ხენეშის,  
 კაცს კი არადა —  
 ახლა ხუნთქვა ჰაერსაც უჭირს!..

სოფ. ბურნათი

**წარა-მარა არა მარა!..**

... თუ ვტირი და — მართლა ვტირი...  
 თუ ვიცინი — ეს ისე რა!  
 სწორედ ისე... სწორედ ისე —  
 საქართველოს ცა რომ არი:  
 წარა-მარა არა მარა —  
 ზოგჯერ მიყვარს ლექსის წერა, —  
 ღმერთმა ამის ნიჭი მომცა,  
 სხვა ხელობის მესმის მე რა:  
 ეს ყოფილა ღვთიუ ჩათქმული  
 ჩემი სვე და ბედისწერა:  
 თუ ვტირი და — მართლა ვტირი,  
 თუ ვიცინი — ეს ისე რა, —

სწორედ ისე, სწორედ ისე —  
 საქართველოს ცამ რომ იცის:  
 აწ რა ღმერთი გამიწყურება —  
 ან ბედს რაღა ვამომიცვლის!..  
 .....  
 ... ამ წუკვას და ამ მუდარას  
 ნულარ, ნულარ გააწილებ:  
 ქართულ ციდან  
 ქართულ მიწას  
 ოქროს წვიმა  
 დააწვიმე!..

**-ღმერთო!..**

... თუ ერთნაირად უსწორდები  
 მართალს და მრუდსაც,  
 თუ გულზე გრგვინვით გადამიარს  
 ოქროს ბორბალი, —

თუ ნება შენი უსათუოდ  
 აღსრულდეს უნდა —  
 ცოცხალს ნუ მოძლავ, —  
 მოძვალი და... მეჩე მოძვალი!..

**გვაღმა**

... ამოგრუნუნდა —  
 მზე გურგურით ამოგრუნუნდა,  
 ამოხანძარდა, ცეცხლის ფრქვევით  
 ამოგრუნუნდა!..  
 გაბურდა მიწა და თვალები ამოუბუნდა  
 ირგვლივ ყველაფერს, — რასაც  
 მწვანე ელფერი ელო...  
 ... ო, ჰყავ სიყუთე, —  
 დაგვიფარე, დაგვაიმედე, —

დიდსულოვნებას შენსას როგორც  
 შეპყერის, ღმერთო!..  
 ... არა გრუნუნით,  
 არა გრუნუნ-გრუნუნ-გრუნუნით —  
 ხათნოდ, მოყვასად, ნოაღურსედ  
 ამოღამახდეს:  
 აწ და მარადის — განქარდება ოდეს უკუნი —  
 ხელების გაშლით შეხვდეს მიწა  
 ამომავალ მზეს!..

# „პა, სოფლო...“

1930 წლის აბჯისტონ 19

„სცდების და სცდების სიკვდილსა  
ვინ არ მოვლის ნამისად“

მთელი დღე შფოთვაში გაატარა... სიციხე უნ-  
ედა და უწევდა— გულგვამში ბალღამის სად-  
ღეებელი უტრიალებდა შეუჩერებლად, შხა-  
მსა და დურდოს ზევით მოეზიდებოდა,  
ყელში აბჯენდა, ისეც გამოშმარალსა და გამ-  
ონწვარ პირს უშაშხავდა და უშაშხავდა, მთა-  
ვარცნებას აკარგვინებდა... თავი... თავი...  
უდიერად სტკიოდა... ასე ეგონა ქალის  
ძელები ღრჭიალით ეხსნებოდა და კბილანები  
ტვირთი ერჭმებოდა... და მაინც... და მაინც,  
ჭაობის ციების ამ სასტიკი შეტყევის დროსაც,  
სიციხის აღმურსა და ბოდევაშიც არცერთი  
ნუთით არ ავიწყდებოდა თავისი მთავარი  
საფექრალი, მთავარი გასაჭირი, მხოლოდ  
გულსა და გონებაში კი არა, თითქოს მიუღ  
გვამში სოლივით ჩაქედილი, გუშინდელს  
შენდეგ კი იმ საზიზღარი, ერთადერთი სიტყ-  
ვით გამოხატული, — სიტყვა კი არა  
ბერკეტიაო, ჩვენი ყოფის მთავარი ბერკეტიაო,  
ფექრობდა სპირიდონა, — ბოდევის დროსაც  
ზომ სწორად იმ სიტყვას ამოილულულებ-  
და ხოლმე... და განთიადისას, შეტყვა რომ  
ჩაებრა, სიციხე გამოწვლდა და როგორც იყო  
თავალზეც რული მოეკიდა, სიზმარსა თუ  
მოღანდებში ყვევების გუნდი არა მხოლოდ  
ამ სიტყვა „ცნობას“ დასჩხაოდა, არამედ  
ზოგიერთი მათგანი სისკარტებით თერთ ქა-  
ლადღები აფრიალებდნენ და ეს უბრალოდ  
ქალადღები კი არა ცნობები იყო, ასე რომ  
სჭირდებოდა სპირიდონას და სულიც რო  
გასძრომოდა უნდა ეშვოდა და მოგებოვინა...  
აქი სიზმარშიც სულ მალა-მალდა  
სტებოდა, გულიც ამოყარდნაზე ჰქონდა და  
მაინც თავს არ იზოგავდა, ამ ეშმაკი და ონა-  
ვარი ყვავებისთვის, ცხვირნინ რომ  
უფრიალებდნენ და უშრიალებდნენ ბეჭედ-  
დასმულ ცნობებს, — ამასაც მკაფიოდ, ძალზე  
მკაფიოდ ხედავდა, — როგორმე გამოეგლი-  
ჯა სისკარტიდან, როგორმე მოეხელთებინა...  
აი, თითქოს უნდა მისწვდომოდა კიდევ-  
კუდში ხელი ეტაცა, მაგრამ ონავერულად გაუ-  
ელვარებდნენ თავლებს და გა-  
უსსტებოდნენ... დადილი-დაქაცულს,  
გალახულსა და გასავეათებულს გაეღვიძა,  
სრულიად გამოსცლოდა ფიტი და ნიათი,  
ნაგრამ უნდა, როგორმე მოეკრიფა

ძალღონე, ნამოხანხალებულიყო და  
ნასულიყო ბედის ხაძიებლად, სანამ შემდეგი  
შეტყვა ძირს დასცემდა და საძრაობას დაუ-  
კარგავდა. გული გაუხკვდებოდა რო დაინახა-  
ვენ, ვინ გაიგონა ეგეთი ავადმყოფის ფეხზე  
დგომა, მაგრამ უფლება არა აქვს... არაფრის  
უფლება არა აქვს... სიკვდილისა ზომ არა და  
არა, არავითარ შემთხვევაში... თუ მოკვდა და  
მოგჭამა ჭირი ცნობამ... ომიოპო, რა უაზრო-  
ბაა ყველაფერი... ეგეც შენი სამართალი...  
აი, დადგა დრო, როცა ისეც იმათთან უნდა  
მივიდეს... ვერ აუტყვის გვერდს, ვეღარ...  
როგორც უალაგო ალაგს ამოშვერილ ნეე-  
ტიან ქვას, გავლისას და გამოვლისას ფეხი  
რო უნდა ნამოკრა... შმირის სუნი ახრჩო-  
ბს... გულზიდებამ კი ცოტა უკლო... კიდევ  
კარგი, თორემ ტყლამსაც ვერ ჩაიდებს შირში  
სისხლის ალების წინ, ვერაფერს ვერ ჩაიდე-  
ბს... არც უნდა ჭამა მთლად დაეკარგა მადა,  
მაგრამ პურის ნატები და ტყლაპი მაინც  
უნდა წაიღოს, სისხლს რო აულებენ ერთი  
ლუკმა მაინც გაღეჭოს როგორმე, არსად  
ნაზღეადღეს და გული არ შეუღონდეს... მაი-  
ნც უკვირს, თუშეცა არ უნდა უკვირდეს, არაფ-  
რის დარდი რო არა აქვთ, არაფრისა, ადამი-  
ანის ოფლი და შრომა არაფრად უღირთ, დაე,  
განიაფლებს ყველაფერი, დაე, ნყალმა და მიწყ-  
ერმა წაიღოს დოვლათი, ოღონდ კი კლასთა  
ბრძოლა მიმდინარეობდეს, ოღონდ კი  
იდეოლოგიის მიხედვით გამოცხადებული  
ექსპლოატატორული კლასი დაეჭოს და  
გაცამტყერდეს... შურსაც, ღვირისაც,  
ადამიანის ღირსებასაც ანაცვალეებენ ამ  
იდეოლოგიის! ღირსებას? სიციხეებს! სიცი-  
ხეებს! ფეხებზე დაიკიდებენ... და აქი  
ჰქიდიოთ კიდევ... მშობელძალღვი... ვირის  
გაყარდნობებ... ნაფიდა მძაზუ ყველაფერი...  
ნაფიდა და განიორწყლდა... გულმშუცილი  
ემღერევა და ასე ჰკონია ეს ციებცხელებისა  
კი არა, ამ ენითაუნერელი უაზრობია შედე-  
გია... მიდი და ნუ ატეგევა გული, ნუ ატეგარ-  
დებოა სიციხე, ატეხილი მალაფასავით ნუ  
მოგადებოა დარდი და ვარამი, ნუ დაგაბრწო-  
ბს ბოლმა. შემოვიდა გუშინ ევა და ორი ქა-  
ლადღი შემოიტანა... გულმა რეჩხი უყო, ნა-  
ცრისფერი და ლურჯი ქალადღები რო დაი-



ნახა, სულ ცუდეს ელოდა, სულ, სულ... ცუდ-  
 დიც ნობდა და ცუდზე მეტიც, ვითომ რაღა  
 უნდა მომხდარიყო?! აღარაფერი შეარჩინეს,  
 ცარაულზე დატოვეს, შავსიაში ჩანერეს,  
 რაღა უნდოდათ, რაღას ერწოდნენ! აბე,  
 ბედის სიმუხთლერ რომ სრული ყოფილიყო,  
 გეგებამ ეს საშინელი სნეხაც მოუვლინა,  
 თითქოს უამისოდაც მთელი სიგრძე-სიგანით  
 ვერა გრძნობდა თავის უბედურებას.  
 ფინისპეტკორები რომ მივიდნენ საქონლის  
 აღსანერად, დამბლა თუ არ დაეცემოდა არ  
 გგონა, თვითონაც აღარ გაეგებოდა რას  
 სწადიოდა... ღერბიან ქალღმერთ კალიგ-  
 რფი ვალერიანის მიერ ჩაინიჭებული ნა-  
 ყდიდობის ქალღმერთ იმ ცინგლიანმა ინსპექ-  
 ტორმა თავზე რომ გადაახია, თვალთ დაუბ-  
 ნელდა და ფეხები მოეკვეთა, სწრაფად  
 მოჰკიდა ვეამ ხელი, უკანა ოთახში გაიყვანა,  
 ტახტზე დასვა, წყალი ჩამოუსხა, გონს მოდი,  
 კაცო, რას ვიზამთო, სადაც ყველა, იქაც  
 ჩვენო... ერთ ლუკმას კაცი ყოველთვის იმ-  
 პოსო, აგერ ვიგლა დაამთავრებს სწავლას,  
 იმუშავებს, ჩვენც მივდგებ-მოვდგებით,  
 სახლი ქვიშაზე ხომ არ გვიდგასო! არ გვიდ-  
 გას, არა, სახლი ქვიშაზე არ გვიდგას, ჩვენ  
 თითონა ვდგავართ ქვიშაზე, ჩვენა, ფეხქე-  
 ში წადაგვი გვეცლებდა ის გამართული ნის-  
 ქელიც თავის ვენახით, რათა, რათა,  
 გულუნებით, რათა და რისთვის! გიგლამ კი  
 უნდა დაამთავროს, უნდა, უნდა, სულიც რომ  
 გაძკვრეს სპირიდონისა ის ლურჯი ქალღმერთი  
 თბილისიდან იყო, უნივერსიტეტიდან,  
 სწავლის დანყების წინ მავანი სტუდენტისა-  
 გან და ამ შემთხვევაში გიგლასაგან სოცმტ-  
 გომარეობის ცნობას ითხოვდნენ! მესამე  
 კურსის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენ-  
 ტისიკანა... ნადი და უაყარ კაპალი, სპირიდ-  
 ონა კიდევ შავსიაშია ჩანერილი! ჩაგნახლეს!  
 გაგძარცვეს! და კიდევ შავსიაში ჩაგნერეს!  
 მართლა, სატირალი რომ არა ყოფილიყო,  
 უნდა დამჯდარიყავი და გეკინა! შავი სია...  
 ხომ უნდა მოიგონო... ხო უნდა მოგვიდეს  
 თავში, ხო უნდა გაგაჩნდეს ეგეთი უღმობელი  
 აზრო... შავი სია! ადამიანი იგრედაც  
 უღმობელი... თავკერძა და უღმობელი, და  
 იმის უწინებრივ თავკერძობას, მუხანათობასა  
 და უღმობლობას ეგეთი სასტიკი მოძღვრე-  
 ბაა თუ ჩემი ფეხები კლასთა ბრძოლის შეს-  
 ახებ, რომ მიემატებდა და წელს გაუმატრებს  
 თავზე ხელს ალღბინებს და მუხლის ძარღვს  
 გაუნყვეტავს, ეილას რა უნდა მოჰკითხო,  
 სადღა უნდა ნახო სამართალი? რა უსუსუნი  
 უნდა გასცეს გიგლას, მოუკვდეს იმას მამა,  
 როდის გიგლა ეუბნებოდა გაყიდი დუქანიო  
 კარგე მუშტარიცა ჰყავდა, თათარი მუს-  
 რადინა, რაღას არა ჰპირდებოდა... მამ არა  
 და, ეგეთ ბაღდადივით ადგილას! როგორ

უნდა გაეყიდნა, როგორ! თავის ცხოვრებას  
 კაცი გამყიდის და ცარიელზე დატოვებულ  
 როგორ, რანაირად... ზოდა აბე...  
 იმოდენა, საქონელი, ის მშვენიერი საბაჟლო  
 მალახია, ყველაფერი გაზე ნაივია... ფულის-  
 თვის მიერ რა უნდა ვაზა, გამოვქანა და გამ-  
 ოყელანა? მე შენ გეტყვი ენდობი ჩვენ ბანკ-  
 ებსა და სალაროებს? ჯერ რეველუციის  
 დროს ხაზინაში შეტანილი ოქროები რომ  
 ჩამოართვეს! ღმერთო, რა დაუცველია  
 სახყალი კაცი, რა სახყალი და საცოდავი!! ის  
 ყველაფერი ჯანდაბას, ეხლა, ეხლა, სწორედ  
 სპირიდონა აღმოჩნდა იმ კლასის წარმო-  
 მადგენელი, რომელსაც რაღაცა ეშმაკული  
 მოძღვრების მიხედვით უნდა ეპრობოლონ,  
 თავში ჩაბკრან, ლიკვიდაცია (რა კარგი სო-  
 ტყვა მოიგონეს არაა?) უკონ, გაანადგურონ,  
 თავზე ლაფი დაახსან, ულუკმაპუროდ დატ-  
 ოვონ და თანაც სამარცხვინო სახელი  
 „შავსიელი“ დაარქვეს, სტუდენტი შიელი  
 უნივერსიტეტიდან გამორიცხონ, გამოა-  
 შანდურონ და თავით მარილი ანაყინონ!!  
 აგერ შავსიელების შიელები, იობის წინიკო,  
 ალექსის წიკო, ესტატეს თამრიკო... რამდე-  
 ნსაც გინდა იმდენს ჩამოსთვლის... ყველა  
 სკოლაშიდან გამორეკეს, გააგონილა და თქ-  
 მულაა? წინიკო, ყლორტივით გოგო, კარგი  
 მოსნავლე, მემუიდე კლასიდან დაითხოვეს,  
 აქაოდა იობს, მენალეს, თრიმლის ნისქიელი  
 ჰქონდა და სადაბალო სახელისონო. ვერ შეე-  
 ნედა გიგლასაო, ფიქრობდა, თითქოს დაშ-  
 ნამავე ყოფილიყოს, მაინც ჩემი გამოსობით  
 უნდა გამოირიცხოსო... და რომ წარმოიდგ-  
 ენდა როგორ ჩამოვიდოდნენ კისლაეცკო-  
 დან და ასეთი ამბავი დახვდებოდათ, სოცმტ-  
 გომარეობის ცნობა არ ექნებოდა და  
 სასწავლებლად ვერ ნაივოდდა, აღარ იყო-  
 და რა ელონა და რომელი კედლისთვის  
 ერტყა თავი... ცოლშვილის პატრონი კაცი  
 და მამის გულისთვის უნდა გამოირიცხონ  
 სასწავლებლიდან, ცოლშვილის წინაც ჰპრ-  
 ავი გამოვიდეს! სპირიდონას ერჩივნა  
 წასულიყო და კლდეზე გადაეარდნილიყო,  
 შავსიიდან კი როგორეუ ამოშლევინებინა  
 თავი. სტუდენტის მამა რომ იყო, როგორ ე-  
 მაყვებდა, როგორ მოსწონდა თავი, ყველაფ-  
 ერს მალევე მოეხსნო, ოცი წლისა დააქო-  
 რწილა გიგლა და უკვე ორი პატარაც გაუწი-  
 ნა მაროზე ზემდყოლებით, გზაზე დააყენა,  
 კი გზაზე— ეგეც შენი გზა და კვალ... ეხლა,  
 ხომ როცა ყველაფერი ხელიდან ეცლება,  
 ეცლება კი არა, გამოეცალა, გიგლას  
 სწავლამ გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძი-  
 ნა, ეს ერთადერთი იყო, რაც გიგლას ადგი-  
 ლს აპოვინებდა, კარგ ადგილს მისცემდა  
 საზოგადოებაში. „ბიჭი ჩამოვი, ბიჭი ჩამოვი“  
 დღეს-ზედა, მამის შავსიელობით ამოშლილი

სტუდენტობიდან... იმეორებდა დასიცხული, ბალღამიანი პირით და მიზინდულ თვალლებში ეჩხინებოდა უზარმაზარი ფანქარი, რომლითაც გიგლას სტუდენტის სიიდან შლიდნენ. გიგლას ამბავმა თუმცა მთლიანად ვერ გააქარწყლა ნაცრისფერი ქაღალდის ანუ მეორე უწყების ძალმოსილება, მაგრამ შესუსტა კი. გიგლას დარდი, თორემ მეორე უწყებაც როგორ არა, საარაკო იყო. ზეადევი, გადაუდებლად, თავისი ხაშუშაოს იარაღითა და თავისივე უღუფით უნდა გამოცხადებულიყო რაილაშას კომში, ბამბის სამუშაოებზე ყარალაჯში გასამგზავრებლად. დიდ იმედს ამყარებდნენ ბამბის მოყვანაზე, მაუბუქი ინდუსტრიისთვის ამ აუცილებელი ნედლეულის მოყვანაზე. შოდა, სპირიდონა, როგორც შავსიელი, ორმოცგრადუსიანი სიცხითა და კუნთების ტეხვით ვითომ უნდა გაანდგომოდა ყარალაჯის გზას. უნბის ექიმიც იმიტომ არ ჩამოვიდა სპირიდონას გასასინჯად. თურმე ყარალაჯში გაუგზავნიათ სასწრაფოდ, რადგან ხალხი პანტასავით ცვიდა ციციბისგანაო. ევას კი ეთქვა კაცო ავად არის, წვეს და მაგ უწყებას წურვ დატოვებთო, მაგრამ გაიგეს? მგელს რა ენაღლეება, თუ ცხენი და ჯორი ძვირადა ღირს? რა ენაღლეება? ეგვი უთხრეს: ჩვენი საქმე ამ ქაღალდის მოტანააო და თქვენ კიდევ, თუ ეგრესი, ავადმყოფის ცნობა წარადგინეთო. წასვლა საქმე, იმისთვისაც და იმისთვისაც, თორემა ჯანმრთელობის ცნობის იმედი შეიძლება კაცს ჰქონდეს, პოლიკლინიკა ხო არ ექვემდებარება კლასობრივ ბრძოლას, პოლიკლინიკას ხო არ შეიძლება ეკოთხებოდეს ავადმყოფი მტრულ კლასს ეკუთვნის და შავსიელია თუ არა? პოლიკლინიკა ცნობას ვერ დაუჭერს, ვერ დაუკავებს, სულ რო იუდა იყოს! იმიტომა რომა საწოლი მისი იარის პირი მახვილია... სარეცელი მისი იარის პირი მახვილია... და სწორედ ესლა, როცა ყველა უბედურება ერთადა სჭირდა, როცა ყველაფერი ერთად გადაეკიდა, სწორედ ესლა გადამწყობა არ შეპუებოდა თავის უბედურებას, არ შეეშვრია თავი, მკუდარი თუ ცოცხალი წამომდგარიყო და ცნობები ეშოვნა... რა თქმა უნდა ჯანმრთელობისა, იმიტომ რო დილიდაინვე უნდა აულონ სისხლი, მერე კი, მერე კი... ხან საით გაქცეოდა ფიქრი, ხან საით... ტანჯვის დამე გაათენა, წამებისა, ჯერ თავის საწოლზე ინვა და იქა წვალობდა, იქ იტანჯებოდა, ვერც სიკვამ, ვერც კუნთების ტეხვამ, გულისრევა ანაც კი ვერ დაავინყა ცნობების ამბავი. მერე ფანჯარასთან გადაწვა, იქ ტანტუე გააშლევინა ქვემაგები ევას, ფანჯარასთან იქნებ შეგება მომეცესო. წყალს ივლებდა პირში, ბალღამიან პირში, გამოივლებდა და ჯამში

ჩააფურთხებდა... ევას ძინა აივანზე, ფანჯარასთან, წამოიწვდა, რა მყისვე დაიწყო არაფერი გინდაო, შეეკითხებოდა... უნდაა, უნდაა, ეს ქალი რო თავის სიცოცხლეში არასდროს არ ენახნა, ეს უნდაა. ეგრე მწარედ არც როდის არ უგრძენია, მრუდე ხისაგან არის გამოთლილი ადამიანი, რა უკულმა მოწყობილი, იმიტომ რო აბა, რანაირი ბოლმა და სიძულელი ჰქონდა ბოლშევიკებისა, მოსელის უმაღლეს სისხლით რო მოწწყეს აქაურობა, ხან ვის რო გამოაცხადებდნენ კლასობრივ მტრად და ხან ვისა, იგრე რო დეატირიალეს ჩარბი, ლეკი და დედრო ზეით ამოატეტიტეეს და ვინ მოაჯდა ცხოვრებას ქეჩოზე, ვინა, უგვარტომო ვეგინდარები, აი, ვინა... ყოფილი უჯრედის ნეერები, ვინც შემორჩა და ალო გაიტანა, დედაქალაქში ბრძანდებოდა. არჩილი ზომ მთლად დიდი კაცა გახდა... ოპოპოპო, რა ცოდეები წამოიკეცა და წამოიკეცა, მინეინა და მინეინა ოცდაათში გიგის გორაზე სურჩეული ხალხი... და მანც... და მანც რაც უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ყველა ეს კამპანები, ბამბის კამპანიის ჩათვლით საზღაპრო უაზრობა იყო, ნეტავი კი ვის წამყენ ტვინში დაბადებული და ნაბარტყი, რაც უფრო არ ეშვებოდა ცნობებზე ფიქრი და ტვინის უზურლადა, რაც უფრო მეტად ტვირთა გული, ბაღლაში ყელში ეჭვინებოდა და პირს შვამით უწავებდა, იმდენად არ ეპარებოდა ეჭვი, რომ მათთან უნდა ყოფილიყო, მათთან ერთად ცხოვრების ტილიან ქეჩოზე უნდა ყოფილიყო მომედარი, ორგული კი არა, ათგულია ადამიანიო და რაკი ერთხელ ფეხი შეედაგი, იმ გზას უნდა გაეყოლოდიო. ყველაფერი ამ კუდიანის ბრალიაო, ამან ამირია ჟამპარიო... როდის, კაცო, როდის, იმ დროს როცა აქ ექვარ ბაიბურში არ იყო... თითოთროლა კაცო ეწეოდა ამ საქმიანობას, მათი უჯრედის ნეერები... იმ თითოთროლაში იყო სპირიდონაც, აი, ვინ იყო! წავა და ნაილებს ყველაფერს, იმდროინდელ პროკლამაციასაც, გაზეთის იმ ნომრებსაც, რეკლამაციებს სულით გააღენითილი ლექსი რო იყო დაბეჭდილი... სურათიც უნდა წაიღოს, აუცილებლად. ბავშვობაში არჩილთან ერთად გადაღებული... ალიოშასთან წავა, ალიოშასთან... ოო, რა კარგად მიხვდა, რა კარგად დაუდგა თვალნი პატარა ბიჭი აბრია, კატას ქნუტივით რო გამოსიქნავდა ხოლმე, ქვევითა სოფლიდან რო ამოყვანდა ხოლმე დედა, იობას შორეული ნათესავი თუ ნათლდედა, სწორედ სპირიდონას დუქნის მოპირდაპირედ ჰქონდა იობსაც სახელოსნო და ეს პატარა ბიჭი ამრია გადმოორბენდა ქუჩას, თუ მითუმეტეს ევას დაინახავდა დუქანში შესულს, თვალე-



დაეცლეთ... შეაჩერდებოდა და ადვიდა ევა, დედამ და მამამ საკრებლები თუ გვეცნებათ, იქნებ გაიმეტოთ და მოგცეცითო. კონკი კონკზე უფრო დედასაცა და შვილსაც. შოდა, ეს აბრა ეხლა ალიოშა და არც მეტიც არც ნაკლები გეპუეში მოადგილეა. რა კარგად მოიფიქრა, ამ უდიერი ციების მოუხედავად— ეითომ თეთონ ჩააბარა დუქანი... ოო, მტარელები, შეეკვას მისცემდა, დუქანს კი არა... უფოლი რეკოლეციონერი... ინანიებს თავის წერილებურთა ხიულ სულისკვეთებასა და საქმიანობას... გაუტყდება, გაუტყდება ალიოშას, რო ის იმოდენა საქონელი, აღწერილი და დალუქული, იქნებ გაიყონ, თავისი მონაგირი და იქნებ ცოტა მაინც რაღაც შეახვედრონ, მშობელმადლებმა... ეხლა კი ადგომა იყო საქმე, ადგომა და ჩაცმა, რო მერე გადაეშვას ბრძოლაში... შვილსა და შვილიშვილებს წაადგეს, იმათი დედის წინაშე, საყვარელი რძლის წინაშეც პირნათელი გამოვიდეს... რალაც ესიამოვნა, რალაც ეიმედა, ისა რომ ამ სასტიკი ციებ-ციხელების დროს ეგეთი გადარჩევნებები მთლი, ეგრე გამოინგარომა და გაითეთვა ყველაფერი. სისუსტეს კიდევ აჯობებს— ძალღობრე რაც შეიძლება მოიკრეფავს! — ევა! დაიძახა სპირიდონამ, რაფასთან მოუღებულ ჯოხს ხელი მოკიდა და იატაკზე დაარაბუნა. ყური მიუგდო. კბეებზე ვილაც ამოდოდა ჩქარი ნაბიჯით. კიდევ იმიტომ ნელა სახლში ჩამოიშვი არ ისმოდა. ახლა კი ჩქარი და მსუბუქი ნაბიჯების ხმა შემოესმა ეხოდან ამომავალი კიბიდან. იცნო ევას ნაბიჯები, ის დადის ეგრე ნიავექარივით. ხლით სავსე თეფში ეჭირა ხელში, ნარბენი წანდა, სახეზე ხეთოქი გადასდებოდა, თავშლი ნოესნა, კაეები და ნანანაეები თავზე აეკეცა კეძინა, კაცო, კიდევ კარგი განთიადისას მაინც ჩაგეძინა, და მეც ვიფიქრე მოვასწრებ მეთქი... ევამ თეფში პატარა მაგიდაზე დაუდგა, სპირიდონამ ხლიანი თეფსს ხელი გაუქნია: „რა გქონდა მერე მოსასწრები...“ — ფერიცვალეება დღესა, აი, ეს ნაკურთხი ხილაც იქიდან ნამოგოვიც, გზადაგზა ცოტაოდენი შეინდის ჩამოეკრიფე, თუ გინდა შეინდის შეჭამანდს გაგაკეთებ“. სპირიდონამ უსიამოვნოდ მოატრიალა თავი, მთელი დღეები მარტო გდია, მარტო ებრძვის ამოდენა სიცხეს, დარდსა და უხედურებას... ჯანა ეს მოვლავ? მოვლა ისა ჭკობია, ბუნებში გაურკოს, ფარდები ჩამოადგინოს, მანონი ან ტექნოლოგიის ტექლაპი დაუდოს პატარა მაგიდაზე, ხელში ტოტი დააჭერინოს ბუნების მოსაგერიებლად, კარები გაიხუროს და თეთონ ან ალმა-დალმა იქარაუნოს, ან აქვე სახლში იბუდგაოს. ქვის ნატეხი! გაჯარდა დილაადრიანად სოფელში,

სასაფლაოზე გავიდა და ახალგაღიძობულ სპირიდონას მოხსნო კიდევ კიდევ წმანე უფრო გააღიზიანა. ხანდახან შემოიჭრა და შემოიჭრა კითხავს, ხო არაფერი გინდნ, კაცო! ხელმეც მყოფს ეკითხებიან? შეიძლება ეგეთ მძიმე ავადმყოფს რაიმე არ ჭირდებოდეს? მაგრამ საიდან უნდა იცოდეს? თეთონ ერთხელაც არ გამხდარა ავად. რაც ერთად არიან, ამ ოცდაბუთი წლის მანძილზე, ფრჩხილი არ არის, ფრჩხილიც არ ნამოსტკივნიან! მართლა ნამდვილი ალქაჯი! აკი ოცნებობდა სპირიდონა ერთ დროს, ბეერი, ბეერი წლების წინადა, როცა ამ კუდიანის სიყვარულით ელეთი-ელეთი მოსდოდა, ვინ იცის რამდენჯერ უფაცნებია ნეტავ ავად გადებოდეს და ჩემი მოსაველეი შეიქმნებოდესო, ჩემზე იყოს მონაბრტეულიო, როგორ ოცნებობდა რა თავდადებით მოუვლიდა, როგორ არ მოსცხლდებოდა ევას სანოლს, რა ეჭიმებს დაახვევდა თავზე, რა რეკეპტების ფრიალ-ფრიალში იქნებოდა, ნამლებს თეთონ დააღვივნებდა, საქმელსაც თავისი ხელით შეაჭმევდა... ევა კი, სპირიდონას თავდადებული მოვლით გულაუყვებული, სახეზე მადლიერების ნახსა და მქეტელ ღიმილს გადაიფენდა და სპირიდონას მარჯვენა ხელ თავის დასუსტებულ ხელებში ეჭირებოდა... მაგრამ არც ერთხელ არც ერთხელ ამ ოცდაბუთი წლის მანძილზე სურდოვც კი არ შეხებებოდა! რა ჯიშნა და ჯილბაგისაა დამატრის ნიავექარივით ტყესა და ღრეში, თუნდ მთელ ღამეებს კარტსა და ლოტოს თამაშში გაატარებს და არის ეგრე უმსხრელი მტევეანივით, კბილი რა არის კბილიც არ ნამოსტკივნიან, თამაშიც, თავის მწვენიერ, ნაბლისწინადა მზინავ თამაში ერთი დღერი თეთრი არ გარეგია! უხერხულიც კია, მე და ჩემმა ღმერთმა! არის ეგრე, ჯანსალი და უხინჯო, გარეთ რა მტარებს და უბრძოლს თეალი, შიგნით კი სპირიდონას! დაუჯერებელიც კია, ისე გაატარო ეს ნუთისოველი, ავად არ გახდე, ან არ შეგცივდეს, ან არ დაგცხეს, იმ ერთხელ, მუცელი რო მოსწყვეტოდა და ძლივს გამოგლიჯეს სიკედელს და ნეტავ არც გამოეგლეჯათ მომქვადიყო და გაპყოლოდა იმ თავის გიოს, იმისი მოგონებით სპირიდონას სული რომ ამოხადა, იგრედაც დამძიმებული სული, და აკერ მართლა, სული კბილით უჭირავს სანყალ კაცსა და კიდევ იქ წასულა, ფერიცვალეება! აო და საფლავზე წასულა... „შეინდის შეჭამანდს ხო არ გაგიკეთო, კაცო, ცოტა გულს დაგიჭერს“, გაიმეორა ევამ. „გუშინაც არაფერი გიჭამანა და, ტყლაპი რას გიზამს...“ „რა დროს ჭამაა, ანალიზზე უნდა ნაეიდე...“ დაიქნება სპირიდონამ.



„შენი ნასვლა როგორ იქნება სად უნდა იარო ამ გადასუსტებულმა! ნაველ და მე აუფხსნი ხველაფერს ლიდას, ხო იგი არაფერზე არ დაგზარდება, ცნობასაც ავიღებ და ჩავაბრუნებ საცა საჭიროა.“ „იქნებ შევსიიდანაც როგორმე ამოაშლევინო ჩემი თავი შაია, მ-შევი, მომატიალე მარვალ-ხალათი...“

ევამ ბალღამიანი ტამტი ფეხით შესწია, ქუჩა გაასწორა, ნაფურთხი ჯამი გაიტანა, კარადიდან სპირიდონას სუფთა საცვლები და ლურჯი შალის შარვალი, ნაცრისფერი ჩალილული ხალათი და ქათქათა ცხვირსახოცი მოუტანა. საბანი რო გადახადა, ნელა ნამოსვა, პერანგი გახადა და ამოყრილი ბუტები და გვერდებზე ჩატყლარჭულ-ჩაკეცილი კანი დაინახა, და ოფლის სუნე შიყუნოსა, თავი განზე გასწია და გაიფიქრა, ალბათ სანამ ცოცხლები ვართ, ამ ზიზღს არაფერი უშველებათ. სპირიდონა ხანოლზე შექანდა. „კაცო, მარტო შენი ნასვლა არ იქნება, მე გამოგყვები, რაკ უნასვლა არ დაგიშლია.“ თან მშრალი პირახოცი თიღები ამოუნმინდა, „ეგრე ჩამორბეული სად ნადიხარ ნეტავი, სადმე რო გადაიქცე“ „თორენტ შენც თვალზე არ დაიხიო ტირილი...“ „დაიცვა ერთი, კაცო, რა დროს ვკრნია, გამოგყვები მეთქი“ ძლივს-ძლივს გადააცვა პერანგი, სპირიდონას ხელები უკანკალებდა, რის ვაივაგლახით ამოიკვა ნიფხავი და ზორტებსაც ძლივს მოუყარა თავი. „ჩემი ცოცხალი თავით არ ნაგყვან ნეთი, ნავსი ხარ, ნავსი“ თავის სიცოცხლეში მოტორალი ევა არ ენახნა, და ნიფხვის ზორტებს რომ ვერა და ვერ იკრავდა ისე შეკვრდა თავისი თავი, რტით მიუსაფრობა იგრძნო, ისეთი უპატრონობა, თითქოს ვეხს ცრემლებზე იყო დამოკიდებული დღევანდელი იღბალი და ოჯახის კეთილდღეობა... „ჩვენ ხო იგრე ვართ მონყობილი, რომ მე თუ ვტორი, შენ უნდა იცინო და მართლა რომ თუკვდე, ნეტა დამანახვა რას იზამ...“ მარო ვუს დაანებებს შენ ტირილს, კაცო, კი რამ რტალში მაინც გაგიმართლა, — უთქვამს კიდევ მეზობლებში, მართლა, მართლა, ჩემ მამამთილს სიცოცხლე რო დასჭირდეს, ხელგანვდილი ვიცი და სიცოცხლეს ჩამოვლითო, ხო კი ნათქვამია...“ ევამ ხალათის ღილები შეუკრა და ცხვირსახოცი ჩაუდო გულის ჯიბეში, თან კი გაიფიქრა: ნეტავ რალა ადამიანის ფასი, თუკი შვიდღესა შთელი სიცოცხლე კაცთან გაატარო, სიკვდილის პირას იყოს და არ გუკოდებოდესო. ამიტომაც კიდევ უფრო მონდომებით შეუკრა ხორჯარი და მენაღიობის შეკრილი შივი შედროს ფეხსაცმელებიც ჩააცვა. აენაცვალათ იმით ჩემი თავი...“ ამოიკრუნეს სპირიდონამ, კომათივია ვარ მეც მდნარი და

მკედარი...“ მამ, არადა? ეთ აგრძობინა ოჯახის სიტკობ, იქნებ ამ ქალმა, ყასადად რო ეუბნება ნამოგყვებზე და ერთი წელი კი აქვს თელს მიეფაროს... თვალთმაქცი... გაიყროლოს თავის გვერდით, ყველამოღერებული და თავადერილი; ყველას თვალში ჩახაგარდნად, რო უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ციბეცხლებებისაგან ილაჯგანყვეტილი და გასაგათებული სპირიდონა, გაკოტრებული შვესილი... დიხაც რო მარომ აგრძობინა ოჯახის სიტკობაც და სიამეც... მაროს გამოისობით უკანასკნელ წლებში ოჯახი გახდა სპირიდონას მთავარი საყრდენი... რაც გიგლას, ცოლი შერთო და შეილებიც გაუჩნდათ, სპირიდონამ ახლებურად დაჰყარა ოჯახს გული. მარომ თავიდანვე მამამთილისკენ აიღო გეზი, დედამთილი ჯერ სილამაზით აღიზიანებდა, აქ გაავრნეს კიდევ ნიშნობამევე, დამტკნარი ვარდი სჯობია ახალ ქინქარსო და ევა სრულბითაც არ იყო დამტკნარი, მევე კიდევ ოჯახს რო არ დაგიდევდათ და თავის ქიფზე იყო მოსიარულე. მარო კი შინაურულად დაეკრიალდა, სპირიდონას მოვლი-სთანვე, ჯერ არის და ქუჩის კარველებზე შეიგება, კალათს ჩამოართმევდა, ხელში რაც ეჭირა, ჩამოართმევდა, სუფრას განყობილს დაახვედრებდა, თვითონაც სადილვასშამს მამამთილის მისელა-მოსვლას უთანხმებდა და დედასაგან გატყურობული თიგლაც სახლში მოაგურგურა. სპირიდონამ მაშინ იგრძნო პირველად თავის სიცოცხლეში რომ ოჯახი ჰქონდა, დაჯდებოდა სუფრის თავში, გაქათათებულ თეთრ ხელსანმენდს გამლიდა, ვერცხლის დანაჩანგალს სიამოვნებით გადახედავდა... ყველაფერი გამოჩნდა, ყველაფერს ლაზათი დაედო მაროს ხელში, გვერნებათ ნინათ არც ეს ვერცხლეული ჰქონდათ, არც ეს წმინდა ტილოს ხელსანმენდები, არც ბროლის სამართლები, არც ეს მშენიერი, ენძელიბით მოფენილი ფაიფურის ჯამ-ჭურჭელი. თვითონაც ახლა იგრძნო ზრუნვისა და ყურადღების სიამე, ახლა იგრძნო ოჯახის უფროსი, საპატრვავემო უფროსი რომ იყო. სულ მუდამ გრძნობდა მაროსაგან სიყვარულსა და პატივისცემას, გაავსებდა ჯინჯინი წყლით ტამტს, მიართმევდა მამამთილსა და ფეხებს დააბანინებდა, ეს კიდევ რა, დროდადრო მოიმარჯვებდა თავის ხელსანწყობეს და ნეტავ რა ფაქიზად, რა კობხად დაუშუშავებდა ფეხებს, რა სიმსუბუქესა და შევებას აგრძობინებდა. აი, ეხლა მიგრიალებს ეტლით პოლიკლინიკისაკენ, კი რამ, ბედმა გაუღიმა, გამოიდა თუ არა სახლიდან, ეტლმაც ჩამოიარა და ბედად ზევეთ მიიღიდა ის ორი მგზავრიც. შოდა, თვალები



დახუჭა მაშინვე, არაეის დანახვა არ უნდოდა და თანაც ეგრე უფრო ჩაუყურდები ჩემ მდგომარეობასო, და თითქოს გულმა უგრძნოვო, სწორედ მაშინ, ქვემო ბაზართან რა მივიდნენ და დალაქი ილოს სახელოსნოს გაუსწორდნენ, მარო ხო აქა ნახა პირველად. და მაშინვე თვალში მოუვიდა. არა, სპირიდონა დალაქი ილოსთან არ იკრეჭდა თმა-ნვერს, ილო უფრო დაბალი მუშტურისთვის იყო, სპირიდონა ჟორჟთან დადიოდა, არა დალაქი, არამედ შარიკმახერ ჟორჟთან, უცხოეთში, სულაც საფრანგეთში რო უსწავლა ხელობა და დიდებული თმა-ვარცხნილობითაც დაბრუნებულიყო, წმინდად დახუჭუჭებული, აბუბბული თმები მუხზე ჰქონდა გაყოფილი და კისერთან კობხად შემოკვერცხილი სტრიჟკა. საერთოდ თელავში ჟორჟმა დანერგა რამდენიმე სანიმუშო თმა-ვარცხნილობა... მშვენიერი სალონიც ჰქონდა, - თუმცა რალა ჰქონდა, ჩამოართვის ყორცსაც, ჩამოართვის, - მარმარილოს დაფიანე და მოჩუქურთმებულშაქარჩოიანი დიდი სარკეებით, აღჭურვილობასაც ვარვარი გაპქონდა, ფუნჯები ხო იმისთანა, რო საამოდ გელამუნიოდა, სამართებლებსაც სულარ იტყვიო... მაგრამ უდიერად სტკიოდა ფეხები, ჯერ კიდევ პროკლამაციების გავრცელებისა და ფეხით სოფელ-სოფელ სირბილის დროიდან ნაბეგვი და ვაკოჩიებული ჰქონდა, მერე კიდევ, რაც გამოეთხოვა იმ ბუდესა და ბუნაგს, რაც დაუშრეს და დაუნრატეს ის საამო გუბე და დახურეს ზეელის „ზავედენია“, მორჩა სპირიდონას ფეხების პატევი, კოჩიების ქლიბვა და ნმენდა, გარქოვანებული ფეხისგულებისა და ქუსლების ფხეკა, თან ფრხილების ქეცი სჭირდა, განსაკუთრებით ცერა თითების ფრჩხილები ძალზე გასქელებული და დაფუტურაიებული ჰქონდა, ნუნებში ჩაზრდილი. შოდა ახლა, დუქნადან არ მოდიოდა ფეხებატკიებული, - საქონელზე იყო წასული თბილისში, ბოლო დროს ქირდა კაი საქონლის შოენა და ბევრი ნანწალი მოუხდა, საცირველია ამ ბოლშევიკების დროს თანდათანობით ყველაფერი წყდებოდა და ქრებოდა, სად რა ეშოვნა, სად რა შეეძინა აღარ იცოდა, შოდა, რო დაბრუნდა, ფეხები ისე ჰქონდა წაღები კინაღამ შემოჭრა, ვეღარ იხდიდა, საეონელი რო დააინჯა და სახლში წამოვიდა, ქვაფენილზე ძლივს ადგამდა გასიებული, დაფირ-ჯელებულ ფეხებს, ყოველ ნაბიჯზე თითქოს ქინძისთავეებით ჩხვლეტტო... ქვემო ბაზარზე, ილოს დუქანთან გოგო იდგა, კარის დირუს მიყრდნობილი და ქუჩას გამოპყურებდა. სპირიდონა რო მიუახლოვდა, გოგომ

სამველად ხელი გამოუწონა და „ძია, თი, აქე დაბრძანდით, ფეხები დაასვენებო...“ სადალაქოს წინ ილოს სკამი ჰქონდა გამოართული, მუშტურის მოლოდინში გამოვიდოდა, ჩამოჯდებოდა, ქვემო ბაზარს გახედავდა, ვინ მივიდოდა, ვინ მოდიოდა... სპირიდონამ გოგოს შეხედა, გახუნებული ჩითის კაბაში იყო გამოკვალთული, მსხვილწაქეთა და მსხვილძვალა, დიდ ხელფეხიანი. სპირიდონა ჩამოჯდა სკამზე, მადლობათ, ამოიბუხუნა, მართლა ძალიან შექანუნა ფეხებმაო. „ძია“, უთხრა გოგომ გულითადი კილოთი, „თუ კოჩიყები განუხებთ, მე კარგად ვიცი კოჩიყების დაყრენიება, იგრე გაგანთავისუფლოთ, ვერაფერი გაიგოთ, იარაღებიც კარგი მაქვს... ძია ილო კიდევ ემხად გადავიდა და თმა-ნვერის შესწორებასაც თუ მოინდომებთ, ამასობაში გადმოვა და მოგქმსახურებათო“. თურმე ილოს მადლი მოესხა, ლატაკი და ნერილმეილი ოჯახიდან დამხმარედა და ხელის გოგოდ წამოიყვანა, ამას კიდევ აეგეთი უნარები გამოეჩინა. „აბა, ერთი მაჩვენე რა იარაღი გააქვს?“ დაინტერესდა სპირიდონა. გოგომ მაშინათვე გამოარბენინა ყუთი და რა ყუთი, შავი, ხავერდისა, თავი კიდევ კანეთა ჰქონდა ნაკერი, გახსნა და სპირიდონამ თვალებს არ დაუფერა, არც როდის არ ენახნა ეგეთი ყუთი და ეგეთი იარაღები, შიგნიდან ცისფერატლას გამოკრული, დალიანდაგებული და ოქროსფერი ჭიკარტებით მოფენილი, რა ქლიბები, რა ჭაპოსნები, რა ნაირნაირი მაკრატლები, ყველაფერს ვარვარი გაპქონდა. სად იყო სპირიდონა აქამდისინ, თუ აქეგეთი გოგო და ეგეთი ყუთი ელოდა?! „ჰეი, რა უცხო ფრხილეთი არის შემოფრენილი ეს ყუთი ილოს სადალაქოში?! საიდან გოგო ეგეთი იარაღები, საიდან და როგორ?!“ სულ თავს იქნევდა სპირიდონა. „საიდანა, ძია და თაეადიშენილები რო გარეკეს ჩვენს სოფლიდანა, მაშინ ჩვენ კამოდ წამოვიდით და იმ კამოდში იდო. მიესაი მთელი სოფელი და ჩვენ ესლა შეგებვდა, იგეთი ნენვა-გლეჯა იყო, გენერლიანთ ემხანდენ, იმას ჩამოიტანა ზაგრანტიციდან ეს იარაღები, თავისი ფეხებისთინა, დედაჩემი ემსახურებოდა, მივეყედი ხოლმე და მოჯამაგერე ბიჭი ჰყავდათ, ის უკეთებდა ქნაზს ფეხებსა, თვალსა მტაცებდა და ვუყურებდი ხოლმე, ინტერესიანი ვიყავი... შოდა, თქვენც შეგიძლიანთ შენდოთ, ბედად თბილი წყალიც მომეპოვება“. გოგო შეუძღვა სპირიდონას სადაქალოში, ფარდის უკან, სადაც ვინრო ტახტი იდგა, გოგოს თურმე სწორედ ამ ტახტზე ემინა, გაქვცულ ქნაზე, თავველი მუთათქა ეიდო და ზედადანაც საბნის ძველა. გოგომ სპილენძის ტაპტი ბლომად ჩაასხა



წყალი, დაუნანებლად: „წყლისა ნუ მოგერიდებათ, ძია, სანასამედოდო ვირო გეკვიავს დაქირაებული, იმას მოაქვს, დასაღვე წყალს კიდევ, ჩავირბე ხოლმე კაქლის წყალზე კოკითა და ამოვარბინებ“. „ყოჩად, ყოჩად“, შეაქვ სპირიდონამ, „კაკლის წყლიდან ამოტანას კოკითა კაი ჯანი და ღონე უნდა“. „მაშ, რა მავქვად მინდა ჯანი და ღონე, რას ვაქნევ, თუ არ მოვიზმარებ? დაზარება კიდევ არ ვიციკ... მე თვითონ ვაგუნდით ნაღებსა, ძია, მე თვითონ, თქვენ უფრო გაგიჭირდებათ...“ მართლაც ნელა, ნელა, ნელა გააბადა ნაღები, წინდებიც მიაყოლა და ფეხები რომ ჩადაცა სპირიდონამ თბილ წყალში, მყისვე შევება იგრძნო, საამოდ დაჯარა წყალმა... ომოპო, რა ცაბონებაა... გოგომ სარცების საპონი ჩაფხიკა, სოდაც ჩააყარა, დაბალ სამოყხაზე დაუჯდა წინა, ფეხებზე ხელი დაუსვა, სათითაოდ უნახა კოჭიჭები, სათითაოდ დაუთვალერა თითები, „უნლა მე ერთი კარგად დაგიმარბინებთ ფეხებსა, ძია, ძიან ცუდ დღეში გააქვთ და მალამოსაც მოგკვეთ, კნიაზის მალამოს, ალბობს, ალბობს ფეხებს რომ ხელეღვივითა ხდის, ბარიშმა ქალის ხელეღვივითა... (მერე ხომ თანდათან მართმ ამ კოჭიჭების მალამოთიც გაითქვა სახელი), პოდა, ეამა სპირიდონას ამ გოგოს ხელუბის ცაცუნო, ისე ეამა, ისე რომ მეტი არ იყოს. გერ ერთი ფეხი ამოკულ, გაუნმინდა ჩურთა, ჩაიდო თავისი კალთაში, ქოპოსანი გაუსვა ფეხის გულზე, გაუსვა და გამოუსვა, გაუსვა და გამოუსვა, შანია სოღებივით მოფეხილი ფეხის გულები სულ გაუსუფთავა, მერე კოჭიჭებს მისდგა, რა გულდაგულ, რა სუფთად, თან რა ტკბილი ხელით უკეთებდა ფეხლაფერს, ნარამარა ეკითხებოდა ხო არა გტკენითო, მამინათე მითბარითო, მეომეყარს ტკბილად გაკეთება საქმისაო. ფეხების დამუშავების ამ ნაზვრძლივი დროის მანძილზე სპირიდონამ იიაც გაიგო, რომ გოგო თურმე საღამოს სკოლაშიც სწავლობდა და კვირაში სამჯერ შეინდათ სწავლა, უკვე შეცხრებოც იყო და კომპიუტერშიც აუცილებლად უნდა შესულიყო. „გერ მითხრა კომპიუტერის სერვმა, მამ, ვინლა უნდა მივიღოთ, თუ მერ არაო, ღარიბი გლეხის შვილიო, შენისთანა კლასობრივი შეგნება ვილას ექნებაო?“ „გააქვს ნეერ კლასობრივი შეგნება?“ გაეცინა სპირიდონამ. „გააქვს, მამ, რალა მაქვს?“ თავი მოთონა გოგომ. „აბა, მამ, მითხარო, რა არის კლასობრივი შეგნება?“ შკითხა სპირიდონამ. „მაგალითად ისა რომა ეს ყუთი და კამოდი ჩვენ იქიდან ნამოვიღეთ, ეს კლასობრივი შეგნებაა“. მენ იგრე გამოგდის, რომა ყაჩაღობა კლასობრივი შეგნება ყოფილა“. არა

ძია, ოცდაოთხში ამხანაგი არჩილი რომ წამოვიდა და კახეთის სოფლებზე ჩამოყარა, სოფელი შარაზე შეეგება, მოგვიწოდებოდა უნდა ავიმალლოთ კლასობრივი შეგნება რომ უნდა ოქტომბრის შუქით განათებული ჩვენი ქვეყანა სუ უნდაო კლასობრივი შეგნების შუქში ლივლივებდესო, და რომ თავდაზნაურობა და თქვენ, გლეხობა, ანტაგონისტური კლასები ხართო, იგრე ეკვია, იგრე კობტად, თან იგრე მწყობრად ლაპარაკობდა, მერე სუ და კაცზე ეფიქრობდი...“ კაი მწყობრდაც დახვრიტა იმდენი ხალხი, ბოლშევიანად გაიფიქრა სპირიდონამ და სხვათა შორის, შურითაც, არჩილის ასეთი აღზევების გამო, ის ცხოვრება მოაგონა, ანკი როგორ არ უნდა მოტკონებოდა, და ბოლო დროს ხშირდაც წარმოუდგებოდა ხოლმე რევოლუციური პათოხით აზვებულე აბაღაზრდა კაცი, სოფელ-სოფელ რომ დარბოდა და პროკლამაციებს აფრცელებდა. „რას ვიზამთ“, ხმა-მალა აღმობდა თავისი ფიქრი სპირიდონას, „ერთი სიმართლე არ არსებობს და ყველა დროს თავისი სიმართლე მოაქვს...“ „რა კარგადა ბრძანებთ, ძია, რა კარგადა ბრძანებთ, წინ-წინ თავადიშვილები იყენენ, ეხლა კიდევ ჩვენ უნდა ვიყენოთ...“ თან აბედა და უყურებს, საგანგებოდ შეეცინებოდა, დიდრონი, შაბიამისფერი თვალებით... ამობურცული, მოსული მხრები ექვს, ისეთი მხრები, თითქოს მხარულე უნდა გამოარეკოს ცხოვრების ტალღები, და გადაქანებულ შუბლზეც ანერია რომ ცხოვრება ბრძოლა... ომოპოპო, როგორა აქვს გულში ამოჭრილ-ამოკვეთილი აქ გათხოვება, აქ დაბინავება, ქალაქის ცხოვრებაში ჩაბმა, აქაური შევილების დეფობა... იცის, იცის რომ ეს კაციც სამამამთილოა, გიგლაც შემწნული ჰყავს და კიდევ ბევრი, ბევრი სხვა ვინმეც, აბა, ტყუილად კი არ დგას ხოლმე კარის დღერზე და ქვემო ბაზარს გაჰყურებს, და სულ ზემორად იცის ამფულე-ჩამოვლელი „რა გქვიან, გოგო.“ შკითხა სპირიდონამ. „მარო მქვიან, ძია.“ უშასუხა გოგომ. სახელი კარგი გქონიაო, უთხრა სპირიდონამ და სიამოვნებისაგან თვალები მილულა, რამდენი ხანია არ მოხვედროდა ქალის ხელი, რბილი, ალერსიანი, მზრუნველი ხელი... და მამებელი, დამანყნარებელი, ჭრილობების მომშუშებელი, წყლულზე მალამოს დამდები... მარო, მართლაც, დამუშავებულ ფეხებზე სპირიდონას კნიაზის მალამოს უსვამდა... მგზავრები, ბედად, სასაფლაოზე მიდიოდნენ, სთხოვა სპირიდონამ თუ შეიძლება პოლიკლინიკისკენ წადით და იქიდან აუხვიეთო, ცოტა გაგიგრძელდებათ გზაო, და სპირიდონამც იქვე, პოლიკლინიკასთან ჩამ-



ოედა. სანამ ეტლში იჯდა, ჩარდახიც გადმოხურული იყო, ნიავეც უბერავდა და სიციხე იმდენად არ იგრძნობოდა, მაგრამ ჩამოვიდა თუ არა, იგრძნო როგორ ცხელოდა, დილიდანვე აჭერდა და შერე რაღა იქნებოდა... პოლიკლინიკის მისაღებში კი, ბელეკტაჩის გრძელ შუშაბანდში შედარებით გრილოდა, ჩრდილოეთით იყო და თან შემოჯარული ცაცხვები სიციხეს აკავებდა. სულს მოვითქვამ და ზეით, ლიდასთან ავალს, გაიფიქრა სპირიდონამ, ლიდა ცნობაზეც დაენმარებოდა, ლაბორატორიაშიც შემიყვანს, რო მალე გამიკეთონ ანალიზი. შუშაბანდში ხალხი ბლომად ირყოდა, იქვე, მარცხნივ, ლაბორატორიასთანაც მიჯვავებულყო რამდენიმე ადამიანი. გრძელ სკამზე ადგილი დაუთმეს, ჩამოჯდა, ცხვირსახოცი ამოიღო და გახვითქული შუბლი მოინმინდა, სკამთან დიდი ოთახის ფანჯრები გამოდიოდა, მაგიდასთან კაცი იდგა, პატარა მაგიდასთანაც თეთრხალათიანი ახალგაზრდები ისხდნენ, ეტყობა პრაქტიკანტები იყვნენ და კაცის ლაპარაკს ყურს უკვებდნენ. სპირიდონას ძაქვიისთვის არ ცხებოდა, მაგრამ ძაქვიებურად ჩაეხმა ლექტორის სიტყვები და მიხედა, სწორედ მის დაავადებაზე იყო ლაპარაკი რა ყოფილა თურმე ეს ციებცხელებია, რა მოდებულა, მთელ ქვეყანაზე გაგრცელებული, ყველა სარტყელში, მთელ მსოფლიოში... კოსმოპოლიტური ინფექციააო, ანუ ინვაზიაო მსოფლიო რევოლუციააო ვითარდა ყოფილაო... ბოლშამ მოუჭიბნა სპირიდონას, ხო სუ იმას ამბობენ მსოფლიო რევოლუცია უქველიაო... ძალიანაც კარგი, სწორედაც ყველაზე უნდა ინენიოს ეს სიციხე, ვითომ ჩვენ რანითელი კოჭები ვართ... ყველა რო ინენეს, მაშინ შემოირტყანენ თავში ხელს... და იქნებ მაშინ მაინც ყველას ეშველოს და შავსიელობაც და ცნობებიც აღარ იყოს საჭიროყო...

იბებზე ასეღისას ისეთი სისუსტე იგრძნო, მუხლები უკან კალებდა, ლამის ყოველ საფეხურზე ჩერდებოდა სულის მოსათქმელად, სახეურს მიეყრდნობოდა და გადასკადარ ოფის ცხვირსახოცი თ იმხრალეზდა ნარამარა... მეორე სართულზეც, კაბინეტებთან კარგა ბლომად ხალხი დახვდა, ლიდაათანაც გრძელ სკამზე იყვნენ ჩარგებული აუადმყოფები და კართან ორისამე ქალი იდგა. ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი, სპირიდონამ და კარი შეალო. „ეაიკი, ძია სპირიდონ, რატომ ადექით...“ შერხდა ლიდა გადანათებული სპირიდონას დაანჯაზე, სწრაფად ნამოგვა, მივიდა სპირიდონასთან და ხელი მოხვია, მერე იქვე, ზნერგადაფარებულ ტახტზე ჩამომჯდარ

ქალს მოუბოდიშა ახლავე მოგხედავითო და სპირიდონა გარეთ გამოიყვანა: „ქველაფერი ვიცი, ძია სპირიდონ, გუშინ სტუდოს დეიდა ევამ შემოირბინა ჩვენიან... მთავარი ექიმი სადაც არი მოვა, მაგრამ მაინც ანალიზის პასუხი უნდა ჩაიკრას ცნობაში... მე ესლავე, ძია სპირიდონ, ქალს გავისტუმრებ და ჩამოგყვებით ლაბორატორიაში...“ ესამოვნა სპირიდონას ლიდას თანაგრძნობა და თავში გაუღელა იქნებ ალიომასთან ნახელასაც გადაერჩეო: „ლიდა, გენაცვა... რა დღეში ვარ რო იცოდე... მეორე ცნობაცა მაქვს ასალები, შავსიელობისა, სოცმდგომარეობისა გიგლასთვის და ენო ვერაფერს გამიხერხებდა?“, ძია სპირიდონ, ეტყობა არ გაგიგიათ, ჩემი მამამთილიც ხო შავსიელია, კვირას ვიყავით იყალთოში, კაცს დანა პირს არ უხსნის...“ „ოოო...“ ამოვიგინა სპირიდონამ, „კარგი მამა და ჩავალ ქვევით, ლაბორატორიასთან დავიციადი...“ ათ წუთში მეც იქა ვარ, ძია სპირიდონ, საგულეს ჩამოგიტანთ, ანალიზის შემდეგ დაავალივინებთ...“ „და ენო არაფერს ამბობს, ჩვენი ეგეთი შევინარეობის გამო?“ თავი გადააგდო სპირიდონამ და ხელმე გაასადესა. „ოჰ! ძია სპირიდონ, ვის რა ძალუძს, ვის რა შეუძლიან? აგერ ჩემი მამამთილი, სოფლის თავაკი იყო, ქუეას ეკითხებოდნენ და ესლა ბოგანოეტი კრებაზე არ უშვებენ, შავსიელი ხარ და არ გეკუთვნისო...“ ლიდა კაბინეტში შერხუნდა, სპირიდონამაც ხალხში გზა გამოიკვლია და სვენებ-სვენებით ისევ ქვევით ჩამოვიდა.

უპ, უპ, რამოდენასა ლაპარაკობდა ეს კაცი, გაბნით... შეუსვენებელიც... სპირიდონა თუ მცა სმენას ვერ ადევნებდა, მაინც აქაიქ ჩაესმოდა ხოლმე ყურში საკვირველი ამბავი ადამიანისა და კოლო ანოფელესის... ანო-ფელე-სის... – რა საბელია, რა საბელი, უცხოვრე მყვერი, იტყვის ბედისხერასავით გარდაუვალი ხმა ჩაესმისო, – გადაჯაჭვული ურთიერთკავშირისა... აგერ ტაბულეზე გამოხატული ანოფელესია... სპირიდონა თვალებს ნკურავს... ფრთავი! დიდებული ფრთები... ხუთხუთი ხალი თვითულ ფრთაზე... თან როგორი თანაფარდობით არიან განლაგებული... უწმინდესი ხაზები გავლებული და უწმინდესი ფორი შემოვლებული ფრთების გარშემო, მოგძმო შეცვლივ ასეთივე ფორით დაფარული, და ეს ყველაფერი, დასახსრულ, წვრილ კანქებთან ერთად საკვირველი თანაფარდობით შერწყმული და შენიველები. ანოფელესი, ვერცხლისებური, თუ ვერცხლისებური... თან რა უცნაურო ჯაჭვი გამოდის და სპირიდონას ისე აოცებს, იაე აოცებს თავისი მდგომარეობის გამო მართლაც აუადმყოფ

ურად აოცებს ეს კავშირი, ეს უნივერსალური და სრულყოფილი კავშირი, თითქოს იდუმალიც კი, ადამიანისა და ანოფელეს შორის... რას ამბობს ეს კაცი, რასაა, ანოფელესი მალარიის გადამტანიაო, მაგრამ ჯერ თვითონ უნდა დაავადდეს ადამიანისაგან და მხოლოდ შემდგომში ძალეუც გადანიტანოს და გაავრცელოს ავადმყოფობა... ესე იგი ჯერ თვითონ უნდა დაავადდეს? და ადამიანი ვისგან უნდა დაავადდეს? ანოფელესისაგან... და ანოფელესი? ადამიანისაგან... ესა... ფერხულივით გამოდის... ცივეცხლებლის ფერხულივით... ხელგადახვეულები... თავი უბრუის სპირიდონას... ჯერებშიაც მსუილი გააქვს... გამოდის როგანუყრულია ანოფელესთან... აღარც კი ახსოვს სად და როდის გაიცნო და სისხლბორცეულად დაუკავშირდა... იმიჯომ რომ ანოფელესი ხომ სწორედ ისეა აგებული, სისხლი უნდა ნოვოს, თავისი გრძელი, სამკაპიანი ბორთუშითა და ბუსუსიანი ნახაზარდებით... ანოფელესი სისხლის მსოფელია, სისხლი მისთვის იგივეა, რაც ჩვენივეს არსებობის შური, და უფრო მეტიც, იმიჯომ რომ მისი განაყოფიერებული კვერცხები სისხლის გარეშე არ განვითარდება, ანოფელესი ვერ გამრავლდება... თავი... თავი... თავი... უბრუის სპირიდონას... ესე იგი შე გამრავალბე ანოფელესს... თავისი წერილი კანქებით დამყრდნობა მიშველ კანზე, მიშველ სეულზე, თვალისდახამხამების უმაღჩაუმებს ხორთუმს და მწოვს და მწოვს სისხლს... ამ თავისი დაწინკლული, ვერცხლისფერი ფრთებით, ჟონასწორობას იცავს, სისხლის მის შეშვედ მძიმდება... მძიმდება... და რომ არ დაბარბაცდეს... რომ ისევე მსუბუქად აგრინდეს და თავისი განაყოფიერებული კვერცხები დაამწიფოს ადამის ძის სისხლით... ღმერთო, რა უცნაურია... პო, როდის გაიცნო, როდის? მაშინ... მაშინ... პირველად მაშინ, გაღმა რო აერცვლებდა პროკლამაციებს... დაღლილ-დანუკვტილს ალაზნის პირას რო დადინდა პირდაპირ მისაზე, დაუხტრავს... აი, მაშინ... რა არის ესა, რა, ისე ფეკრობს, თითქოს ადამიანის გაცნობაზე ფიქრობდეს... ის რალაცა პლაზმდიფუშობია... არცა ჩანს თვალთ, უხილავია... უამრავი პლაზმდიფუშობია შენი, ხეთქვენი ნითელ ბორთულეს... გიტყვი... შენ კი არც იცი, ვინ არიან და რა ჰქვიათ... აი, ეხლა გაიგო... შემთხვევით... არაფერი არ იცის ადამიანმა, არაფერი... არც თავისთავზე, არც სხვაზე... და ბევრიც უნდოდეს, არ ეცოდინება... საიდან... რუგორ... მერე საქონლება? მერე ღვიონ? მერე ქალები? მერე ესა მერე ისა? ვინც რამე იცის, იმანაც მცირე იცის, მცირე, მცირე, მცირე... ჩაეს-

ვენება ცივეცხლებლიანი გრილ მიწაში და იქ გაიგებს ყველაფერს... და ეს რა უნდა გეგონებოთ რო არა, იქნებ კარგიც შექნებოდა მამის ნეებულები და ყოფილიყო თავისთვის... ძია სპირიდონ, აბა, ნამობრძანდით, მხარზე ლიდას ხელი იგრძნო, „თავი-ბოლო ერთი საათი დაგჭირდებათ, მერე კი მიხვალთ თუ არა სახლში, დანებებით... აი, საგულეც ჩამოგიტანეთ, ძალიან კარგი ნეეთებია, დაგალევიებთ და ისე გაგისტუმრებთ...“ სპირიდონამ ერთი-მეორე უკრა თვალი ანოფელესის და დებულ ფრთებს და ლიდას გასევა... და ათილე ნახვის შემდეგ, ერთი კარის შეღებით, ნამდილ ნალკატში აღმონდა. გაკრევებულმა მიხიედ-მოხიედა... მცენარეები... მცენარეები... ირგვლივ, ყველაგან, ზოგი კედლის თაროდან ღრჩაკითხი ჩამოფრიალებული, ზოგი დეკორატიული დიდი ქოთნებიდან ლამი ქურამდე ასული, ზოგიც ხართულბეად განლაგებულ პატარა ქოთნებში ნაორფრად აყვავებული და თვალმზახრა... მოგრო მოგადისზეც ვარდისფრად აფრთქებული ყვავილების გვერდით ყვითელ-წითელი სინჯარები და კოლბები იქნებ რალაც უცხო ემულსიები გკონბოდით, და არა შარდი და სისხლი... მაგიდასთან ქალი იჯდა და მიკროსკოპში იყურებოდა, ახლავო, შე მოსულბეს უთხრა ისე რომ მიკროსკოპიდან თავი არ აუღია. ლიდამ სკამი მოუწია სპირიდონას, დასვა და მავის გასინჯვა დაუწყო... „ძია სპირიდონ, სისხლის ალები შეშვედ აუცილებლად შექამეთ რამე, აი, შე ჩემი საუზმინად პატარა ნაჭერი შური და ყველი ნამოგილეთ, მერე კი აი, ეს ნეეთები დალიეთ, ალისა დაგალევიებთ“. ქალმა მყისვე აიღო მიკროსკოპიდან თავი და შემოტრიალდა... „ლევიკიტებს ვითვლიდ და მაპატიეთ...“ თქვა ისეთი უცხო კილოთი, სპირიდონამ ვერც კი გაიგო რას ამბობდა ეს უცხო ქალი, ამ ყვავილებით უცხო და მშვენიერი. ფერფლისფერი ბუნკა თმები ბუჩქითი ედგა ოდნე ამობურცულ, ფაქიზად მოყვანილ შუბლზე და ნათელი, ნათელი თვალებით შემოაკურებდა ლიდასა და სპირიდონას. „ალისა, შენ ხომ იცნობ ძია სპირიდონას, ტროპიკული მალარია აქვს და ყარალაჯშია გამოძახებული ბამბის სამუშაობზე, სასწრაფოდ ცნობა სჭირდება“. ალისამ თავი გაიქნია გაცივების თუ აღმყოფობების ნიშნად: „ახლაც აგილებთ სისხლს და მერე ერთი საათი დაგჭირდებათ მოცედა...“ „შე ნათელ აბა, ალისა, ავადმყოფები მიყვანი, ერთი საათის შემდეგ ნიკოს შეეუტან და ცნობასაც ავიღებ. ანემია აქვს, მავაც ძალიან სუსტი, აუცილებლად დააღვევინე საგულე... აბა, თქვენ იცით, ძია სპირიდონ...“ ის იყო ლიდა შებრუნდა, ალი-



სამ გააჩერა, რალაც უნდა გაჩვენოვო და სპირიდონამ ახალადა შენიშნა, ორსულად იყო აღისა, თეთრი, ქათქათა ხალათის კალთები აქეთ-იქით უჭონდა გადაშლილი და შიგნიდან ცისფერი აბრეშუმის ყურთბალი-მებით მოუქანდა ნამოხრდვით მუცელი. „შებნე, შებნე, რა საოცრად გაშალა, ამ დილით დამხვდა...“ და აღისამ გრძელი ლაბ-ორატორიის ბოლო კუთხისკენ წაიყვანა ლადა და რალაც მცენარე აჩვენა, „ეს ხომ წელიწადში ერთხელ იმლება და მე ჩავუთქვი იცი?“ „ოო, აღისა, გარწმუნებ ყველაფერი, ყველაფერი კარგად იქნება...“ ლიდამ ხელი მოხვია აღისას, ასე ხელგადახვეულები წამოვიდნენ და სპირიდონას ესი-აოჩნა მათი დანახვა, გაუკვირდა კიდევ ამ ნაკლავში ამ კარად უკეთ იგრძნო თავი, რალაც ზუზუნებდა, წელი სიო უბერავდა, მარუსინის ფარდებსა და ლექსიკით ჩამოფრიალებულ მცენარეს არხევდა... ხოლოდ შორეული, შორეული სინანული გაკრთა სპირიდონას გულში, როგორც სამრეტილ, ჩამჭრალ ცეცხლში გამოკრთება მინა-ვლული ნაკვერჩხალი, იმ დღეი სინანულის ანარკელი... ადგი, მიატოვო ყველაფერი, დედა, მამაც, მეგობარაც, ნათესავიც... მოკლი შერი ქვეყანა... და გამოხვევ საიდან სადა... ევა, აგი, იყალთოდანაც არ მოსდევ-და... ყურის ძირიდან... ყოველდღე ფეხით იღის კაცო... რას არ ჩაადენინებ სიყვარული... ის კი არა, რო ლექსი ღირს არ არის... რა შუაშია ღირსი და უღირსი... უყვარდა... უყვარდა და გამოხვევა... რა სასიამო-ოწო ხელიცა აქვს... მაგრამ გული ეწურე-ბა... გვეგონებათ უნდა ჩაუვარდეს სადაც, ქვეითი სპირტიან ზამბას უსვამს თითზე... ურთო ჩხელეტა...“ ამბობს ქალი და უღიშს... უბ... წერილ სინჯარაში იღებს სი-სხლს... „ესე იგი კვერცხებით არის ეს სისხლი საესე? ფუუუ... გულზიდება იგრძნო...“ „...მე მაქვს კარგი ამი გულის რვეის გას-აყურებელი იმას დაგაღვივებთ და აი ამ საგულეს... ძლივს ესმის რას ეუბნება... მად-ლობთ, მადლობთ... წამოინია...“ ზუსტად ერთი საათია საქრო სისხლის დამუშავები-სათვის, საშუალება რომ იყოს სადმე მინო-ლოჯიკებით... „რა ვიცი... ჩამოვედები. შუშ-ბანდში...“ „აბრძანდით მაინც მეორე სართულზე, ლიდა ფიზიომი შეგყვანთ, იქ ახლა წამდვილად იქნება ადგილი რომ მოის-ვენოთ, ერთი საათი სკამზე ჯდომა გაგიჭი-რდება...“ მაგრამ სკამზე დასაჯდომი ად-გილიც აღარ იყო, ზეგით ასეღა კი არ მოინდომა, აჯერ აქვე, პოლიკლინიკის წინ, გზის იქით ნადიკვარზე გადავალ და იქ ცაცხვის ქვეშ სკამზე წამოვწვივო. ასეც მოიქცა, ცაცხვის ირგვლივ შემგინი

გრძელი სკამები იყო შემორიგებული, დაჯ-და, ხელები საზურგეზე გადაყარა, სწავლ-მოითქვა, მერე ფიზიდან ქალღმერთ-გა-ხვეული ყველი და პური ამოიღო, წელიწადი რომ მისცა, თავისი ტყლაპიც ამოა-ოლა... პირში არაფერის ჩადება არ უნდოდა, ძალისძალით გაღვტა ორიოდ ლუკმა, კიდევ კარგი, იმ წვეთებმა ცოტა მოასულდგმულა, გული თითქოს ისე აღარ ეპარებოდა, როგორ არა, ნადიკვრის ნიავემაც სუნთქვა გაუადვილა, თვალმოჭუტულმა გახვდა მიდამოს... მიდამოს კი არა, შუა მინდორს... ზუსტად მის მოპირდაპირედ... თვალი გა-უმშტერდა... ცაცხვისკენ რომ მიდიოდა, იგრძნო რომ ნაბიჯი შეანელა, ფერდობის პირას გოგო და ბიჭი ისხდნენ ბალახზე, არც წრდილი არც არაფერა, პირდაპირ მზისქე-ემ, ნიავე კი მართალია უბერავდა... გოგოს სალაითსფერი ფანფანა კბაა გადმოფარ-ებინა მუხლებზე, ბიჭს კი ლურჯი სატინის ხალათი ეცვა. არა, არა, მათთვის არ შეუწე-ლებია ნაბიჯი, იმ შუა ადგილს გრძნობდა, მიუხედავად თავისი გაცამტყვერებელი მდგომარეობისა, თუ სწორედ ამის გამო... რა საცოდაობაა, უნდადა მხნედ გაველო... ამ გოგო-ბიჭის გამოც, ერთმანეთს თვალ-ოუკმარებლად რომ უყურებდნენ, ერთმან-ეთს შესცივინებდნენ და გაბმით რალაცას ამბობდნენ, თითქოს თავისთვის დაბალ ხმაზე შეუწყვეტლად, შეუჭრებლად, გაბმით მღერიათ... და სულ არ უჭონდათ სპირიდ-ონას დარდი. მაგრამ ეს ახალგაზრდები თავისი ერთსულოვნებით იწვევდნენ, დამარ-ტობულსა და ციციცხელებისაგან გასავა-თებულსა... ოო, სიყვარულის ერთსულოვნ-ება ყოველთვის გამოიწვევია, და მერე როგორ გამოიწვევით, გაიფიქრა სპირიდ-ონამ, რადგან ორმოცდაათი წლის კაცმაც, თუ ბედი გაუღიმებს, ძალუძს ისეთივე მ-აფრი განცდებით იცხოვროს, როგორც ცხ-რაშეტი წლის ბიჭმამ... სუნთქვა შეეკრა... გაჩერდა... ზუსტად შუა ნადიკვარზე იდგა... იმ ადგილას... სამუდამოდ რომ ჩაეჭრა გულსა და გონებაში, თითქოს მისი ბავშვო-ბის ყველა უბედურება შენივთდა, შეეფიდა, და აი, აქ, ამ ადგილას მოიყარა თავი. აქ ხომ, სწორედ ამ ადგილას, ნადიკვრის შუაგულში, მოკლულა ზორბას გვამი იყო გამოფენილი, ნახევრად გახრწნილი, უზარ-მაზარი გვამი, და გარემოს ნათქავეა გაუსა-ძლისი სუნითა და შეძრწუნებით. რა ძალუძს დროს? ადამიანისთვის გამოყოფილსა და განსაზღვრულ დროს? ხორცის დამქლევი-ბა პოო... ჯანის შემუხრვა პოო... სხვა კი ე-რაფერი... ვერაფერი... თუკი შეიძლება ბავ-შეობის დროინდელი ტანჯვა ასე ცოცხლად ცოცხლობდეს შენში და ახლაც, ამდენი

ათუღლი წლის შემდეგ, ცაცხვის ქვეშ სკამზე დათბაპულს, ციებცხელებისაგან ნიათგამოცლილს, — სულს გიმყოფებდეს, ვინ იცის, იქნებ სულაც წყალზე გადგარ სულს... ოო, ბედისწერასთან ნილნაყარი ტანჯვა უმსნელად რჩება ადამიანშიო, — ფიქრობდა სპირიდონა და თან ცდილობდა როდის ჩადებულ ლუკმა როგორმე გადაეყლაპა. ზორბას ბანჯგვლიანი ხეუღლი დაუდგა თვალნი და გულზიდება იგრძნო... ვანყალებული ლუკმა გადმოაფურხა... მიე მოხიარულე კაცი ვაარ... მეე აგორებული ქვა ვაარ... ხავსი არც მომკიდებია და არც მოვიკიდებ... მივლია გამომშვებული ხარივით და ეგრე უნდა ვიარო... უღელს ვერ დავიდეთ ვერა... შეუშო მთა გოგრაში, ქალო და თავი დამახებე, რას მეტორივალეში, იმ შენ ქმარს დაპბერე ტკილი სული, რაც გინდ იყოს, გათხოვილი გქვიან და თავზე ჭერი გახურავს... მაგრამ თებრო მიინც დასდედე, სანყალი მნათეს გროშეებით ვითომ ქალაქში ექიმთან მიდიოდა, სპირიდონასაც დაიღვევებდა, ჩაჯდებოდა დილიტანში, რო სადმე, ან „პერველზე“ ან გომბორში, ცხენებს გამოცვლისას ზორბა მოხელებინა... ქაშაზე რი, ნუ გემინათ, არ დაიხვალეებდე; დიდდიდ ლუკებს ისროდა, თებროს ცალთვალა ხურჯინში ჩამოლებული სანოეაკადან და უსინდისო პირით, თან უხათროდ და უდიერად ბუხუნებდა: „მე ერთი ვარ და თქვენ ბევრი ხართ, თან ხო ვერ გადმოგყვიართ“ თებრო ტირიდა, ცველფეხობდა, თან ზორცის მოზრდილ ნაჭრებს უმარჯვებდა ზორბას, „კოდა ბალლი, რად უნდა დაეუკარგო მამა, რადა, იქნებ როგორ მივდის ცხობერება, იქნებ რამე გამომადგეს, კაცო, ებოლე, რად უნდა ჩაუთხოო ლვარძლი შენ სისხლსა და ხორცსა, რადა...“ აგვეთი ბალები, ქალო, ამ გზაზე რაც სოფლებია ყველგან შეგხებდება, სად გავწვევებით, სადა! სპირიდონა სუ გზაზე იწედა... ბიჭო რო გადადგებოდა „პერველზე“, საყვირს ნაპბერადა და ცხენების მოლოდინში მგზაერები გადმოვიდოდნენ დილიტანიდან, ვინ წყაროსთან მივიდოდა წყლის დასალევად, ვან იქვე გზის პირას, მწვანე ფერდაზე გაშლიდა საუზმეს, ვინ კიდევ საგზაო სახლის „ტრაქტორს“ მიაშურებდა, თებროც მოფარებულ ადგილს შეარჩევდა, სპირიდონას პრიანიკს მისცემდა, გაიქეცი წყაროზე, ხმელა რო არა ქამო, წყალს შეატანიო. თებროს რომ არც ეთქვა, თვითონ სპირიდონამაც რაკი იცოდა, რომ ზორბა ზედაც არ უყურებს, თვითონაც სულ იმის ცდაში იყო, ზორბას არ დანახებოდა. სცხენოდა, ბავშვობიდანვე თან აპყვა სირცხელი და ყველასი და ყველაფრისა სცხენ-

ოდა... უბერულობის გრძნობა სტანჯავდა, ზორბას დანახვაზე რომ ეჭურვებოდა თა და თაკილით ევსებოდა, გულსაყვირით ეწყვი წყენა ეუფლებოდა, ისეთი სირცხელი, ერჩია დედამინა გახეთქოდა და შიგ ჩაეარდნოლო, რომ არ დაეხახათ ერთად და არ მოჰკონებოდათ, რომ სპირიდონა, ეს „სანყალი ბალლი“ ზორბას „შექმნილია“, მამაკი არ არის, მშობელი, ლეილი მამაკი არ არის, მხოლოდ ზორბას „შექმნილია“, როგორც ძალის ლაკვი, კატის კნუტი, როგორც ადამიანისაკი არა, ცხოველის ნაშიერი. თვითონაც ხო ცხოველს პგავდა. უყვრდა სპირიდონას, რა უყვარს ამ პატარა, დალეულ ქალს, მის დედას, ამ უზარმაზარს, მთახავით კაცისაო, ფაშეუ გადმოგდებული, დიდხელებიანი და დიდფეხებიანი ვირგლასიო, რას ამწნევს ამისთანა მიმზიდველსო... მარტო მამის მოსწონდა, კოფოზე რო იჯდა, თავის მახარამი გამორყობილი, ხელში ალერითა და მართახით და ცხენებს ომხიანად უწრუნუნებდა. და პატარა ბიჭსაც მფარველად მიიხცის ის გეულებოდა, იმაზე ფიქრობდა, ხან ბოლმით, ხან შურისძიებით, ხან გამანადგურებელი სიძულელით. რატომ არ გინდა მამა იყო ჩემი, რატომო, რატომო... მეე, პატარა ბიჭმა, როგორ შეგამინეო, რატომ გამსრისე და რატომ ჩამწიხლო... ღამის სიჩუმეში, კომშარებიდან გამოფხიზლებული მიმართავდა ზორბას, და ეს იყო შეილის ძახილი, მუხლზე დაცემული და ხელაპყრობილი მამას რომ მოუბობს... სულ თან სდევდა ზორბას დიდი გულადი თვლები, სპირიდონას დანახვაზე ლობრი რომ გადაეკვრებოდა ხოლმე, და სპირიდონასაც თავისი თავი სულ ერთი ბენეა, მლილივით უმნიშვნელო, ფხით გასასრესი ეგონა, რომ ვინც უნდა მიეა და გასრესავს, იმიტომ რომ ყველაზე ცუდაა, ყველაზე უშინ და ულახათო, ყველაზე ბრიყვი და რეგენი... რა იქნებოდა დენახა... დაენახა... დაენახა... თავისი ამომჯდარი, ქროლა თვალებით... ყველაფერს რო ხედავდა, ყველაფერს, ხესაც, ქეასაც, ძალსაც, კატასაც, აგერ იჯდა, მაღლა კოფოზე, თავის ლაბადამი გამოწყობილი, გზაზე კენჭი არ გამოეპარებოდა, მარჯვნივ და მარცხნივ ნაცნობებს თავს უქნევდა, მარჯვნივ და მარცხნივ უცხოსა და ახლობელს გაეპასუებოდა, მარტო სპირიდონას ვერა ზედავდა, ვერა, ვერა, ვერა! ეწვეებოდა თუ სიზმარში ელანდებოდა ხოლმე: მოაქროლებს ცხენებს ზორბა, დიდ მინდორზე მოაქროლებს, მოაჯირითებს, გადაუდგა გზაზე სპირიდონა, განგებ გადაუდგა, დამინახეო, დამინახეო, ხომ უნდა დამინახოს ამ ვირგლამ



გზაზე გადამდგარი ხელგაშლილი პატარა ბიჭი, დაინახოს, გააჩეროს დილიჯანი, ჩამოხტეს და თუნდაც ნაუთაქოს, თუნდაც ნაქსუბოს, თუნდაც დაუყვიროს, რას მისობავ გზასაო, ვინა ხარ და ვინ გდებარო... მაგრამ არა, აგერ მოჰქარის, მოჰქარის, სპირიდონს კი გამაღილი ხელეები ისევე რჩება... ჩაიქროლებს და ნაფა უკანმოუხედავად... როცა გაეიზრდები, როცა მეც კაცი დამერქმევა, მაშინ მივალ, მაშინ მოვთხოვ პასუხსო, მაშინ ვეტყვი: რატომ არც ერთხელ არ მოიხედავ ჩემსკნო, რატომ არ მოინდომე ჩემი დანახვაო, დედაჩემზე თუ გული დაცრუე, მე ხო შენი სისხლი და ხორცი ვიყავიო, მე ხო იგრეც პირზე მური მქონდა ჩამოსმული და შენ რატომ არ მოინდომე ჩემი ტვირთის შემსუბუქებაო, ეგეთმა ბრგვამა და გოლითამო, ნალს რო ვალუნავდი და ათი კაცი ვერ მოგეროდო... მერე ხო, ნალევე ყაჩაღად გავიდა და სამოთხი წელი თავზარსასცემდა იქაურობას, გზებზე ხო სძარცვავდა ხალხსა და თელავის შეძლებულ ვაჟალაქებს შემოუთვლიდა: „ააფქირივით გაგინდო გულმკერდს, თუ აქადააქ ფულს არ მოიტანო და ამა და ამ ქვის ქვეშ არ ამოსდებო“... იმ ხანებში სანყალი თებროც გარდაიცვალა და გულდათოქული სპირიდონა ახლა შურისძიებაზე ფიქრობდა, ხან როგორ შურისძიებაზე და ხან როგორზე. ხან იმას წარმოიდგენდა, რომ დაიჭირეს ზორბა და გაბანრული მოწყავთ, სპირიდონა კი გამანადგურებელი ლომილით მიაცილებს მას ცერხს კარამდე და მოგინდება, მოგინდებაო, მისძახის. მაგრამ ყველაზე დიდებულ შურისძიებად ესახებოდა უკულეებელყოფა, სწორედ ზორბას-ნაირი უკულეებელყოფა და არად ჩაგდება. აი, გაიზარდა, დაეუკაცავა, ხალხში გამოვიდა, კარგი აცვიდა, კარგი ასურავს, კარგსა ქაშს და კარგსა სეამს, გაღალებული მოდის ქუჩაში და დაბერებულ, დაჩაჩანაკებულ ზორბას ხედავს, ძლიერ მოხანხალეხს ქუჩაში და თავის დიდ, გულად თვალეებს, გაფუყული პარკები რომ დაჰკიდავს უპეებზე, საცოდავად აციცებს... სპირიდონას დაინახავს, მაშინათვე იცნობს და თავის ქნეით მიაჩერდება: ბიჭო, ეუბნება აკანკლევული ხმით. შეილო, შენ ხო სპირიდონა ხარო? მერე რო ვარო, მერე რო ვარო!! მიუგებს გოროზად სპირიდონა. მერედა ისა რომა მე ხო მამა ვარ შენო, მამაო, მამაო, ლეიქლი მამაო... მამაოოო? გააგრძელებს გაქრეებულ სპირიდონა, ვინ მამა, რა მამაო? მე ერთი მამა მყავს და ხო არ შეიძლება კაცს ორი მამა ჰყავდესო, ზიზლით დახედავს და გააგრძელებს გზას... მაგრამ ვერ ეღრისა, ვერა, ვერავითარ შურისძიებას,

გადაჰყვა თავის ყაჩაღობას ზორბა, ნადეკვარზე იყო გამოფენილი იმისი გეგმა, რთლა რო საყურებელი იყო, ანგული და თვალს ვერ აცილებდა... მაშინ იგრძნო გულის გამაშობი სიმძმაფრით შეგინების სიმწარე. არც ეგონა თუ ასე შეძრუნებოდა. ეს ისეთი რამ იყო, რასთან შეგუება არ შეიძლებოდა! არავითარ შემთხვევაში! არა! და სწორედ იმის გამო, რომ არ შეიძლებოდა, სწორედ იმის გამო, რომ მის შიგნით ყველაფერი აღმდგარი იყო და ზიზლით ან ერთად ბოლმა და სასონარკვეთა ეუფლებოდა, ადგილს მივაქვეული იდგა და თვალეებდაქვეტილი უყურებდა ამ უშვერად და ურცხვად გამოფენილ გეგმს, გახრწნილს, აყროლებულს, ფეხშიშველას, თითქოს ყველაზე შემამრწუნებელი ეს ყოფილიყო... მაგრამ არა, ყველაზე შემზარავი სახე ჰქონდა... ახლა ის ტუქები, ხორციანი, გადმოპრობილი ტუქები, სპირიდონას მონუსხულივით რო უთვალთვალდა ხოლმე თავიანთი მოგზაურობების დროს და ყოველთვის საშინელი განაჩენის მაუნყებელი ეგონა, რადგან ის ტუქები მაღიანად დაფარული ჰქონდა ბუზებით... შორიდან ეერც მთვდებოდა კაცი რა იყო, ეგონებოდა ტუქებზე შვირ რაღაც დაუფარებიათო. ეს ერთმანეთზე მივრთი მომსხდარი ბუზები იყო, ხრწნის სურნელით დაბანგული და გაბრუებული, ადგილს არ იცვლდნენ... მაშინაც კი, ქალაქის თავმა იმნაქემ ფეხი რო დაადგა გეგმს შუბზე, ბუზები აფრინდნენ ზანტად, მაგრამ კი არ გაფრენილან, იქვე დაპბზუოდნენ ზორბას ლურჯი ლაქებით დაფარულ, სისხლშემზმარსა და დაჯირჯებულ სახეს. არა, არა, არა, ბოლმა ახრწნობდა სპირიდონას, არ შეიძლება ადამიანი ასე ეგდოს ნადეკვარზე და ბუზები ენაფებოდნენ მის გახრწნილ პირს... „ცოდოა კაცო, გულზელი დაუკრიფეთ“ არ იქნება ეგრე დამარხევა, არა, მინა არ მიიღებს! „ახლნო, როგორ იქნება მკვდრის განვალება, ყაჩაღი იყო თუ რაც იყო, ჰყარს აქაურობა“ „მოინამლა გარემო, მეტი აღარ შეიძლება“ „გულზელი დაუკრიფეთ, გულზელი“ „მიდი და დაუკრიფე, თუ ეგრე გული შეტკიცავს ისმობა აქეთ-იქადა. მართლაც ზორბას დიდი ხელეები ისე ჰქონდა აქეთ-იქით გადაყრილი, თითქოს მისი არც ყოფილიყოს. სპირიდონას გვერდით კი მნათე კენწილია: „ცვენც ცოდვასი გაგვხვია, სპირიდონა, ცვენცა, იმდენი ატრიალდა ცოდვის ბორბალი, ვაიმე, ვაიმე“... ქალაქის თავი იმნაქემ მოჰქროდა, მსუბუქი, აჩქარებული ნაბიჯით, უკან ფოტოგრაფი სოსნოვი მოჰყვებოდა თავისი დიდი აპარატით. მოჰქროდა მოვალეობის შესასრულებლად.



ნელან ხომ იყო, შუბლზეც დაადგა ფეხი ზორბას, მერე კი უცებ შოიფიტრა, გაგზავნა ბიჭები ფოტოგრაფიან, სასწრაფოდ აქ მოვიდესო, თვითონ კი გაქრულიანთან შევიდა, მათ ფანჯრები და დარბაზები მაგრად მოეხურათ, რომ საშინელი ხუნს არ შეიწუნებინათ. მოდიოდნენ იმნაქე და ფოტოგრაფი იმნაქე თხელი, კაჟანდარი კაცი იყო, ცხვირსახოცს ინიავებდა, მერე კი ცხვირზე მიიჭირა.

„ვასილი მიხაილიჩ, ერთი შეხედვით, მეტისმეტად შეყარს“ მიმართა პოლიციის ბოქაულს. „დაიშახურა! რაც ეკუთვნოდა, ის ნიიზლო“ თქვა ვასილი ივანისმა, მერე კი ხალხს მიმართა: „ხალხნო, ამ გვამის მიერ გამარცხვული და გაუპატიურებული ადამიანები ბლომად დაიარებიან ამ ქვეყნად, ბუეროც ველარ დაიარება, და რა თქმა უნდა, მან დამსახურებულად შოიმყო ასე გდება ნადიკვარზე, აკვისტოს თაკარა მზის გულზე, გახრნილ და აყროლებულ მდგომარეობაში...“

მერე ბჭობის შემდეგ, ისევე მრავალნაცადმა ფოტოგრაფმა შეურჩია იმნაქეს პოზა, მას ცალი ფეხი შუბლზე უნდა დაეჯინა გვამისთვის, მარჯვენა ხელით დონივი შემოეყარა, ხოლო მარცხენა საყენებელი თითი გვამისკენ მიემართა, ყელი კი აუცილებლად უნდა მოედერებინა, სახეზეც გამარჯვებული კაცის იერი ალებექდა და მზერაც კავასიონისკენ გაეტყორცნა. მაგრამ ყველავერს ამას დრო უნდა, გვამი კი „ყარდა“ და იმნაქესაც ცხვირსახოცი შექონდა ცხვირზე მიჭირილი. მერე კი, ხოსნოვმა დიდი აპარატს შტატივეები გაუკეთა და კადრი დააყენა, იმნაქემ ღრმად ჩაისუნთქა, მოიხსნა ცხვირსახოცი და იდგა ასე სულმტკუბებული. და სწორედ ამ დროს, როცა იმნაქემ ცხვირსახოცი მოიხსნა და ჩასუნთქულ მდგომარეობაში გაშეშდა, როცა ფეხიც მაგრად დააბჯინა, დონივიც შემოიდა და ხელიც ძირს დაუშვა, ხოლო გამარჯვების გამომხატველი შეუშალა მზერა შორს, კავასიონის მწვერვლებისკენ მიმართა, სწორედ ამ დროს ზორბას ის ცნობილი დაწრუნუნება გაისმა, თანაც იქვე, იმნაქის ფეხებთან, ის განუმეორებელი დაწრუნუნება ცხენებისა, „აბა, მამკა, აბა, კობტაა!“ თანაც ისე ზუსტად, ისე ზედმინიერით, რომ იმნაქე შეკრთა, ის მშვენიერი პოზა მყისვე დაერღვა, დონივიც მოეშალა, გვამისკენ მიმართებული ხელიც და კავასიონისკენ გატყორცნილი მზერაც... ხალხმა სიცილი დაიწყო, ბიჭები ხომ იფრინებოდნენ სიცილისაგან. ყოველივე ამის მომქმედი მნათე კი დიდი ცაცხვისკენ გამოზრბდა. ბოქაულმა ბიჭები დაადგინა. სპირიდონს მოსდევდა

მნათეს, იმათ ეხებებოდა ხელი არ ახლათო, კალთაზე ეჭიდებოდნენ შტამბულს, გემუდარებითო. მნათე კსგამოიდა სწრაფად ჩაათავა და ნაშონივინენ კიდევც, ერთი თუ ორი უთავაზეს, იქვე დიდ გუბესთან მიათრიეს, ჩააგდეს შიგა და გააგორეს და გამოაგორეს, გააგორეს და გამოაგორეს... სპირიდონსა ტირიდა, ემუდარებოდა, გეყოფათო... კიდევც კარგი. თავად გიგო გამოესარჩლა, გააგდებინა ბიჭებს ხანყალი მნათე. „არა ვნანობ, არა“, სულს ძლივს ითქვამდა მნათე, „მას, აბა, როგორ გამოესარჩლებოდი ზორბასა? არ ესმით არა, არაფერი არ გაეგებათ...“ სპირიდონსა უსხამდა წყალსა ამონუნულ მნათეს, შეკუყრებდა მის ჩიტივით მზრებს, ჩამოტყლარქულ მუცელსა და თან საყვედურობდა: „ახია შენზე, ახია, რა შენი გამოსარჩლება უნდაოდა ყაჩაღსა და მუდრეგსა!“ „მაინც მამა იყო სენი, სპირიდონ, მამა... თორემა სად ცვენი ხაზლი დგას და სად ზორბას ბუნაგი იყო, მასა, მაგრამ ცოდოა ყველა სულიერი და არა ვნანობ. თვითონ ინივლონ რომა აეგეით სეუბრალებლები არიან...“ ამბობდა მნათე და თან შიშველ ტანზე ხელებს იტყაპუნებდა. სპირიდონსა კი მთელი ღამე თვალი არ მოუხუტავს, თვალთან არ სცილდებოდა ზორბას გვამი, ხანაც თაუისი საწყალი და საცოდავი დედა აკონდებოდა და ისე ობლად და მოუსაფარად გრძნობდა თავს, მნათეს ამარა, მნათეს დანრუნუნების ამარა... იმ ღამით იგრძობს, რომ თურმე იმედი სდებია გულში, სიძულვილთან, ზიზღთან, შურისძიების წყურვილთან ერთად თურმე იმედი უჭიატებდა, თურმე იმედი უბჭუტავდა, თურმე სიძულვილისა და შურისძიების მოგიზნებზე ცეცხლი იფარებოდა ამ სუსტად მოჭიატე იმედს. და ახლა იგრძნობს როგორ ჩაუქრა ის იმედი, როგორ გაეფანტა... ახლა გაუტყვდა თავის თავს, რომ თვითონაც ყაჩაღობაზე ოცნებობდა, თოფიარალის ახმაზე, ზორბას მხარდამხარ ნაწარმზე ტყუის და ღრეში. „რო გითქვა მეც ხო ნამოვადიდე შენთან ერთადო, სუ შეცოდინებოდა რა გიჭირს და რა გიღბინსო, სუ მეცოდინებოდა რით უნდა დაგზმარებოდიო, ეგრე კი არა გდებულიყავი ნადიკვარზეო...“ ქვესკნელში გააგზავნებოდიო, გველის ხერხელში გაგვცვრებოდიო, ვაიმე, ვაიმე, რა იცოდე, რა შემზარავი შესახედი მარო...“ ახლა მიხედა რომ ზორბა აეხებდა მის არსებობას, ზორბაზე ფიქრი იყო მისი არსებობის მამოძრავებელი და ისე სწყდებოდა გული, ოპ, როგორ სწყდებოდა, რომ ველარასოდეს ველარ ნახავდა, ველარ მოსთხოვდა პასუხს, ველარ იფიქრებდა მასთან შეხედვარაზე, ველარც



მურსიძეებზე, ვეღარც ვეღარაფერზე, რომ ნაიზალის ბილიკი, რომელიც მამის კვალზე დააჯინებდა, საბოლოოდ გადაიკეტა ის შესავალი, რომლის იქით ზორბა იდგა. ავდგები და ჩუმად წავალ ნადიკვარზეო, ეხლა არავინ აღარ იქნება იქა, რაკი დაღამდებოდა და აგრძელებოდა, ალბათ, აღარც ისეთი სურნელებოდა გვამსა, მივალ და ყველაფერს ვეჭვებო, დაავადებები თავთან და უკანასკნელად ვნახავო... ჯერ არ გათენებულყო, ჩუმად ადგა, ჩაიცვა, ფეხბურჯებით გამოვიდა თავიანთი ბუდრუგანიდან და წავიდა... კურდღლივით მიბრბოდა... გაირბინა ქალაქი, აირბინა ნადიკვარზე, ბადრი მთვარე დაწამოდა იქაურბებს... მაგრამ გვამი კი იქ აღარ იყო. ცაცხვის ქვეშ სკამზე დაჯდა სულის მოსათქმელად, თავი მუხლებში ჩარგო და ტირილი დაიწყო. თან ბრაზობდა თავის თავზე, რატომ ვტირი და რა მატირებსო... შეცვლებას სულ ვერ გრძნობდა, მაგრამ მაინც ტიროდა, ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა...

მას შემდეგ აღარც ყოფილა ნადიკვარზე, იქამდეც არ უყვარდა და ზორბას გვამის შემდეგ ხო მთლად შესჯავრდა, ან ეხლა რად მოვლავ, რამ მომიყვანავო, ავსულოყავი ლდასთან, სადმე მიმანევენდო... ამუნათებდა თავის თავს და თან თვალეზმონკურული უნდომლად გაპყურებდა ზორბას ადგილიდან ცოტა იქით, ფერადობთან ჩამომსხდარ გოგო-ბიჭს... დიდება შენთვის ღმერთო, ისევ ისე გაუნძრევლად ისხდნენ... ნეტავ როგორ შეეძლოთ აეგრე გაუნძრევლად ფდომბ... ხედავდა სპირიდონა თავისი მორსმხედველი თვალებით მათი სახის ნაშინულ ცვალებადობას, თითქოს ხოო ჩახახლებულა მათში და გამუდმებით არხეც მათ გულისთქმასო, აგრე უღიმიან ერთმანეთს, შეცვიცინებაც ამას შევია... ახლა უკვე იცინიან... ბიჭმა ხელები დაუჭირა გოგოს, იცინიან ისევ... აგრე გოგო რალაცას ამბობს... გაბნით... ეტყობა ლექსს... ბიჭი უსმენს... ისე უსმენს, თითქოს გოგოს ოქროები სცვიოდეს პირიდან და არიქა არცერთი არ გამოიმეპაროსო... ახლა კიდევ ჩაფერებულები ერთმანეთს უყურებენ... აგრე ერთად მონყანენ ადგილს და ხელისეჩაჭიდებულები გაიქცნენ... შოო, თურმე მოხუცი ქალი დაინახეს კალათით ხელში... ერთად მოარბენინებენ კალათას... მოხუცი ქალი ღმილით გააყურებს... სპირიდონა კი, ისევ მოშხამული, კიდევ უფრო ჩამოიჭრება... გული ელევა... თავბრუ ეხმის... თვალები ეხუჭება... ხელებს გადასდებს სკამის საზურგეზე... ცაცხვთან ახლოს, ყვავილნარიდან ფუტკრების ბზუილი ისმის... ეს ოხერია სიყვარული... ცხურება ხელიდან ეცლება... ცნობები ცნობები ცნობები აქვს

ასალები... დუქანი ჩამოართევს... ყველაფერიდან ცარიელი დატოვეს... ციებამ დაიჭრა სული ამოხადოს... და მინც, და მინც ციებმა ერევა... არავისთანა მუდარა ეგრე შეწყობილად... არასდროს და არავისთან... შეწყობილად როგორ არა მუდარა და ბეგრეჯრაც... ოპოპო, უთვალავეჯრაც... მაგრამ ის სუსხეა შეწყობაიყო... სუსხეა... ძველმ რო ჩასქურულა: ახალი გოგო მოვიყვანე, ნამდვილი მწყერნიტაო... მართლა მწყერნიტა... ცამეტისაც არ იქნებოდა... შიშით თვალგამტერებული უყურებს სპირიდონას... დგას ტიტლიკანა, ცალი ხელი ზომარდულებივით პატარა ჭუჭუბებზე მიუფარებია, მეორე კი ქვევით... რამდენი წლისა ხარ, გოგო... რალაცას ამბობს ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა... აგრე თქვი, გავიგო, რამდენი წლისა ხარ... გოგო თავს ჩალუნავს, ნაშინილდება, თითქოს ყველაზე გულდასახვეტი ის იყო, ნლოვანებს რომ ეკითხებიან. არაო, გოგო რა თქვი, დღეს პური არ გიჭამნია? ... თურდო ძალიან რო ადიდებულა და ბახხოლიანთ ნისქვილი წაულია, მამის დაებადებულვარ... ყოჩაღ, ყოჩაღ! ამბობს სპირიდონა და თვითონაც არ იცის, რატომ... გოთერჩინა ძველო, ნატავი არ უნდა სპირიდონას, ამ მწყერნიტას ლუქმა დაუთვალოს, გაქნაჭულია, ხორცი აკლია... ჯერ შეისხას ხორცი, რა იქნება? ... მოდი, გოგო, ჩამომიჯექ, მითხარი ორიად სიტყვა... გოგო, კიდევ უფრო ჩალუნავს თავს, სპირიდონა მიიზიდავს, მუხლზე დაისევას. არა, სპირიდონას სიჩქარე არ უყვარს... ცოში კარგად უნდა მოიხილოს, თუ კარგი პური გინდა... იზილოს და იზილოს... მერე უნდა ამოფუდეს თანდათანობით, ამოფუდეს და ამოვიდეს... აბა, მამ როგორ! მერე კი ისევ ისე ხმადაბლა და მორცხვად ეკითხება სპირიდონას: ძია, ჩავიცო ნიფხავი, თუ კიდევ ინებებთ? ... სპირიდონა იცინის... კიდევ ინებებთ... მამ, მამ, კიდევ ინიებებ მწყერნიტას! ეს მწყერნიტა კი ნამდვილი უძირო ქვეერი გამოდგა, ძლომას ვერ იგებდა, ერთი და ერთი რო დაიმშევა ადამიანი. ეს ამბობე-ლძალი ნამდვილად გამაკოტრებსო, ძველო ამბობდა. მერე და მერე კი გემო გაუგო კარგ საქმელს სასუსუნეებზე ხო გიჭედებოდა, ფუსტულზე განსაკუთრებით. ისე არ მივიდოდა სპირიდონა, ფუსტული არ მიეტანა, პრიალა კოლოფით, დახალული და მარინომოყრილი, ციყვივით აქნაწუნებდა და აქნაწუნებდა. თან საქმე, გოგო, თან საქმე, ნუ გადაპყევი მაგ ფუსტულსაო, იცინოდა სპირიდონა და ხელებს უტყავაწუნებდა. ფუსტულსაო, ძია სპირიდონა თუნდ რამდენსაც გინდა შეჭამ და ვერ მოვისურვილებო. მამინ გადაწყვიტა სპირიდონამ გოგო გამოეცადა, ისედაც ხო უყვარდათ სიანცე და თამა-

შობანი ძველოს სამიკიტნოში და სპირიდონამაც დიდი პარკით მოიტანა ფუსტული... მამინ გოგო უკვე გაჩვეული იყო, ახალბედად აღარ ითვლებოდა, უკვე სახელი „ტურფაც“ შეურჩიეს, თვითონაც ყველას თვალწარმო აღარ შეუცქეროდა. სალონში იხდებნენ, მორეკსართლებზე, დუმელი გუზგუნებდა. „აბა, დაფურთხებ ღუმელს და სანამ ამრება ამ ფუსტულს თუ გაათავებ, აბაზს მოგცემო“ შაურცი მოუმატებ „ორი შაური“ დაიძახეს აქტიუმიდან წმინდარმა და ბატკანამ. „აბა, ფუსტულიც ჩემი და ექვსი შაურიც ჩემი“ იღარა სპირიდონამ, „აბაზი და მორჩა-გათავდა“ სპირიდონამ დააფურთხა ღუმელს, გოგომ კი ქამა დაიწყო, ოჰ, რა გამალებით ღამდა... ქამდა და ქამდა... ქამდა და ქამდა... ნაფურთხიც მრებოდა და მრებოდა... და სანამ გაათავებდა და ნაფურთხიც უკვე ნკაპზე იყო, გოგოს გული აერია... პირდაპირ ხალიჩაზე არწყია... ჩერით აწმინდა, მერე კი ნერწყვის ლაქას ტოლრით წყალს ასხამდა და ის სწმინდავიდა, თან გულდათუთქული ჩუმად სლუკუნებდა. „გული სწყვედა და“, აპობდა ბატკანა, ამოდენა ფუსტული ნარწყვიად რო აქცია“ გოგომ კი, ბატკანას ამ სატყვეზე, კიდევ უფრო უმატა სლუკუნს. მაგრამ არც ქალები არებოდნენ ეალში სპირიდონას და იმ ფუსტულის შემდეგ კარგად რო გამოთბა და ალაზანზე წავიდნენ დროს სატარებლად, ეცნენ სპირიდონას და ტალაში აგორავენს, ზურჩხელასავით ამოაივებს, „ესეც შენაო, ესეც შენაო“ დასძახოდნენ... აბა, რამდენი ხანი გამოხდა მას შემდეგ და არ გახსენებია, არა, წამიერია ყველაფერი... ეხლა ამ ნადიკვარმა გაახსენა... ამ გოგომ და ბიჭმა... ისეც მოშამული აქვს გუნება და აქ კიდევ უფრო ეშხამება... არ კი ღირს, არა, წამიერია ყველაფერი, რა იცი ხვალ რა იქნება, იყოს ბატონო, წმინდა და სპეტაკი, ხვალაც ეგრე იქნებიან? ხვალაც ეყვარებათ ერთმანეთი? ვინ იცის, ან ერთმა უგანოს ან მეორემ! სიყვარულიმ შე შე გეტყვი, სიკეთეს უნერგავს და უღვივებს ადამიანს! ცოდავს, უღმობელ ცოდავს! დიდ საფასურს თხოულობს და იმტომ! არ დაინდო, ვინც გზაზე გადაიგელობდა, კიბილებით გაგლიჯო, წიხლი ამოკერა, სიცოცხლეს გამოასახლმო... ვინა ვინა ვინა... ვინ არ გამოასახლმეს სიცოცხლეს, თუკი შესძლებს... თუკი გამბედაობა ეყოფა... თუკი არ შეეშინდება... თუკი სიმახაცე ნებას მისცემს! ვის შეეცოდაბა თავისი შეტოქე, ვინ არ ამოსთხრის თვალებს თავის შემფერებულს! ვინა ვინ არის ეგეთი მოროცხებული, გამოვიდეს, დამენახოს! ვინ არის... ეგრე უკუღმართად არის ადამიანი მოწყობილი, სუ შეე, შეე უნდა იძახოს თხასავით, მთელი თავისი მოსწრება, სულ შეე და არა სხვა, სხვას კი

ნეკეტზე ფეხი დაადგას და თავით მაროლი ანაყინოს და მაინც ვერ მენჭიოც წაწველოს, ვერა! ან კი ვინ მისწვეტა წაწვეტა, ხანგრძლივად და შეხმატკილებით... არც იცის რა არის ამისთვის საჭირო, ბედი, შემთხვევა თუ ხასიათი... თუ ლატარიის მოგებასავით არის, იშვიათი მოგებასავით, მილიონში ერთხელ რო მოიგებს ვიღაცა ილბლიანი, ძირითადად კი ვერ მოიგებს, რადგან მაშინდელი ლატარიის გათამაშებისა არ იყოს, ბულვარში რო მისაყენს, მსუქანი თხა რო გაათამაშეს და იმას უნდა მოეგო, ვინც თვის სახელს გამოიცნობდა, სახელად კი სწორედ იმნადის, ქალაქის თავის, ვაჭის სახელი „ფერდინანდი“ დაერქმიათ, ქალად ზე დაქნერათ და თისთვის, კიხერზე მეტაბთ, პოდა, ყველას თვალს უყენებდა ეს მშვენიერი თხა, გრძელბეწვა და მსუქანი, ჯიქანი ლამის მინამდე უწევდა, მაგრამ სახელი კი ვერავინაც ვერ გამოიცნო, ვერავინ... ან, აბა, ვის უნდა გამოეცნო? ვინ უნდა მიშხედარიყო, რომ თხას ქალაქის თავი აყლაყუდა ბიჭის სახელი ერქვა? ვინ იყო ისეთი, ვისაც ფრჩხილში ჩახედვა და წყალში ამოკითხვა შეეძლო? ვინ იყო ისეთი გრძელული და ალქაჯი... და უცებ მორეული, ძალიან მორეული სურათი გაუცოცხლდა... ის შემამფოთებელი სურათი... ზევიდა რო ჩაპყურება ევასა და გიოს... როგორ გამოშვლდნენ და ჩანჩქერის ქვეშ ბანაობა დაიწყეს... ეხვეოდნენ ერთმანეთს... თავდავიწყებით ეკვროდნენ... ქათქათა, თერთ ქაფში გახვეული... წყლის ჩქარვში გაკრთოდა მათი სხეულები... და მათი გნებაც ჩანჩქერივით იყო მოხეთქილი... ვინ იცის... ვინ იცის... სწორედ მათი სიყვარული იყო ის ნაოცნებო სიყვარული... აუშლვრეული... წმინდა... უცოდველი და უბოროტო სიყვარული... არ უნდა არ უნდა არ ეგეთი ფიქრები... ეგეთი მოგონებები... სამინელი... სამინელი... ისეც დასუსტებული ძალა სულ გამოეცნა... ძლივს სუთთქავს... თავი გადასწია, ცაცხვიდან ბელურების ჭლურჭლული ისმოდა... ალბათ, პირველად საწყალმა დედაჩემმა ჩამცა ლახვარიო, გაიფიქრა, თავგადაკლული რო დასდევდა ზორბას და მზად იყო მტერიან მარაზეც კი გაკორებულიყო, ოღონდ კი იმ ყმაღის ენებებინა, და იმისი ღვთის ცეცხლი ღვთის წყალობად ექვევებოდაო, ღრმად ამოისუნთქა და თვალეები დახუჭა... უნდა მოეშვას ეგეთი ფიქრები... როგორმე იქნებ ჩასთელიმოს... როგორმე... მაგრამ ერჩია არ ჩაეთვლიმა... სამინელი რალაც მოეღწადა... ზორბა წამომართა და პირდაპირ მისკენ მოდის... ფეხმველა... მოაბიჯებს... ტანსაცმელშემოდარცული... ნიფხვის ქუჩყიან ზორტებს მოაფართოხუნებს... და თვალმოცივლებლად სპირი-



დონას უყურებს... არცკი ახამხამებს თავის დიდ გუდალ თვალებს... აძრწუნებს სპირიდონას ამ ქროლა თვალების უკმეხი მზერა... „აი, ბიჭო, შემომხედე შემომხედეო, რომ მთხოვდი... უნდა სუ გიყურო და გიყურო... გიყურო და გიყურო...“ უახლოვდება სპირიდონას, თან დიდ ტორებს შლის, რომ სპირიდონა გულში ჩაიხუტოს... უნდა გაიქცეს სპირიდონა... გაერიდოს აქაურობას და ნელი ვერ ნამოუწვია... ფეხებიც არ ემორჩილება... ვაი... ვაი... ვაი... „ძია, ძია, აბა, წყალი მოსეთ...“ ესმის გოგონას ხმა. თვალებს ახელს, ბიჭიც იქვეა, მწეხობილად დასცქერიან, ბიჭი სპირიდონას მაგას უზღელს... „ეტყობა ცუდად გახდით, ფერი გაქეთ წასული...“ რომელი საათია? ამოიკნაველებს სპირიდონა. „ახლა თერთმეტი იქნება.“ ამბობს გოგო, „მოსვით კიდევ“. სპირიდონა წყალს მოსვამს... ნამოხრებს, „როგორ მიხვდით რომ ცუდად გავხდი“. „კენესოვით, ისე კენესოვით... გვეგონა გული შეგინუხდათ...“ აქეთ-იქიდან ხელს სკიდებენ: „გაგაცილებთ, ძია“, „არა, არა, აქვე პოლიკლინიკაში მივდივარ.“ აქვე სულ არ გვეზარება, ძია, ხმებიც კარგა აქეთ, თითქოს ძლიერტულეებენ... „აღმართზე მანაც ჩაგვივანთ, ძია“. პოდა, პოლიკლინიკის ეზონდე მიაცილებს ჩაუქლურტულეს ნახვამდის და გაიქცნენ. შედგა თუ არა ფეხი მოსაცდელ შუშაბანდში, პლაკატზე გამოხატული კოლო ანოფელესი, თავისი გაზლიდი, დიდებულფორთხით მოხვდა თვალში... მზერა მოარიდა და პირდაპირ შეაღო ლაბორატორიის კარი. ქალი მიკროსკოპში იყურებოდა. კარის ხმაზე თავი მოატრიალა, სპირიდონას იქვე, მაგიდასთან მიდგომულ სკამზე ანიშნა და თვითონ ისეე მიკროსკოპს მიუბრუნდა. სპირიდონა ქალს უყურებდა, ნეტა რასა ხედავსო, ფიქრობდა, ჩემი ავადობა როგორა ჩანსო... ქალისკენ კისერა ნაიგრძელა და თითქოს თავისთვის ამბობსო: „ნეტავი კი რა ჩანს და რასა ხედავთ...“ ქალმა სპირიდონას მოხედა, თავი დაუქნია, თვითონ კი გაინია: „აი, ნახეთ... სამწუხაროდ, ძალიან მდიდარი ხართ...“ სპირიდონამ მიკროსკოპში ჩაიხედა და რა დანიანა, რა საოცრება, ბექედები, ოქროს ბექედები, ლალის თვლიანი, სხვადასხვა ზომის, ზოგი დიდი, ზოგი უფრო პატარა,

ზოგი ერთ მხარეს გახსნილი... ბევრი, ბევრი ბექედები, რა მშვენიერი... რა წარმტაცებელი თვალს რო ვერ მოაპირებ... „პლაზმოდოუმებია...“ სპირიდონა უახლოვდება... „თქვა ქალმა და სპირიდონას ახედა. „რა საკვირველია...“ აღმოხდა სპირიდონას და იქვე სკამზე მორყველთი დაეშვა, „ეგეთი საზოხლარი ავადობა და... ეგრე გამოხატული...“ „დიახ,“ თქვა ქალმა, „ახე ეს,“ თითქოს ამაზე ჩვეულებრივი არაფერი ყოფილიყოს, „შემოგლობინიც ძალიან დაბალი გაქვთ... კვებას უნდა მოუმატოთ, კვერცხი ყლაპოთ, ჭარხლის ნვენი მიიღოთ...“ სპირიდონა უყურებს ქალს და სანახევროდ არ ესმოდა რას უწვინებოდნენ, ქალის უცხო აქცენტის გამოც და პლაზმოდოუმების მთაბეჭდილებით აღძრული ფიქრებისაც. ქალი ელაპარაკებოდა, მერე ანალიზის პასუხს წერდა... სპირიდონა კი ფიქრობდა: ეგრეა ხილამზეცო, ეგრეაო, ეს პლაზმოდოუმეთა თუ დარდუბადა, ამასავითო, შხამისა და ტანჯვის ბუდეო... სიყვარულის ბუდეო... უჩინველესად სწორედ სიყვარულისაო... და უეცრად, თავისთვისაც სრულად მოულოდნელად გული დასწყდა და ტკივილი იგრძნო ამ უცხო ქალის გამო. უყურებდა მის ბუნკა თმებსა და ფაქიზ პროფილს და მიუხედავად იმისა, რომ ქალი სწორედ ბედნიერს ჰგავდა, ისეთი მშვიდი და მომიმართი იყო, სპირიდონას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მომავალში ის აუცილებლად უნდა დატანჯულიყო ინანებსო, აუცილებლად ინანებს თავის სიყვარულსო, ასეთი მსხვერპლის გაღებისა... და სპირიდონა ისე გადამკვლევით ფიქრობდა, თითქოს ბედის მწერალს საგანგებოდ შეეტყობინებინოს მისთვის ამ ქალის მომავალი ტანჯვის ამბავი... „აი, ეს ქალადიც... თქვენ სასწრაფოდ უნდა ნახედეთ და დაწვეთ, არ შეიძლება თქვენი საარული“. ქალმა ქალადიც უყურებდა. მერე შუმიდან პატარა ქიქამი ნვეთები ჩამოაწვითა, კოლიბან ცოტა წყალი დაასხა და სპირიდონას გაუნთოდა... „აღიღეთ...“ ერთი ცნობაცა მაქვს ასაღლი... ამოიკენესა სპირიდონამ დაწვეთები დალია... კოლოდით, არ გიორვეთ, თუნდ ლიდას ჰკითხეთ. სხვა ამ აილოს ის ცნობა, არ შეიძლება? სპირიდონამ თავი გაიქნია. „აჰ, ღმერთო ჩემო!“ თქვა ქალმა და სპირიდონა კარბამდე მიაცილა.

**„ქაენი სახელად მით ჰქვიათ, არიან ერთად კრებულნი... ყოველთა კაცთა მკენნი, იგი არვისგან ვნებულნი.“**

შინახსკომი აბლოს იყო, ძალიანაც აბლოს, პოლიკლინიკიდან ორასიოდე მეტრი თუ იქნებოდა, ნადიკერის ქუჩაზე, რუსუდანის სახლის თითქმის მოპირდაპირედ, და შაი-

ნც სპირიდონა ძლივს, სვენებ-სვენებით მიხანახლდა იქამდე. ისიც კია, ფეხი უკან რჩებოდა... თუმცა ალიოშას კარგად იცნობდა, ერჩინვა კეტკი ეთხლიმათ და იქ მისასვლელი არ ყოფილიყო. მართლაც, არც სცად-

ებოდა, კარგი და სასიამოვნო იმ დანებებუ-  
ლებში არავის არაფერი ელოდა, და ყურის-  
ნამღლები ნიოკი შორიდანვე შემოესმა სპირი-  
დონას. ჯიბიდან ქალაღმში გამოხვეული  
ტყლაპი ამოიღო, მოგლიჯა და პირში  
ჩაიდო, გულს დამიჭერსო. მაგრამ მოუახლ-  
ოდეა თუ არა შინსახკომის დიდ, ყვითელ  
შენობას, — გეპეუ თავიდან ჯანდიერების  
ყოფილ სახლში იყო, მერე კი აქ, ნადიკერის  
ქუჩაზე გადმოიტანეს ჯორჯაძეების ფა-  
რიე, ორსართულიან შეობაში, მილიციას-  
თან ერთად, — დაინახა თუ არა შესასვლე-  
ლთან მიჯგუფული ეს ამოდენა ანრი-  
ალებული ხალხი, და რაც ყველაზე აუ-  
ტანელი და შემანუბებელი იყო, ახალგაზრ-  
და გლეხის ქალი, გადაწეული თავმჯდომან  
ქერა, ხუჭუჭა ბუნუნები შუბლზე რომ ჩამ-  
ომლოდა, ამობურცულ, დამკერახულ  
ლოყებზე ღვიარება ჩამოსდიოდა და  
ტირილითა და ნიოკობით ცა ჩამოქონდა,  
იიეც განვალღებულსა და გაუგებრებულს  
მთლად წაერთვა სასო, სულის მოსათქმე-  
ლად კედელს მიეყრდნო, და თვალები გაა-  
ცქცა, იქნებ ნაცნობი ვინმე დაეჩახოყო, —  
მილიციელებს ბევრს იცნობდა, — დამეხ-  
მარნენ და ურიგოდ შემოიყვანონ ალიომასთ-  
ააო, თორე ნამდვილად სული გამძვრება  
ამ ლავლაში და ბიჭის ცნობაც ალაოზე  
წაყო. ეს გლეხის ქალიც თავის ბიჭზე მოს-  
თქვამდა: „ხალხნოო, გაგივით, ცამეტისა  
არ არი უერაა, ბალაა ბალლი, სად გაგო-  
ნილა სადა სადა...“ მიტროო, მიტროო, ჩე-  
ნაოფლელი არა ხაარ... რა გული გაისალ-  
ღდევე შემშივი, შემშივი... თუ არადა უთ-  
ხარი ჯოჯოხეთში წავალთქოო,  
ჯოჯოხეთში... გამოუშვან ბალლიო... გამ-  
ოშვანა...“ და ძალს ქალი იყო, ძალს შესას-  
ვლელში ჩამდგარი მილიციელები, მაგრამ  
აბა, ქალი იმათთან რას გახდებოდა. აქა-  
ეპებულია, ქალო, გაიგე, ხუ აგვიკელი, განთ-  
ავისუფლდება და შეგიშვებთო...“  
იქნებოდნენ და ძლიერაკავებდნენ, ისე იყო  
გაკვეშებული. კიდევ კარგი, ხალხმაც  
მილიციელებს დაუჭირა მხარი, ჩვენც აქ  
გასართობად კი არა ვართ მოსული, ჩვენც  
გეჭირაო, რაკი შენსავით არ ავიკლით  
აქაორობა, ეგრე კი არ არისო, როგორმე  
დაშოშმინდი, ქალო, და ლამფას ჩაუნოო...  
შესძახეს და შესძახეს აქაოიქიდან... სპირი-  
დონას კი ნამდვილად ზედი მოუვიდა, ამ  
გნიახსა და აყალმყალმი დაეხვა თავბრუ,  
დაეხვა თავბრუ, მუსლებში ჩაიხვედა და  
გული შეუნუხდა. „აკაცი კედებო“, ვილაცამ  
დაიძახა. ხალხი ახლა სპირიდონას მიეხვია,  
მილიციელმა მიტრომ სამორიგეოდან წაყლი  
გამოიტანა ჭიქით, კარგად იცნობდა მიტრო  
სპირიდონას, თალააურელი იყო, — ყველა

ეს მილიციელები ხომ ახლომანლო სოფლე-  
ბიდან იყვნენ, — ჩასძახა და ჩასჭახა, აქია  
სპირიდონ, ძია სპირიდონე... საჩუქე წყელი  
შეახსა და როგორც იყო მოაბრუნა, ეხლავე  
ეტლს დაიჭერა და სახლში გაგისტუმრებოო,  
უთხრა, მაგრამ სპირიდონამ ხელები  
გაახახავა, მართლა რო სული გამძვრეს,  
ალიომას უნახავი ვერ წავალო. მიტრომ  
ხელიხელ წაიყვანა, სამორიგეოში შეიყვანა,  
გრძელ სკამზე დაინენა, ცოტა დაისვენეთ  
და მობრუნდითო, მაინც ალიომა ჯერ ძალი-  
ან დაკავებულია, არა სცალია, მე შეგატყო-  
ბინებთ, როცა განთავისუფლდებოო. არა  
ტყუოდა მიტრო, არა, ალიომა მართლაც  
ძალიან იყო დაკავებული, დღლიდან  
მოყოლებული, ხელში ფანქრით, ჩასცქერ-  
ოდა მის წინა, სანერმაგიდაზე გამლილ დიდ  
თბახს და თავს იმტვრედა თავისი ახალ-  
დაბადებული შვილისთვის სახელის შერ-  
ეეით. ოღონდაც, ეს ადელია საქმე არ იყო,  
რადგან ალიომა სულაც არა ფექრობდა  
რალაც უბრალო სახელებზე, იგანე  
იქნებოდა თუ პეტრე, ვალიკო თუ პალიკო,  
არა და არა, არავითარ შემთხვევაში, რად-  
გან სახელშიც უნდა გამოხატულიყო მისი  
დამოკიდებულება რეპოლიციისადმი, მარ-  
ტიისადმი, პროლეტარიატისადმი, მოდაში  
იყო კიდევ შედგენილი სახელები და ძალი-  
ანაც მოსწონდა. ქვემოდა, ქუჩიდან ნიოკ-  
ობა ისმოდა, მაგრამ ალიომა აინუნებო არ  
აგებდა, ქსენოს მძიმე მშობიარობის  
შემდეგ და იმსამარცხებინო ამბის შემდეგაც,  
— მას თავს რომ დაატყდა, სასონარკვეთი-  
ლსა და გონდაკარგულს, — კიდევ უფრო  
თავგამებობით, კიდევ უფრო ღინიანად ად-  
გენდა სახელებს, სახეების მიერ შედგენილე-  
ბს იგონებდა და ვარაუდობდა რომელი  
რომელს დაემჯობინებოდა, თუ კვილბმ-  
ოუნებითა და თუ მინარსით, თუ მასში ჩაქს-  
ოვილი სულისკვეთებით. რა თქმა უნდა,  
პირველ რიგში პროლეტარიატის  
ბელადებზე შეჩერდა, უპირველეს და  
უფიადეს ბელადებზე, იმ ოთხზე, რომელთა  
ერთი მეორეზე მიჯრით მინყობილი  
პროფილები მუდმივად თან სდევდა, პლა-  
კატებს, დროტებს, ვახეთებს, შედელებს,  
ტრანსპარანტებს, ნიგნის ყდებს და ვინ იცის  
კიდევ რას, ვინ მოთელის კიდევ, რალას არ  
ამშვენებდნენ და საიდან აღარ შემოიანთე-  
ბდა ხოლმე... მოდა, პირველ რიგში სწორედ  
მათ გვარებსა და სახელებს დაუწყო დამა-  
რცვლა და ახლებურად შერწყმა სახელის  
შესათხეველად. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის  
არცთუ ისე ადელია საქმე იყო, ახალი სახე-  
ლის შეთხზვა გვარების მარცვლებისაგან,  
თანაც ისე რომ დასაძახებლად მარჯვე, მა-  
რთლა სახელივით ყოფილიყო, და ისიც



მკაფიოდ გამოჩენილიყო, რომელი ბელადები იგულისხმებიან, ცხადია, ამ მხრად „მარლენზე“ უკეთესი მგონი არც არაფერი არსებობდა, მშვენიერი იყო მარქსი და ლენინი, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ეს სახელი ლამის ძალისთვის კიდევ გამოეზბათ, იმდენად იყო გახშირებული, ალიოშამ ოთხი მარლენი იცოდა, პოდა, მიდი და ეგრე წვითა და დაგვით გაჩენილ ბავშვს ეგეთი სახელი დაარქვი. და გარდა ამისა, მარლენი თურქი თავისთავად სახელი ყოფილა, ყოველგვარი მარქსისა და ლენინის მოუხედავად, თურქე მსახიობ ქალსაც რქმევია და ესე იგი ქალს სახელიცა ყოფილა. რაც შეეხება „ლენინარს“, იგივე მარცვლების შებრუნებას, ძალიანაც კარგი იქნებოდა, გოგო არ გასაჩინოდა, იმიტომ რომ ნამდვილად ქალის სახელივით იყო, „მარი“ ბოლოში ხვედებოდა, ამიტომ „მარქსის“ შირველი მარცვლის ბოლოში მოხვედრა არამც და არამც არ შეიძლებოდა. ასევე იყო სხვათაშორის „სტალინიც“. სიხარულით კინადდა სკამზე სება, სტალინის ნამდვილი გვარისა და შერქმული გვარის შირველი მარცვლებისაგან „ჯუსტა“ რომ მიიღო, გამომგონებლის ნამდვილი სიხარული განიცადა, ისე მოეჩონა, ცნეორებდა და იმეორებდა: ჯუსტა... ჯუსტა... ჯუსტა!! თან იმაშიც უტყდებოდა თავს: ათასიც რო ვიძახოთ ინტერნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმით მაინც შენთან კიდევ სხვათაშორად გაბნა გულზეო. პოდა, ამ სახელმა ნამდვილი ნამიერი ბედნიერება ავრძნობინა, ნამიერი კი იმიტომ, რომ რამდენჯერმე გამოერებისას მიხედა, „ჯუსტაც“ ამკარად ქალის სახელივით გამოიღოდა, გოგოს მოუხედავოდა, კინადებოდა, რატომ გოგო არ გამიჩნდებოდა... მარცვლების გადასამს კი აღარაფერი არ მისცა, აბა, რა იყო „სტაჯუ“, არც კაცისთვის ვარგოდა და არც ქალისთვის. ესე იგი სტალინის შირველი მარცვლის ბოლოში მოქცევის არ შეიძლებოდა. ასევე იყო „ლენსტაც“, და რა დასანანი იყო, ოპ, რა დასანანი, თავის ქნევითა და სინაულით ფიქრობდა ალიოშა, იმიტომ რომ ამ სახელში, ლენინისა და სტალინის მარცვლების გამოყენებით: შეთისზულში, რუსი და ქართველი ხალხის ურდვევი მეგობრობაც ჩანდა, და განა რაიმეს ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც ამას... მაგრამ სამწუხაროდ „ლენსტაც“ ჯერ ერთი, ქალის სახელივით იყო, და მეორეც, იმით სოფელში ძალის გავრცელებულ სახელ „ლენტას“ ადონება, და რადგანაც ბავშვობიდან თავში ჩაჭედული ჰქონდა ძალის ეს სახელი, სულ უნდოდა ასო „ს“ ამოეგდო და ლენტა ეთქვა. რაღა დარჩენოდა? აიღო და ფანქარი მაგრად გადაუსვა.

ცხადია, მყისვე გადააადგილა მარცვლები, „სტალენი“ მიიღო, — **სტალინი** გამოუყენებელი და გამოუსადეგარი დიდი ბელადის სახელის დამახინჯებასათვის. ამ „სტალენმა“ გაახსენა კიდევ ერთი სახელი, ზევითუბანში, პატარა ბიჭს რომ ეძახდა ხოლმე მჭახე ხმით დედა და მთელ უბანზე ისმოდა „სტალიკო“. ბიჭიც თვალწინ დაუდგა, ცინგლიანი, უნიფორ ბიჭი, ტრიკები მუხლებზე რომ სცემდა, ლახლახით რომ მიბრბოდა სახლისკენ. მაგრამ როგორც უნდა არ უნდა ყოფილიყო ზევითუბნელი ბიჭი, სახელი მართლა ძალიანაც მოხდენილი ჰქონდა, ბავშვისათვის ამაზე უკეთეს სახელს ვერც ინატრებდი, მაგრამ მომავლეს ხომ უნდა ეფიქრა კარგ მშობელს, მომავალიც ხომ უნდა გაეთვალისწინებინა! გაზრდილ, ვაჟკაც კაცს სულ ასე „კოვებით“ ხომ არ მიმართავდნენ, არადა სტალინსაც ხომ ვერ დაუშახებდნენ, დიდი ბელადის ასე გამოსახელება და გამოქცევა ხომ არ შეიძლებოდა. ბრაზიც მოუვიდა იმ ზვეითუბნელ ქალზე, თავის ცინგლიან ბიჭს ასე შირდაპირ როგორ დაარქვა ხალხთა მამის სახელიო.

აქრეცეულ თაბახს დახედა და ღრმად ჩაფიქრდა... კარზე დააკაკუნეს... მიტრომ შემოყო თავი, მერე შემოვიდა და კართან გაჩერდა: ალიოშა უფროსო, უკაცრაოდ კი, მუშაობთ, მაგრამა იმ ქალს რა ვუყოთ... შეჭურჭლის რძალსა? ავეცილო, აქაც გესმით, ალბათ, ნივის და კივის... კოლმეურნეობაში კი არა, თუნც ჯოჯოხეთში შეველთო ჩემი ბიჭო... ბიჭი დამიბრუნეთო...“ ბიჭი! კაი რამ ბიჭი კაა, მე და ჩემმა ღმერთმარო არ მოესზრო და განზე არ გამსთავროთა, კეტით თავს გაუსუქავდა, მკლავზე მოხედა კეტის ბოლო და არყის კომპრესი ადევს ეხლაც! მდუმარედ მოაჩერდა მიტროს, ვარაუდობდა რა ელონა. მიტრო შეიმშენა, ამკარად იხაფრებოდა, მაგრამ მაინც ამოღერდა: „პაპა კიდე ამბობსო, თავს არ ვიცოცხლებ, ბიჭი რო ან გაანვალონ, ანაო...“ არ იცოცხლებს და დედამინას ერთი კლასობრივი მტრით ნაკლები დამსიძმებს! შესძახა ალიოშამ: „არა, არა, უფროსო, თუნდ ჯოჯოხეთში შევეალთო!“ „კაცო, რად იცი შენა ეგრე შეპასუხება“ დაუტია მიტროს, მაგრამ მიტრომ, როგორც გამოცდილმა ხელქვეითმა, დატევის მოუხედავად, მყისვე იგრძნო ალიოშას მშვიდობიანი განწყობა, მაგრამ გლმიმ, ხმა აღარ გაუღია, თავი მოიკატუნა, ზედმეტი გამოქონაგებით საქმე უფრო არ გაეუფუჭო იმ ხანყალ ქალსაო. მართლაც, ვინ იყვნენ ამ ანიოკებული გლეხების შემწეები და სოფლელი მილიციელები, თვითონაც სანახ-



ვეროდ გლეხები. ალიოშა კი აყოვნებდა, ვითომ დიდ ორჭოფობაში იყო, რა გზას დასდგომოდა, ვითომ ყოყმანობდა ეპატებიინა თუ არა იმ პატარა ბიჭისთვის ის თავხედობა. არადა კარგად მოხდა, მეჭურჭლე თავის წერილმწილთ კოლმეურნობაში განვევინიანდებოდა. ოპოპო, რა უფიათი კულაკი იყო, კარკიტო კაკალი, ურტყაე ქეასა, ურტყაე და იაალეტავეს, არ უნდა, ცოცხალი თავით არ უნდა თავში რამე შეუშვას. რეგენები! კარგადაც მიიღეს... ხედეშუშამ, იყალთოში საკოლმეურნეო მოძრაობის შიონერმა, შეატყობინა, სისხამ დილით, როგორც სხვა დროსაც, მეჭურჭლეს თიანეთში მიაქეს ქურჩელი ბაზარზე გასაყიდადო. დაედევინ ცხენებით. მატანს კარგად იყენებ გაკენილები, ტყის პირას მიჭრიალებდა ურემი, კოფოზე პაპა და შეილიშვილი ისხდნენ, აი ეს თორმეტი წლის ბიჭი. მოაბრუნე ურემიო, დასძახა ხედეშუშამ, არ მოაბრუნა, მოაბრუნე, კაცო, რო გეუბნებიანო, ხმას აუწია ალიოშამ, წახვალ და პირდაპირ კოლმეურნობის კანტორაში ჩააბარებ ამ შენ ქურჭელსაო. ვერაო, ვერაო, ვერაო, სიტყვა მაქვს მიცემული, ქერზე და კარტოფილზე უნდა გადაეცვალო ეს ქურჭელი, გამიმეით ჩემ გზაზე, ხალხი არა ხართო! ვერაფერი რო ვერ შეასმინეს, ხედეშუშამ სულ ლანალუნი აუყენა ქურჭელს, აი, ელა გადაცივლეო, აი, ეხლა ნადი თიანეთშია, გამოატრიალეს ცხენები და გამოქუსლეს. სადილმეძვეგ დიდი კრება იყო დანიშნული, მუშეში ჩამოიყვანეს ქალაქიდან, სააგიტაციოდ. სოფლიდან სოფლად დაჰყავდათ და კრებობდნენ. რა უყვარდა ალიოშას განსაკუთრებით და მტრული ელემენტების საჯარო გამაართახება, როცა თვითონვე, თვითონვე გამოდიოდნენ ხოლმე და მიესეოდნენ ერთი მეორეს, როცა საჯარო ლანძღვისა და შეჩვენების შემდეგ მაკენილებს უნდა დაეტოვებინათ კრება... ხედავდა მათ ზურგებს, როგორ გადიოდნენ დარბაზიდან წელში მოხრილები, თანახრილები, განბილებულები, შეჩვენებულები... მამ, აბა, როგორ უნდა ვგრძნობო, უნდა ენენიათ, უნდა შეემეიან გოგრებში, რო სხვა გზა არა ჰქონდათ, მთელი ქვეყანა იყო ჩაბმული დიად მშენებლობაში და ისინიც უნდა ჩაბმულიყენენ... კრების შემდეგ ნავიდნენ ისე იმ მეჭურჭლესთან, ჩარხის ჩამოსართმევად. ისხდნენ შუა ცხობი თავის დამტკრულ ქურჭელთან მოხუცი მეჭურჭლე და რძალი ნატო თავისი ექვსი შვილით, ჯამით კონინი ედგათ და აკონინებდნენ, რისი დაკონინებაც შეიძლებოდა... მინას ეჭამდითო... მინასაო... აი, ეს გალაყანი აეაშენე, სხვა არაფერიო... ჩემ მამა-პა-

პას ქურჭელი უკეთებია და რად გინდათ ხელი ამადებინოთ ქურჭლეს, კედეშუშე, შე ეს ვიცი კარგად, ეს უნდა მსჯელობოთ, რადა ხარ ეგეთი გაუგებელიო, ალიოშამ უთხრა, ვინ გიმის ქურჭლის კეთებას, შედი კოლექტივში და იმ აკეთე ქურჭელიო... თორე... თუ აქაურობა დაგატყუებინეს, ველარც ქურჭელს გააკეთებ და ველარც ვერაფერსაო... არ უნდოდა, არა, არა, კოლექტივში შესვლა, არ ესმოდა დიადი მიზანი დიდი ბელადისა: ჩამოყვალბებინა ახალი ტიპი გლეხობისა, საკოლმეურნეო გლეხობა! არა კულაკობა, არა სამშალო გლეხობა, არა ღარიბი და უღარიბესი, არამედ საკოლმეურნეო გლეხობა, ერთი მისწრაფების, ერთი სულისკვეთების, თავისუფალი შრომის ფერხულში ჩაბმული, გლეხობა, რომლის მსგავსი ისტორიას ჯერ არ სცოდნია... დიდი ბელადი ხომ ხალხის მსახურია, იმან ხო ჩვენზე ყველაზე უკეთ იცის რა და როგორ გააორგოს, გაიგაო, შეიგნეთ, თქვენთვისვე უკეთესი იქნებო! მაგრამ შეიყარე კედელს ცერცვი! ღმერთმანი, უფრო ადვილია კაცი მოკლა, ვიდრე გადააკეთო! ჩარხი კიდევ საბჭულში დაემალნათ, ბზე ჰქონდა მიყრილი, კარსუკან, კუთხეში, ვითომცადა არაფერი. გადაიჩრია მეჭურჭლე, სიმწრის ცრემლები წამოუვიდა, აი, მაშინ დასტაცა კეტს ხელი პატარა ბიჭმა, ხმალივით იქნევიდა... კიდევ კარგო, ფიტრობდა ალიოშა მერე, ძალიანაც კარგო, გაბრაზდა ბიჭზე და იმიტომ, გაცეცხლდა და იმიტომ... თორემ იყო რალაცა, რალაცა იმისთანა... ამ დიად იდეებს რომ არ ეპუებოდა... ამ ისტორიაში ჯერ არსმენილს, ჯერ არგაგონილს... და ეს რალაცა, ალიოშის დაუკითხავად, ალიოშასთანისაც მოულოდნელად და ალიოშას დასაბნეევად წამოშეყოფდა ხოლმე თავს... კიდევ კარგი იმეითად, ძალიან იმეითად, მაგრამ მაინც წამოშეყოფდა და ეს რალაცა სულ უბრალო ადამიანური შებრალება იყო. ხედავდა მოხუც მეჭურჭლეს დამტკრულ ქურჭელთან, ხედავდა მის კონინით დლაქულ ნაჯაფ ხელებს და ებრალებოდა... როგორც უნდა კლასობრივი მტერი ყოფილიყო ეს მეჭურჭლე, არადა იყო, ყველა მონაკლისი მიხედვით იყო... ოო, რა მავნე იყო ეს შებრალება, რა საჭოჭმანო ფიტრებს ალუბრავდა... მაშინვე საითკენაც მიჰყავდი, გიბიძგებდა, მუჯლუგუნს გაკრავდა, მაცდურად თვალს გიკრავდა, რომ გაიტყუებინე, მარაზიდან გადადევნავნე ეკალბარდიანი ბილიკებისკენ... ოპ, როგორ შეუტყვდა ხოლმე თავის თავს, როგორ ამუნათებდა, ვინა ვარ და ვინა ვგდივარ ბელადებთან შედარებითაო, მლილი ვარ და მეტი



არაფერი, მაშინვე აგიტსემინარისთვის დაიწყებდა მზადებას, მაშინვე გადაშლიდა ატალინის აგრარულ კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვებს, საკომპერენო მოძრაობის შესახებ ვრცელ მოხსენებას, სადაც ბელადი ისე მკაფიოდ, ისე შეუპოვრად, ისეთი შუველობით, ისეთი პრინციპულობით ანდაგურებდა კაპიტალიზმის რესტავრატორებს სოფლად, - კულაკობას, და როგორც მშვერალი მგზავრი საღ კლდეს, რომლის გულიდან მოსჩქეფს ანკარა წყარო სიბრძნისა - ისე მიეყუფებოდა, ისე მიყურებოდა, მიუჭს შეუშერდა ამ სიბრძნეს და მამობზე გაეფანტებოდა ის ფერები... მურყავებოდა თავისი უადგილო მშვერლობისა და ის უცაბედი, თავისდაუნებურად ამოფრქვეული შებრალება მცირე კლასიციტის მიხედვით გაეფანტებოდა... მყისვე გაუჭრებოდა. ეს არისო რევოლუცია სოფლად, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის ტოლფასოვანია, აი, რა შეფასებას აძლევდა დიდი ბელადი საკომპერენო მოძრაობას, აი, რა ამბავში იყო ჩართული ალიომა. კარგად მოხდა, კარგად იმ ლანჩაქმა კლკტი რომ მოიპარგვა, სუ კინდისკრით ნამოიყვანეს... ხო ინრუნუნა სარდალში ერთი ღამე... ჩარხიც ხევედუშასა აქეს, ნავიდნენ და სდიონ... შველენ კოლექტივში, სუ ფბაჭაგლეჯით შველენ, მეტი რა გზა აქვთ... „მოდა, რა ვუყოთ იმ ბიჭსა, უფროსო? ისევ ეკითხება მიტრო. „ნაუთაქე ერთი, ჭიტლაყიც ამოპკარი და გააგდე!“ აგ ჩემზე იყოს, მაგრამა... ხალხი თავპირს გვაქამს და რა ვქნათ... მალე მოიცლოთ?“ „ეიძმლო აღარაფერი აღარ დამიკადოთ!“ ალიომაშ თავის ქრეთი დახედა საწერ მაგიდას, „მალე მოვიცლი, მალე ბეკრნი არიანა?“ „საკპარიხა... დღეს ალბათ, ყველას ვერც მიიღებთ...“ ოპოპო, მთელი რაიონი გამსჭვალულია არაჯანსაღი სულისკვეთებით... „მე რო გადაეა, გალნა უნდა გავიდო, ცხენი დამჭირდება...“ სამი დღეა გამოვიდა ენისლადან, სამი დღეა პირში დავებდა და ვერც კი მოიცალა დაჯდეს შვიდადა და სახელი შეურჩიოს... ენაგამმოვადებული უელის რაიონს და თავის მოსაფხანთ დრო არა აქვს... მიტრო ის იყო უნდა გასულიყო, შემობრუნდა: „პოო, მართლა, უფროსო, თქვენი ნაცნობი მედუქნეა მოხული, სპირიდონა, ცუდად გახდა, სამორიგეში დაეპანეინე, ალიონას უნახავი ვერ ნაქლო...“ „სპირიდონა...“ გააგრძელა ალიომაშ და მიტროს ისე შეხედა, თითქოს რაღაცას ვარაუდობსო. „კეთილი, დაუმარხავი მკედარი გეკონებათ...“ „კაპლი დალეინე... კარგა მოსულეიერე და პირველი ის შემოვივანე...“ გავიდა თუ არა მიტრო, ალიომაშ გრაფინიდან წყალი ჩამოასხა, გული გაიგ-

რილა, და ისევ თავის წინდათანმინდა სუკ მინაობას მიჰყო ხელი... ისე დახდა აჭრელეზუდ თაბახს, დახედა და მარხდა ჩაფიქრდა... და, როგორც მოსხლოდნე... იყო, ენგელსისკენ გაექვა ფიქრი... მცირე შესეინების შემდეგ კდეე უფრო მედგრად შეუდგა თხზვას, წერა და შალა, წერა და შალა, მაგრამ ამჯერადაც ამოც, რადგან ვერც ლენინსტალინსა და ვერც მარქსს ენგელსი ვერ შეურნეა, არაფერი გამოუვიდა, არ მოხონდა და რა ექნა? ენგელნი... ლენინგი... სტალინი... რაღაც ემბლემახეით გამოდიოდა, ემბლემახეით თუ აბრევიატურასხეით... და თუ თაქიდურ მარკველებს აიღებდა არც მაინცდამინც თავკედურმა მარკველებმა გაუშართლა: მარსი... ენგელი... სტალინი... ლენინი... სტალინი... და ა. შ. რა ექნა, რა გზას დასდგომოდა! ზოგი თავისთავად უკვე სახელი იყო, მაგალითად „სტალინი“ და მეტრიკაში ჩანერის დროს ხომ არ აიღებდა და ცალკალკე არ ჩაანერინებდა სტალინსა და მარქსს? რა ექნა. რა ელონა, თავისი პირმშოსთვის, ეგრე ძნელად დაბადებული სთვის, რის ვაივალახში მოვლინებული სთვის ამ ქვეყნად ღირსეული სახელი ვერ მოგონა მამას! „მარია“ იყო და, ყურო ნუ გაიგონებ, ღმერთის სახელი, უღმერთის სახელი, კანჭირის აქტიური ნევერობის დროს, სწორედ იქ გაიგო, მეცადინეობაზე, მარსი რო ღმერთის სახელი იყო, აღარ კი ახსოვს რომელი ღმერთისა, მაგრამ ღმერთის სახელს ხო ვერ დაარქმევს შვილსა, კაკლის ძებნაში კატას ხო არ გამოსთბრის? აი, ამასა პქეია ვერიდებოდი ღოლოსაო... რაღაცა ხიფათს არ გადავეყარო ამ სახელების ძებნაშიო. თუ გადავიდოდა მეორე რანგის მოღვაწეებზე, რევოლუციის მეორე და მესამე რანგის ბელადებზე, ძალიან კობტა და პატარა გვარები იყო ფრუნზე და შორსი, მაგრამ აქაც ყოყმანი დაიწყო, რაც შეეებება შორსს, ეჭვი არ ემარებოდა, რომ „შ“-სა და „ჩ“-ს ერთად ქართველები ვერ გამოთქვამდნენ და „პორსი“ გამოვიდოდა, და ესეც რომ არა, რადა და რისთვის? რაც გინდ, კობტა გვარები ყოფილიყო და სახელად გამოსაყენებელი, მთავარ ბელადებზე უარი ეთქვა და მეორე რანგის ხალხს გამოსკიდებოდა, ამავღე თუ ნაფილოდა, ავე, მის მარჯვნივ, მალა, ფელიქს ძერეთინსკის დიდი სურათი ეკიდა, აიღებდა და ფელიქსს დაარქმევდა, - მათი ორგანოების სულისჩამდგმელი, გეპეუს მფარველი, შეუდრეკელი, რკინის ფელიქსი... ფელიქსი... ფელიქსი... ფელიქსი... არავითარ შემთხვევაში, ფელიქსი ხო თელავის თეატრის მსახიობ უზუნამვილს ერქვა, ხალხი ამ სახელს მსახიობებსა და პამპულებს არქმევდა, თელა-





ველი მსახიობის სახელს სწორედაც არ და-  
არქმევდა თავის ვაჟს, არა და არა! მართ-  
ლაც და მართლაც. გააგულისებით  
ფიქრობდა, თითქოს ვიღაცის წინაშე თავს  
იმართლებსო, მამა ვაარ, უცხო ხო არა ვარ  
და პირველ რიგში მეც ხო უნდა მომწინდ-  
ესო, ყველაზე ბევრჯერ ხო მე უნდა ვთქვა,  
მე უნდა დავეუბნო ჩემ შვილს სახელი და ხო  
უნდა მიხაროდესო! ადგა განარებული,  
პიროვნებებს მოეშვა და ლოზუნგებზე გა-  
დადიდა, ჩვენი ქვეყნის გზის მიმცემ, რევო-  
ლუციური პათოსით სავსე, საპროგრამო  
მნიშვნელობის ლოზუნგებზე, იქნებ შე-  
ნადგენელი სიტყვების მარცვლებისაგან  
რაიმე გამომდნარიყო. რამდენიმე  
ლოზუნგი აიღო: „გაუმარჯოს მსოფლიო  
რევოლუციას!“ იმიტომ რომ ძირითადი და  
უპირველესი მიზანი იყო მსოფლიო რევო-  
ლუცია, მთელი მსოფლიოს განთილება...  
დიდი ბელადის უპირველესი საზრუნავიც  
ხომ მსოფლიო პროლეტარიატი იყო, საცო-  
ნაო, დაბეჭავებული, დამონებული, იქ კა-  
ციქამია, კაპიტალისტების ხელში, აი ვის  
უნდა ეტყოს დედაო, აი, ვინ არის თვალგ-  
დასაოხრელი, ერთი მიპიშვან და მე ვუწ-  
ვევებ სეირსაო, ქედზე ხუნდები რო დაადეს  
საცოდავ პროლეტარებსაო... მხოორე  
ლოზუნგი სწორედ პროლეტარებს შეეგბ-  
ოდა: „გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარი-  
ატს!“ მერე ხო მიაყოლა და მიაყოლა, თაბაზი  
სულ გაქვდა, „გაუმარჯოს ოქტომბრის  
რევოლუციას!“ „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“  
ახლა აქ ლოზუნგების ნაღმა-უკულმა  
ტრიალი და მარცვალთა შედგენა დაიწყო...  
ბევრი იმტყრაო თავი, ბევრი ივაგლაზა, მაგ-  
რამ ვერაფერი სასიკეთო ვერ გამოიყვანა.  
გაახენდა ერთი ასეთი შედგენილი სახელი,  
რაჭველ ბიჭს რომ ერქვა - „დისტანტო“ -  
„დად სტალინს გაუმარჯოს“, - მაგრამ მყის-  
ვე უარსყო. დასტამბოსავით გამოდისო...  
ვერაფერი, ვერაფერი ვერ გამოადნო...  
მარტო სახელებზე ხო არ შეეფიქრდოო,  
გულზებში გაპკრა, მაგრამ ვლადიმერი და  
იოსები რომ დაერქმია, ეს არაფერიც არ  
იყო, სოსოსა და ლადოს დაუძახებდნენ და  
მიდი და მიხვდი ვინ სოსო და ვინ ლადა,  
შორს რომ არ ნავიდეთ, ქსენოს მამასაც  
იოსება ერქვა და ყველა იმას იფიქრებდა  
სიმამრის სახელი დაარქვაო, მამა უცბორ-  
და იოსებას, იგეთი შეუგნებელია, იგეთი  
შორსუფერტი, როდემდე, როდემდე უნდა  
იგმინოს ხალხმაო. მეტი საქმე არა აქვს ალი-  
ოსას?! თანაც არც იყო მოადამი შაპიბისა და  
ბებიების სახელები, აბა, ვინლა არქმევდა?..  
ოპ, რა დამნაშავედ გრძობდა თავს, რა დამ-  
ნაშავედ... აბაო შრომამ კიდევ უფრო გაუ-  
მძაფრა იმღამინდელი ამბით გამონვეული

შეცუბუნება და შემფოთება: პარტიული კაცი,  
ჩეკისტი კაცი, უღმერთობისუკეტოფრე მწყერი  
უცებ, თავისდა მოულოდნელად მიწვევებზე  
რო დაემხო და ღმერთს შეელა სთხოვა! არა-  
ვის რო არ დაენახნა, მაშინაც კი შეაკრთობ-  
და და შეამფოთებდა თავისი ის ყოველად  
ულირს და გაუმართლებელი საქციელით,  
არადა ბებიაქალმა დაინახა, დაინახა, ბიჭის  
დაბადება რო ახარა, სიცილით ჩაუნის, კარ-  
ტა, ჩანის, კარტება იყო, აბა, მამ რაა, იმის  
მაგივრად ისე დაეჭირა თავი, ვითომ ვერც  
შენიშნა, ვითომ ვერც მიხვდა, სწორედაც  
ნიშნისმოგებით ჩაუნის, კარტა, ეგეც თქვენი  
უღმერთობის კავშირის აქტიური წევრბაო,  
ეგეც თქვენი ღმერთის გმობაო, ამას ნიშნა-  
ვდა ის ნათქვამი, მამ რასა: „თქვენმა ლაკვ-  
ამაც უშველა, ალიომა, ღმერთმაც გადმო-  
გვებდა“ ბებიაქალის მიმართ ბოლმით ევსე-  
ბოდა გული... რა სიფრთხილე მართებს  
კაცს... თუმცა სიფრთხილემიც არ არის  
საქმე, გაფრთხილება იმას უნდა, რაც იცი  
რომ გასაფრთხილებელია, და ამის ნაშრო-  
მდგენა როგორ შეეძლო კაცს, რომელსაც  
არასოდეს არ ულოცია ბავშვობის შემდეგ  
და ღმერთი, ხატი, ლოცვა, მღვდლები და  
ღვთის მსახურები რევოლუციის უპირველ-  
ეს მტრებდა ენახებდა... და აი, შაჟალისტა,  
მუხლებზე დაეფარა... გონდაკარგული იყო,  
აღარაფერი არ გაეგებოდა... სამი დღელამე  
იტანებოდა ქსენო, აწინდა და ვერ აწინდა,  
კინალამ გადასყვა მუცელს... მთელი ღამე  
თვალთ არ მოუღუქავს ალიოსას, მთელი  
ღამე აივანზე, ბოლთასა სცემდა, ხან ჩაი-  
დოდა ქვევით, ეზოში, იქ გადი-გამოდოდა,  
ვახშმობითაც არ ივანშმა, ლუკმა არ გა-  
დამივა ყელში, ქსენო ვერ რო ენამებოა...  
ენლა კი არა, თუნდა ერთი კერა საჭმელს  
არ შეეჭამ, ოღონდ რამე ეშველოსო. დადი-  
ოდა... დადიოდა... დადიოდა... მერე გამოი-  
ქცეოდა, იქნებ ამასობაში ეშველაო, მაგრამ  
არაფერი, ქვევით ოთახში ისევ ისე ისხდნენ  
ქსენოს მამა, მამა და მკვლელები,  
ვახშმობდნენ და სევამდნენ, ქსენოს დედაც  
ისევ ისე ეყუწცა აივანზე, ფანჯარასთან  
მიმდგარ ტახტზე და ქსენოც ისევ ისე ენამ-  
ებოდა... შევიდოდა ოთახში, ფეხაკრეფით  
მიუახლოვდებოდა ძველებურ, მალაღ,  
რიკულეობად ტახტს, დაინახავდა ქსენოს  
ნამებისაგან ნაშლილ სახეს, სადღა იყო ის  
ლაშაზი გოგო, აღარაფერი აღარ ჰქონდა  
თავის ადგილზე, აღარც ცხვირი, აღარც  
პირი, ყველაფერი მიშლილ-მოშლილი  
ჰქონდა... როცა ყვიროდა და ნიოდა, სამინ-  
ვლება იყო, მაგრამ კიდევ უარესი ის იყო,  
რომ თითქოს ყოველგვარი ხმა უკვე დაეხარ-  
ჯა, და აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა, გას-  
ავეათებული იდო: ზენარგადაფარებულ



ტახტზე, ხელეობით ტახტის რიკულებს ეჭიდებოდა და ძლივს გასაგონად, სუსტად ამოხსაგლებდა ხოლმე... ბებია ქალი კი, მშვიდი, ფაშაფაძა ქალი, დინჯად, აუღილეებლად, ნაკეთი რო არ ახსტკებია, ისე, ქსენოს ზეინებით ნამომდგარ მუცელს უზხელდა. ალიომან კი არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, რამო მოქმედა, რომ ეთქვათ, თუნდ საკირში ჩახტებოდა, ოღონდ ქსენოს შველებოდა... არ შეეძლო, აღარ შეეძლო ალიომას ეგრე გულზელდაკრფილი ცდა, როდემდე, როდემდე, ესმის, განა ისეთი გაუგებელია, არ ესმოდეს, მშობიარობას თავისი მსკლელობა აქვს და ეგ არაფისზე დამოკიდებული არ არის, მაგრამ როცა ეგეთი გაჭირვება, რადუნდა შეონდეს მარტო თავისი თავის იმედი ამ ბებია ქალს, რადა! „გქონიათ ეგეთი შემთხვევები? ხმა გაიმკაცრა ალიომამ. ბებია ქალმა თავი დაუქნია. „იქნებ ექმით მოგვეყვანა? შილდიდან ან ყვარლიდან გამოვიყვანდი ექიმს!“ „ჯერ კიდევ დაეუცვადოთ...“ თუ დილაშვედ არაფერი იქნება, შილდაში პროფესორი ისვენებს და ის გადმოვიყვანოთ“. რა საქირთა ცდა, რა საქირთა, არ ვისმის ალიომას, ვინ იცის, კლასობრივი მტერიდა და საქმეს განცებ აჭიანურებსო, განცებ აფერებებსო, როგორც საქირთა, ისე არა ცდილობს, ისე არა შველისო. კლასობრივი მტერი თუ რკინიგზებს აფეთქებს, ენებას სხვაებს, საქონელსა სნამოღვარსო კოლექტივში არ შეიყვანოს, ვინ იცის რა მანებლობას აღარ ეწყება, რომ თავის რევოლუციას მონაპოვარსო, ერთი ბალღის არგამწაც რამეო კლასობრივი მტრისთვისაო? „მერე უკვე, თავის კაბინეტში სწორედ ეს უკერიდა, ეს აოცრებდა, თავისი თავის წინაშე თავს იმარტობდა: იგეთი სიფხიზლე მათქვს იმდენად ჩახმახზე ვარ შეყენებული დღენსადაგა და არცერთი წუთით, თვით შვილის დაბადების დროსაც კი არ მაინყდებია მშაფრი კლასობრივი ბრძოლა, უკიდურესად გამწვავებული კლასობრივი მეტა კლები, იმდენად რომა, ბებია ქალშიაც კი ეჭვი შემეპარაო და ეს როგორ მომივიდაო, მუხლებზე როგორ დაეცვიო...“

ჩაქვიდილ ნაყოფს თავზე მამები დაადო ბებია ქალმა და პატარა გირი დაჰკიდა... ამ ამბავთა ალიომა ისე შეაძრწუნა, ეხლავე გაეჭქნდები შილდაში და პროფესორს მოვიყვანო. მაგრამ ქსენომ რო გაიგო, ხელეები გაასავსავა, მე აღარაფერი მეშველება და არ მინდა უშენოდ მოეკვდეთ, არ ნახვიდეთ, არაო, თავს იქნედა განამებული, ცოცხალს ეღღარ მომისწრებო... ველარო... და აი, სწორედ მაშინ, ქსენომ რომ წარმოიდგინა, ნაეა ალიომა და მე მოეკვდებით, სამინელი ხმა აღმოხდა, თითქოს ქსენო კი არ იყო, მისი

ბნელი სტომაქიდან თავისთავად მოედინებოდა ეს შემადრწუნებელი ხეყვალ აუტანელი... გაუსადღისო... თითქოს დაეჭქნა აუნდენელი სიღრმეებდან მომდინარე და უსახლგროდბასთან შენივთებული. ამ ხმამ თავზარი დასცა ალიომას, ამ ხმამ მთავარცნება დაუკარგა, გალიაში გამომწყვდეული ნადირივით დაბორილდა, ფანჯარას ეცა, სწორედ იმ ფანჯარას, საიდანაც დილის რიჭრაქში გრემის მთავარანგელოზის ტაძარი იღანდებოდა, სხვა დროს ლამის თვალში ეჩხირებოდა ეს ტაძარი ალიომას, ახლა კი თავისდა მოულოდნელად მუხლებზე დაეცა, პირდაპირ ტაძრისკენ გატყორცნა ხელეები და „ღმერთო გამომშხვე, ღმერთო გვიშველ, გრემის მთავარანგელოზოვ, ქსენო მომირჩინე, გივედრები, გემუდარები, მომირჩინე, ნუ გაგვნირავ, ნუ გაგვიმტებს ნუ ნუ ნუ...“ ევედრებოდა ღმერთსა და მთავარანგელოზს და ველარ ჩერდებოდა. უნდა ეძახა ეძახა ეძახა, რომ აღარ გაეგონა ის სამინელი ხაკილი... რომ ეშველათ, ნყალობა მოელოთ, გადაერჩინათ განამებული მშობიარე. უცებ სიწუმე ჩამოვარდა. „ბიჭია, ბიჭია!“ თქვა ბებია ქალმა.

ენია თაიო... მის თვალებში ისეთი თანატრელობა გამოკრთის, ისე შეუზოხლებვედ წყნელ წნდს ოფლს და ანეგდის კოვხით ტყუილწიქვს ყოვლად უღირსს და დაცემულს... გაანაგებულს... მალალი კელაპტარი პარპალეხს მაგადაზე, ხილით სავსე ზონის კიდზე, სანთლის ციმციმზე თვალს გაუშტერდა... მამა ლუკა დაუდგა თვალნინ... წმინდა გიორგის ფერდაზე რო მეხედა მამონ... გაანერა თავისი სახედარი და უკულმა შემოხედა, არ გირჩევე, სპირიდონ, ლეთის საგმობი პროკლამაციების გაერცვლებასო... იმდენი ბოროტებაა დედამინაზე, ღმერთზე ბოროტი აღარავენ გეგულენა? აბა, დაფიქრე, შეილო, რას სჩადიხარო? ჩამოხტა სახედრიდან, ბალახზე მიუშვა სახედარი, თვითონ კი ფერდაზე ჩამოხედა... ვინ იცის, იქნებ კიდევაც დადგეს დრო და ადამიანი იმდენად გადასხეაფერდეს, ღმერთისკენ აღარ გაიხედოსო, მაგრამ აგრე ნაძალდეკვად, აგრე ლანძლეა-გინებით როგორ იქნება ღვთის გმობაო, ეს ხო იგივეა და კიდევაც მეტი, სინდის-ნამუსის გმობას მოჰყვეს კაცო... ეხლა კიდევ როგორ უნდა დამტური სიყვარული... სწორედ დამტური... ჩემი ძმის მზემო... ჩემი ძმის სიკვლავლებო... ჩემი ძმის შერჩენამო... სხვა ყველაფერი სიცრუე და ონბახობაა... სხვა ყველაფერი სურვილია... ბნელი და შეუცნობელი... „რუსუდანო... საგზლად ჩამყვება შენი ადამიანობა...“ „აბა, ეს ერთი ლუკმაც გადაყლაპე და საგზალი აღარ დაგჭირდება, სპირიდონ“ მხნედ თქვა რუსუდანმა, დაჯერებული კილოთი და ბოლნისოიანს კოვხი ისევ ჩაუღო პირში სპირიდონას. ძალა დაატანა თავს, ოპ, როგორი ძალა და ძლივს გადაყლაპა, ამ ქალის ხათრით, რომ არ გაენბილებინა მისი ზრუნვა და გარჯა. „ზიარებისთვის კმარა, რუსუდანო... კმარა... მეტიც არის...“ „კარგია რო ზიარებასავით მიიღე ეს ბოლნისო, სპირიდონ, უკვე შეგერგება, ყუათისაც მოგცემს შინ ჩასვლამდე...“ ხვალ დილით... ხვალ დილით დაესხმინ თავს... ვერავენ ნახეს ვინც გასცემდა... ვერავენ... რატომ... რატომ... მანია ხო ყველგან მონინავე იქნებოდა და თითო საჩვენებელი... შესულიყო თავისი ნებით, რა მოხდებოდა... რად აიძულა სპირიდონა, რადა... ოპ, როგორი მძიმე დღე გამოვიდა, რუსუდანო... მძიმე... მძიმე...“ ხმა ჩაებრინა, ყბა მოეკცა, თითქოს შევლას ითხოვსო, ხელი გამოუწოდა რუსუდანს... „არა თქვა, სპირიდონ, არა, ფერიცვალეება დღეს, კაცო, ფერიცვალეება...“ რუსუდანმა თეფში მაგადაზე გადადგა, ხელი დაეჭირა სპირიდონას: „სიცხე გაქვს ნამდვილად, აი, საცაა ვანო მოვა და ჩავიყვ-

ანა... ნემსებს ხო იკეთებ... „ალარაფერი არ მინდა, ალარაფერი... სიკვდილი მინდა... სიკვდილი... ხო მაზიარე კიდევ და...“ რუსუდანი დაიხარა, სახეში ჩახედა, მისმა სახონკვეთამ შესძრა: „ჩემო აპირიდან, აღსარების გარეშე აბა, რა ზიარებაა, გული გვიმაგრე, კაცო, ხო თქვი რო დღეს შენ ტყუილად არ გივლია, რისთვისაც იყავი გამოსული, მიგივლია...“ სიტყვა მინდოდა შენთვის ჩამებარებინა... რუსუდანი... სიტყვა... გულში იგრძნო, ერთბაშად წითლად შექცდა ტუჩები... რუსუდანი გაიქცა, ტამტი მოიტანა, შუბლი დაუჭირა, აღებინებდა ხმაურითა და ხლუჭუნით, ამოსდიოდა წითლად და ყვითლად ბოლინით და ბაღში... გაღაბულმა და გასაქათებულმა თავი გადაადგო მუთათაზე, რუსუდანიმა პირი მოსწმინდა, შუბლზე გადასკდარი ოფლი შეუმშრალა, პირში წყალი გამოაუღებინა, ტამტი გაიტანა და ალაფის ანჯამების ხმაც გაიგო, ეს ნაგვოდელ ვანო იქნებოდა და აჩქარდა, ბეგოვკა არ შემოიყვანოს, სპირიდონა ჩასაყვანი სახლში, ცუდად არის და ბარემ ჩააყვანო, უთხრა. ფეხზეც ველარ დადგა, ფეხები ალარემორჩილებოდა, აიყვანა ხელში ვანო, წაიყვანა და გრევექ ჩასვა ბეგოვკაში, თლითიან გვერდზე მოუჯდა, მხარზე ხელი მოხვია, მკორეში ადვირი ექირა, აქინა და გაქუსლეს. სანამ სახლში ჩაიყვანდა, მანანარაზე, ისე იყო მიმკვდარებული, თვალბდაბუქული და დადუშებული, ვანოს გუნებაში გაქურა, ნეტავ ხომ არაფერი დაემართათ. „ძია სპირიდონ, ძია სპირიდონ ჩასძახა სახლს რომ მიუახლოვდნენ და მამინლა გაახილა თვალები, და თვლის კაკლებიც მტკიოვან, თქვა. ევა გამოეგებათ, სამეველად, მაგრამ ვანომ არ დაანება, ისევ ისე აიყვანა ხელში და საწოლამდე ასე მიიყვანა, კარგად იყავითო, უთხრა და გაბრუნდა. ევა ხდიდა ტანსაცმელს, დილანდულზე კიდევ უფრო მეტად გრძნობდა ოფლისა და სიღამპლის სუნს, ბრწინის სუნს და სახეზე უნებლიედ ზიზღი შეინდა აღბეჭდილი. ჩქარა, ჩქარა უნდა გაეხადა, რომ განზე გამდგარიყო და ეს საზიზღარი სუნი აღარ ეგრძნო. „ხელი ნუ მატკინე, ქალ... იგრედაც ძვლები მტკივა...“ თვალები ააჭრიალა, ევას ახედა და თუმცა მან, როგორც ყოველთვის, მშვენიერ სურნელი სდიოდა, ისეთი სიძულვილი იგრძნო, ისეთი გაუვალი სიძულვილი, უნებოდ დაინკმუტუნა, სწორედ იმ ბოგანო ქალივით, თვითონაც შეაკრთო თავისმა სკმუტუნმა და ოხრასადა კვნიას მოიყვანა. რამოდენა ცოდვები აკიდა ამ საზიზღარმა ქალმა. თუ უბედური უნდა ვყოფილიყავი უამალქაჯოდ, რა ბედნიერება იქნებოდა ის უბედურებო. მაინც მთელი სიცოცხლე მალ-

ლუმადურად გამაჭარბებინაო. „რა ქერი, გააკეთე, რისთვისაც იყავი მსხვერპლმსხობა და თან დაიხარა წაღებინა...“ აკეთე-აკეთე-აკეთე... გავაკეთე... ქოთანი მომიტანე, მომარდეა მინდა... „შორი ხო არ არი, კაცო ვერ გახვევალ შენ თვითონა და ვერ მომარდევ, დამეყრდნე და გაგიყვანე...“ ფლოსტებში ჩაადგმევინა ფეხი და მზარი მოუშვირა. მაგრამ სანამ მიალწევედნენ აიენის ბოლოს საკუჭნაომდე, შტეორტმანდა, ნაბარგანავედა, ევამ ველარ შეიკავა, ნაიქვა და მარდელ იქვე გაუვიდა, გუბე დააყვანა, იჯდა ამ მარდის გუბეში, აცეცებდა თაფლის და ევას ხელებს უწედიდა. „წმინდე ეხლა... არ გერჩინაა მოგეტანა ქოთანი... არ გეკადრებოდა არაა?“ „გადაგეფსა მუაჯირიდან ქვევით ეხოში, რა იქნებოდა ჩემი ჯიბრით რას არ გააკეთებ?“ ძლივს, ძლივს წამოაყვანა, იქვე სკამზე დასვა, მოლორთხილი საცელი გამოუცვალა; ჩვარივით იყო, ხელები ტოტევივით დააკვდა, ნიფხავიც ვერ გამოიკრა: „გისხაროდეს... გისხაროდეს რო აგრე მზედა...“ „მეტად სასამური დასახახი უი ხარ, აი“ ეცადა სკამიანად გაეცურებინა, მაგრამ ძერა ვერ უყო, ისევ წამოაყვანა და რის ვაიე-აგლახით მიიყვანა საწოლამდე. ვარვარებდა. ტუმბოდან სიცხის საზომი აიღო და მიანიოდა, გაიხომოე. მოახერხა და ხელი უკრა თერმომეტრს, არ მინდაო, იატაკზე დაეარდა და გატყდა თერმომეტრი, წერილ მარცვლებად გაიბნა ვერცხლისწყალი. „რა ჯიბრს მინე, კაცო, რა გინდა, რაა!“ „მძარცველი ხარ, მძარცველი და იმიტომ! გამძარცვე თავიანფეხიანად! სამინელი ხმით ამოიხრიალა და მოწყვეტით გააქრდა, ერთბაშად, წამოჯდა ლოგინში, შიშით მარები აინურა და მალლა დაიწყო ყურება. ევა ცოცხლისთვის იყო შებრუნებული, სწრაფად შემობრუნდა, რომ არ შეერჩინა სპირიდონასთვის ეს სამინელი სიტყვა, მაგრამ მის დანახვაზე გააქრდა და ზევით აიხდა: „ჯობი შემოიტანე, ჯობი... რა სამინელი ფრინველი... გასნი... გასნი... რამოდენა ნისკარტი აქვს, დასრენილი... კლანჭები... გასნი...“ ევამ ვერაფერი დაინახა, სპირიდონა კი საწოლის თავზე მოფარფატე უხარმაზარ შავ ფრინველს ხედავდა, თავს დასტრიალებდა ეს სამინელი ფრინველი და თანდათან სულ უფრო და უფრო ავიწროებდა წრეს... სპირიდონა გადაწვა ბალიშზე და თავზე ზეწარი წაიყვანა... ფრთების ფრამუნი ჩახსმა... გაითანგა... მერე კი ხელების ფათურს მოჰყავდა და ალარაფერი რო არ დახედა, გადაიხდა ზეწარი და ევა კი შერჩა საწოლთან. „ფასკუნჯი იყო... ნახე... როგორ დამაცხრა...“ „სადაც არის ანიკო მოვა და ნემსს გაგიკეთებ... თქვა ევამ, „მეტყველე გავიკეთე“ გავიდა, სამზარეულოდან ჯამით ტლე გამ-



ოიტანა, ტილო ამოვლო ტლემი და სპირი-  
 დონას მუბლზე დაადო. სპირიდონა გულისხ-  
 მამი ჩავარდა, ევას შეეხდა და გაიცინა... რა  
 ცუდი დასანახიო, გაიფიქრა ევამ, გაძველ-  
 ტყავიბული და კბილებდაკრეჭილი... არას  
 იფინი კაცო, რა იყო? „შენ ტლეს მადიდ დაა...  
 მე კრდევი... გიო მოეკალი...“ ის, რასაც მთელი  
 სიცოცხლე მალაევდა და ჩქმალაევდა, რაც  
 ღრმად მქონდა ჩამარბული თავისი სულის  
 აკლდაშამი და ლოდიც მიგორებული, ის  
 ახლა აი, ასე უბრალოდ გამოიხმო დღის სი-  
 ნათლეზე... რადგან მოწვენილიყო ჯამი თქ-  
 მისა. ნვერი რო გაიპარსა გუშინ ხალამოს,  
 სამართებელი იქვე ფანჯარაზე, დარაბის  
 უკან შეინახა, იყოსო, აქვე, ჩემს გვერდითო,  
 იმედად და ნუგეშადო... ოპოპო, ამ ქალთან  
 ძალუბადურად ცხოვრებით გამწარებულს  
 რამდენჯერ უფიქრია და დღესაც ალიოშას-  
 თან აკი ისევე გაპკრა გუნებაში, ტყუილია არ  
 აებობრგები ამ ქვეყნიდან ისე, რომ ამ აღქა-  
 ვს სიამაბილუ არ ეუთხრაო... მანისას ვერა...  
 ვერა... ვერა... ვერავითარ შემთხვევაში...  
 გულმუცელი, ისეც ამღერეული, უარესად  
 ემღერევა... ისე ნაეა, რო ვერაეინ ვერაფერს  
 გაიგებს... ვერა, ვერა... ამისი ჯაგრი კი უნდა  
 ამოიყაროს... ღმერთო, ღმერთო, საიდან გა-  
 ახსენდა, მნათე რო ამბობდა ხოლმე: იფქლისა  
 ნილ აღმომეცენინ ჭინჭარი... მოიგონოს ის  
 ღამე, ის შორეული ღამე, მოიგონოს თორემ  
 დიდი წეალება დაქირდება, თორემ დაწერი-  
 ლებით არ ახსოვს როგორ იყო და რანაი-  
 რად... როგორ ზედავდა მის გადახნიეილ,  
 კონტად მოყვანილ ზურგსა და კეფას...  
 კეფას... სამიზნეხაეით... იცის, იცის... მუშტი  
 აქვს ისეთი, ყურს უკან რო ჩასცხოზოს, სულს  
 გაადრთობინებს... ეხლა, ალბათ, ჩონჩხილა  
 დარწიაო, რამდენჯერ უფიქრია, ალბათ, სულ  
 ჩაიბალა და აღარაფერი დარჩა, იმისაგანო...  
 უნდოდა ჩონჩხად ნარმოედგინა, მაგრამ მშ-  
 ვენიერი კაცის ცოცხალ ხატს ვერ იცილებ-  
 და ხოლმე, ზოგჯერ მაინც ისე მკაფიოდ, ისე  
 ცხოვლად დაუდგებოდა თვალწინ... ღამის  
 ესმოდა ცეცხლის ტკაცუნეი, აბრიალებული  
 ფიშხის ძგრილი... ხინკალს მოუხუხვეყო... ბა-  
 სტურმა მაქვს კარგიო... არა, არა, ეს უკვე  
 მეტრსმეტი იქნებოდა... არც ეგეთი უნამუსო

იყო... შოდა, აი, დადგა უამი... გაილო ველ-  
 დამის კარი... ლოდი გარდაგოწიქეწეწე წაღ  
 ტილონი შეკეცილო... ფეგგალო მწმეკკ  
 გულხელდაკრეჭილი, ქანდაკებახაეით... თო-  
 თქოს არ იცის რა თქვას და რა ქანსო... შერე  
 შებრუნდა, მე ტყვი ნაეალო, თქვა, კარი გაი-  
 ხურა და ნავიდა... ის კი დარსა მარტო,  
 ხასტიკი შეტევის მარწუხებში მოქცეული,  
 ცნობიერება ებინდებოდა, ბოდაედა... ევე-  
 ლაფერი გაორებული ეჩვენებოდა, ვილაცის  
 ჩრდილებს ზედაედა... აგერ ამ ჩრდილებს  
 გამოეყო ერთი ჩრდილი და კარებთან აიტუ-  
 ზა... შერე კი წამოვიდა, წამოვიდა პირდაპირ  
 მისკენ, ღმერთო რა მშვენიერია... მოდის,  
 თითქოს მოცეკვავესო, საკვირველი სინფრი-  
 ლისა და სიფაქიზის კანჭებს იქნევს, ცალი  
 ფრთა ევერცხლისფერი და გამჭვირვალე,  
 ხალეებიანი ფრთა გაუშლია, მეორე ფრთა კი  
 მხარზე გადაუგდია შარფივით, ატმის ნახი  
 ბუსუსივით დაფარული მოშველი მუცელი  
 მოუჩანს, სახე აქვს უკანაური, ვინო, ვინო,  
 ზევიდან ამომსხდარი მრგვალი თვალეებით  
 მისჩერებია სპირიდონას, ხორთუმივით ნეს-  
 ტარს კი სისხლის მოლოდინში ნელა ატოკე-  
 ბს... ავინა ხარ, ვინა, ვინა, ვინა! ბოდაეს  
 სპირიდონა. აი სულ მთლად მოუბახრედა,  
 მეორე ფრთაც გამაღა, სპირიდონა ზედაეს,  
 ისე მკაფიოდ უწერილეს ხაზებს და ხალეებს...  
 თვალეები უჭრელდება... ვერცხლისფერი  
 მჭეია, ესმის სპირიდონას, ვერცხლისფერი...  
 „მომშორდი... მომშორდი...“ ხრიალებს სპირი-  
 დონა... ღამის დაუსკდეს ყელის ძარღვები...  
 ღამის გააცხოხოს სული... უმწეოდ იქნევს  
 ზელებს და ვერაფერი გაუნყვია. რა მშ-  
 ვენიერი ხმა ჰქონია... რა მომწუსხავი ხმა...  
 არც ზუზუნებს... არც წრის... „შენი სისხლი  
 მწყურია... ხომ იცი რომ ასეთია ჩემი ნესი...  
 სისხლი... სისხლი...“ სურვილისაგან შეტოკ-  
 და, შეტორტმანდა, ხორთუმივით ნესტარი  
 კიდევ უფრო აასავსავა, მსუბუქად აინია  
 თავის დაიახსრულ ფეხებზე, აფრინდა და ის  
 იყო სპირიდონას გაღელილ გულზე უნდა  
 დაშეებულიყო, არაადამიანური ხმით იღრია-  
 ლა სპირიდონამ არ დაგნებდები, არაო!  
 დარაბა გაარახუნა, სამართებელი აილო გა-  
 ხხნა და გამეტებით გამოიხევა ყელში.

**„განირვა და დაიწყება ჩემგან თქვენი არ იქნებიც.“**

შემემინდა, ოპ, როგორ შემემინდა, მომეწე-  
 ნა, სარდაფის ქერზე სისხლი ჩამოდიოდა  
 სპირიდონას გამოლადრული ყელიდან.  
 საკვირველი რამ არის შიში, ბებიას ხომ ეძი-  
 ნა და ერთი თალია ისიც კი მომეწვენა, რომ  
 ბებია ამ სუნთქვა შეაჩერა, ბებია ევას ნაკუნე-  
 ბის აბანის კი სწორედ სუნთქვისაგან აფი-  
 ჩადიოდა. კარდასულ განცდებს ზოგჯერ

უნარი აქვთ აღდგინის; აღორძინების, იქნებ  
 მკირე ხნით, გაღლებასაეით, მაგრამ მაინც.  
 მეც ის შიში აღმიდგა, ძია გიგლას სარდაფში  
 ჩამოსვლის ღამეს რომ განვიცადე. შუა-  
 ღამისას გამეღვიძა, ბებია და ბებია ევეა შმა-  
 დაბლა, ღამის დღეულით იგონებდენენ სპი-  
 რიდონას თვითმკვლელობის ამბავს, ტყვიდან  
 რომ დაბრუნდა ბებია ევეა და ოთახში შევი-



და, სიხსნით იყო იქურობა გადანი-  
თლებული... მე მაშინ ყოველივე იმის გამო,  
რაც იმ სარდაფში ხდებოდა ისე შევძრუნდი,  
ბებიას შეეშინდა, „ბავშვი დაიზოფრებაო“ და  
მალევე მაკასთან გადავედით. ახლაც ის ღამე  
გამახსენდა... ბედად შეუქაც იკლო, ღამის  
ჩამოსხმელდა სარდაფში. მიცვალებულის  
თავთან სანთელი ჩამწვარიყო, ბუხარშიც  
ციცხლი მიინავლა, მხოლოდ სანანდილე  
ხორბალი ჩემად ოხრავდა... ვიცოდი ბებია  
ღიძვანს არ მისცემდა ძილს თავზე, რაღა კა-  
კელის მტყერვეთი გავაღვიძო მეთქი, ვიფიქრე,  
ბუხარს შეშა ჩავეშაბე, მიცვალებულის  
თავთან კელაპტარი ავანთე და ბუხარის  
თავზეც ერთი ხუთი სანთელი ჩავამკრივე...  
და ბებიაშაც არ დაახანა, ქყიტა თვალები,  
და რა თქმა უნდა, მამინვე კაკლის მკითხა,  
დამტყერეო? რომ იცოდე მეთქი, სიცილით  
ეტხარი, შენი ანდერძის აღსრულებას აქე-  
დანივე შევედექი და სულ სპირიდონაზე  
ვეფიქრობდი მეთქი, „ჰოდა, რა მაინტერესე-  
ბს, ბებო, ეს მე ვიცოვდი, სპირიდონამ მანია  
რომ გასცა, დაფიცებულიც ვიყავი, არსად  
არაფერი მეთქვა, ბებია ვეაც ისე წავიდა,  
ღიანდე და მისთვისაც არ გაგიმზელია, გამ-  
ოდის რომ მხოლოდ და მხოლოდ შენ და  
დედად იცოდით ეს ამბავი და საიდან იცო-  
დით, თქვენ როგორღა გაიგეთ, შენ ჩემთვის  
არასდროს არ გითქვამს...“ „გიტყვი, გიტყვი,  
გენაცვალოს ბებია, მამ, ვიდას ვეტყვი, თუ  
შეე არა, ყველაფერს ნერილად გეტყვი,  
მეყვლებით... თან კაკალი ხო არ დაგიმტყე-  
რევა?“ „არავითარ შემთხვევაში, კაკლის ქაბა-  
ჭუხნი ისე ვერ მოჰყვები?.. რა ბევრი საქმეც  
ჩვენა გეაქვს, ათასჯერ მოუახსნრებთ ყველაფ-  
ერს...“ „მეტა რომელი საათია...“ „წარმო-  
ადგინე უკვე ოთხი, ზაფხული რო იყოს,  
სადაცაა ირირა-აგებდა კიდეც...“ „გათენდე-  
ბა, გათენდება, ეს დროც მალე გავა— მე კი  
იქიდან დავიწყებ, რომ სპირიდონას დასმე-  
ნის ამბავი თვითონ ალიოშამ ნამომხაბა გაბ-  
რაზებულ გულზე...“ „როგორ, მაგაბო ხო არა  
აქეთ უფლებს საიდუმლოს გამჟღავნებისა?“  
„აღლიან იყო ჩვენზე გულმოსული, თან იცო-  
და, — შეგებუნნოდა კიდეც, ჩვენ ამას არსად  
არ ვეტყვოდით, და სპირიდონას სიკვდილი-  
დანაც ცამეტი წელი იყო გასული...“ „და მერე  
მე სად ვიყავი?.. სადა და იყალითობა, ბებია-  
შენთან, ზაფხული იყო, 43 წლისა, აგვისტოს  
ბოლოს დაბრუნდი, ისინი უკვე ერთი თვის  
ნახულები იყვნენ, შენ მაგიდაზე ჯონდოს  
ნერილად დაგვდა...“ „ვერ წარმოგიგონა, აქ  
რომ აღარ ვიქნებოდი და ურათო არ ერთმამე-  
ბთო, გებუნებო მომწერე ნერილიო, მეც სულ,  
სულ მოგწერე ნერილებსო... ჩვენ თბილისში  
მარის ქუჩაზე ვიჯობებო...“ „ჯონდო ლე-  
თის ნათლელი იყო, ასეთი ბავშვი მე არ მინა-

ხავს, ალბათ, იმიტომაც, რომ ავად იყო...  
უმეწონდ ხომ ერთ წუთს ვერ სძლებდა...“  
„ღმერთო, რა ბედნიერება იყო სანთელით  
დავბრუნდით, ასეთი ბედნიერება მკარი არც  
განმიცდია, ეს ხომ მამინვე მოხდა დედა რომ  
დაბრუნდა მოსკოვიდან... რა უნდა გითხრა,  
ხო ჩვენ თვითონ გაეაცვილეთ... შენც სულ  
დადიოდი ფოსტაში. მაგრამ მე აღარ  
მეჯეროდა, რომ დედა მოსკოვში იყო და ციხ-  
ეში არა... ბებო მაკასთან ვიყავით, თან რა  
მწუხარენი ჩიკოს გამო, და სისხამ დილით,  
თვლები რომ გაჯახილე და სანოლთან დედა  
დავინახე, სიზმარი მეგონა... სანტარო სიზ-  
მარი... დედას ხელში ბრტყელი ღამაზი  
კოლოფი ეჭირა, სურათებიანი, აი, რა ჩამო-  
გიტანო, მითხრა, ქალადღვი ჩამოვიტანე  
თბილისშიდან ჩვენი სახლში დაბრუნებისო,  
ნავალთ სახლში, დაქსადებით და ვითამაშე-  
ბთო, ეს პუშკინის ზღაპრების ლოტოაო, გა-  
ხსოვს? მერე ჯონდოსაც წავეკითხეთ პუშკინ-  
ის ზღაპრები და ერთად ვთამაშობდით  
ხოლმე...“ „ჰოდა, ასე შეშმატყბილებით იცხ-  
ოვრეს იმათ ჩვენთან თითქმის ექვსი წელი,  
ხომ მართალია... ვიდრე ალიოშას 43 წელს  
თბილისში არ გადაიყვანდნენ. შეშმატყბილ-  
ებით მეთქი, ვთქვა და შენა და ჯონდო  
გაგულმოსხმეთ, მეც არ შეჩინდა მათთან ცუდი  
დამოკიდებულება, ალიოშა მთელი დღე გა-  
სული იყო და ქსენო ერთი კეთილი, ღამაზი  
ქალი იყო. მაგრამ დედამეტი, მოუკვდეს იმას  
ჩემი თავი, ხომ იცო, რა მიუდგომელი ამბი-  
ანი იყო. ცივ საღამოს კი აძლევდა, მაგრამ  
წარბს არ გახსნიდა, ძალიან შორს ეჭირა მა-  
თგან თავი, ცხადია, გარდა ჯონდოსი,  
რომელიც უმეტესწილად ჩვენთან იყო. ქსენ-  
ოც მეუბნებოდა ხოლმე მშობლივებით: ხალ-  
ხის მტრის ოჯახი კი ხართ, მაგრამ მიხარია  
ჯონდო თქვენთან როა, რასაც არ ისწავლის,  
რა დააკლებთო. ალიოშას გადაყვანის ამ-  
ბავიც ქსენომ მითხრა ადრევე, მგონი თბი-  
ლისში უნდა გადავიდეთ...“ ლიდას შეეშინ-  
და, ისევე მინახავს კომედი არ ჩაგვისახლონო,  
სამხედრო ქალაქის გარდა, თელავი  
მოფენილი იყო საზებდროებითა და ევაკუი-  
რებულებით. ჩანოსული იყო თელავში  
საზაფხულად თუ მივლინებით გენერალი  
დამოვი ოჯახით, ცოლი ქართული ჰყავდა,  
ჯორჯადის ქალი და ლიდა ახლოს იცნობდა.  
წავიდა ლიდა და სთხოვა, ასე და ასეო, თურმე  
გადაწყვეთ ჩვენთან შემოსახლებული ოჯახი  
და თუ გამართლდა ეს ამბავი, გთხოვთ დამ-  
ენმარეთ და ვინმე ოფიცრის ოჯახი შემოგვი-  
სახლონო. ისეთი ამბავი იყო მაშინ ბინებზე,  
ხომ გახსოვს და ისე იყო დანერგული სიტყვა  
„შევიწროება“, ანუ „უპლოტენიე“, რომ  
ცხადია ჩვენ არავინ უამისოდ არ დაგეტყვე-  
ბდა. ალიოშას კი თურმე რა ედო გულში, ერთ



სადამოსაც შემოვიდა ჩვენთან, და ენა არ დაუსველებია, ისე მიმართა პირდაპირ ლიდას, მე თბილისში გადავიყვარ, და თუ თქვენ გინდათ თქვენი ბინა დაიბრუნოთ, ფასი უნდა გადამიხადოთ, ფასზე მოერიგდებითო, რაც აქ ვიცხოვრობ, თქვენ ხომ იცით, როგორ ვუვლიდით სახლსო, რამდენჯერ კრამიტები გაეასწორეთო, ჩვენს ოთახებში იატაკიც შევიარემონტეთო, ფიცარიც გამოვცვალეთ, სადაც გამოსაცვლელი იყო და ერთ ადგილას ახალი კოჭიც ჩავესვითო, რამდენიმე კვირაც ჩვენს სხვენში დამშალი იყო და შევცვალეთო, ეზო იყო და როგორი ბოსტანი გაგიკეთეთ, კარგად ხედავთო, და მე ყველაფერიც რომ არა, მე მომიცეს ეს ბინა, მე უცხოვრე ექვსი წელიწადი და საფასური თქვენგან ნამდვილად მეკეთხინოსო. ძალიან იყო თავდაჯერებული და კილოც მომთხოვნი შქონდა, თავის სიმართლეში ეჭვი რომ არ ეპარება კაცს, ისეთი. ლიდა ნიგნს კითხულობდა, ერთი კი ახედდა ალიოშას, მეტი განზე გაიხედა და აღარ შეუხედავს. პასუხსაც ისე აძლევდა, ზედაც არ უყურებდა... ახლაც ყურში მაქვს მისი პასუხი: „იცით, რას გეტყვით, ფული მე არა მაქვს, ომი, გაჭირვება, ნეტავ იმდენი ვიშროვ, როგორმე გამოვკლებო ოჯახი, მაგრამ რომ შეიძენს კიდევ, კაპიტს არ მოგცემდით, ჩემი მშობლების ამეწებულ სახლში, თუ პირიქით, სადაც სამართალია, თქვენ უნდა გადაგხადათ ქირა... ზრუნვაზე ხომ ზედმეტად არის ლაპარაკი, ცხოვრობდით და უფასოდ აკეთებინებდით რაც საქირო იყო... ხოლო რაც შეეხება ბოსტანს, მე ვერ ვიტან სახლთან ბოსტანს, თქვენ სამურაზე ვარდებით ამოიძრკეთ მაგ ბოსტანის გულინისთვის, ჩვენ მაგ ბოსტნიდან ერთი დღერი ქინძი არ მოგვიწვევტავს და თქვენ ეს იცით, თქვენ შემდეგ კი აქ არავითარი ბოსტანი აღარ იქნება...“ ალიოშას გაოცებია და სიბრაზისაგან თვალები დაუმრგვალდა, უცებ ვერ მიხვდა ქარი საიდან უქროდა, ამიტომ შეუპოვრად და მკვახედ წარწოთქვა: „მე კიდევ არ დავცვლი ბინას, დავიტოვებ... ჩავექტავ და იყოს, ზაფხულობით ჩამოვალთო“ ლიდამაც მქისედ უპასუხა: „თქვენ მაგას ვერ გააკეთებთ, როცა ომი და ოლიცრებისა და ევაკუირებულებისთვის ჭირს ბინები... თუმცა ერთი რამ კი შეგიძლიათ, თუ ასე გასურთ ჩვენი ბინა, არ გადახედეთ თბილისში, დარჩეთ და იცხოვროთ.“ და ლიდამ თავი დაღუნა და კითხვა განაგრძო. ეპარაზდა და როგორ გაბრაზდა. თავიდანვე გაღიზიანებული იყო, მეც ლიდას შინით დაჯდომა ვერ შეუთავაზე და როგორღაც უხერხულად იდგა, მაგიდაზე ჩამოყრდნობილი. ცხადია, მიხვდა, რომ დიდი კომიკა გვიყოფდა და ველარაფერს გახედუ-

და, და აი, სწორედ მაშინ ნამოგვძახა ის სიტყვები; ხელების ქნევითა და თვალების ქნევითა: ანუ თავი კი რა თავი მოგაქვნი, თქვენი ქმარი ხალხის მტერიო! თქვენმა ნათესავმა კიდევ საკუთარი სიმამრი დაასმინა! შებრუნდა და სანამ გავიდოდა, არ დავიბრეი და მივაძახე: „შენი მესვეურობით, ჩემო ალიოშა, შენი ხელმეწყობით“ იმიტომ რომ, სპირიდონა რომ მოვიდა იმ უკანასკნელ დღეს, მართალია ძალიან ცუდად იყო, მაგრამ რალაც სხვანიარად იყო სასონარკვეთილი. ვიცოდი საიდანაც მოდიოდა, ისიც ვიცოდი რისთვისაც იყო იქ და იმ დანესუბულების წესი დარიცხვით ხომ ვიცოდით და ვიცოდით... მე მამნივე გამკრა გუნებაში, აღბათ, თანამომომლობა შესთავაზეს მეთქი, ეს ისეთი მოარული რამ იყო... დასმენა კი არ მიფიქრია. არავითარ შემთხვევაში. მაგრამ თქვა თუ არა ალიოშამ, მაშინვე დავიჯერე, მანიას ხომ იმ დღეებში დაეხსნენ თავს, პირწმინდად ჩამოართვის ყველაფერი, დააპატიმრეს და ტაშკენტის ციხეში გადაგზავნეს... და შენ იცი, ერთერთი ჩემი გულსაკლავი მოგონება სწორედ მანიას უკავშირდება“. ბავშვობაში არაფერი იყო არ მიყვარდა, როგორც ის, შენა და ბებიია ევა თქვენი მოგზაურობის ამბებში რომ იგონებდით ხოლმე, და ის უცხო გეოგრაფიული სახელები ახლაც ზეპირად მახსოვს... ნებიტ-დაგი... კიხილ-არეატი... ბაპარდენი... მარბა... ჩარჯოლ... დიდი ქურდობა იყო და შენ ფული ყაბის კალთავე გაირიდა დაკერებული უფულმა მხრიდან და ის რამდენ უხერხულობას გიქმნიდა... თან ეს მზეთუნახავი ბებიია ევა, ვისი სიღამაზეც ხან გშველოდათ, ბილეთების კომპეტორების, სასტუმროთა თუ გლეხთა სახლებში გახათივი ადგილის შოვნის, ციხის ზედამხედველების მოსყიდვისა, თუ სხვა შემთხვევებში, და ხანაც არც თუ იშვიათად, დიდ ხიფათებშიც გაგდებდათ, ერთი სიტყვით, ნამდვილი ეპოპეა მოგზაურობისა. შენ ისე გულმდღღარედ და ხატოვნად ჰყვიროდი ხოლმე, ასე მეგონა მეც თქვენთან ერთად ვიყავი... და იმ ტაშკენტის ციხეშიც, იმ ქუჩქიან ნახვის ოთახშიც, თქვენთან ერთად შექმრუნდი მანიას დანახვებ, მიველეხს რომ მოყავდით, როგორც პირმავე ბრალეული, - სოფლის ბურჯი, ველ-მინდერების ბატონ-პატრონი, ღირსებითსავეს, თაქომწონე მანია - ახლა დათრგუნული, დაჩაანაკლებული და ქუჩქიანი, ტაშკენტის ციხის პატიმარი. და შენ კიდევ ერთხელ იფიქრე, რომ არ შეიძლება არ დაინგრეს ქვეყანა, ადამიანის დამდაბლებასა და გაჩინაგებაზე აგებული, უხეიო, გაველურებული ქვეყანა, რომელსაც სამშეილიშვლოდ გააყვება თავიანი ცოფეები...“ ალიოშა, ჩემო გოგო, ყოჩაღ, რალაც იმედი მომეცა, რომ რიყზე ქვას დაი-

ნაია...“ ბებიამ მუხლზე ხელი მომიჭირა და ბებრულად ჩაიჭირქილა... მაგრამ მყისვე შეყვარა თავისი გაქუცული წარბები: „ერთი კვირა დაერჩით მაშინ ტამკენტი და სამჯერ მოყახერხეთ ძია მანიას ნახვა. უკეთებდით ხო, კალს, ხაჭო-ურბოს, სატაცურს... სწორედ გაზაფხული იყო, მაისი, იქ უკვე კარგად ცხელოდა... საკანში ხომ ისეთი გაუსაძლისი ჰაერია, მიკვირს კიდევ სული როგორ არ გვეხუთება... მაგრამ ყველაზე ძალიან უსამართლობას სწუხდა, მინდა ვიცოდე რატომ ვისჯებით... რატომო... რატომო... სიტყვა, რომელიც მთელ ქვეყანას პირზე ეკერა... რა დამიშავებიაო... ვისთვის რა წამირთმევიო, დღერთი მაინც რატომ გვსჯის ასე, რატომ გადაგვიდგაო... და კიდევ ძიას სწუხდა, აქ რომ უნდა ჩაეყარა თავისი ძელები, გადმოხეენილს და ყველასთვის უცხოს. გული მადუღდა, დაფეკო ერთ ღამესაც და დიდი ლექსი დაწერე გულის მიმტკივნეობი და ცრემლთა ნჩქრევით... რაღას არა ვინერდი, ძია მანიას მთელ თავგადასავალს... ლექსი ძია მანიას დაუტოვე, მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა და ცხადია, ზემირად არ მახსოვს, მაგრამ ღმერთზე ნათქვამმა გული გამოქენლა, იმაზეც ძალიან შევწუხდი დღესვე რომ მოვკვდე, მაინც ჩემს გეგმს, როგორც პატიმრისას, არ დაგანებებენო... და ამის გამო ნათქვამი თითქმის ჩამახსოვდა: „გთხოვ: გვივადრები, / ღმერთს ნუ ემდური, / ძია მანია. / ხელკეტხანთან, მოძალადესთან და ავაზაკთან, / მაგინებელთან და სულს მტერთან / ღმერთი არ სუფევს... ღმერთი არ სუფევს / ქაჯურ ენასა, / ყურთა გლეჯასა / და ფუძ სიტყვათა კორიანტელში / და სუფევს ღმერთი მლოცველთან და / მსასობელთან, / მას, ვისაც სწყურის / ღმრთის სიახლოვე. / გთხოვ, გვივადრები, / ნუ ინუებ შენს ძვალხორცზე / ძია მანია, / მინა ყველაგან... / დედა-მინა... / მაგრამ სული, / ო, შენი სული, / იქნება კვლავაც შენი სამშობლოს მთაგორ-

ებთან და ველმინდვრებთან, / შენი ცხვირ-ძროხასთან... / რადგან ხელეფე ტენდისკულის / არ ძალუქს არვისკო... ნუგეფეფეფუნ არ განეუდგებით, ხელს არ ავილებთ, / საკუთარ სულზე... ო, მითვალე შენი ტანჯვა / სულის გამოცდად, დაე, სუფევდეს ღმერთი შენთან, ძია მანია.“ „ალბათ, როგორ იამა, არა, ბები?“ „ძალიან იამა, ძალიან, თქვენ მე სული ჩამმერეთო, ჩემო ქალებოვო, ლექსი ხო ორჯერ-სამჯერ ნამაკითხა, მერე გულის ვიბეში ჩაიდო, ნუტავი კი არავინ წამართვა-სო, ტყუილია, არ დავანებებო...“ „ბები, შენ რომ მაშინ გცოდნოდა სპირიდონას გაცემის ამბავი, ნუთუ მოითმენდი და არ ეტყვიდი?“ „არავითარ შემთხვევაში არ ეიტყოდი, ვერ ეეტყოდი, ენა არ მომიბრუნდებოდა.“ „მაგრამ ადამიანმა ხომ უნდა იცოდეს თავისი ამბავი, განა არა?“ „არ ვიცი, სიმართლე გითხრა, რამდენად ეს საქორაო, ყველაფერი იცოდეს... სასტიკი თვითმკვლელობით დაა-სრულა სპირიდონამ თავისი სიცოცხლე, და მე შეგრა, ცოდვამ მოაკვლევინა თავი, ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ და გაცემა და დასმენა ჩემთვის ყველაზე დიდი ცოდვია, იუდას ცოდვა... პოდა, მაშინ ალიოშამ სპირიდონას ამბავი რომ წამოგვამხა, მე ისევ რუსთაველის სიტყვები გამახსენდა: „განგებით ქმნილსა რისხვასა ევრაეინ დაპრიდებია.“ „რა საინტერესოა!“ წამოვიძახე მე, „აი, რას ნიშნავს რომ შენი შეგირდი ვარ, მეც სწორედ ეგ სიტყვები ამომიტივტივდა, ალიოშა უკანასკნელად რომ ენახე.“ „ეგ სიტყვა არ დაივიწყო, იცოდე, მოდი ახლა კაკალი დაეამტერიოთ, საქმე ნინ ნაეიგდოთ... მთელი დავამტერიოთ, რაც არის, ვილას უნდა შევუნახოთ არ ვიცი?! მაგრამ შენ მაინც როდის ნახე ალიოშა?“ „ორმოცდაცამეტში, სტალინის გარდაცვალების დროს...“ „უყურე შენ, მამ, მოდი, შევუდგეთ საქმეს და მერე დანვრლებით მიითხარი.“ და ჩვენ მაშინვე კაკლის მტერეგვას შევუდგით.

#### დასასრული იქნება

## სიკლიდან „აფხაზეთის ბკივილი“

გამახნი მხატვარს

*ჭოლა კუკულაძეს —  
სობუმიდან ლტოლვილ მეგობარ მხატვარს.*

ცეცხლის ენების უბურბუშელოდ  
ღუმელი მხოლოდ ცივი თუჯია...  
თვალებს დაითხრის ჭალა უშველოდ,  
უმაფშალიო ჭალა მუნჯია!..  
— სადა ხარ, ჭოლა,

ჭალას უშველოთ! —  
გეძახი მხატვარს, —  
ვრძნეულ ფუნჯიანს.  
კოდორის ჭალას სცივა უჩვენოდ  
და ზღვაურს ატანს ტკივილს უჯიათს.

ერთ ნაწილში

არ შეიწყდება —  
ზზიფის მწუხანე სანაპიროდან  
ფრთამოტეხილი  
ტურფა წერო ცას შესტიროდა.  
აფრეილ გუნდს კი  
ემახოდა ზეცის თაყანი...  
მაშინ ვინატრე  
ძალა წეროს ცაში ამყვანი,  
მაგრამ არ ჩანდა  
საერალური ძალა ასეთი...  
და გლოვის ლოდზე  
მე და წერო ერთად დაესხედით...

იმ წეროსავით  
ცასმემყურე, დაჭრილის ფეთქვით,  
ფრთამოტეხილი  
ცას შესტირის დღეს აფხაზეთი,  
შორიდან ესმის  
დეკნელ შვილთა კენესა-თაყვანი,  
მისთვისაც  
\* არ ჩანს ახლა ძალა ცაში ამყვანი...  
ოი, ტყუილად  
გვენიზმრუბა ძალა ასეთი, —  
ერთად, ერთ ნაწილში,  
ერთი სულით,  
თუ არ ჩავსხედით.

პროფიტის ციხელით

*ანუ ქართველი მებრძოლები  
აფხაზ მეჯოგესთან ამტყულში  
(ომგადახდილის ნაამბობი)*

თოვლს მიკვალავდა  
ციდა ციგა — ნალევი მთვარე,  
ვინეას ჭრიალში  
მივადექით მეჯოგის „ქარეს“.

(კოჭობის შუქმა  
შეკამლული გასცა სარკმელი)...  
დაგვხვდა მოხუცი...  
ფიჭვის ცეცხლა — სუნით  
საემეკლის...

აღზანი მწეემში

შუა ცეცხლთან ჰგავდა პრომეთეს:

„წამლად შიმშილის

ყველს მოგართმევთ,

თუ ხართ მოყუთე!“...

შობა კარდალამ სასწული —

ყველი მოოვარე.

გალხვა ყინული, —

მასპინძელში უნახეთ მოყვარე.

ვიმუხაიფეთ ორნახადი

არაყით ჭაჭის,

(ძირტკბილა ასეა მასპინძელმა

ჩემს ძმყაცს, დაჭრილს)...

და ვანნდა ნდობა,

რომლის ძალას ღალატი ვერ ცვლის.

თურმე ჭეონათ ჰაპის ჰაპით

ძმობა ფიცკერცხლმანქნის  
გინჯლირთიქა

— „ჯოგები ჰყავდათ,

კარგებიც ჭეონდათ ამ ტყეში.

მათი ძმობა და გამტანობა

ახსოვთ ამტყელში“.

ფიჭუის ჯირკვები ღამის ღაგამს

ზრავდნენ რამივით...

მითხრა: „ბერმუხის ტოტნი ვართო

ქარში გაშლილი,

რომლებსაც ჭრიან, მაგრამ ვერა,

ველარ მოჰყვითეს“...

მადლობა უფალს!

შეგვარივა ცეცხლით პრომეთემ!





# თუთიყუში

პიესა

I

წერილი მავთულით ნაქსოვი გალიის შუაგულში ცისფერგულიანი ბუთხუზა თუთიყუში „თუთიყუშობს“ – გაფუყული, ჩაცუცქული, თვალბდაჭყეტილი. კოპლება წინსაფარაფარებული, შავად თმაშელბილი დიასახლისი უახლოვდება და წერილად ჩამოთლილ ყველის ნაჭრებს რიგ-რიგად უყრის.

**ლანა:** დედა, მთლიანად ჩაუგდე.  
**დოღო:** ცოდოა, ლანა, ვერ შეჭამს მთლიანს.

**მეგი:** მთელი დღე ყველს აჭმევთ ამ ოხერ თუთიყუშს, საქმე არა გაქვთ?

**დოღო:** ყველი მუხსიერებას აუმჯობესებს.

**მეგი:** ბერდება და სიტყვაც არ უთქვამს...

**ლანა:** დედა, ჩვეინს ოთახში ვიქნებით, თუ ვინმემ გვიკითხოს, არ სცაღლიათ-თქო.

მეგი საძინებლის კარებს ფეხისკვრიბთ აღებს. ცისფერ გადასაფარებელზე მოწყვეთი ეშვება, თავზე ბალიშს იფარებს. ლანა ვეება მანტიტოფონს მოათრევს. ნაქლიბული ფრჩხილების ნკაპუნით რთავს კასეტას და მეგის გვერდით სახით ევლობა ცისფერ გადასაფარებელში.

II.

კარებს გასაღებით აღებს შეჭალარა-ვებული, შავგვრემანი მამაკაცი.

**გოგი:** დოღო!  
**დოღო:** შო, გოგი.  
**გოგი:** სად ხარ?

დოღო ცუნცულით გამორბის სამზარეულოდან. ჩუსტებს ეძებს, გოგის ანდის. მანქანის სალონის ტყავის სუნით გაფენილ ლაბადას ხელზე გადაიკიდებს და კარადისკენ მიაქვს.

**გოგი:** ბავშვები სად არიან?  
**დოღო:** მუსიკას უსმენდნენ და ჩაეძინათ.

**გოგი:** გაანყვე ვახშამი?  
**დოღო:** ახლავე იქნება...

დოღო რიგ-რიგად იღებს სხვადასხვა ზომის თევშებს და სუფრანუ აწყობს. ცხელი ტაფიდან შემწვარი ხორცის ნაჭრებს ლანა-გარზე ათავსებს. პურს თხლად ქრის. ოდნავ ფაციფუცობს. გოგი აბაზანიდან გამოდის. სუფრას მიუჯდება. ქამას იწყებს.

III.

**ლანა:** დე-დაა, დე-დაა!  
**მეგი:** არ ესმის, ისევე ეს ოხერი ონკანი აქვს მოშვებული სამზარეულოში. გამოაღე საძინებლის კარი და ისე გასძახე.

**ლანა:** შენ ადექი და გამოაღე, თუ კარგია. დე-დაა... დე-დაა...

**დოღო:** შოო, ლანა.

**ლანა:** კარი გააღე, კარი!

დოღო შემოსასვლელისკენ გამორბის. კარებს ჩხაკუნით აღებს.

**ბულიკო:** უიმე, დოღო, მთელი საათია ხარს ვრეკავ. შუქი რომ არ დამენახა ეზოდან, გაეტრიალდებოდი.

**დოღო:** შევიკვებები ხოლმე ამ ოხერ სამზარეულოში და აღარაფერი მესმის. აქეთ ონკანი, იქით ტელევიზორი, ეზოს ხმაური...

გულიკო შემოდის. რუხ ლაბადას იხდის და საკიდზე ჰკიდებს.

**ბულიკო:** გოგონები სად არიან?  
**დოღო:** ნამონოლილები არიან, ისვენებენ.

ქალები სამზარეულოში შედიან. გულიკო პატარა მაგიდასთან მოკალათდება. დოღო მადულარას იღებს და ყავის გამზადებას იწყებს.

**ლანა (მეგის):** გულიკო მოვიდა, არ მივესალმოთ?

**მეგი:** ნეტა ერთი შენც...

**ლანა:** უხერხულია.

**მეგი:** ვერ ვიტან მაც ქალს. თმას ისე აიფუებს ხოლმე, თუთიყუშს აფრთხობს.



**ლანა:** შენ ნეტა ვინ მოგონოს?

**მამი:** დოდოს დაქალების „სახტავს“ ვერ ვუძღვებ, ერთი მეორეზე „ბანძები“ არიან.

**ლანა:** ეგ მართალია.

**ბულიკო (დოდოს):** გოგიროგორ არის?

**დოდო:** კარგად, რა უშავს.

დოდო ყავას პატარა ქიქებში ასხამს, კარადიდან ბონბონიერის გაუხსნელ ყუთს და მსუბუქი სიგარეტების ნაკლულ შეყვრას იღებს.

**ბულიკო:** აღარ გიჩხუბიათ ჩემს მერე?

**დოდო:** არა, გულო, ჩხუბი არ ღირს. სახს-უბარი რა გვაქვს? ის თავისთვის, მე ჩემთვის. დილით ადრე მიდის, ჩემს გაღვიძებამდე. ღამე გვიან მოდის. ხანდახან დალაპარაკებაც გვაინებდა. ან რა გვაქვს სალაპარაკო? თვითონ თუ მეტყვის რამის: „რამე ხომ არ გინდათ?“ ანდა „ბავშვები როგორ იქცევიან?“ ყურადღება არ მიაქვს.“ სულ ეს არის. ღამე კი ისე ხერხინავს, მასთან ევლარ ენებები. აქეთ მორჩევიანა ძილი, თბილად ვარ, მყუდროდ. დილით აუღებები და ლოგინს დავეულავებ.

**ბულიკო:** ბედნიერი ქალი ხარ, დოდო, ტყუილად წუნუნებ. არაფერი გაკლია, ფულიც გაქვს და პირობებიც. გოგი მთელი დღე თქვენითვის მუშაობს, თქვენს მიტოვე; ბას არ აპირებს. კარგი შეილები გყავს — ლამაზები, ჭკვიანები. განა ეს ცოტაა? „სალაპარაკო“ — რა ლაპარაკი აგიტყდა ამ სიხერეში? სალაპარაკო ორ შეხვედრაში უთავებდა ნყვილებს.

**დოდო:** შო, მართალი ხარ.

**ბულიკო:** გოგონები როგორ არიან?

**დოდო:** კარგად, რა უჭირთ.

**ბულიკო:** გათხოვებას არ აპირებენ?

**დოდო:** ისეთი ბავშვურები არიან... თან სულ სახლში სხედან...

**ბულიკო:** გოგოს სად გაუშვებ ჩვენს პირობებში?

**მამი (ლანას):** ისევემ საზიზღრობას ეწვეიან. მარწყვის თუ შოკოლადის არიმატირომ აქვს. თუ მოწვევა გინდა, ადექი და მონიე რა ნამდვილი სიგარეტი, თუ არა და, რას „მარიატობ“? ფანჯარა მანც გამოაღი, „დავბოლდით“... ნიძლავს ჩამოვალ, ნაფაზს არც ურტყამენ...

**ლანა (იცინის):** უნდათ და ეწვეიან, რა მოგივიდა...

**ბულიკო (დოდოს):** ჩართე რა, მგონი დაინყო.

დოდო რთავს ტელევიზორს. ქალები სავარძელში მოკალათდებიან.

**IV.**

მისალები ოთახიდან გოგონების „ჭაჭა“-სი ისმის. დოდო სამსარეულოშიმსტყვისსუნებს: ყავას ქიქებში ასხამს, ხილს ჭრის, შოკოლადს თევშებზე აწყობს, ლიქიორის და ლიმონათის პოთლებს ხსნის. ლანა მალ-მალე შემორბის და გამაზადებული ლანგრები მიაქვს.

**მამი:** რა ბეჯითი ხარ, ლანა, შემშურდა პირდაპირ.

**ლანა:** თუ არ გინდათ, სულ არ მოვიტან.

**ბულიკო:** მომე ეგ ხილი, აი, აქ დაედეგათ.

**ლანა:** რა გემრიელი შოკოლადია.

**სოფო:** მე არ მიყვარს დასაპირტული... ხილი მომანოდე.

**მამი:** ლანა, ყავა მეც მომიტანე, რა.

**ლანა:** დედა კიდევე ადულებს, მალე იწება.

**ბულიკო:** ახალი ვიდუო, ვასეცა მაქვს. ათი ვარჯიშია. ყოველ საღამოს თუ შეასრულებ, ხუთ კილოს იკლებ.

**სოფო:** რამდენ ხანში?

**ბულიკო:** ერთ თვეშიო, ასე წერია.

**მამი:** ნეტა ერთი, თქვენც, არ გეხარებათ?

**მამი:** შენ რა გიჭირს, მთელი დღე გძინავს და მაინც არ სუქდები.

**მამი:** დე-დაა!

**დოდო:** ბატონო!

**მამი:** ყავა მიზა.

**დოდო:** მოგიდულებ.

**ლანა:** რა კარგია, დოდო დედა მთელი დღე სახლშია. ალაგებს, ტრიალებს, საქმეებს აკეთებს. დედაჩემს შინ ვერ მოიძვე, სახლი თავდაყირა დგას.

**მამი:** შო, დოდო სულ სახლში ზის. მზის სხივებს აივანზე ღებულობს. მთელი დღე ტელევიზორშია შემტურალი... ნეტა განაზა, რეებს უყურებს.

**ლანა:** გეყო, გეყო, მუსიკა ჩართე, ჯობია.

ისმის მუსიკა. გოგონები ცეკვას იწყებენ. ბულიკო ცეკვის დროს შემთხვევით ლარნაკს ძირს აგდებს. ისმის მსხერვეის ხმა.

**ბულიკო:** ვაიმე, რაღა ვქნა?

**ლანა (მაგნიტოფონს გამორთავს):** შენ მართლა უნდა ივარჯიშო, თორემ ბეჭემოტყვით მოუქნელი ხარ.

**მამი:** ნუ წერვიულობ, დოდო ახალს იყიდის.

**ლანა (იხრება):** ნამტერეებს ავიღებ. თქვენც მომეხმარეთ.

**დოდო (შემოდის ხელში ცოცხით):** რა გაგიტყდათ, ბავშვებო?



**თიქო:** დოდო დეიდა, ძალიან ვწუხვარ...

**დოდო:** ეგ არაფერი, შვილო, ახლავე ებზეტა-

**მეგი:** დედა, ყავა მომიდუღე?

**დოდო:** გადამაინწყდა.

**მეგი:** ამ ქალს სკლეროზი ეწყება, მე მოგვიდე...

**ლანა:** რა გაყვირებს? ნადი და მოიდუღე!

**მეგი:** ესეც რომ გამომიხტება ხოლმე...

მევი ოთახიდან გადის.

**ლანა (მიამახებს):** უზრდელი ხარ, სტუდენტისაც არ გერიდება.

**დოდო (გოგოებს):** ყურადღებას ნუ მოაქცევთ. ბოლო ხანებში ისეთი უხეშია. ასაკის ბრალია, ალბათ გაუფლის...

დოდო გადის. გოგონები ცეკვას აგრძელებენ. ცისფერგულანი თუთიყუპი გალიის კუთხეში მობუზული ზის.

V.

გოგი თავის კაბინეტში სანერ მაგიდასთან მდგომ მალალ სავარძელში ჩამძვრალა. დაღლილი სახე აქვს, თვალებს იფშენიტაცვს. შემოდის ახალგაზრდა, ტანადი ქალი.

**ნიწო:** გცალია, გოგი?  
**გოგი:** მოდი, დაჯექი, ყავას დაღეე?  
**ნიწო:** რატომაც არა.  
**გოგი (ხმამალლა):** ქალბატონო თამრო!

კარებში თავს შემოყოფს ხნიერი, ქალაქა ქალი.

**თამრო:** გისმენთ, ბატონო გოგი.  
**გოგი:** ყავა მოგვიტანე, რა, და თითო ჭიქა კონიაკი.  
**თამრო:** ახლავე (გადის).  
**ნიწო:** დაღლილი ჩანხარ, გოგი.

გოგი ზურვიან სავარძელს გადაანვება. თვალებს დახუჭავს.

**გოგი:** „მურტალი“ დღე იყო, ანგარიშები, „ატმოტები“...

**ნიწო:** კედელს ნუ ეყრდნობი, გული მისკდება, ასე მგონია, მძიმე ჩარჩოში ჩასმული ეგ სურათი „გრენლანდიასავით“ თავზე დაგეშობა.

გოგი (იციინის): ნუ გეშინია. ლურსმნები ღრმად არის კედელში ჩაწვებული. ეს რა არის, ერთი ცალია, ადრე სამი-ოთხი არ გვექიდა?..

**ნიწო:** მთელი კვირაა არ მიჩანხიარ. მომენატრე. იმდენი რამ მინდა გიყვინა...

**გოგი:** სალამოს კისაუბროთ, ვანძმად გეპატივები.

**ნიწო:** ჩვენს „კუპეში“?

**გოგი:** ჰო. ხომ არ მოგბეზრდა? სხე-გან ხომ არ ნავიდეთ?

**ნიწო:** არა, კარგია. ისეთი ხედია ფანჯრებიდან...

თამროს ლანგრიტ შემოაქვს ყავისა და კონიაკის ჭიქები.

**გოგი:** დაჯექი მისალეებში და არაეინ შე-მოუშვა.  
**თამრო:** კარგით, ბატონო გოგი.

თამრო გადის. გოგი წამოდგება, კონიაკს ერთი მოსმით გადაჰკრავს, კარებს შიგნიდან ჩაკეტავს და ნინოს მიუახლოვდება. კისერზე დაუნყვებს კოცნას.

**ნიწო:** უხერხულია ამ შუადღისას, მდივანიც აქ არის.  
**გოგი:** რა უშავს... სალამომდე დიდი დროა...

ნინო დგება. გოგის კისერზე შემოკხვევს ცალ ხელს, მეორეთი მუხლზე მიეალერსება. გოგი ნითელ ჰალსტუხს ისხნის და იატაკზე ავდებს.

VI.

მევი სარკის წინ ტრიალებს. დახუჭუჭებულ თმაზე ლაკს ისხურებს.

**დოდო:** უკვე მიღიხარ?  
**მეგი:** ჰო.  
**დოდო:** მალე მოხვალ?  
**მეგი:** რატომ შეკითხები? რა გული გამიწყალე.

**დოდო:** ლანაც ნაყოფი, ერთად სიარული რატომ არ გიყვართ?

**მეგი:** კარგი რა, დოდო, თავი დამანებე. არ შეიძლება ცოტა ხანს მაგისგანაც დაეისვენო? ტყულები ხომ არა ვართ? თან მაგას ფეხით „ტასაობა უყვარს“. ხომ იცი, მე ვერ ვიტან მეტროსადგურებში ძრომიალს.

**დოდო:** მანქანით მიღიხარ?  
**მეგი:** ჰო, მამას დავეურეკე და გამომიგზავნა. მთელი დღე უსაქმოდ ვყავს მძღოლი, მთქნარებით კვდება, მე რომ მატაროს, ნამდვილად აჯობებს.





**დოღო:** მანქანა თუ მოგყვება, მშვიდად ვიქნები. აბა, ქუჩაში მარტოკას რა უნდა შენაირ გოგოს...

**მეზი:** გიყოფა, გიყოფა, ნავედი...

**ლანა:** ნავედა?

**დოღო:** პო.

**ლანა:** კვირამი ერთხელ მაღაზიებში სიარული სასჯელივით გამოიწერა საკუთარ თავს.

**დოღო:** ხომ იცი, მოდელიზაცია უნდა. ახალ კოლექციებს ათვალიერებს, თანამშრომლებს ესაუბრება, რა არის ამაში ცუდი?

**ლანა:** მე თიკოსთან მივდივარ.

**დოღო:** უშიე, ლანა, ნაყოლოდი მანქანას.

**ლანა:** ლევანის მჭავე სიფათის ატანა არ შეუძლია. მამას უნდა ვუთხრა, დაითხოვოს.

**დოღო:** ლანა, მანქანა კარგად დააყავს და მაგის სიფათი მამაშენს რა ხელს უშლის?

**ლანა:** აბა, ნავედი.

**დოღო:** ფრთხილად იარე, რომ მიხვალ, დამირეკე.

**ლანა:** პო, კარგი, არ დაედნები.

**VII.**

**ლევანი:** ვაპ, მეგო, რა ლამაზი ხარ!

**მეზი:** ნინ უნდა დაგკოჯდე, წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

**ლევანი:** მოდი, მეგო. ისე კი, ცოფო ვარ, ხომ იცი. დამისკუპდები წინა სკამზე, ფეხს ფეხზე გადაიდებ და...

**მეზი:** შენ შუქნიშნებს ვერ ამჩნევდი, ჩემს მინი კაბას ნუ დააბრალდებ.

**ლევანი:** საით ნავედეთ? მცხეთაზე რას იტყვი?

**მეზი:** კარგი იქნება, მზიანი ამინდია.

**ლევანი:** რალაცეები წამოვიღე და მინდორში ვისადილოთ.

**მეზი:** მომწონს ეგ აზრი.

**ლევანი:** სახლში რა დაიბარე?

**მეზი:** ისევ ისე, როგორც ყოველთვის.

**ლევანი:** მეგო, იქნებ სცადო და გაამხილო ერთმანეთი რომ შეგვიყვარდა?

**მეზი:** რას ამბობ, ლევან, მამარეში მაშინვე დაგიტხოვს.

**ლევანი:** მე კარგი რალაც მოვიფიქრე, მოგწონება.

**მეზი:** რა არის ასეთი?

**ლევანი:** იქ რომ მივალთ, მერე აგისხნი.

**VIII.**

**მეზი:** რატომ გაეჭირდით?

**ლევანი:** უკვე მოუვლით. ნახე, რამდენი ყაყაოა. ბალახიც რბილია და ქორფა.

**მეზი:** როგორი რომანტიკული ხარ, ლევან...

**ლევანი:** მიდი, ადგილი შეაჩინე, პროდუქტს მე გადმოვზინებ!

**მეზი:** აი, აქ კარგიც მარტოკას მჭავე-ძლია მივყვდით.

**ლევანი:** პო, კარგია, ველარც ვერაინ შეგეინშნავს.

**მეზი:** რამდენი რამე წამოგიღია! შენ რა, ხომ არ გინდა აქ გადმოქსახლდე?

**ლევანი:** მომეხმარე, სუფრა გავეშალ-ოთ.

**მეზი:** აბა, ყველაფერი მზად არის.

**ლევანი:** შამპანური შენ რომ გიყვარს, ისეთი შევარჩიე. არ გამეპრანჭო, ბოლომდე უნდა დაგაღვინო.

**მეზი:** კარგი რა, ლევან, სახლში მთვრალი ხომ ვერ გამოვჩნდები?

**ლევანი:** გზაში გაგინელდება.

**მეზი:** რა გემრიელი ბუტერბროდია, შენ გაამზადე?

**ლევანი:** ჩემი ცოლი რომ გახდები, დედოფალივით გაცაოვრებს: საუზმეს ლოგინში მოგართმევ, ბუჩქების წიაღში გაატარებს...

**მეზი:** შენ ისეთ ცხოვრებას მთავაზობ, როგორზეც ვოცნებობ. მე თავისუფალი ქალი მინდა ვიყო, დოფოს და ლანას რომ არ ვგავდებ.

**ლევანი:** ისეთი ლამაზი ხარ, უარს ვერაფერზე გიტყვი.

**მეზი:** ასე რომ მიყურებ, თავბრულ მებევია.

**ლევანი (მევის მოხვევა):** როგორი ტუჩები გაქვს, თბილი და მსხვილი...

**მეზი:** მთვრალი ვიყავი, უფრო მომეხვიე...

**ლევანი:** მიყვარხარ... შენ? შენ თუ გიყვარვარ?

**მეზი:** მეც...

**ლევანი:** მამის გახდი ჩემი... აქვე, ამ წუთში...

**მეზი:** რა? ხომ არ გაგიყდი?

**ლევანი:** რატომ, არ გინდა? მინუნებ?

**მეზი:** არა, ეგ რა შუაშია...

**ლევანი:** ჩემი გეგმა ეს არის, მეგო, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. როცა დაფიქსიმდები, მოგატაცებ და მამაშენი ველარაფერს გეტყვის.

**მეზი:** რა სიგიჟია, ლევან, ამას ვერასოდეს გავებედა!

**ლევანი:** მოდი, მოდი გარისკე...

**მეზი:** ნელა, ფრთხილად, ძალიან მტკენ... ლევან...

**ლევანი:** სუ, კარგი, ნუ კივიხარ...

**მეზი:** ძალიან მტკენა... სულ დავისვარე...

**ლევანი:** ასეა პირველად, მერე შეგჩვევი... ნუ ტირიხარ...

**მეზი:** ცუდად ვარ...

**ლევანი:** მინდორს შეხედე, ყაყაოებს უყურე... შორიდან რომ გახედავ, გეგონება



სისხლის ნინკლები შეაშხვევს მწვანე ნაჭერს. სუსტად ისე, როგორც შენს კაბას...

**მამი (იციანის):** ჩემი რომანტიკული ბიჭი...

**ლევანი:** თბილისში რომ ჩავალთ, ახალი კაბა იყიდე, ფული ხომ გაქვს?

**მამი:** ჰო...

**IX.**

**ტელეფონი წკრიალებს.**

**მამი (ლანას):** გასკდა ყურები. გასძახე, რა, დოდოს.

**ლანა:** ჯობია ავიღო, დოდოს რას გავაგონებ, ტელევიზორთან ზის (იღებს ყურმილს).

**ლანა:** ალო, ჰო, მამა... დედას? ახლავე— დო-დოო... დო-დოო...

**დოდო:** რა იყო, ლანა?

**ლანა:** ყურმილი აიღე.

**დოდო დგება, ტელევიზორს ჩაუნწევს, ყურმილს იღებს.**

**დოდო:** ალო... გოგი, შენა ხარ?... სტუმრები? დღეს? რას ამბობ, გოგი, როგორ მოვასწრებ... სადმე წაიყვანე, აუცილებელია სახლში მოყვანა?... პატარა რესტორანი გამოძებნე, ხალხი აღარ შეგიძლის ხელს... კარგი, მაგრამ როგორ მოვასწრო?... მარტო ლევანი რას მიშველის, ხელის განძრევა ეზარება... ერთი ქალი გამომიგზავნე, შეტე არ მინდა... ნინაზე რომ გყავდა, ის ოფიციალტი არ მომეწონა, უთხარი, სხვა ვინმე გამოგიძებნონ...

**დოდო ყურმილს კიდებს და გოგონების ოთახში შედის.**

**დოდო:** მამამ დარეკა, საღამოს სტუმრები გვეყოლება. გაემზადეთ, მონესრიგით (გადის).

**მამი:** აღარ შემიძლია სტუმრების დანახვა.

**ლანა:** მე კიდევ მიყვარს. ასეთ ხალხს სხვაგან სად ნახავ? როცა სუფრასთან ვზივარ, გული მიფანქვალვებს.

**მამი:** დოდოს გემოვნებას ვერ გაცდი, ლანა. ქალაქში ამდენი ლამაზი ბიჭია, რას გადააჯინდი ამ ბებრუხანებს?

**ლანა:** მე სერიოზული კაცები მომწონს, ცხოვრებას რომ აგინყოფს. ჩვენზელა ბიჭება თვალები კი აქვთ ლამაზი, მაგრამ ჯიბე აქვთ ცარიელი...

**მამი:** დოდოს თუ ფულიანი ქმარი შეყავს, იმიტომ გაუგო ცხოვრებას გემო.

**ლანა:** შენ არ აკვირდები, როგორ ცხოვრობენ სხვა ქალები: მთელი დღე მუშ-

აობენ, ბაზარში დადიან, ბავშვებს უკლიან, იატაკს ხეხავენ, საფულეში ხორცილებენ უჩხრიალებს და მოუვლელი ხელები გვეყვითლოდოს რა აკლია? მძიმე საქმისთვის ქალი მოჰყავს, ბაზარში სხვას აგზავნის, პარიკ-მახერი სახლში აკითხავს. სადილუბნაშხს თუ ამზადებს, რა მოხდა, მერე? მაგასაც არ იზამდა, რომ არ უნდოდეს... მაგრამ ხომ უნდა აკეთოს რამე?

**მამი:** გაიპრანჭე, გაიპრანჭე, ეგება მოენონო საღამოს ვინმეს... მე არ ვაპირებ სტუმრებთან გამოსვლას... ლევანი რომ მოეა, ჩაუუჯდები და საყიდლებზე წავეყვები, მანქანი სეირნობა მაინც შემრება.

**ლანა:** შენ მანქანაზე დაგაქორწინებთ. სხვა არაფერი იმსახურებს შენს სიმბათიას ამ ცხოვრებაში.

**მამი:** მორჩი „კაიფს“. ცხოვრება ნინ არის, შენი ჭკუა გაქრის თუ ჩემი, მაგასაც ენახავთ... სიგნალია, ეტყობა მოვიდა. დედა... ჩამომიწერე სია, მე წავეყვები მძლოს საყიდლებზე.

**დოდო:** კარგს იზამ, მეგი, ყურადღება მიაქციე, ლევანმა არაფერი აურიოს.

**X.**

**ლევანი და მეგი მანქანაში სხედან.**  
**ლევანი:** ასეც ვიცოდი, რომ მოახერხებდი ჩემთან ჩამოსვლას.

**მამი:** ევრაფერს მოვასწრებთ, საყიდლებზე უნდა ვირბინოთ. ქალაქგარეთ როდის წაიყვან?

**ლევანი:** „დაგვეასა“ ხეები, ტყეები?

**მამი:** უკეთეს ადგილს სად მოიფიქრებ?

**ლევანი:** რალა დროს მინდურებია. იქ ვილა დადის? იმ დღეს „პროსტა“ ვიცოდი, კვილს რომ ატეხდი... დისკოთეკაზე ვერ წამოხვალ, რომ რამე იყოს?

**მამი:** ლამე? რას ამბობ, ვინ გამომიშვებს.

**ლევანი:** რამე მოიფიქრე.

**მამი:** „შანსი“ არ არის.

**ლევანი:** კარგი, მაშინ ინსტიტუტში წამოდი შაბათს „კავენიზე“.

**მამი:** იქ რა უნდა გააკეთო?

**ლევანი:** სხვა მაგას არ მკითხავდა.

**მამი:** მაინც?

**ლევანი:** იმდენი ხალხია, ტყეა არ არის. დარბაზში ზნელა. მუხლებზე დაგისვამ...

**მამი:** რას ამბობ, ლევან, ამდენ ხალხში? გამოგვაგდებენ.

**ლევანი:** შენც ხარ რა, იქ მაგისათვის დადიან. იცი, დამლაგებელმა რა მითხრა იმ დღეს?

**მამი:** რა?

**ლევანი:** ორმოცი წელია ამ დარბაზს ალაგებს. დაინუნუნა: რიგებს შუა



„ბიზოკების“ და ჩენხოების ხეცტას მიჩვეული ვიყავი, ახლა კი პრენერვატივებსაც მიმან- ვიქნისო...

**მეზბი:** კარგი, ნამოვალ.

**ლავანი:** დათოც იქნება, გოგოსთან ერთ- ად, თუ გინდა, მერე გაეცვალათ „პარები“.

**მეზბი:** რააჟ!

**ლავანი:** პო, კარგი, შუბლზე სუ აგივი- და თვალები.

**XI.**

**ნინო და გოგი მაგიდასთან სხედან გოგის კაბინეტში.**

**ნინო:** ტყუილად ნერვიულობ, ყვე- ლაფერი მოგიგვარე.

**გოგი:** მოდი, ჩაი დაელოთ და მერე დანერვილებით მომიყვივი... ქალბატონო თამრო!

**თამრო (შემოიხედავს):** დიას, ბატონო გოგი.

**გოგი:** ჩაი გაგვიშადავ მე და ნინოს. მის- აყოლებელიც მოგიძებნე, სავაშშოდ ვერ გაველათ.

**თამრო:** ახლავე, ბატონო გოგი (გადის).  
**გოგი (ნინოს):** ორივე ადვოკატს დაუ- კავშირდი?

**ნინო:** კი, პირადად.

**გოგი:** დაგაიმედეს?

**ნინო:** რასაკვირველია. დანჯნარდი- მეთქი, ხომ გითხარი. შენს ოპონენტებს სასოქალაქო კოდექსი თვალთ არ უნა- ხავთ. ისინი კი სპეციალისტები არიან. ყველანაირ გამოსაძეროშს მოძებნიან. ჩვენს კანონებს, არ იცი, რამდენი ხერხელი აქვს?

**გოგი:** ანაზლაურება რამდენი მოგთა- ბევს?

**ნინო:** ვნახოთ, რა იქნება, მერე შევთ- ანხმდებით. არ დაგახსწოზენ, ხომ იცი, ჩემი მეგობრები არიან.

**გოგი:** ქსეროასლები მოიტანე ქონების მართვის სამინისტროდან?

**ნინო:** კი, ყველა უკლებლივ.

**გოგი:** იმ ტელეფონრეალისტს ელაპა- რაკე?

**ნინო:** კი, ვრცელ გადაცემას გაგიკეთე- ბს ამ კვირაშივე. გაბათილდება იმათი რეპორტაჟი.

**კარზე აკაკუნებენ.**

**გოგი:** მობრძანდით.

**თამრო (შემოდის ხელში ლანგრით):** ჩაი მოგართვით. თქვენ რომ გიყვართ, ის ნამცხვარი ამოვატანინე, ქალბატონო ნინო.

**ნინო:** გამადლობთ.

**გოგი (თამროს):** შეტანე ჩემი ადგილი, უკვე გვიანია. ჩვენ აქ ვაქციათ გვერდით ადრე მოდი.

**თამრო:** კარგით, ბატონო გოგი (გადის).

**გოგი (ნინოს):** მოვასწრებთ, არა, ყვე- ლაფერი?

**ნინო:** ნინ მთელი დამეა. ხელ მძიმე დღე გაქვს, დაისვენე, ნამონეკი, თუ რამე და- მჭირდა, გაგალიძებ. დილისთვის ყველაფ- ერს მოგისწრებ. კრება რომ დაიწყება, მერე დავიძინებ, მე იქ საჭირო არ ვიქნები.

**გოგი:** კარგი, ოღონდ ჯერ დეტალებზე კარგად შეეთანხმდეთ.

**XII.**

**ეკა და ნანა მისალებ ოთახში ხალიჩ- აზე ფეხმორთხმით სხედან. ეკას ხელში ყავის ჭიქა უჭირავს და გულდაგულ ჩასცქერის.**

**ნანა:** ნამდვილი კუდიანი ხარ. მაშინ რაც მითხარი, სულ ცხადად ამხდა. „უჭა- სი“ არაფერი მითხრა, არ გამაგიჟო.

**ეკა:** რა გიყო, ნანა, იმ ბიჭს არ „ევა- სები“, სულ ზურგმექცეული ამოგდის, თი- თქოს სხვას უყურებს.

**ნანა:** კარგი, რა, ეკა...

**ეკა:** ზარია, ვას ელოდები?

**ნანა:** არავის. ნეტა ვინაა. აუჰ, არ ჩამომილო კარები! მოედივარ, მოედივარ.

**ნანა კარს აღებს.**

**ნანა:** გაგიჟდი, თიკო? რა მოხდა, რა საზე გაქვს? რას დაგვაფთეთ? ქუჩაში სპილომ ხომ არ...

**თიკო:** მორში „კაიფს“.

**ნანა:** აუჰ, რა მაგარი იქნებოდა, თან რა ნონა აქვს...

**თიკო:** თქვენ სხვა რა გახსოვთ. სპილო- საც ფეხებს გაუშლით, კაცს თუ ვერ იშ- იოთ... არაფერი გაგიგიათ?

**ნანა:** რა უნდა გაგიგეო?

**თიკო:** გოგი მომკვდარა...

**ნანა:** როგორ, თუ მომკვდარა?

**თიკო:** დილით ინფარქტმა დაარტყა, საავადმყოფოში წაიყვანეს. დედას დაურე- კეს და მაშინვე გაქანდა. ორი საათი აცოცხ- ლეს, მეტი ვერა. დედა ისევე იქარის, დოდოს- თან...

**ეკა:** რას ამბობ, თიკო! ნავიდეო, ნანა...

**ნანა:** სად მოვიედა?

**თიკო:** სამსახურში. რალაც კრება პქონიათ, აქციონერთა თუ რალაც მახეთი.

**ნანა:** კარგი, ნავიდეო...



XIII.

გოგის კაბინეტში გოგის მაგიდასთან ნინო ზის და ქალაღებებს ანესრიგებს. იქვე ელენე ჩამომჯდარა.

**ელენე:** ნინო, უარს რატომ ამბობ გოგის ადგილზე შენ აგირჩიონ?

**ნინო:** არ შემძლია აქ შემოსვლა, აეად ებდები. ათი წელი! გესმის, ლენა? ათი წელი სულ ერთად ვიყავით... სხვა სამსახურში მინდა გადასვლა...

**ელენე:** შესმის, ნინო, მეცოდები. მაგრამ რას იზამ, ვერ გაცოცხლებ. მისი ცოლი უფრო ცოდვია, რას იზამს, მარტო რისი თავი აქვს?

**ნინო:** სიყვარულისა, ნეტა, რა ესმოდა, მაგის ქმარს მე ვეფერებოდი.

**ელენე:** მაგასაც ნუ იტყვი. მათ მთელი ცხოვრება ერთად გალიეს. ორი შვილი შეყავთ... როგორ ბედზე მოასწრო უფროსის გათხოვება. ზომ კარგ ბედშია?

**ნინო:** კარგს რას ეძახი? გოგის მაგაზე ბევრი ეჭმუბე, ეგ საქმე არ ქნა, ბავშვს ნუ ლუპავ-თქო. მეფიცა, არ ვაძალბებ, ლანამ თეთონ მონდომაო.

**ელენე:** ის კაცი რითი არ მოგონს?

**ნინო:** თამაზი გოგის მეგობარია და ლანაზე კი არაა, მგონი ჩემზეც უფროსი. ისეთი ჭკვიანიც არ არის, ის სკამი დიდხანს შეინარჩუნოს. ლმერთმა ნუ ქნას და, თუ ფეხი აუცდა, ლანა დოდოსავით პაერში დარჩება. თანაც, თამაზი არაფერს იკლებს. გოგის-ავით: პატიოსანი კი არ არის, ათი წელი ერთ ქალს მიუძღვნას.

**ელენე:** პატიოსნებრა შუაშია, გოგის შენ შეხედი. უშენოდ ცხოვრება არ შეეძლო, ამას ჩვენც ებუდებოდა... სულ იმას ვეფერებ, ასეთი რა პქენი, სხვებს რომ ასწავლო არ გემეტება?

**ნინო:** დამიწყო ამანაც შეგისავით, იმანაც ეგ მკითხა.

**ელენე:** შეგი ვინ არის, გოგის შვილი?

**ნინო:** პო, იმ დღეს მოვიდა.

**ელენე:** რა უნდოდა?

**ნინო:** გეტყვი, მაგრამ არაფერს უთხრა.

**ელენე:** რას ამბობ, ნინო, როდის ყოფილა!

**ნინო:** ორსულად ვარო. გოგის მძლოს შეუცდენია და გოგის სიკვდილის შემდეგ

აღარც გამოჩენილა. მაშინვე მოსამტებრად წავეყვი, ეცოდი იმ ბიჭის სახლზე... სახლარგარეთ წასულა სამუშაოდ... ქანაში მიცდიდა. რომ ვუთხარი, ისტერიკა დაემართა. სახლში მივიყვანე, დაეანყნარე.

**ელენე:** რას ამბობ, ნინო, რა უნდა ქნას? კიდევ ეგ უნდოდა?

**ნინო:** კინლამ გაკვიფდი. ჩემი ბრალია, როგორ ვერ ვიპოვე, ისე ხშირად დაჰყავდა მანქანით. გოგის რომ გაეგო, მოკლავდა, მაგ სანყალა. ჩემი ბრალია... ვერ ვინელებ...

**ელენე:** შენ რა შუაში ხარ, დედა ხომ არ ხარ... ეხლა რას აპირებს?

**ნინო:** თავგატეხილივით ყვირის, ბავშვი არ მინდა, მომაცილებითო. გუშინ დოდოს ველაპარაკე. ექმთან ერთად წაიყვანით.

**ელენე:** დოდო რას ამბობს?

**ნინო:** რა უნდა თქვას? ჭკუაზე არ არის... მეგის დაეპირდი, სახლარგარეთ წასულას გაეხებრებე-მეთქი.

**ელენე:** ეგ გოგო მუშაობას ვერ მოახერხებს.

**ნინო:** იზამს რამეს. აქ ყოფნა არ უნდა. ვერ გაეჭერდებიო. მართალიც არის. ნაჟა, ალბათ, და აღარც დაბრუნდება.

**ელენე:** მეგიმ რა გკითხა, მამაჩემი როგორ შეაბიო?

**ნინო:** მამამისი სულ არ ადარდებს. მეტიჩარასავით მკითხა: თქვენ დამოუკიდებელი ქალი ხართ, კაცები ჩემსავით არ გექცვიან, როგორ ახერხებთ, მეც მასწავლეთო...

**ელენე (იცინის):** მერე, რა უთხარი?

**ნინო:** იცი რა, ლენა, კაცზე ჭკვიანი უნდა იყო, რომ ყოველ დღე დასჭირდე. თუ მაინც მიგაგდებს, მზად უნდა იყო მარტოობისთვის. მე მამაკაცზე დამოკიდებული არასდროს ვყოფილვარ, არაფრით... კაცი ჩემთვის მხოლოდ სექსია, სხვა არაფერი...

**ელენე:** ყველა შენსავით ვერ იქნება, მათ შორის, მეგიც.

**ნინო:** მამის დოდოსავით უნდა იცხოვრო და არ შეეპოტინო რალაც-რალაცებს...

**ელენე:** ის თუთიყუში კიდევ პყავს დოდოს?

**ნინო:** კი, ყოველ დღით ეზოში ასეირნებს...



## ვეებარათულ პრობლემის ჩრდილში

ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი ისაუბრებს ლიტერატურათმცოდნე ბურაბ გენაშვილს

– ბატონო ბურამ, დღევანდელი ჩვენი ცხოვრება დიდძალ მასალას გვაწვდის მწერლობისათვის. არსებულ სინამდვილეს თვითონვე უნდა გავეუსწოროთ თვალი. ვაცნობიერებთ თუ არა ჩვენს ყოფას, მიმდინარეობს თუ არა ამგვარი მხატვრული რეფლექსიის პროცესი ქართულ ლიტერატურაში? იქნებ აუცილით ან ჩამოვრჩით ჩვენსავე სინამდვილეს?

– თქვენა ეს კითხვა რამდენიმე არსებით მომენტს შეიცავს... ის საპასუხოდ საკმაოდ რთულია და იმავე დროს მაინც საინტერესო და აქტუალური.

მე არ ვიცი, რას ნიშნავს თეზა – ჩვენი ცხოვრება დიდძალ მასალას გვაწვდის მწერლობისათვის ... ცხოვრება, ანუ რეალური სინამდვილე რა ტრაგიკული ფიქციურეკებიოა თუ ქვეტექსტებითაც არ უნდა იყოს აღბეჭდილი, თავისი ნიალიდან ვერ ამოტვორცნის ხელოვანს, შემოცემებს, მწერალს, ანუ იგი, როგორც მაიმუშისარებელი მასალა ვერაფერ განსაკუთრებულს ვერ უკარნახებს იმას, ვისთვისაც მხატვრული აზროვნება ნხოლოდ რეალობის ხარკია, ანარკლია იმისა, რასაც ხედავ და უშუალოდ განიცდი...

საგულისხმოა, რომ დაცემის ეპოქებში არ იქნებოდა არა მხოლოდ ახალი მხატვრული ღირებულებები, არამედ ჩლუნგდება თვით აღქმაც კი ძველი შედეგებისა... შესაძლოა ეს იყოს უტრირება დღევანდელიობისა, მაგრამ სიმართლის რალაც დოზა ჩემს ამ კატეგორიულ განცხადებაში ამკარად დევს.

ჩვენ ვცდილობთ დაეინახოთ ლიტერატურული პროცესების ამკარა თუ ფარული დინამიკა, შევიგრძნოთ და გაავიზროთ დრო-ა დარღვეული კავშირის აღმგენის ჯერ კიდევ თვალით უხილავი ნიშნები, ეროვნულისა და უცხო ცნობიერების პარამნიული თუ ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციის ბალანსირების დინამიკა...

სულიერი ღირებულებათა სრული კაეფონიის პირობებში მწვლია აღმოაჩინო მაგისტრალური დისკურსი ჩვენი მხატვრული აზროვნებისა... რამდენიც არ უნდა გაუსწოროთ თვალი არსებულ სინამდვილეს და გაიცნობიერო ჩვენი ყოფიერების ბოლომდე მახინჯი მექანიზმი, ტექსტორიტი მხატვრული რეფლექსიის პროცესის იგი ვერც წარმართავა და ვერც აირეკლავს.

ვერაფრით აცდები და მითუმეტეს ვერ ჩამორჩები იმ დროსა თუ სინამდვილეს, რომელიც შინაგანად გამოფიტულია ყოველგვარი სულიერი იმპულსებისაგან, რომელიც თითქოს არის, ანუ მიმდინარეობს და იმავე დროს არც არის ანუ გაქვავებულია... ასეთი სიბერნით დაავადებულია ფიზიანობის დროს შემოქმედებითი ფინით აღბეჭდილი პერსონალიები წარსულის რომანტიზაციის, შინაგანი მედიტაციისა თუ გარესინამდვილის უსაგნო ქვერეტიხათვის არიან „განწირულნი“... რალაც საბედისწერო უნივერსალური მუტაციის პროცესს შეუპყრია საქართველო... ამ გარდამავალი ხანის უმძიმესი რეციდივები ყველაფერთან ერთად ლიტერატურასაც ამკარად დაეცრო, – დაიბნა, მოდუნდა, მონუმენტური პრობლემების სიმძიმე ამკარიოვლად დაამკრო და სულაც გასრისა... ყურნალავაზე ეთებში წლოვანთა და გამოცდილთა მხოლოდ წარსულის ინერცილა „ფეთქავს“, და კიდევ რამდენიმე შედარებით ახალგაზრდის ექსტრავაგანტური, ულტრათანამედროვე ენობრივი ქსოვილით გადახალისებული, რალაცით ძალზე საინტერესო და უფრო პერსპექტივაზე გათვლილი ქმნილებები ილანდება...

სწორედ ეს „ულტრანოვატორები“ ესწრაფვიან მოუხელთებელი და უსახური რეალობის წარმოჩენას, გამხატვრულებასა და ქალაღზე მის ერთგვარ დაუნჯებას... მომაველი ათწლეულები ან უკეთ წარმოაჩენენ მათ შემოქმედებით შესაძლებლებს, ან სულაც წაშლიან და არარად აქვეყნენ მათი დღევანდელი ამბიციების წარმომშობ ლიტერატურულ ტექსტებს...

გულწრფელი ვიქსები და ვიტყვი, რომ დღეს მე განსაკუთრებულ აღმაფრთოვანებელსა და განსაცვიფრებელს ლიტერატურაში ვერაფერს ვხედავ... თითქოს შეჩერდა და წამით გაიჩინდა თავისუფლების სრულიად უწვეული ტანჯვა-ნეტარების განცდებით სუნთქვამკრული ეროვნული შემოქმედებითი სული... მხატვრული ცნობიერების კრიზისი, იმედია, არ იქნება ხანგაძლიერი, და ახლო მომავალში კვლავ გამონათდება XX საუკუნის დიდ ქართველ მწერალთა ქემმარიტი შთამომავალნი... რეტროგრაფობა რომ არ დამწამონ, იმასაც დაეუმატებ, რომ



ეს მთავომავალი უთუოდ თავისუფალი XXI საუკუნის არმატიითა და „ფერ-ბორცით“ უნდა იყენებ პირთამდე გაფრთხილებს...

**– თქვენი თაოსნობით არაერთი ახალი გამოცემა შეემატა ქართულ მწერლობას და ლიტერატურათმცოდნეობას. რას იტყვით მათ შესახებ?**

– სამოყენებით მინდა ვუპასუხო თქვენს ამ შეკითხვას. საერთო სიფუხერისა და მოძალბებული უნაყოფობის გამანადგურებელ ტალღებს ადვილად შეუძლებს გადარეცხონ და ერთეულთა მუხსიერების კუთვნილებათა აქციონ არა მხოლოდ დღევანდელი, აქა-იქ კიდევ შერჩენილი სულიერ-ინტელექტუალური „აოსიანი“, არამედ რაც ყველაზე უფრო შეზარავია, ჩვენი კოლოსალური კულტურის უნიკალური ღირსებებით აღბეჭდილი ტრადიციებიც... და მათ შორის კლასიკური ქართული სიტყვა, კახული მწერლობა... მხოლოდ პანიკით, ბუზღუნით, ვიკიშობითა და თვით უაღრესი ამოხვერთაც კი ამ შემამრწუნებელ პროცესს ვერც შეაჩერებ და ვერც უშველი...

მხოლოდ გაათკეცებული ენერგია, უგულრავილესი ნება და შენი ქვეყნის უმაღლესი ინტერესებისადმი მონური მორჩილებაა ის ქვეყნობა პანაცეა, რომელთა წინამძღვრად უძღვრია თვით დღევანდელი მონსტრად ქცეული, ყველაფრის ნამბეჭავი და ნამბილნველი ე. წ. „ქართული კამიტალიზმი“...

დიდი ქართული სულიერების ამ „დაუძინებელ“ მტერს აღუდგა წინ და მხოლოდ ხაკათაი თავის იმედით შეეცადა მოთაროსთავილის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი გადაეგრძინა ერის უმაღლეს სულერ ფასეულობათა შორის უმაღლესი – მშობლიური თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობის ცოცხალი გულისფთქა... გადაგრძინა უძლიერესი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სკოლის უმაღლესი ტრადიციები... გადაგრძინა სიყვარული, მონინება და თავგანსიციება იმ საკრალური ერთადერთისადმი, რომელმაც ქარცეცხლიან, სისხლდა და ცრემლიან საუკუნეებს გამოუსტავა დიდი გადაგრძინა ნიადაგ გადაშენების შირას მდგარი ერი და ქვეყანა... ხომ ბედნიერი უცნაურობაა იყო გადამრჩენი, ყველას და ყველაფრის გადამრჩენელისა... დრო-ჟამის წარმოუდგენელი პარადოქსები, ანუ სოფლის უკულმა ტრიალი, თურმე ყველაფერს ქაოსისა და განუკითხობის საზიზღარბურუსში ხევეს და აკარგვინებს საზოგადოებრივ ცნობიერებას ჯანსაღ ორიენტაციებს...

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისათვის ჩვეული მაღალი გონი და სულისკვ-

თება ის მყარი საფუძველი და გარანტია, რომელმაც შეაძლებინა მას კიდევ უფრო ძლიერი და მოთილიზებული, ყოფილიყო თავისი პროფესიული ვალის აღსასრულებლად...

ქვეყნის უპირველესი ლიტერატურული ცენტრის საყოველთაოდ ცნობილი როლი, ლიტერატურის ინსტიტუტს კარნახობდა ყოფილიყო კიდევ უფრო ამტანი და ამალეებული იმ ირგვლივ გამეფებულ აგრესიულ უმეცრებაზე, რომლის მარწუხებშიაც დაქტნა და კედომის სიფითრით დაავადდა არა ერთი და ორი აღორძინების ღირსი დარგი ჩვენი სულიერი მოღვაწეობისა...

**რა გააკეთა, რა შექმნა ართ შეეგება XXI საუკუნეს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი?**

უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის სულიერი აღორძინების რწმენით. მხოლოდ ამ მაღალი რწმენის გამოხატულებაა ის ნაყოფიერი შემოქმედებითი ღწვა, რომელმაც თავისი რეალიზაცია ინსტიტუტის მიერ გამოცემულ მრავალრიცხოვან კრებულებსა თუ გაზეთ „კალმასობაში“ პპოეა...

თავი და თავი ინსტიტუტის ინტელექტუალური პოტენციის რეალიზაციისა ნიგნ-გიგანტად სახელდებული „ლიტერატურული ძიებანი“... ხანგრძლივი პაუზის შემდეგ 1998 წლიდან კვლავ აღსდგა მისი გამოცემა... სრულიად თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ იგია სახე არა მხოლოდ ინსტიტუტის, არამედ ჩვენი ქვეყნის ლიტერატურათმცოდნეობისა... მასში კონცენტრირდა ფოლკლორისტიკის, ძველი (რუსთველოლოგიასთან ერთად), ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის კვლევის, ტექსტოლოგიის, ჟურნალისტიკის ისტორიის, საზღვარგარეთთან ლიტერატურული ურთიერთობების, ლიტერატურის თეორიისა და ლექსმცოდნეობის, ემიგრანტული ლიტერატურის საკვანძო, უარსებითის, ანუ ე. წ. კონცეპტუალური პრობლემები. ან უკვე მზადაა „ლიტერატურული ძიებანი“ XXII ნომერი... მკითხველი, დაწმუნებული ვარ, დიდი სიამოვნებით გაეცნობა მას და მაღლიერებით განიმსჭვავლება სტატეების ავტორთა მიმართ...

ინსტიტუტის დიდ მიღწევად მიმაჩნია ლიტერატურულ-თეორიულ ჟურნალ „სჯანის“ გამოცემა. მისი რედაქტორია ბატონი თეიმურაზ დლიაშვილი... საოცრად მრავალფეროვანი სპექტრი ლიტერატურულ-კულტუროლოგიური კვლევისა თვალსაჩინოს ხდის თანამედროვე ინტელექტუალური ცხოვრების „ეგროპული

რადიუსით" გასვლის აუცილებლობას... და ეს ფრიად საგულისხმო სიმპტომია, რომელსაც განვითარება სჭირდება...

საინტერესო კიდევ ის არის, რომ ფურნალი მკითხველს აცნობს თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურათმცოდნეობას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს თეორიული აზროვნების განახლებისა და კვლევის უნივერსალური კონტექსტებით მანიპულირებისათვის...

საოცარი პოპულარობა მოიპოვა უკვე ირაკლი კენჭოშვილის რედაქტორობით გამოცემულმა ფურნალმა „კრიტიკიუმმა“ - მისი მიზანია ქართული კრიტიკული აზრის მყოფილოგიური პრინციპების თვისებრივი განახლება, ახალი თანამედროვე კრიტიკოუმების შემუშავება, ინტერდისციპლინარულ კვლევათა სფეროში ჩართვა, პუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში მიმდინარე პროცესების გაშუქება, ქართული კულტურის გადარჩენა-განვითარება და ევროპულ კონტექსტში მისი გაზრდა, მწერლობის აქტუალურ საკითხებზე დროული რეაგირება და მკვლევართა შორის მუნიციური კავშირების განმტკიცება... აი, რა ფართო არეალი ამ ქუშიარტად მშენიერი გამოცემისა. მთავარი კი ის არის, რომ იგი საქმით, ანუ მაღალპროფესიული მასალით ამაროლებს და ანხორციელებს მიზანს...

ლიტერატურის ინსტიტუტმა აღზარდა და ქუშიარიტ ლიტერატორობად ჩამოაყალიბა ახალგაზრდების მთელი თაობები, რომელნიც დღეს აქტიურად მონაწილეობენ ლიტერატურულ პროცესებში... სწორედ მათი მხარდაჭერისა და დაოსტატების მიხსით შეიქმნა ლიტერატურული კრებული „კლასიკური და თანამედროვე ქართული ლიტერატურა“...

ინსტიტუტის წიაღმივე იშვა გაზეთი „კალმასობა“... ვფიქრობ, შეუძლებელია დადებითი ემოციები არ აღძრას მკითხველში მისმა განოხანსორებულმა ტონმა, ანალიტიკური განსჯის სიღრმემ და სიფაქიხემ, საზოგადოებრივი ტენდენციების მართებულმა ინტერპრეტაციებმა... ლიტერატურული ფიქრია ამ გაზეთის უპირველესი მიზანიცა და ამოცანაც... ეს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი მისია და სულაც არ არის ადვილი მისი ღირსეულად აღსრულება...

კიდევ ერთმა დიდად მნიშვნელოვანმა კრებულმა დაიდაო ბინა ლიტერატურის ინსტიტუტში... მას დიდი სახოებით ეწოდა ჩვენი ერის უპირველესი პოეტის საკრალური სახელი...

რუსთაველისადმი მიძღვნილი ეს კრებული სისტემატურად ყოველ ორ წელი-

ნადმი გამოიცემა და ტრადიციულად ძლიერრუსთველოლოგიურ კვლევებზე ეხება ანუ დროის შეტყვევებისა-რთავს...

საერთოდ კი ვფიქრობ, რომ სამყაროს ერთი უპირველესი პოეტისა და მოაზროვნის მიმართ უფრო მასშტაბური ინიციატივებით უნდა იყოს აღბეჭდილი ჩვენი ეროვნული ლიტერატურული ცენტრის მომავალი საქმიანობა...

მე ხანგრძლივად აღარ შეეჩერდები ინსტიტუტის ერთგვრად ბრწყინვალე სამეცნიერო კრებულებზე: „კორნელი კეკელიძე-120“, აგორგი ლეონიძე-100“, „საქართველო-ისრაელი-2600“... „აბუსერის-ძე ტელი-800“ და სხვა...

რა მოკრძალებულიც არ უნდა ვიყო, შეუძლებელია არ ვაამაყო მე, და რა თქმა უნდა, ჩემთან ერთად მთელმა ინსტიტუტმა იმ წარბატებებთ, რასაც მიაღწია თავდადებათი მუშაკობითა და შეუბღალავი რწმენით...

- ჩვენს როულ, წინააღმდეგობრივ ყოფა-ცხოვრებას ყველაზე მეტად კრიტიკული აზროვნება სჭირდება. არადა კრიტიკა (ლიტერატურულ კონტეკას ვგულისხმობ) სწორედ დღეს უფო. რა არის ამის მიზეზი? რას გვიქადის მომავალი?

- მიუბედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში არსებობენ ცალკეული უნიჭიერესი კრიტიკოსები, ისინი, სამწუხაროდ, მაინც ვერ ქმნიან მაღალპროფესიული კრიტიკის ატმოსფეროს... არ იგრძნობა მისი ყოველსმხედ და ყოველსმეფასებელი ძალისხმევა... „სმიში“ და მოკრძალება კრიტიკის „არწივისებური“ ტერტის მიმართ...

ამიტომაცაა ჩვენში, ლიტერატურაში და ზოგადად სულიერების სფეროში სრული ანარქია... მხატვრული გემოვნების, სულიერი იმპულსების, საზოგადოებრივი აზროვნების კულტურის დონის მიმართ დღეს არაინაა პასუხისმგებელი... არაინ ფიქრობს ერის იმ უმნიშვნელოვანესი მენტალიტეტის თუნდაც შენარჩუნებაზე მაინც, რასაც მისივე სულიერ-ინტელექტუალური მდგომარეობა ქმნიდა...

კრიტიკა, თავისი იდეალური დანიშნულებით - ყველაზე საინტერესო ლიტერატურა... იგი კულტუროლოგიური ცნობიერების ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა და ამდენად სრულიად დამოუკიდებელი თვითღირებულებრივი შემოქმედებითი აქტია...

იგი გარკვეული სახით უნდა მალღებოდეს ზელოვნების იმიტაციაშივე, რათა მკითხველს ანიჭებდეს და განაცდევინებდ-



ეს ინტელექტუალურ და ესთეტიკურ კმაყოფილებას...

კრიტიკის უმალღესი ამოცანაა იმგვარი მონოლოგიური ტექსტის შექმნა, რომელიც თავისთავში აირეკლავს პოეტური განცდისა და აზროვნების უნატიფეს მშვენიერებას...

სწორედ ამ ტიპის კრიტიკულ აზროვნებას ძალუძს იყოს მედიუმში ქვეშარიტილიტირატურასა და გონიერ მკითხველს შორის...

სწორედ ამ ტიპის კრიტიკას შეუძლია განაცალკევოს ერთმანეთისაგან ფსევდონიტელექტუალური საერთაშორისო სქემები, საზღვარგარეთ მიმდინარე ქვეშარიტილიტირატურული პროცესებისაგან...

სამწუხაროდ, ძალიან გაგრძელდა საკუთარი ინტელექტუალური ნიჟარებიდან ირონიულად მოქირქილე კრიტიკოსებად დაბადებულ თუ სხვათაგან შერაცხილ პერსონალიათა ლიტერატურული დუმილი...

რა არის ამის მიზეზი? – პროფესიის არაპოპულარობა, სიმართლის თქმის უაზრობა და არაეფექტურობა, საკუთარი კვალის დამწმენვის ამაო სურვილთა დასამარების მოლოდინი... დიდი ლიტერატურის ნელი ქრობა და ახალ ლიტერატურულ ნილაბთა ჯერ კიდევ მკრთალი ხილუეცები... ეს-ეთიკური გემოვნებისა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძალზე სუსტი და უმწიფოდ მტყუნივე საყრდენები... აი, მიზეზთა ეს ნეება, რომელმაც, ვფიქრობ, ჯერ შეაბრკოლა, ხოლო შემდეგ მთლად დაადუმა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა...

რას გვიქადას მომავალი? – ეს შორს გაჭირლი, სევდიითა და მსუხარებით აღბეჭდილი კითხვაა, რომელსაც ვფიქრობ, მაინც რიტორიკული სურნელი ასდის, რომლის პასუხი შეხაძლოა ასევე რიტორიკული იყოს და ამიტომაც აღარ ღირს წინასწარმეტყველური მედიტაციებით თავის მოტყუება... და ჩვენი უსიხარულო რეალობიდან მეტაფიზიკურ სივრცეებში ფრენა-ფარფატი...

**– ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ დღეს ქართულ კულტურულ გარემოში ღირებულებების გადაფასების დროა. მართლა ასეა? და თუ ასეა, რა ნიშნით წარმართა ეს პროცესი?**

– ტრადიციულად დამკვიდრებული ეროვნული კულტურული ფასეულობანი, თუ დამკვიდრების პროცესში მყოფი კონკრეტულური მნიშვნელობის წარმოდგენები, ანუ კვილაფერი ის, რასაც ქართული სულიერება, ბუნება და ხასიათი ეფუძნება, არ დავერ უნდა გადაფასდეს... რადგან ეს მისი

ნიველირების, მისი ბუნებრივი არსებობიანა და განვითარების ხელისშემლისა და სხვა... არის უსახური ცივილიზაციის ელემენტები მარნუბებში საბოლოო უსიცოცხლო გარინდების მაუწყებელი იქნება...

ამიტომაც ძალზე საგანგაშოა იმ ბევრი ადამიანის ფიქრი, რომელთა ძალისხმევა-მაც საქართველო დასავლური ქირურგიულ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების „შაციენტად“ აქცია... სათუთად გულღვიდამოცხილი და ტვინისუჯრდებგადაადგილებული იგი მსოფლიო თანამეგობრობის იმ ფრიად სასურველ ქვეყანარობობად გარდაისახება, რომლის აზროვნებისა და ქცევის სიმპტომები წინასწარ პროგნოზირებადი და ადეილად სამართავი იქნება...

რა კურიოზებითაც არის აღბეჭდილი უმალღეს ლიტერატურულ ღირებულებათა გადაფასების პროცესი, კარგად მოვსხენება საზოგადოებას... გონებაგაყინულთა და გულქვითა „ღრმავაროვანი“ განსჯა-შეფასებანი შოლოდ განცვიფრებას იწვევს, იმის გამო, თუ რა უსაზღვროა ადამიანის რეგნული ამბიციებისა და სითაუბედის გამოვლიებანი...

ერთი რამ მინდა ვთქვა: თუ კინა საუკუნეების კოლონიურ-ტოტალიტარულ რეჟიმთან კონველსიურმა ჭიდილმა ტანჯულ საქართველოს რაიმე ქვეშარიტიბა ასწავლა, აღბათ უპირველეს ყოვლისა ის, რომ იგი შაერივით საქიროებს უმალღესი რანგის კულტურულ საზოგადოებას, ანუ სივრცეს, მისი სულისა და გონების საქიროსუფლოდ... ამ საზოგადოება-სივრცის პროტაგონისტი ქვეშარიტი მწერლობა იყო... მისი გრანდიოზული სულიერი იმპულსების გარეშე ვრი განწირული იყო დასალუპავად...

არც ის უნდა დავიუწყოთ, რომ ერის ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი ზოგჯერ დადუმებული „ფუფუნების“ კვლავ აღორძინება უდიდეს სიმწელებთან იყო ხოლმე დაკავშირებული...

ასობათ კი დღეს, ეროვნულ ღირებულებათა წინააღმდეგ ცხვირბზუებულ კულტურის „რეფორმატორებს“ და მათთან ერთად ქვეყნის უმრავლესობასაც ამ ისტორიული კანონზომიერების აზრი და მნიშვნელობა...

და კიდევ: საუბარია პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაზე, როგორც ეპოქის სულის გამოხატულებაზე, რომლის მსოფლმხედველობრივ თუ ესთეტიკურ კონცეფციათა არს თანამედროვე ადამიანის ფსიქიკის ღრმა შრეებში გაუდგამს თურმე ფესვები... ამგვარი ფორმულა ღირებულებათა



გადაფასების ერთი კონკრეტული გამოვლი-  
ნება... უსუსური და უნიადაგო გამოვლი-  
ნება...

მე ვერ დავიფერებ, რომ პოსტმოდერნის  
ესთეტიკურ კონცეფციათა არსი თანამედ-  
როვე ადამიანის ფსიქიკაში იყო ღრმად ფეხ-  
ვაფეხი...

შეუძლებელია ეს ასე იყოს, ჯერ ერთი  
ნიმტომ, რომ იგი დასაპარებაა ინდივიდ-  
უალური სტილისა ანუ საერთოდ ინდივი-  
დისა...

პოსტმოდერნისტთა კონცეფციის  
თანახმად, ინდივიდუალური სტილი კარ-  
გაეს თავის არსებობის უფლებებს, რადგან  
გამოყენებული და გადატვირთულია ყველა  
სამუალებმა, რომელიც კავშირშია მწერლის  
ინდივიდუალურ სტილთან, მის ემოციებთან,  
მის უნართან – გულწრფელად და მართ-  
ლად იმსჯელოს რაიმეზე... ამიტომ,  
პოსტმოდერნი სეამს წერტილს და იწყებს  
ლიტერატურის ახალ ათვლას, რომელიც  
ჩვენს სხვათა სტილზე, უფრო ზუსტად, სხვა-  
დასხვა სტილთა ეკლექტიკაზე... სწორედ  
ამ ეკლექტიკის საფუძველზე აღმოცენდება  
მეტასტილი, რომელიც წარმოადგენს  
ფორმას ხელოვანისა და მკითხველის  
კომუნიკაციისა...

მათი მტკიცებით, მხოლოდ ამგვარად  
შეიძლება ჩვენი დროის ლიტერატურის ვა-  
დარჩენა. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ  
პოსტმოდერნი არა მხოლოდ კრიზისის და-  
სტურია, არამედ მისი შესაძლო გადალახვის  
ფორმაც...

მე კი ვფიქრობ, რომ შეუძლებელია, ანუ  
ნონსენსია, ეკლექტიკამ, როგორც  
ლიტერატურული კონცეფციის  
ინგრედიენტმა, რაიმე ნამდვილად  
ღირებულის მოლოდინით დაგმუხტოს...

ფაქტიურად პოსტმოდერნი არის სი-  
ტყვათა მნიშვნელობებით თამაში, რაღაც  
გონებაქერებით ლაზღანდარობის, მკითხ-  
ველის პროვოცირებისა და მსუბუქი  
ინტელიქტუალური ფლირტის "ესთეტიკა",  
რომელიც საბოლოოდ ნყვეტს ყოველგვარ  
კავშირს ტრადიციულ ლიტერატურასთან...

ამ „სკოლის“ ადეპტები უარყოფენ  
ლიტერატურის ყოველგვარ ონტოლოგიურსა  
და ეპისტენციურ არსს და ყურადღების  
კომცენტრაციას ახდენენ მკითხველის რევე-  
ფიციაზე, რეაქციის პროვოცირებაზე...



ყოველივე ეს დასაუღეთის საბალები-  
აკენ თავუდმოგლევილთ ქრფეფეფეფეფე  
ერთი სიმპტომია, რომლიც ხდფეფეფეფეფე  
გძლიოება, დარწმუნებული ვარ,  
დამოკიდებული იქნება კიდევ უფრო ექსტ-  
რავაგანტური ესთეტიკის მოვლინებაზე...

რა თქმა უნდა, მე არ უარვყოფ ამგვარ  
ნოვაციათა თუნდაც აუცილებლობასაც  
კი... თუმც ძალზე მაეჭიებს მათი სიცოცხ-  
ლისუნარიანობა, ანუ სერიოზულ  
ლიტერატურულ ესთეტიკაზე მათი  
ზემოქმედების უნარი...

დღევანდელი ჩვენი ლიტერატურული  
ცხოვრებისათვის არც თუ არსებითია ახალ-  
გაზრდა „პოსტმოდერნისტთა“  
ექსპერიმენტები... მითუმეტეს არასერიოზო-  
ლია მოლოდინი ქართული მწერლობის  
„პოსტმოდერნიზმის“ უმწეო ბაცილებით  
უნუგემოდ დასწეულებასზე...

ტრადიციული ღირებულებების გადაფა-  
სების ერთი კონკრეტული მაგალითი, რაზ-  
ეც არის დაფუძნებული და თვითონ რასაც  
წარმოადგენს, ვფიქრობ, ნათელია და მასზე  
მსჯელობას აღარ გავაგრძელებ...

ასეთივე ხელოვნური და თვითმზნური  
ახალ შეგვრძებებსა თუ რაღაც ახალ  
ხედვებზე გათვლილი სხვა ჯერარნახულ და  
არგაგონილ სულიერ ღირებულებათა აღ-  
მოჩენის მცდელობანი...

ახლის ძიებას ვერაფერი შეაჩერებს, მაგ-  
რამ ამ ახალში ქვეცნობიერად მაინც უნდა  
თრთოდეხ შენი ერის უღრმესი სულიერი  
მეხსიერებით განცდილი თუ ჯერაც გან-  
უცდელი კოლოსალური მესამელობანი...

აქ შევწყვეტ მოსაზრებათა დემონსტრირ-  
ებას და მადლობას მოვახსენებ ჩემს  
ინტერვიუერს... არ ვიცი ის დამეთანხმება  
თუ არა, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული,  
რომ ფრიად სავალალო და საგანგაშოა  
ჩვენი მალალი სულიერებით ცნობილი ერის  
დღევანდელი სულიერი მდგომარეობა...

მას შეეღა სჭირდება და ეს ჩვენმა ავად  
დაყურსულმა ცნობიერებამ უნდა შეიგნოს  
და გაითავისოს...

არაერთთვისაა მგონი ეს უკვე კარგად  
გაცვეთილი და პატივახდილი ტკივილი  
ახალი და მოამბეჭდავი... და მიუხედავად  
ამისა, მაინც გვანევს ამ ვეებერთელა  
პრობლემის წრდილში ცრემლისღვრა და  
გულამომჯდარი ტირილი...





## კათილქმელება ღვთაუნდლოზის კონტექსტში

დნელია დღეს არსებულ რეალობაზე ივე ღაპარაკი, რომ ცხოვრების წრდილოვან მხარეებს საგანგებოდ არ გაუხეხა ხაზი. თითქოს რაღაც მაგრად შეკრული, გრძელი და უწყვეტი მოვლენათა ჯაჭვია ჩვენს ირგვლივ და ამ ჯაჭვითვე გვაქვს დაბმული ხელ-ფეხი. გლანქტიონის ნათქვამისა არ იყოს, ჩვენი ყოფა მართლაც „ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით“ გვიბნელებს ტინის და გვიბზობს ყურთასმენას. თითქოს ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი: უფულობამ, უსინათლობამ, უწუგუმობამ, უპერსპექტივობის გრძნობამ, ეს უკანასკნელი კი იმან გამოიწვია, რომ უკვე საქმოდ დიდი ხანია რაც ამ ყოფაში ვართ და საშველი არ დაგვადგა. რა უნდა ქნას ასეთ პირობებში ხელოვანმა, მწერალმა და საზოგადოდ, შემოქმედმა კაცმა?

საქმე ისაა, რომ შემოქმედი იმავე უპერსპექტივობის გრძნობით არის შეპყრობილი, რითაც ყველა სხვა. ისიც იმავე ქვაბში იხარშება, იგივე დარდ და ბალღამი უჭამს გულს. იმ მკვლევართა ზრით, რომლებიც შემოქმედის ფსიქოლოგიას და შემოქმედებით პროცესებს იკვლევენ – აბსოლუტური პესნიზმით შეპყრობილი ხელოვანი არ არსებობს. ზღვარს გადასული პესნიზმი შემოქმედებით უნაყოფობას იწვევს. ის მწერლები, რომლებსაც გამოუვალნი ისტორიული თუ ფსიქოლოგიური ვითარების მძაფრი შეგრძნება ჰქონდათ, მაინც წერდნენ, ვინაიდან თავიანთი ნატურით მათელები იყვნენ. შემოქმედება, ახლის ქმნაა და, მუნებრივია, დინამიკური პროცესია – ძიებას გულისხმობს, მიკვლევას, მოპოვებას. მცოდნეა ამ ძიებამ და მიკვლევამ, ბარათაშვილის ერთი ლექსისა არ იყოს, შემზარავ დასკვნამდე მიგვიყვანოს, თუმცა ეს დასკვნა არ უნდა იყოს საბოლოო, ამის მერე უნდა ვთქვათ სწორედ: „მაგრამ რადგანაც კაცნი გეჭვია შვილნი სოფლისა“ და ა.შ. უნდა ვთქვათ, ვინაიდან, ცხოვრება არ არის ერთნისა და ერთნისუნელოვანი.

XX საუკუნის ავსტრიელმა მწერალმა ფრანც კაფკამ თავის მეგობარს დაუბარა, ჩემი სიკვდილის შემდეგ გამინადგურე გამოუქვეყნებელი ნაწერებით. ეს აღბათ იმას ნიშნავდა, რომ ამ ნაწერებში არ იყო გარკვევით მითითებული მათიბელი კაცისთვის „გზა ხსენისა“, მაგრამ ამ ნაწერების გაჩენის

სტიმული თავიდანვე ვიუჭი მაძიებლობა გახლდათ. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იქნებოდა. მწერალი არასოდეს არ წერს მხოლოდ საკუთარი თავისთვის. შემოქმედებითი აქტივობა ყოველთვის მსმენელს ანუ მკითხველს გულისხმობს. სხვას კი მხოლოდ მაშინ ელაპარაკები, როცა რაღაც ისეთი გვაქვს სათქმელი, რაც მხოლოდ სასწარმკვეთილებს არ გამოიწვევს.

საერთოდ მწერლობა ყოველთვის ჯოჯობეთური შრომისთვის, ფანატიკური თვითგაღებისთვის, დაუფარავი თავგანწირვისთვის მზადება იყო. მწერალი აღბათ მთელი ცხოვრება უნდა ემზადებოდეს თავის მთავარი სათქმელის თქმისთვის. ცხოვრებისეულმა და ლიტერატურულმა გამოცდილებამ ერთ ნერტილში უნდა მოიყაროს თავი. ამიტომაც ყოველი მწერალი ცდილობდა შეექმნა ისეთი საარსებო და სამუშაო პირობები, რომელიც სრული თვითრეალიზაციის საშუალებას წისციმდა.

ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსი თომას უელსი ოცდათერთმეტი წლის გარდაიცვალა. მისი საბედისწერო ავადმყოფობა (რამდენადმე) გარკვეულნილად სწორედ კატორღული შრომით, არაჩვეულებრივი შინაგანი დაძაბულობით, უკიდურესი ფსიქიკური გადაღლილობით იყო გამოწვეული. თომას ვულფმა უშველებელი რომანები, უგრცესი მხატვრული ტილოები შექმნა. მწერლის რედაქტორი მაქსუელ პერკინსი თავდაუზოგავად ყრიდა ამ უშველებელი ნაწარმოებებიდან ცალკეულ პასაჟებს, ფრაგმენტებს, უპიზოდებს, ფსიქოლოგიზმით და პოეტური ქრეტიტით აღბეჭდილი მონაკვეთებს. და აკეთებდა ყოველივე ამას იმიტომ, რომ მთავრებით თავდავიწყებული მწერლის „ნახელავს“ გამოკვეთილი სახე ჰქონოდა.

და აი, სწორედ ამ ვულფმა, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ თავის დღიურში დაფარული სურვილები გაამხილა. ის თურმე განმარტოებით, გარიყულად მცხოვრები, ნაწერებში თავიარგული, ოჯახურ სიმყუდროვის ნატობდა. მას სურდა მუდმივი შემოქმედებითი ქალისთვის პირად ცხოვრებაში დამკვიდრებული წესრიგი დაეპირისპირე-

ბინა. ბობოქარი ტემპერამენტის, მოხეტიალე, ბოპემური, მოუსვენარი მუხით შეკერობილი კაცია თბილ ნავსაყუდელზე ოცნებობდა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს ასეა. და ბუნებრივიცაა.

ადამიანში არსებობს შინაგანი ლტოლვა ნონანსწორობისკენ, ადამიანი ღრმად დაფარული ალღოთი გრძნობს დაპირისპირებულ სანაყისთა გამანადგურებლობას. და თუ მას ამგვარი ალღო მოილუნგებული აქვს, შეიძლება, გარკვეულ ვითარებათა მსხვერპლიც კი შეიქნეს.

ისევე ჩვენს დღევანდელობას დაუბრუნდეთ. მართლაც აუტანელია ჩვენი ყოფა. მაგრამ ასეჯერ უფრო აუტანელი გახდება თუ მხოლოდ ჩრდილოვან მხარეებს დავინახავთ და სხვა ვერაფერს. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სიკეთის ქმედითი ძალა დღევაც ქმნის სასურველ ატმოსფეროს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ერთ მაგალითს გავიხსენებ.

ამ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩემი ოჯახის კარი უახლოესნა მეზობელმა, შესანიშნავი შვილების დედამ და შვილიშვილების ბებიამ ქალბატონმა ცილაა პაიჭაძემ შეშალა. აღელვებული ჩანდა. როგორც ლაპარაკიდან გაირკვა, მისი აღელვების მიზეზი ბოლო ხანს გაკეთებული თვალის ოპერაცია იყო. ეს ფაქტი მე და ჩემმა მოძლებმა უკვე ვიცოდით, მაგრამ ქალბატონი ცილაა ყვებოდა ოპერაციის დეტალებს, ყვებოდა და... თვალებიდან ლაპალუპით სცვიოდა ცრემლები. რა თქმა უნდა, ეს სიხარულის და მადლიერების გამოშხატვლი ცრემლები გახლდათ. აი, რა თქვა მან:

— მე რაც თავს გადამხდა, სწორედაც რომ დაბადების ტოლფასია — თვალისჩინწართმეულს მხედველობა დამიბრუნდა. შეუძლია კი ვინმეს გაიგოს თუ რა ბედნიერებაა ეს? ან კი შეუძლია ენას გადმოხცეს დაუფინყარი ნუთები?

ოპერაციის შემდეგ, თვალი რომ ამეხილა და ხელახლა ვიხილე ქვეყნიერება, გარგვიქრე, სიზმარში ხომ არა ვარ-მეთქი. ირგვლივ ექიმები მეხვეოდნენ, ყველა ნიღოცავდა და სანუგეშო სიტყვებს წაუბნებოდა. ჩემი მხრივ, მეც გაოგებული და ენანართმეული ვიყავი. ხალხში ჩემი ნეულლე, მერაბ გელაშვილი შეენიშნე და ცრემლი ველარ შევიკავე, ეს რამდენი ძალა-რა გამოვრევი-მეთქი, — გულწრფელად შევიხიტყვე მერაბს. მერაბიც დაბნეული მიყურებდა. ყოველივე ამას იმიტომ ვყვიბი, რომ გელას გათავგებობა, თუ რამხელა სიკეთის ქმნა შეუძლია ადამიანის სასწაულმოქმედ ხელედა...

მართლაც სასწაულბერივი სიკეთე ჩვე-ნს დუბქირ დროში ქართველმა ტყვეებს თვალისჩინ დაუბრუნა. **გელაშვილი** ვისი წყალობით განახორციელა ამგვარი სიკეთე?

1995 წელს ცნობილი ოფთალმოლოგი სვიატოსლავ ფიოდოროვი საქართველოს პრეზიდენტს წერდა: „ჩემი მოწაფე და მეგობარი, ოფთალმოქირურგი გიორგი ჯავერიშვილი, რომელსაც აქვს იტალიასა და უკრაინაში კერძო კლინიკების ორგანიზაციის პრაქტიკული გამოცდილება, თბილისში ხსნის ოფთალმოლოგიურ ცენტრს „ოფთალმიჯი“. ცენტრი აღჭურვილი იქნება პირველი კლასის აპარატურით და გამოიყენებს მსოკოვის მიკროქირურგიის კომპლექსში შექმნილ თვალის მკურნალობის და დიაგნოსტიკის ყველაზე პროგრესულ ტექნოლოგიას“.

ეს ცენტრი მართლაც გაიხსნა და მას სწორედ აღნიშნული პროფესიონალი გიორგი ჯავერიშვილი ჩაუდგა სათავეში.

— რამ გადაგანყვეტინათ კერძო კლინიკის შექმნა? — ეკითხებიან ბატონ გიორგის.

— ვფიქრობ, ისეთი ტიპის ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნები, ვისაც საქმის კეთება, მართო, დამოუკიდებლად ურჩევნია. მართალია, ეს ოლი არ არის და პასუხისმგებლობაც დიდია, მაგრამ წარმატებით გამოწვეული მორალური უკუგებაც მე მეკუთვნის, — ამგვარად პასუხობს ექიმი და ნიშანდობლივია (ცილაა პაიჭაძის ნათქვამის თანახმად), რომ გიორგი ჯავერიშვილი სწორედ მორალურ უკუგებას უსწამს ხას.

„ოფთალმიჯში“ არა მხოლოდ თავისი საქმის მცოდნე და მოყვარული, არამედ არაწვეულებრივად კეთილშობილი ადამიანები მუშაობენ. აღბათ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ისინი, ვინაიდან პროფესიონალი „შთან შერწყმული კეთილშობილება ის ნიშანია, რომელმაც თავისუფალ საქართველოში მკვიდრად უნდა მოიკიდოს ფეხი.“

მარინე რამაზაშვილი — კლინიკის მენეჯერი და ლაზერო-ქირურგიული კაბინეტის გამგე, „ოფთალმიჯის“ „ტვინი“ ანუ „ქუკის კოლოფი“ (ცილაა პაიჭაძის სიტყვით, მას ოჯახიდანვე დაჰყვამივითი კეთილშობილება).

ზურაბ გვანცელაძე — ბრწყინვალე პროფესიონალი, რომელიც ოპერაციის შემდეგაც არ აკლებს ავადმყოფს ყურადღებას.

გელა ლეკიშვილი — „ოფთალმიჯის“ „ხელები“. სწორედ გელას, ამ კეთილშობილი, დინჯი და აუღელვებელი კახე-

ლის სასწაულმოქმედმა ხელებმა გაუსწორა მზერა ნახევარი საქართველოს დაღმებულ მოსახლეობას.

დაბოლოს, ესეც უნდა ითქვას, გიორგი ჯავრიშვილის თაოსნობით დაფუძნდა საქართველოს ოფთალმოლოგთა კავშირი, რომლის შექმნის მიზანი საქველმოქმედო საქმიანობის გაშლაა.

ეს არანაკლებრივი ფაქტი ტყუილად არ მოიყვანია. ვფიქრობ, რომ მწერლებმა, მოაზროვნეებმა და ხელოვანებმა დღევანდელ ცხოვრებაზე განწყობილებიანი იმპულსების დონეზე კი არ უნდა იმსჯელონ, არანედ უარყოფითთან ერთად დადებითი ფაქტების კარნახითაც უნდა გამოიტანონ დასკვნები. ცნობილია, რომ ფიოდორ დოსტოიესკი ფაქტების შეუვალობას და დამაჯერებლობას ღრმა მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი არაერთი მოთხრობა თუ რომანის ცალკეული ფრაგმენტი სწორედ გაზეთში ამოკითხული თუ გაგონილი ფაქტით არის შთაგონებული. ჩემს მიერ მოტანილი ფაქტიც მრავალმნიშვნელოვანია. აქ არის ყოველი ის, რაც დღევანდელ საქართველოს სჭირდება: პროფესიონალიზმი, პიროვნებისადმი კეთილგანწყობა და ქველმოქმედება. საქართველო მაშინ იქნება ბედნიერი ქვეყანა, როცა ამგვარი ფაქტი ჩვეულებრივად გაქვრივდება და სიხარულის ცრემლებს არ გამოიწვევს.

მაინც რა არის ყველაზე სახიფათო ფსიქოლოგიური თუ მორალური თვალსაზრისით დღევანდელ პირობებში? რამ შეიძლება მინისპირისგან აღგავის დღევანდელ დღემდე საუკუნეებგამოვლილი ღირებულებები? ცხადია, აქ ლაპარაკია ქრისტიანულ ღირებულებებზე, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ღრმად რომ არის ფესვგადგმული.

ჩემი აზრით, ყველაზე სახიფათო მტერი დღევანდელია ნიპილიზმი. ყველა ის ნიშანი, რომელიც სადღეისოდ უკვე მომაბეზრებლადაც გვეჩხირება თვალში — მესაკუთარი ინსტინქტების მოზღვაება, ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი, გულგრილობა, ერთმანეთის უპატივემულობა, ავტორიტ-

ეტების ლანძღვა, დღემდე მოღწეულ კულტურაში ეჭვის შეტანა, ყველაფერში ღირებულის უარყოფის პათოსი და სხვა ნიპილიზმის ნაყოფია. ბუნებრივია, ეს ნიპილიზმი ცხოვრებაში არსებულმა ნინა-ალმდეგობებმა, უპირველეს ყოვლისა, კი ეკონომიურმა კრიზისმა გააძლიერა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ კრიზისი გარდუვალი იყო. მაშასადამე, ამ გარდუვალობის დაძლევა არა მხოლოდ ნმინდა ეკონომიკური ფაქტორებით, არამედ კულტურის მეშვეობითაც უნდა მოხდეს.

ისე არ გაიგონ ჩემი სათქმელი, თითქოს ძალისძალად ვახვევდე თავს კულტურის წარმომადგენლებს იმის დანახვას და გადმოცემას, რაც ცხოვრებაში არ ჩანს. ეს ხომ სოციალისტური რეალიზმის განმეორება იქნებოდა. გამოგონილი სიკეთის ქმედითუნარიანობა ძალზე სუსტია. ძნელია დღეს ირონიის გარეშე უყურო „კომუნისტური იდეოლოგიით ნაკარნახევი“ ფილმების პერსონაჟებს, რომლებიც ქარზანამი მუშაობენ და საოცრად ალაღმართლები, ხელგამლილები, მოსიყვარულენი არიან. აქ მხოლოდ სექმატიზმი კი არა ჩანს, ეს ის შემთხვევაა, როცა ზღვარს გადაცდენილი გულუბრყვილობა თვითონვე ატარებს თავის თავში კომიკურობის მარცვალს. და ამიტომაც ამ სახით ყოველივე ამის განმეორება შეუძლებელია.

მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ცხოვრებაში რეალურად, ნამდვილად არსებობს კეთილშობილება უბრალოდ საქმისაა, რომ სიკეთე უზილავი პერსონაჟებით მოქმედებს და მისი უშუალო შედეგების დანახვა ძნელია. მწერალი, ხელოვანი, მხატვარი კი ის კაცი უნდა იყოს, ვინც მას დაინახავს და ცხოვრების მთლიან პანორამაში ჩაენერს. აქ მხოლოდ ერთი მოთხოვნა თუ სურვილი შეიძლება გამოითქვას: ხელოვანმა რეალობა ჩვენში არსებული ვითარების კონტექსტში უნდა დაინახოს. ხელოვანმა თუ მწერალს შეუძლია შექმნას თავის საკუთარი ესთეტიკა, თავის ხელწერა, თავის სამყარო, მაგრამ ყოველივე ეს ჩვენი სინამდვილიდან უნდა იღებდეს დასაბამს. ამ სინამდვილეში კი ყოველთვის არის ადგილი კეთილშობილებასთვის.

## თანამედროვეთა მოგონებები მიხაკო წერეთლის შესახებ

მიხაკო წერეთელს თავისი ცხოვრების შესახებ არაფერი დაუწერია. სიცოცხლის მიწაურულს იგი ნუხდა ამის გამო. 1961 წლის 20 თებერვალს მეუღლეს, მარიამ ვახვახიშვილს, სწერდა:

„მეშუარები აქამდე უნდა დამეწერა და ვერ მოვახერხე. ახლა გვიან არის, აღარ წერჩის აღარც კალამი და აღარც სხვა რამ ეალა“... (მიხაკო წერეთელი, ბარათები ნეულისადაში, „მნათობი“, 1988 წ., №5, გვ. 54).

თანამედროვეთა მოგონებებით შესაძლებელი ხდება მიხაკო წერეთლის მღვლეწარე ცხოვრების აღდგენა.

მიხაკო წერეთელმა პოლიტიკური მოღვაწის რთული გზა გაიარა. იგი თვალსაჩინო წვერი იყო იმ თაობისა, რომელსაც, ვიქტორ ნოზაძის თქმით, „განსაკუთრებით მძაფრი და დაჭიმული თავგადასახეალი შქონდა ქართული ცხოვრების ისტორიამ“.

ეს იყო თაობა წარმომობილი XX საუკუნის დამდეგს, როდესაც შეჩოჩქოლებული იყო ქართული სოციალური ცხოვრება (და არა მარტო ქართული, არამედ ვიეებერთელა რუსეთის იმპერიის ყველა კუთხისა); როდესაც აფორიაქებული იყო საზოგადოებრივი აზროვნება, როდესაც აწრიო-აღებული იყო მთელი ხალხი გამოურკვეველი მომავლის წინაშე და როდესაც მონინავე ინტელიგენცია ამ მომავალს ნაირი ფერებით უხატავდა და წარმოუდგენდა დაფთებულ და იმედის მაძიებელ ალეკებულ საზოგადოებას. იყო სიბილი და ძენა გამოსახეალი ბილიკისა თუ გზისა და მომავლის წამონევისათვის დაუდგმელი წინასწარმეტყველება“ (ე. ნოზაძე, მიხილ წერეთელი, კავკასიონი, პარიზი, 1965, № 10, გვ. 174).

აკითხთა ის ძირითადი სპექტრი, რომელიც მიხაკო წერეთლის ფიქრისა და განსჯის საგანს შეადგენდა, არჩილ გომართელმა ამგვარად მოხაზა: „ღინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქართველი წინადარისა“, სად უნდა ექიოს ადამიანმა წყაროები იმ უდიდესი გენიისა, რომელმაც თავისი სრულყოფა საქართველოს ოქროს ხანის დროს განიცადა, სად უნდა ვიძიოთ ფესვები იმ

ერის, რომელიც დღეს უწათესოდ ობლად რჩენილი, ოდესღაც უმაღლესი კულტურის მატარებელი, უდიდესი ზუროთმომდღარი ყოფილა კაცობრიობის კულტურისა (არჩილ გომართელი, პროფ. მიხ. წერეთელი, ბედი ქართლისა, 1948, №3, გვ. 9).

ეს ის ძირითადი საკითხები იყო, რომელმაც ახალგაზრდობიდანვე წარმმართველი ადგილი დაიკავა მიხაკო წერეთლის ინტერესთა სფეროში. სწორედ ეროვნულმა საკითხმა გამოჰქვეთა მისი ცხოვრებისეული გეზი, მიიჩნია, რომ ქვემარტივი მოქალაქისათვის ცხოვრების გზის ღირსეულად გაელა, უპირველესად, საზოგადოების, მოყვანის წინაშე შესაფერი მოვალეობის აღსრულებას გულწინაგმობდა, ერთგულ სამსახურს ნიშნავდა.

ცნობილია მიხაკო წერეთლის სიტყვები: „მე, პირადად, მანდატითაც და უმანდატოთაც მილაპარაკია ჩემი ერის მიერ გადატანილ ქირხედ და მის უფლებებზე, —საქართველოსათვის და ქართველი ერის სახელისათაც, რათგან ყოველთვის ვეგულეობა მის წიაღში აუარებელი ქართველი, რომელიც იმასვე ჰგონებდა, რასაც მე, და იმასვე იტყოდა ჩემს ადგილზედ ყოველთვის და ყველგან, როდესაც და სადაც შესაძლებელი იქმნებოდა“ (მიხილ წერეთელი, ჩვენ დროშას, ბედი ქართლისა, 1954, № 16, გვ. 31).

ქართველი ერის წინაშე მოვალეობას მიხაკო წერეთელი ყველაფერზე მაღლა აყენებდა. მისი არსებობის მიზანი, გიორგი კერესელიძის თქმით, „იყო... უანგარო სამსახური საქართველოსა“ (გიორგი კერესელიძე, ძვირფასო ძმავ მიხილ, ბედი ქართლისა, 1948, №3, გვ. 11).

თანამედროვენი აღიარებენ, რომ მიხაკო წერეთელი საქვეყნო საქმეს მშვიდად, დაუმადლებლად აკეთებდა, საკუთარ-საპირადო საქმეზე წინ აყენებდა. საქართველოს სიდიადეს წარსულში ეძებდა. მის პოლიტიკურ იდეალს, მისწრაფებას, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, ძველი საქართველოს აღდგენის იდეა წარმოადგენდა და მას „ქართველთა შთამომავლობათა მამოდრავებელ“ ძალად მიიჩნევდა.



კალისტრატე სალიას შეფასებით: „უფლებაყარულ საქართველოში მისი სიტყვა მტეხივით აქვს და და ეროვნულ ბრძოლას ცეცხლის ენერჯიას აძლევდა... დამონებულ სამშობლოში, როდესაც ერთ თვით უარს ამბობს თავის თავზე, მიხეილის მძღვარის და მჭრელი წერილები იბეჭდება ფედერალისტების მაშინდელ პრესაში. იგი იცავს ქართულ დეინილ სულს, გამოადის საუკეთესო თეორეტიკოსად ეროვნულ საკითხებში, და შეუდარებელი პოლემისტი, მოუჩივებლად ამხელს ერის უღირს შვილთ“ (კ. სალია, პროფ. მიხეილ წერეთელი, ბედი ქართლისა, 1948, №3, გვ. 3).

ახალგაზრდობაში მიხაკო წერეთელი ანარქიზმით იყო გატაცებული. ვიქტორ ნოზაძე წერს, რომ ანარქიზმი არსებითად პიროვნების სრული დამტკიცება, მისი სრულყოფადი უფლების აღიარებაა ხელისუფლების შემზღვეველი ძალის წინააღმდეგ; აქედან გადასვლა იმ დებულებაზე, რომ ერიც, ისე თვით პიროვნება, უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, ძალიან ადვილია (კ. ნოზაძე, მიხეილ წერეთელი, კავკასიონი, პარიზი, 1965, №10, გვ. 175).

„სოციალისტურ-ანარქისტული გაეარვარების შენელების“ (კ. ნოზაძე) შემდეგ მიხაკო წერეთელი შეხედულებებს იცვლის და მას სიტუაციიდან გამომდინარე აუცილებლობად მიიჩნევს.

ვალერიან გამყრელიძე, რომელიც პირადად იცნობდა მიხაკო წერეთელს, მათი შეხედვის დროს დაინტერესებულა, თუ რამ განაპირობა მისი — უკიდურესი მემარცხენე ანარქისტის — შეხედულებების შეცვლა.

მიხაკო წერეთელს ამის მიზეზად შექმნილი საერთაშორისო ვითარება დაუსახელებია:

„1870 წელს საფრანკეთში — პრუსიის ომში გერმანიის გამარჯვებას, როგორც ცნობილია, მოჰყვა ამ დაქუცმაცებული და საცილი-ალ-ეკონომიურად ჩამორჩენილი ქუყნის გაერთიანება. ოცდაათი წლის მანძილზე იგი ერთ-ერთი უძლიერესი იმპერია გახდა და დაუპირისპირდა თავის ისტორიულ მონინაალმდეგებს — ინგლისსა და საფრანკეთს. გერმანიამ ყურადღება გაამახვილა ბალკანეთის, თურქეთისა და ირანის მიმართ. ყოველივე ეს რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.“

მსოფლიო ომში გერმანიის გამარჯვებას შედეგად მოჰყვა რუსეთის იმპერიის დაშლა, ამ იმპერიაში შემაჯავლი მკირე ერების, მათ შორის, საქართველოს გაათვისუფლება და გერმანიის მფარველობაში შესული დამოუკიდებელი საქართველოს დაარსება“ (ირინე კუკავა, მოგონება მიხაკო წერ-

ეთელზე, გაზ. თბილისი, 1990 წ., 2 ნომერი, №251, გვ. 4).  
 1910 წელს დაისტამბა მიხაკო წერეთელის „ნიგნი აერი და კაცობრიობა“, რომელიც ძვირფას მასწავლებელსა და მეგობარს, ვარლამ ჩერქეზიშვილს ეძღვნება, კაცს, „რომელმაც კაცობრიობის ოლიმპზედ თავისი პატარა საქართველოც სცნო ღირსად თავისუფალი ცხოვრებისა და მის წმინდა საკურთხეველზედ გულ-წრფელი მსხვერპლი შესწირა“ (მიხეილ წერეთელი).

მიხაკო წერეთელი პირდაპირ აცხადებდა, რომ ეროვნული საკითხი მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო. არსებობის კანონიერი უფლების აღიარება, ყველა ჩაგრული ერისათვის იმავე უფლების სამართლიანობის დამტკიცება კი — უპირველესი მოვალეობა.

გრიგოლ დიასამიძის შეფასებით: „ერი და კაცობრიობა“ — ერთგვარი უღელტეხილია ქართველთა საზოგადო აზროვნებაში“ (გრიგოლ დიასამიძე, მიხეილ წერეთლის სადღესასწაულოდ, ბედი ქართლისა, 1948, №3, გვ. 8).

კალისტრატე სალიას აზრით: „ერი და კაცობრიობა“ უდიდესი ყუმბარა იყო, რომელიც მან ეროვნული იდეის უარყოფელთ ესროლა“ (კ. სალია, პროფ. მიხეილ წერეთელი, ბედი ქართლისა, 1948, №3, გვ. 3).  
 ვიქტორ ნოზაძის რწმენით, ამ ნიგნში ერის უფლება დაიცულია და განმტკიცებულია.

მიხაკო წერეთელი არასოდეს ყოფილა გულგრილი კაცი, არ ჯერდებოდა მეთვალყურის როლს, ქმედებთა კენ დაუცხრომელი სწრაფა ყოველთვის მიმეცხროტა აქტიურ მონაწილედ ხდიდა. მის სიმტკიცათა და შუე-პოერობას უკეთესი მომაჯელის რწმენა ედო საფუძვლად.

ამის ამკარა დადასტურებაა გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალების დღეებში დაწერილი გამოსათხოვარი სიტყვა, რომელშიც წუხილის განცდას წარსულზე, განვილი გზაზე, ღრმა დაფიქრება ერწყმის.

„უაქველად იცოდი, თუ რაოდენი „პროპაგანდა“ გაგინევი ჩვენი უცხოეთში ყოფნის დროს, რაოდენი წერილები დაგვინერია გაზეთებში, გრძელი წერილებიც პერიოდულ გამოცემებში, რაოდენი მოხეხება ნაგვიკითხავს, რომ „ჩვენი თავი გაგვეცნო“ უცხოელთათვის, მათი „ინტერესი“ გაგვეღვიძებია“ საქართველოსადმი, რაოდენი „შემორანდუმი“ გადაგვიცია მთავრობათათვის და სხვ. რაოდენი ფულიც კი დახარჯულა ღარიბი ქართველობისა ამ საქმისათვის! და შედეგი ყოველივე ამისა უმეტესად არარაობას უდრიდა“ (მიხეილ

წერეთელი, ჩემო ძვირფასო გრიგოლ ბედი ქართლისა, 1964, №47, გვ. 14).

ეს იყო კონკრეტული მიზნისადმი დაქვემდებარებული, დღი და შეუსოფარი მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი საინტერესო მოგონება, რომელიც პირველ მსოფლიო ომში გერმანიის არმიის გენერალური შტაბის უფროსს ლიუდენდორფს ეკუთვნის:

„ომის დროს იმპერატორი ვილჰელმში, მთავარსარდალი პინდენბერგი და მეფრონტზე ვიმყოფებოდი. ადიუტანტმა მომახსენა, რომ გეორგიის გამათავი-სოფლებელი კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი წერეთელი აუდიენციას ითხოვს. მე მამინე მთავარი იმპერატორთან და ვახოვე, რომ წერეთელი მივლო.“

— რა ქვეყანაა გეორგია, სად მდებარეობს იგი? — მკითხა დაინტერესებულმა იმპერატორმა. მე მოვახსენე.

— აა, მახსოვს, — წამოიძახა მან, — განხილული პაპაქემი მიკვებოდა, რომ იგი ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრე, მონატიყბული იყროსეთის იმპერატორის მემკვიდრის ქორწილზე, სადაც ყურადღების ცენტრში იყო გეორგიის ულამაზესი დედოფალი, რომელსაც ამშვენებდა ძვირფასი თელებით შემკული შესანიშნავი გვირგვინი... (ეს დედოფალი ეკატერინე ქაქეაძე გახლდათ) (ირინე კუკავა, მოგონება მიხაკო წერეთელზე, გახ. თბილისი, 1990 წ., 2 ნოემბერი, №251, გვ. 4).

მიხაკო წერეთელს ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული ქართული ემიგრაციის წინაშე მდგარი სერიოზული ამოცანა, საქართველოს ინტერესების დაცვა და, იმავედროულად, უცხოელთათვის საქართველოს ისტორიის, ქვეყნის უძველესი ძირების გაცნობა.

მსოფლიოს დაინტერესება ქართული სამყაროთ და ამ მიმართულებით წარმართული მუშაობა, ქართლის ბედზე ზრუნვა, სიმაართლისა და სამართლიანობის სასარგებლოდ მოტანილი დასაბუთებული, ზუსტი და მართებული დასკვნები, სწრაფვა — ფხიზელი თვალთახედვით წარმონიშნული ქვეყნის წარსული, ხშირად წარმატებით არ მთავრდებოდა. „მახსოვს, — იგონებს მიხაკო წერეთელი, — პირველი დიდი ომის დროს, ჩემ მოხსენებათ შემდეგ ბერლინში საზოგადოების წინაშე, რომელთაც ესწრებოდნენ საკმაოდ რჩეულნი, რაკითხვებითაც მომმართავდა ხოლმე ბევრი: „აად არის საქართველო? — თქვენი ანბანი ხომ „კორილიცა“ და როდის შემოიღეთ? — თბილისში რამდენი მწეეთია, საინტერესო

უნდა იყოს ეს აღმოსავლური ქალაქი“ და სხვა. რამოდენინე ნუთუც წინდამთავრებული ჰქონდა დედოფლის მსახურება საქართველოს მდგომარეობაზე, ისტორიაზე, სარწმუნოებაზე, ერთობ კულტურაზე და სხვ.“ (მიხაკო წერეთელი, ჩემო ძვირფასო გრიგოლ, ბედი ქართლისა, 1964, №47, გვ. 14).

თანამედროვენი მიხაკო წერეთელს უკომპრომისო პიროვნებად მოიხსენიებენ და, იმავედროულად, ხაზს უსვამენ მის შინაგან სიფაქიზეს.

მიხაკო წერეთელი პირველი მსოფლიო ომის დროს წყალქვეშა ნავით ორჯერ ფარულად ესტუმრა საქართველოს. გაცდა, რომელიც პოლიტიკურ მოვლენებს პირველი ესპედიციის დროს დაეუფლა, სხვიანთისაც ადვილი შესამჩნევი გახდა. ესპედიციის წევრები საქართველოს დამოუკიდებლობის წევრები იყვნენ. ოდნავი დღეა ყველას ეტყობოდა. შედარებით მშვიდად იყვნენ მხოლოდ ისინი, ვისაც გამოცდილი ჰქონდა ამგვარი მოგზაურობა. შიშის დაძლევა გარკვეული ძალისხმევისა და შინაგანი დაძაბვის შედეგად გახდა შესაძლებელი. გიორგი მანაბლის შეუფალმა, შემტევმა, გაბედულმა მიმართვამ, რაც უკანდაუხველობას გულსხმობდა, იგი აიძულა ნაეში ჩამედარიყო.

საგულისხმოა, რომ მიხაკო წერეთელი ამ ამბავს უშუალოდ, გულწრფელად, ყოველგვარი ზედმეტი საშკაულის გარეშე გამოხატავს და ამით თავისი თანამებრძოლის — გიორგი მანაბლის პრინციპულობასა და შეურიგებლობას აფასებდა.

მძაფრი განცდები, საოცრად მშვიდი ტონით გადმოცემული, სისხდავით გამორჩევა: „ახებუცვლილმა გიორგი მანაბელმა დააძრო რევილერი და ჩემთვის სრულიად უცნობი და მანამდე განუცდელი ხმით მითხრა: ჩაფი, თორე აქვე დაგანვენი ეს ისეთი მტკიცე გადანვეტლებით იყო ნათქვამი, ის ნამდვილად მომკლავდა. მე სწრაფად ჩავიბრნიე და შევეურიდი სხვიებს“ (რევაზ გრძელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ.), თბ., 1995, გვ. 22).

მიუთითებენ, რომ ესპედიციამ წარმატებით ჩაიარა. გერმანელებმა სამხედრო წყალქვეშა ნავი დატვირთეს იარაღით და მიხაკო წერეთელს მოზრდილი თანხა ჩააბარეს თბილისის კომიტეტისათვის გადასაცემად. ექვსი დღის მგზავრობის შემდეგ, წყალქვეშა ნავი წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე, ფოთთან ახლოს, საქართველოს ნაპირს მიაგდა. იარაღი (1600 გერმანული სანადირო თოფი და 500 პისტოლეტი) წ.



ხორავას ხელშეწყობით, ტყეში გადამაღეს. ნ. ხორავას ამ დახმარებისათვის და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის გადასცეს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ 1915 წელს დანესებული თამარ მეფის ორდენი (რ. გრძელძე, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ.), თბ., 1995, გვ. 22). ამ ფაქტთან დაკავშირებით, მიხაკო წერეთელი იგონებდა: „შვიდით სახლში და მოგვეგება პატრონი მისი, შესანიშნავი მოხუცი ნიკო ხორავა... მიერთებით თამარის ორდენი, რომელიც 1915 წელს ქართული კომიტეტისაგან იყო დაარსებული. ნიკომ აიღო თამარის ორდენი, დახედა თამარ დედოფლის სურათს, გააძაპრო ხელები და სთქვა სახარების სიტყვები: ან განუტყვევო მონა შენი, უფალო, რამეთუ ეიხილე მაცხოვრებელი ზენი... თამარის ქვეყანაში, მისი ქვეყნის განთავისუფლებითვის ხალხი მენიჭა ჩემს ქოხში“.

გვიცი კობახიასათვის მომხდარის პირდაპირი და გულწრფელი განდობა ნათლად მეტყველებს, რომ მიხაკო წერეთელს უყვარდა ძვირფასი ადამიანებისადმი თავისი დამოკიდებულების საჯაროდ გამოხედა, სხვისი ნამსახურის დანახვა და სათანადო დაფასება, ირგვლივ მყოფთა ადამიანური ღირსებების წარმოჩენა.

თბილი იუმორით გადმოცემული მონათხრობით გაცოცხლდა ძლიერი და დამაჯერებელი სურათი, რომლის თანახმად, მიხაკო წერეთელმა ატლანტიკულად აღიარა თავისი ადამიანური სისუსტე და იხიც, თურა ფოლადივით მტკიცე ხასიათისა იყო გიორგი მაჩაბელი“ (გივი კობახიძე, იყო ერთი თავადი... გაზ. თბილისი, 1990, ნოემბერი, №228, გვ. 5).

მოგვიანებით, 1918 წლის გაზაფხულზე, გიორგი მაჩაბელი კელაჯ გაზენის წყალქვეშა ნავს საქართველოში მ. წერეთლისა და მ. ქარცივაძის ხელმძღვანელობით. ამჟღერად მიხაკო წერეთელი გაბედულად ჩაცუცვლდა წყალქვეშა ურჩხულში და თან გაიყოლა იქვე მდგომი გიორგი მაჩაბლის მეგობრული ღიმილი“ (იქვე).

ქართული ემიგრაციისათვის არ ნამოქრალი თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის მოგვარებაშიც მიხაკო წერეთელს აქტიური მონაწილეობა არ მიეღო.

საყურადღებოა კალისტრატე სალიას მოგონება ლოზანას კონფერენციაზე და მასში მიხაკო წერეთლის როლზე.

1916 წლის 26-29 ივლისს შეიკვარის ქალაქ ლოზანაში გაიმართა ერთა კავშირის“ შესამე სამშვიდობო კონგრესი. აქ, საქართ-

ველოს სახელით, დასაბუთებული და საოცრად მოქნილი მოხსენებით წარსდგნენ წერეთელი. მან თვალსაჩინოდ დასაბუთებულ რთული ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და ამხილა მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკა. მიხაკო წერეთლის მსჯელობა ღრმა ცოდნას ეფუძნებოდა. ყოველი დებულება მიზნად ედგინა ხნის ნაიჭირისა და ნააზრევის განზოგადებას ისახებდა. პოლიტიკურმა მოღვაწემ მკაცრი ტონით საკმაოდ გაბედული მოსაზრებები წამოაყალიბა: „ერთ საუკუნეზე მეტია, რაც საქართველო მსხვერპლია უსამართლობისა. ჩვენ მიჩვეულნი ვართ საუკუნეთა განმელობაში უსიტყვოდ ავიტანით ტანჯვა და მწუხარება და უჩივრად ვებრძოდით, საკუთარი სამუალებით, კარზე მომდგარ უბედურებათა. მხოლოდ ეროგამომშვიტით რაიმე უდიდესი უბედურება თუ გვაიძულებდა ხოლმე უკანასკნელი საუკუნის განმელობაში ალგემაღლებითა და კაცობრიობის წინაშე ადამიანების სახელით გვიჩვენა იმ სამინდელი მოსობის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენი უბედური ქვეყანა განიცდის რუსთა ბატონობის წყალობით. ჩვენ არც ჩვენ ღირსებებზე ვლაპარაკობთ ხოლმე. ეს ცუდი ჩვეულება ჩვენ, საბედნიეროდ, არა გვაქვს. არც თანაგრძნობა გვიძებნია ევროპაში, არც თავის აკაცნობა“ მოგვიწოდებია, რადგან ძლიერ კარგად ვიცით ღირებულება ასეთის პროპაგანდისა“.

მიხაკო წერეთელმა თამამად განაცხადა სურვილი – განათლებულმა კაცობრიობამ ხმა აიმაღლოს ჩვენი ერის დასაცავად და დაგვეხმაროს კანონიერი უფლებების დაბრუნებაში:

„თუ საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ზნეობა არ გამჭრლან, თუ სამართლისა და ზნეობის შეგნება ერთა შორის არ აღკვეთილან, მაშინ ჩვენცა გვაქვს უფლება, ვეკუთვნოთ ერთ კაცობრიობას და მის წინაშე სამართალი ვეძიოთ“.

კალისტრატე სალია იგონებს: რუსული წყაროების მიხედვით, ძლიერად დასაბუთებულმა მოხსენებამ არამც თუ კონგრესზე დასტოვა უდიდესი შთაბეჭდილება, არამედ თვით რუს დამსწრეთ „ესა ჩაუგდო“. რუსულ პრესაში ეს ამბავი გამოაქვეყნა ერთმა დამსწრემ, რომელმაც მიხვილ წერეთლის მოხსენების წინააღმდეგ არსებითად ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. მხოლოდ განაცხადა: „ლოზანას კონგრესზე ქართველმა მიხაკო წერეთელმა რუსეთი და ყოველი რუსული ისე უდიერად მოიხსენია, რომ ჩემმა რუსულმა ყურმა ვერ აიტანა ანისი მოხმენა და კრება დაეტოვეო“ (კ. სალია,



საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს (მასალა ისტორიისათვის), ბედი ქართლისა, პარიზი, 1962, №39-40, გვ. 23-24). კონსტანტინე გამსახურდიამ „ინტერნაციონალური სამსჯავროს“ წინაშე მიხაკო წერეთლის გამოსვლას ეროვნული წყლულების განკურნებაზე ლაღადება უწოდა და მალაღი შეფასება მისცა: „ჩვენი თანამემამულის მ. წერეთლის დასაბუთებულსა და დიდის ნიჭითა და უნარით დანერგულ დეკლამაციას თითქმის ყოველი ერის წარმომადგენელი აღფრთოვანებული ტანით მიეგება. თვით ეკიპტადან მოსულ ფერადკანთან ერების წარმომადგენელთა შუიხმინეს უფლება-აყრდელ, უმართებულად შეურაცხყოფილ ერის საჩივარი და გულისტყვილი“ (კ. გამსახურდია, გაორებული საქართველო, გაზ. სახალხო ფურცელი, 1917 წ., 11 აპრილი).

მიხაკო წერეთელი რუსეთის მთავრობას ქართველი ერის აბუჩად ავადებას და მის უფლებათა უგულებელყოფას უკიციზებდა. ეკაცრად დასაბუთებული მსჯელობა იმდენად დამაჯერებლად იყო ჩამოყალიბებული, რომ რუსმა მოხელეებმა კერავრი დაუპირისპირეს. ისევ ქართველი გამადის ქართველის წინააღმდეგ, ქართველი ემიგრანტი — თევზაია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სახელით საჯაროდ აცხადებს: „ქართველ ერს არავისთვის დაუფლებია მისი სახელით აქ გამოსვლა, და ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ, ქართველები, ვიბრძვით მხოლოდ რუსეთის დემოკრატიასთან ერთად“ (რ. გრძელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ.), თბ., 1995, გვ. 26). კონსტანტინე გამსახურდიას თანაზმად, იმ კვირას თითქმის ყველა გერმანულმა, ფრანგულმა და შვეიცარიულმა გაზეთმა გაახმაურა ეს გარემოება; ერთმანად აღნიშნავენ: მხოლოდ ქართველების წარმომადგენელთ მოუვიდათ უთანხმოებაო. „ამის მიზეზი, — კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, თვით ქართველების გაორებული ბუნება და მისი მონობის მიერ შერყენილი გადაგვიარებული ფსიხიკა გახლავთ“.

საგულისხმოა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მიხაკო წერეთელმა გულისტყვილით ახსენა ლონანას კონგრესზე წომხდარი ინციდენტი და თევზაიას მიერ უკუღმართად გადადგმულ ნაბიჯს მკაცრი ესაჯარი დასდო: „იმ სიტყვებთგანაც, რომელიც თან მოაყოლეს თევზაიას, როდესაც მან კრება დასტოვა განცხადების შემდეგ, ცხადი იყო, თუ რადგან ფასდება გველგან და ყოველთვის სინიდისის მქონე კაცთგან სირიგენე, ანტიპათიური და არა

კეთილ-შობილი“ (მიხელ წერეთელი, ჩვენ დროშას, ბედი ქართლისა, 1954 წ. წ. გვ. 30).

მიხაკო წერეთელი „მსჯავროს“ საუორატორი, თავისი მჭევრმეტყველური საუბრით ადვილად იპყრობდა აუდიტორიას. გრიგოლ დიასამიძე, რომელიც მიიწინებს, რომ მიხაკომ თავისი პიროვნებით თანამედროვე ქართველობას სამსაბუროს ტრფობისა და მისთვის სამსაბუროს სიმბოლო შეუქმნა, განსაკუთრებით ამავილეს ყურადღებას პოლიტიკური მოღვაწის ამ ღირსებაზე. მას „საოცარ ენამჭრელ მებრძოლს“ უწოდებს და ერთ საინტერესო მოგონებას გვთავაზობს:

თბილისის საქალაქო დარბაზში ვარდამ ჩერქეზიშვილი კითხვობს საინტერესო სოციალურ თემაზე მოხსენებას. შეკრებილნი არიან ყველა ჯურის რეკლუციონერები და სოციალისტები — პეტრე გელეიშვილის ჯგუფი დღეაღეს. კრების ჩამლა სურთ. ტრინიბუნაზე მოულოდნელად ჩნდება მიხაკო. თავისი ჯოხი ხელში უჭირავს. სურს განავრთის კრება, ნების არ აძლევენ. კიონა დასცეს: „შეხვედი მიხაკო რას სჩადის, არა სწამს სახელმწიფო, წესრიგი, ჯობით ხელში კი კრების ხელმძღვანელობას აპირებსო“, მიხაკო მოსწრებულად უპასუბებს: „ჯოხი სჭირდება თქვენისთანა ხალხს, თორემ როცა ჩვენი თანამოაზრენი იკრიბებიან, არ გეჭირდება არც ჯოხი, არც თავმდგომარე, წესი თვისით მყარდებაო“. მოსმის ხარხარი. ყველას სახეზე ღიმილია. კრება იშლება. ყველანი წყნარად ბრუნდებიან სახლში“ (გრიგოლ დიასამიძე, მიხელ წერეთლის სადღესასწაულოდ, ბედი ქართლისა, 1948, №3, გვ. 8).

საკუთარ ძალაში დარწმუნებული, ხასიათის სიმტკიცითა და სულიერი შეუდრეკელობით გამოჩნეული პოლიტიკური მოღვაწე მონიხაღმდეგეთა მკაცრ იერიშებს ყოველთვის დასაბუთებულ, მკაცრად არგუმენტირებულ მოსაზრებებს უპირისპირებდა. სულიერ ნონასწორობას იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში ინარჩუნებდა, მშვიდად და დინჯად სჯიდა მოელენებს.

აქ გვინდა დავიგონოთ ალექსანდრე მანველიშვილის მოგონება იმის თაობაზე, თუ როგორ ააფორიაქა საზოგადოება მიხაკო წერეთლის წერილმა — „საქართველოს ფედერაცია“. ალექსანდრე ინტელიგენცია გაიძობოდა: წერეთელს საქართველოს დამლა უნდაო. პარიზში დიდი საპროტესტო კრება მოაწყეს. ალექსანდრე მანველიშვილი წერს: „მიხელ წერეთელი და მე პარიზში ჩავეთით, ყველა მიხელ წერეთლის წინააღმდეგ გამოვიდა. მეც მქონდა სურელი მიხელს გამოვსარწლებოდი, მაგ-



რამ მან ისე დაანიავა ყველა მონინა-  
 აღმდეგენი, რომ ჩემს გამოსვლას აზრი  
 აღარ ჰქონდა. აქ პირველად ენახე მიხაკო  
 ნერეთლის ორატორული ნიჭი, რომელსაც  
 ვერც ერთი ჩემთვის აქამდე ნაცნობი ვერ  
 შეედრებოდა. ამწიარად ეს კრება ფაქტურ-  
 რად გადაიქცა მის. ნერეთლის დებულების  
 პროპაგანდად, რადგან მიხიელს ვერაინ  
 გაუსწორდა დასაბუთებამ: (ალექსანდრე  
 მანველიძე, ჩემი ურთიერთობა უფროსი  
 თაობის მოღვაწეებთან, ტურნ. „კრიტიკა“,  
 1995, № 1-2, გვ. 274-275).

ცნობილია, თუ რა დიდი გარდატეხა  
 მოახდინა მიხაკო ნერეთლის მძლავრმა სი-  
 ტყვამ, ილიას დასაფლავებისას რომ წარმ-  
 ოსთქვა. გრიგოლ რობაქიძემ მას საქართ-  
 ველის „მინაგან-შემარხველი სიტყვა“ უწო-  
 და.

„მშფოთვარე“ და „მოქაფაქაფე“ რევოლ-  
 უციონერი (ვიქტორ ნოზაძე) „დადულდა“ და  
 მეცნიერულ მუშაობას შეუდგა (უცხოეთში.  
 დიდი ქართველი - ექვთიმე თაყაიშვილი  
 განდა ერთგვარი „ნათლის-მცემელი“,  
 რომელმაც მიხაკო ნერეთელი მეცნიერების  
 შესწავლის გზას დააყენა, გარკვეული  
 მიზანი გაუჩინა ცხოვრებაში. 1909 წელს, ძი-  
 რულას ხეობაში, მკაცრად ადატუქსა“:  
 „ყოცო, შენ რაღაც ანარქისტულ“ სტატიე-  
 ზს რომ სწერ, და თანაც საქართველოსთვის  
 გიმდა ყველაფერი, ამ შენი ქვეყნის რამე  
 უნდა გაგვიგებოდეს, კარგად უნდა იცოდე  
 მისი წარსული და აწყო, თერა ისე ვერც  
 მომავალს შეუქმნით მას ვერც შენ და ვერც  
 სხვა, ვინც ქვეყნის გაბედნიერებას გპირ-  
 დება“ (მიხიელ ნერეთელი, ექვთიმე თაყაიშ-  
 ვილი, ბიდი ქართლისა, 1954, № 16, გვ. 11).

— რა ექნა, ბატონო ექვთიმე, ესხვცლომ,  
 რაც შემიძლია, თქვენგანაც და სხვა მეცნი-  
 ერთაგანაც, — თავი იმართლა მიხაკო ნერ-  
 ეთელმა.

ექვთიმე თაყაიშვილმა მას საგანგებოდ  
 მოუთითა საუნივერსიტეტო განათლების  
 მიღების აუცილებლობაზე და საგულისხმო  
 დარიგება მისცა:

— მარტო ჩვენი მოსმენით და ჩვენი წიგნ-  
 ების კითხვით რა უნდა ისწავლო საქირა  
 საფუცილიანად შეისწავლო მეცნიერება,  
 ამისათვის უნივერსიტეტში უნდა შეხვიდე,  
 სადაც გაგწერთნიან, კვლევის მეთოდს გას-  
 ნაველიან, მეცნიერული კვლევისათვის  
 მოგამზადებენ.

ამ დროს მიხაკო ნერეთელს, როგორც  
 თვითონ ბრძანებს, „მოცუდათემი“ გადამ-  
 დგარს, მეცნიერების სამსახური მიუწოდო-  
 მლად და დაგვიანებულად მიაჩნდა. მისი  
 გადაწყვეტება ექვთიმე თაყაიშვილმა შეს-  
 ანიშნავი პარალელის გაგელებით შექმლო: რას

სულელობ, კაცო, — მიპართა მან მიხაკოს,  
 შენზე უფროს ხალხს, პოზუციებულზე, ყველა  
 დაუნყიათ გვიან მეცნიერების შესწავლა  
 უდიდესი საქმე გაუკეთებიათ. როლინსონი,  
 მაგალითად, უკვე ოფიცერი და დიპლომატი  
 იყო, როდესაც ლურსმული ტექსტები წაი-  
 კითხა, გაიგო, გადათარგმნა და საფუძველი  
 ჩაუყარა ასსირიოლოგიის მეცნიერებას.

როლინსონის სახელის ხსენებამ შეაკ-  
 რთო მიხაკო ნერეთელი, რადგან მან თავად  
 კარგად იცოდა მისი მოღვაწეობის თაობაზე.  
 აღელვებულმა მოახსენა ექვთიმეს: „ქართ-  
 ველი ერის ძირები მაინტერესებს, მისი ენის  
 ნათესაობა, რას მირჩევთ, თუ გაებედე, და-  
 ვინყო იმ მეცნიერების შესწავლა, რომელიც  
 საშუალებას იძლევა მათი გამოკვლევისა, თუ  
 ნ. მართლმან ნაიდე შეტერბურგს ქართული  
 ენათ-მეცნიერების შესასწავლად? (იქვე, გვ.  
 12). ექვთიმე თაყაიშვილის მკაფიოდ გამო-  
 ხატულმა შეხედულებამ, მისმა მსჯელობამ  
 განსაზღვრა მიხაკო ნერეთლის არჩევანი,  
 გარკვეული მიზანი გაუჩინა: რასაც გულს  
 დაუდებ, ის ისწავლე, მხოლოდ ისწავლე, კარ-  
 გად და საქართველოს წარსულის კვლევის-  
 ათვის, — უთბრა ექვთიმემ. რწვეა-დარიგე-  
 ბათა მიცემის შემდეგ აღთქმაც დაადგინა,  
 რომ მეცნიერების შესწავლის გზას დაადგ-  
 ებოდა და იმედს არ გაუცრუებდა. მიხაკო  
 ნერეთელი შემდგომ მთელი სიცოცხლე  
 მადლიერია ექვთიმე თაყაიშვილისა ამ  
 წინადადებისათვის.

უანდარმერისაგან დევნილი მიხაკო ნე-  
 რეთელი 1910 წელს ლონდონს გაემგზავრა  
 და იქ ასირიოლოგიის შესწავლა დაიწყო,  
 ლაიპციგისა და ჰაიდელბერგის უნივერ-  
 სიტეტებში სწავლა განასრულა და  
 შეისწავლა ის, რაც ექვთიმეს აღუთქვა.  
 დაიწყო კვლევა ქართული ენის ძირთა, მისი  
 ძველი კულტურისა და ენის.

თანამედროვენი აღიარებენ, რომ მიხაკო  
 ნერეთელი — პოლიტიკური მოღვაწე და  
 მეცნიერი პარამონულ ერთობას ქმნიდა.  
 თავად ქართველი ემიგრანტი აღნიშნავდა,  
 რომ ეროვნული საქმისათვის ბრძოლა დიდ  
 დროს მოითხოვს და „წმიდა მეცნიერების  
 სამსახურისათვის კაცს ბევრ დროსა და  
 ძალას არ უტოვებს“.

1971 წლის 17. XI სერგო თურნაია კალი-  
 სტრატე სალიასაგან იღებს წერილს,  
 რომელშიც აღნიშნულია: „მე აქ წმინდა  
 მეცნიერებისათვის კი არ ვიკლავ თავს, თუ  
 ეს მეცნიერული კვლევა ჩემს სამშობლოს არ  
 გამოადგება და ხშირად მის ინტერესებსაც  
 ეწინააღმდეგება. მე ვარ უპირველესად  
 ყოლისი ქართველი პატრიოტი და შემიძღვ  
 მხოლოდ მეკლევარი. ჩემს მუშაობას მთლად  
 და მთლად პატრიოტულ მოსაზრებით

ეანარმოვებ. ამ მხრივ აქ, საზღვარგარეთ, უკანასკნელ ხანებში მიხაკო წერეთელი და მიხეილ თარხნიშვილი მუშაობდნენ და სწორედ და სასარგებლოდ ჩვენი კულტურისათვის. სამწუხაროდ, ასეთები ცოტაა (სერგო თორნაია, ბედი ქართლისა, ქართველ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობანი, XX საუკუნე, თბ., 1991, გვ. 93-94).

საზღვარგარეთ მოღვაწე მეცნიერი საქიროდ თვლიდა დასწრებოდა მრავალ კონფერენციას, კონგრესს, შეხვედრას, აქტიური მონაწილეობა მიეღო მუშაობაში, გამოყენებინა ყველა ხელსაყრელი შემთხვევა თავისი თვალსაზრისის ჩამოყალიბებისათვის.

1951 წლის 2-7 ივლისს პარიზში ჩატარდა ასირიოლოგების მეორე კონგრესი. საერთაშორისო შეხვედრას მრავალი ასირიოლოგი და არქეოლოგი დაესწრო. კონგრესზე მინვეული იყო მიხაკო წერეთელი, რომელიც მოხსენებით წარდგა. გადაწყდა, რომ მისი დასაბუთებული შრომა დასტამბულიყო სპეციალურ ორგანოში.

კალისტრატე სალია მალაღი შეფასება მისცა მიხაკო წერეთლის მიერ აღიარებას. „ბუდე ქართლისას“ № 10-ში იბეჭდება მისი ნაბიჯადმი ქეშმარიტი თავყვანისკენის გამოშატველი წერილი, რომელშიც ობიექტურადაა შეფასებული მიხაკო წერეთლის მეცნიერული შედეგები. კეთილშობილურ რეცენზენტის ცდილობს, წარმოაჩინოს ავტორის დასკვნის სისწორე:

„მიხეილ წერეთლის აზრით, საქიროა მეტი ყურადღება მიექცეს კავკასიის არქეოლოგიას და განსაკუთრებით ქართული ენა უნდა იყოს ღრმად შესწავლილი ვეროშელ მეცნიერთა მიერ, მის შესაფარებლად წინა აზრის უძველეს კულტურულ ერთა ენებთან.

ჩვენი მეცნიერი ფიქრობს, რომ ქართულ ენას არა აქვს გენეტიკური ნათესავობა არც ეგრეთნოდებულ ხეთურ ენებთან, არც ურარტულთან, არც ელამურთან. ასეთი ნათესავობა, მისი აზრით, არსებობს მხოლოდ ქართულსა და სუმერულს შორის და ამ ორი ენის შედარებით არის შესაძლებელი გადაწყვეტა იმ პრობლემებისა, რომლებზედაც, სხვათა შორის, მსჯელობდა კონგრესი...

მიხეილ წერეთლის წარმოდგენით, კავკასიაში და მის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში ბინადრობდნენ სხვა და სხვა ხალხები მონათესავე სისხლისა, მონათესავე ენებზე მეტყველი. სუმერები ერთი შტო იყო ამ ხალხთა ჯგუფისა, რომელიც სამხრეთისაკენ გადასახლდა და მრავალი ათეული წლის წინ ქრისტეს დაბადებამდე სამხრეთ მესოპო-

ტამიაში დაბინავდა და შექმნა თავისი კულტურა. ამ კულტურის ქართული ელემენტები და ლითონთუბაშვილებმა მათ ალბათ უძველესი სამშობლოდან პერსიდათ ჩამოტანილი. ამით აიხსნება ლითონთა სუმერული ტერმინოლოგიის კავშირი ქართულ სიტყვებთან და ქართველ ტომთა სახელებთან.

კალისტრატე სალია დასძენს: „დღემდე არ აღმოჩენილა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, უარყოფელი მიხ. წერეთლის თეორიისა: 1. რომ სუმერულსა და ქართულს შორის არსებობს გენეტიური ნათესავობა. 2. არც მანვერებული იმისა, რომ ქართულსა და ხეთურ-ურარტულ-ელამურ და სხვ. ენათა შორის არსებობს რაიმე ნათესავობითი კავშირი“.

მიხაკო წერეთელმა ნამდვილი მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა ქართულ ასირიოლოგიას. იგი წლების განმავლობაში ჩვეული სიდინჯით, თანმიმდევრობით აფართოებდა, აღრმავებდა მეცნიერულ კვლევას. შირველი ქართველი პროფესიონალი ასირიოლოგი ჩინებულად ფლობდა სუმერულ და აქადურ (ასურულ-ბაბილონურ), ხეთურ, ურარტულ ენებს. მისი წარმატებული მუშაობის შედეგად შეიქმნა „სოლიდური ასირიოლოგიური ნაშრომები ძველადმოსავლური მეცნიერების სხვადასხვა დარგში მაშინ, როდესაც სუმეროლოგია, ხეთოლოგია და ურარტულოგია, საერთოდ, ასირიოლოგია განვითარების ხანყის ნაბიჯებს დგამდა“ (გრიგოლ გიორგაძე, მიხაკო წერეთელი და ასირიოლოგია, მნათობი, 1995, № 3-4, გვ. 20).

მიხაკო წერეთლის მეცნიერულ მოღვაწეობას მალაღ შეფასებას აძლევდა გრიგოლ დიხასამიძე. იგი ობიექტურად აფასებდა დიდი ასირიოლოგის მეცნიერულ შედეგებს. მას ნიკო მარის ძლიერ კრიტიკოსად და მეტოქედ სახავდა. მიხაკო წერეთლის ასირიოლოგიით გატაცებას ქართველი ერის დანიტერესებით ხსნიდა.

მიხაკო წერეთლის მიერ ქართულისა და სუმერულის ნათესავობის ირგვლივ წარმოებულ ხანგრძლივსა და გამიზნულ კვლევას საგანგებოდ წარმოაჩენდა გრიგოლ რობაქიძე. იგი მოუთითებდა, რომ მეცნიერის თვისებები — „მზევდრი“, „აღმომწენი“ — ამ მიგნების წარმატების საფუძველად იქცა.

ერთგან ალექსანდრე მანველიშვილი საკმაოდ მაკცრად მოუთითებს: „თუთონ მიხაკო იყო ყოველად უფხო კაცი და ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა გერმანულ ენაზე დაწერილი გამოკვლევებიც კი ვერ დაბეჭდა. მე მინახავს მისი ერთი ხელნაწერი



შუმერულ-ქართულის ნათესაობის შესახებ. პროფ. უზარმაზარი, ხელში აწვია ქირა და ის ომის დროს განადგურდა. შემდეგ მან სცადა რამდენიმე წერილის სახით მიხი აღდგენა და მეტი არაფერი“ (ალექსანდრე მანველიშვილი, ჩემი ურთიერთობა უფროსი თაობის მოღვაწეებთან, ჟურნ. კრიტიკა, 1995, № 1-2, გვ. 277).

განსაკუთრებული ინტერესის შემცველია მიხაკო წერეთლის მიერ აღდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ 1977 წლის პარიზული გამოცემა, რომლის წინასიტყვაობაშიც წინოსაღია შენიშნავს, რომ მიხაკო წერეთელმა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე და „ვეფხისტყაოსანზე“ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინ დაიწყო მუშაობა, როდესაც იგი ბერლინის უნივერსიტეტში ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორი იყო. იგი 1942 წელს ბერლინიდან ქალაქ კვედლინბურგში გადასახლდა მეგობრებთან და თან წაიღო ის ნაშრომები, რაც ბერლინის დაბომბვას გადაურჩა. ამ დროს დაელუპა მას დიდი ნაწილი შუმერული ნაწერებისა. გადარჩენილი შრომები გამოქვეყნდა გერმანულად „ბედი ქართლისაში“ (№ 6-7, 10). ქალაქ კვედლინბურგში, შედარებით წყნარ პირობებში, მეცნიერი მოღვაწეობას აგრძელებდა. 1945 წელს. ამ ქალაქთან ბრძოლების მოახლოების გამო, ექიმმა გივი კობახიძემ ქართველი მეცნიერი საუნივერსიტეტო ქალაქ გიოტინგენში გადაიყვანა. დიდი ნაწილი მისი ნაწერებისა და წიგნებისა, უტრანსპორტობის გამო, თავისი ზურგით ატარა.

წინოსაღია განსაკუთრებულად წარმოაჩენს გივი კობახიძის დიდი ღვაწლს მიხაკო წერეთლის ნაღვანის გადარჩენის საქმეში.

თანამედროვენი მიუთითებენ, რომ მუდმივ ინტენსიურ შრომაში ჩაფლული მეცნიერი ხარობდა ახალგაზრდა მკვლევართა წარმატებებით. მათ ხშირად ურჩევდა, ავადებოდა, უკვითდა თემებს. მიხაკო წერეთელი სანიმუშო ობიექტურობას იჩენდა სხვისი მეცნიერული დამსახურების დაფასებაში. ალექსანდრე მანველიშვილი აღიარებს, რომ მიხაკო წერეთელმა დიდი როლი შეასრულა მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის და მეცნიერის ჩამოყალიბებაში. იგი აქტიური მხარდამჭერი გახდა ალექსანდრე მანველიშვილის მეცნიერული ნიშნვლისა. მან ხელს შეუწყო ახალგაზრდა მკვლევარს რუსთველზე მოხსენება დაესტამბა.

მიხაკო წერეთელს უყვარდა მეგობართა წრეში ტრიალი. თანამედროვეთ ხებლავდათ ამ კოლორიტულ პროცენტსთან შეხვედრა, საამური საუბრის მოსმენა. იგი დინჯად ყვებოდა საინტერესო ამბებს

და თბრობისას განუშეორებელი ხებლი ამწვენებდა, რომელიც ადვილად ატყვევებდა მსმენელს.

1945 წლის ივნისში, მიხაკო წერეთელი და გივი კობახიძე, ბოლშევიკებისაგან დევნილინი, დასაჯელეთისაკენ გადმოდნენ თავშესაფრის საძებნელად. დიდი გაჭირვების შემდეგ, ზემო-პესენის პატარა სოფელს შეაფარეს თავი და ზამთარი იქ გაატარეს. თანამემამულეებს, ნაცვობ-მეგობრებს მონყევეტილები, დაუსრულებლად საუბრობდნენ. გივი კობახიძე, რომელიც სიამოვნებით ისმენდა და ინერდა მხცოვანი მეცნიერის ნაამბობს, იგონებს: „ბატონი მიხილისთანა მომთხოვრებელი მე იმეითათ მინახავს: ენა, თბრობის მანერა, მიმიკა, კეთილსინდისიერება და მისი საინტერესო პირადი წარსული და ცხოვრება ისე ეხავებოდა ერთმანეთს, რომ მეხსიერებაზე წარუშლელი შთაბეჭდილებას სტოვებდა“ (მიხილ წერეთლის ნაამბობი ჩანერილი გივი კობახიძის მიერ 1945-46 წწ. ზამთარში, ჟურნ. ლაშარი, 1991, №1, გვ. 118).

გივი კობახიძე ალტაცებელი იგონებს იმ გათავისებულ, აზვითულებ ღამის(ცემსა და მხურვალე ოვაციას, რითაც 1943 წლის 26 მაისს, ბერლინში, გაჩირღდნებულ „ბახის დარბაზში“ შეკრებილი მრავალრიცხოვანი საზოგადოება მიეგება საყვარელ პროფესორს, ივანე ჯავახიშვილის მეგობარსა და თანამოკალმეს.

„ქართველი ახალგაზრდობა ალტაცებით შიქცქეროდა მას, როგორც წინამძღვარსა და მებაირაბტრეს ეროვნული მოძრაობისა...“

როდესაც ოვაციები მინელდა და დარბაზი სმენად გადაიქცა, პროფესორმა გერმანულ ენაზედ ნაიკითხა მოხსენება. მან დამსწრეთ მოუთხრო ქართველი ერის გამირული ისტორიული წარსული. აღნიშნა ქართველი ხალხის ბრძოლები ეროვნული თავისუფლებისა და თეთიმყოფლობისათვის გადახდილი“ (გ. ხერგაისძე, 26 მაისის დღესასწაული ბერლინში 1943 წელს, ქართველი ერი, 1943, №1/2, გვ. 24-25).

ქართული ემიგრაცია დიდად აფასებდა მიხაკო წერეთლის მოღვაწეობას. 1943 წელს იგი ყველამ ერთხმად დაასახელა „ქართული ეროვნული კომიტეტის“ თავმჯდომარედ. გიორგი შალვაშვილის გამოცემით, ამ ფაქტს უცხოეთში მყოფი ქართველები კმაყოფილებითა და ნდობით მიეგებნენ, რადგან იგი ამთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში დაუღალავად ებრძოდა ჯერ რუსულ თეთიმჭრობელობას, ხოლო შემდეგ ბოლშევიზმს საქართველოს უფლებების დასაცა-





ბით წარმოაჩენს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. გრიგოლ რობაქიძის მოგონებაში რამდენიმე საინტერესო მოსახრებაა გამოთქმული. წერილის ავტორის დაკვირვებით, მიხვილ წერეთელი ააღლიოანი იმპრესიონისტი და თვითდა მგარი სუბიექტივისტია, მიმგნები, მხედრი, აღმომჩენი. მას ამის დასტურად ქართულია და მუშერულის ნათესაობის ირგვლივ წარმოებული კლდეა მიაჩნია.

ამ მოგონებაში მიხაკო წერეთლის ყველა ღირსებაა ხაზგასმული: კლასიკური სილამაზე, არისტოკრატიული ღირსებები, ნიჭი, ურუდიცია, ხალასი იუმორი...

გრიგოლ რობაქიძის მოგონება ცოცხალ განწყობილებას გვიქმნის. ავტორი მარჯვედ იყვნება მსუბუქ იუმორს და ნათვლ და სადა მონათხრობში პროტრეტული სიცხადე შეაქვს:

„ქვლავ ყავახანაში. მიხვილი დავითს (ლამბაშიძე); როგორ ხარ, ბიჭო? დავით: გარდაქმნილია — შენ როგორ ხარ? მიხვილი: „აღივს ვაბოგინებ ფეხებს“. დავითი თვალს მიქნევს. მიხვილი სატილფფონესაკენ მიდის. დავითი: შენცა და მეც გავგოსტუმრებს იმ სოფელს, დამიჯერე: უყვარს თავისმოკატუნება“. ვიცინით ორივე... ასულ ნუნუსებს, უმატებს დავითი“ (იქვე).

გრიგოლ რობაქიძემ შეძლო, „მოუწყურთმებინა“ ღიმილით განათებული მიხაკო წერეთლის ხასიათის დეტალები: მიხვილი „ოხუნჯია“ და უყვარს გახუმრება, „თუ გუნებაზეა“. მიხვილი თვითმობილი მსახიობია; მას უყვარს კარგი სმა-ჭამა, შიმშილს გადაიტანს, მდარე სასიყელს თუ საქმელს არაა გზით არ ინებებს; მიხვილს უყვარს თავის მოკატუნება და ნუნუსი; მიხვილი უყვარს ჭეჭი საეკლესიო გალობა და გალობის კიდევ 2 თუ 3 კაცისაგან შემდგარ გუნდში, სამსუხაროდ, მხოლოდ პანამედიის გადახდისას; მიხვილს უყვარს ლიტერატურა, გრიგოლ რობაქიძესთან ხშირად უქია რომენ როლიანი: „მუსიკიდან მოდის მისი თხრობაო“, — უთქვამს; მიხვილ წერეთელი მუსიკასაც ეტანება. ყველაზე მეტად რიპარდ ვაგნერი იპყრობს, რომელიც ნამდვილი გაცვდით იცის. გრიგოლ რობაქიძეს ვაგნერის ასეთი მცოდნე ქართველებში არავინ იგულებოდა.

მიხაკო წერეთლის პიროვნებისა და ღვაწლის სრულყოფილი შესვება, მისი დამსახურება იმ საქმეში, რასაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა, ნათლად ჩანს ცნობილი საზოგადო მოღვაწეების სიტყვებიდან.

როცა ეკითხულობთ, 70 წლის იუბილეს როგორი სიყვარულით ულოცავენ საზღვარგარეთ მცხოვრები ემიგრანტები

თავის სამშობლოზე ფანატიკურად შეყვარებულ ადამიანს, ვრწმუნდები, რომ უმრეტელი ენერჯითა და ძლიერტ მუშაობაზე შემკულ პიროვნებას საქმის გულწრფელი და ღრმა სიყვარული, განუსაზღვრელი გაბედულება, რწმენა და გატაცება ახასიათებდა. ქართველი ემიგრანტები ერთხმად აღიარებენ მის უდიდეს ინტელექტს, პატიოსნებას, სიყვარულით აღწერენ მიხაკო წერეთლის მონანილეობას სხვადასხვა ეროვნულ წამონყებაში, მის სამეცნიერო მოღვაწეობას.

„მაღალსულოვანი, საქართველოს ერთგული გუშაგი, ერის გამლენიებელი, მისი პატიოსნებისა და სინდისის განსახიერება, ცნობილი მეცნიერი, დიდი მოხუცი“ — ნინო სალიას თქმით. „პუბლიცისტი ბუნებით, ბრძოლის დროს უდრეკი და უტყუბი... და მით უფრო უდრეკი და უტყუბი, რაც უფრო დიდი უბედობა დაატყდებოდა ჩვენს ერს“, — გიორგი კერესელიძის შეფასებით. „ყოველი ეპოქის შესაფერისი იარაღით ერთგული ცეცხლის მოგვი და ქურუმი განაგრძობს ბრძოლას ქართული კერის, ქართული მეობის და ქართული კულტურის გადარჩენისათვის“, — არჩილ გომართელის დახასიათებით. „მიხაკოს დროშა იყო და რჩება ქართველი ერის აღორძინება, ამაღლება და საკაცობრიო ოჯახში შეყვანა. მაგრამ ამასთანავე მას მუდამ ჰქონდა საკაცობრიო იდეალიც, გამოუმუშავებული გზა-კვალი ერთა თანხმობით ცხოვრების და წინმსვლელობის... კაცი იდეის, რწმენის, პუმანური დროშის“, — ნოე ფორდანიას სიტყვით. „მშოთავარე და მოქაფტაფე რევოლუციონერი“, — ექტორი ნოზაძის რწმენით. „მედროვე და მებუქე საქართველოს ეროვნული ბრძოლისა“, — გიორგი მაღალაშვილის შეფასებით. „უმალღეს სისრულემდე მიღწეული კულტურის მატარებელი. იგი აგრეთვე უდრესად ფაქიზი და სპექტაკი სულის პატრონია. მიუზნედავად უძნელეს საარსებო პირობებისა, მიუხედავად იმისა, რომ გზა მუდამ ეკლიანი და სიმწრით აღსავსე ჰქონდა, მიხვილი შორსაა ცხოვრების ყოველდღიურ სიტლანქისაგან და სიმახინჯისაგან და დგას ნათელ მალღობზე ერის ერთგულ გუშაგად და მექომაგედ“, — კალისტრატე სალიას ფიქრით.

გოგი წერეთელს სწამდა, რომ მიხვილ წერეთლის მიერ ნაახდრეძე თავგანწირულ ბრძოლას ღირსეული გამგრძელებელი გამოუჩნდებოდა. მისი ამდღიანი ხელთ უბედავ გადაბნეული სიბრძნის ნაყოფი ახალ თაობაში ღვივებოდა და გარკვეული დროის შემდეგ ამშვენიერ მეცნიერად გაი-



ფურჩქნებოდა“ (გოგი წერეთელი, დიდო მეცნიერო ბედი ქართლისა, 1948, № 3, გვ. 12).

მიხაკო წერეთელი, სამშობლოზე ზრუნვით დაღლილი, მუდამ ფხიზელი და მომედილდული, ხშირად მარტო იყო თავის ფიქრებთან. ჩვენთვის ძვირფასია ის განცდები, რომელიც „მოგონებათა ბარდულში“ „აიანა“ გრიგოლ რობაქიძემ: „ეხლა მიზეილი ბავარიამი იმყოფება, სადღაც მივარდნილ კუთხეში ზის ალბათ პატარა ოთახში ვითარ განდეგილი სენაკში... ზის განმარტოებული, სდუმს როგორც მარტვილი... „განდეგილი“ ეხლა „ივირონის“ მარტვილს მაგონებს, მოხუცებულობაში, შეუდარებელ სახეს ქართველი წმინდანისა, ლოცვებში შინაგან ანათებულისა“.

მიხაკო წერეთელმა იცოდა სიცოცხლის ფასი. იგი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. ექტორ ნოზაძის მოგონების თანახმად, მან უკანასკნელ წუთამდე შეინარჩუნა ნათელი გონება. „დიდმა მოხუცმა“ თავისი მახსოვრობითა და ხალი მსჯელობით გააკვირვა ექტორ ნოზაძე, რომელსაც 1964 წლის 21 აგვისტოს, გამომშვიდობებისას, რაჟდენ არსენიძესთან დააბარა:

„უთხარი, ჩემო ექტორ, რაჟდენს, რომ ორივე მოეხუცდით და მივდივართ, მაგრამ

ამ ცხოვრებაში ჩვენ არ ვყოფილვართ მცონარე, უქნარი; რაღაც მტრულ გრძელყოფით რაღაც მაინც გაეკეთებამ მტრულმტრულს“ (ენოზაძე, მიხეილ წერეთელი, კავკასიონი, პარიზი, 1965, № 10, გვ. 175).

ამ სიტყვებში დიდი მოღვაწის თავმდაბლობა და კდემამოსილება ცნაურდება. საგულისხმოა ის პასუხიც, რაც რაჟდენ არსენიძემ ბრძანა მიხაკო წერეთლის დანაბარების მოსმენისას: „ეხ, რა გაეკეთეთ?“

თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით იკვეთება პიროვნება, რომელიც საოცრად შგავს კულტურული ქართველის იმ იდეალურ ტიპს, რომელსაც თავად ავტორი ერთგან ამგვარად აღწერს:

„ქართველი კულტურული ტიპი თავისებურია, სხვაგან არ არსებული საქართველოს გარეშე. ამაყი და თან თავ-მდაბალი; მებრძოლი რაინდი და თან ზომიერი, არა ჯალაღებული და თავაშეებული გამარჯვებით და არა ნაშხადარი და მლიქვნელი დამარცხების შემდეგ; ზრდილი და ზრდილობის მომთხოენი სხვათაგანაც; არისტოკრატი და თან დემოკრატი; ნამდვილი ქრისტიანი და არა ყველაფრის ჩამდენი მზურვალე ლოცვის შემდეგ იკლესიამი“... (მ. წერეთელი, ძვირფასი მეგობრის ხსოვნას, ბედი ქართლისა, 1955, № 20, გვ. 23).





# ბაზეთი „კვალი“ და „101 ნული“

ილია ქავეჭავაძის ცხოვრების ბოლო პერიოდი, განსაკუთრებით 1895-1907 წლები, მისთვის ყველა წელთან შედარებით მძიმე და ტრაგიკული იყო. ეს ის ხანაა, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული მოსოციალდემოკრატიო ახალი თაობის ერთი ნაწილი მარქსისტული იდეების ერთგულებას იყენებს კარიერისტული მიზნებით და უპირისპირდება ყველა იმ თვალსაზრისს და დაჯგუფებას, რომელიც არ ემთხვევა მათებურად გაგებულ მარქსისტული თეორიის ძირითად დებულებებს, სარგებლობს შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციით და დაუზოგავად იბრძვის თვითდამკვიდრებისათვის. ილაშქრებს წინაწინააღმდეგ, მათ დამსახურებას წარსულის კუთვნილებად აცხადებს და იმ ახალ დროში მათ პოზიციას რევოლუციის ხელისმძღველად თვლის.

ამჟამად და დაურიგებლად უპირისპირდებიან განსაკუთრებით ილია ქავეჭავაძეს, ცხადია, მისი პოლიტიკური მრწამსის გამო. ავიწროებენ და უშმიძებენ ცხოვრებას შურაცხმყოფელი წერილებით, თავზედური შეტევებით, დაუზოგავი ცილისწამებით, დაუსრულებელი პოლემიკით ღირსეულ თუ უღირს ოპონენტებთან... ამას ემატება ზოგიერთ თანამოქალაქე თერგდალეულთან გართულებული ურთიერთობა. საყურადღებოა, რომ ბაზეთი „კვალის“ დაარსებამდე თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების დროს: გ. წერეთელსა და ილიას შორის მომხდარი მსუბუქი კონფლიქტი თანდათანობით, დროთა განმავლობაში გადაიზარდა სერიოზულ უსიამოვნებაში, რაც გამოვლინდა „კვალის“ და „ივერიის“ ფურცლებზე ურთიერთ არაკორექტული მიმართებების და იდეოლოგიური დაპირისპირების სახით. გ. წერეთელს თანადგომა გამოუცხადეს მესამე დასის (შემდგომში უკვე სოციალ-დემოკრატიო პარტიად წოდებულმა) წევრებმა, ილიას კი თანამოაზრეებმა.

სამთა დროს პირად ურთიერთობაშიც იჩენს ხოლმე თავს სიმპათია-ანტიპათიები, რაც, სამწუხაროდ, დიდად უწყობს ხელს ღრმა კონფლიქტების წარმოშობას და საზოგადოებრივ უკორებებაში არაჯანსაღი კლიმატის შექმნას. ასევე მოხდა.

ამ შეტად მწვავე პერიოდის ანალიზი გააკეთა ზოგიერთმა კომპეტენტურმა მეცნიერმა და თავისი მართალი სიტყვაც თქვა. უფიქროვბი, ნედმეტი არ იქნება არსებულ ფაქტობრივ

მასალაზე დაყრდნობით ნათლად წარმოვაჩინოთ სავალალო შედეგი „კვალის“ მიერ გამოყენებული იმ მიუღებელი მეთოდისა, რომლითაც იბრძოდა იგი „ივერიისა“ და მისი რედაქტორის წინააღმდეგ.

აქვე გვინდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, როცა ჩვენ ვსაუბრობთ ი. ქავეჭავაძესა და ნ. ჭორდანიას შორის დაუღმებელ პოლემიკაზე, ეს იდეურ სამოსელში გახვეული დაპირისპირება, მოსოციალდემოკრატიო ელემენტების ვულგარული და უხასხური პოლემიკა და ილიას პიროვნული ღირსების შეზღავნის ცდა, არ იყო სოციალ-დემოკრატიო პარტიის სამოქმედო პროგრამის ძირითადი ხაზი, ამ პარტიის საერთო ინტერესების გამოხატევა. პოლემიკას აწარმოებდა სხენებული პარტიის მხოლოდ რამდენიმე წარმომადგენელი, რომელთაც მხარს უჭერდნენ პარტიაში შემთხვევით მოხვედრილი პოლიტიკური ქაშელეონები და ისეთი უღირსი ელემენტები, როგორებიც იყვნენ: კორვალიძე, მურკვილაძე, კიკიანი, დანელია, მოდეხაძე და მათი მსგავსი მრავალი სხვა.

ილიას იუბილე რომ ჩაიშალა, ამით მხოლოდ რუსეთის მთავრობამ კი არ იხეიმა გამარჯვება, დაპირისპირებული „ახალი ახალ-გაზრდობის გარკვეულმა ნაწილმა ეს ფაქტი ილიას მარცხად ჩათვალა და ამით ფრთებქსნულმა იუბილეს მზადების პერიოდში გამოქვანებული გულგრილობა აქტიური დაპირისპირებით შეცვალა. 1900 წლის იანვარში გ. წერეთლის გარდაცვალება გახდა მიზეზი მძაფრი პოლემიკის დაწყებისა. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენისა და სოციალური წარმომადგენლისა, ამ სიტყვების საერთო მიზანდასახულობა და დაკრძალვის ცერემონიული დაწვრილებით იყო აღწერილი „კვალსა“ და „ივერიის“, მხოლოდ განსხვავებული პოზიციიდან. „ივერია“ ნაწყენი იყო იმ შურაცხმყოფელი სიტყვების გამო, რომელიც დაკრძალვაზე წარმოთქვა ზოგიერთმა მოქალაქემ ივერიელთა საწინააღმდეგოდ „კვალი“, პირობით, საზეიმო განწყობით წერდა, რომ „ხალხის წარმომადგენლებმა“ ობიექტურად ზედაფასეს გ. წერეთლის მონაწილეობა პოზიციო, მათი მორალური იდეური სახე, გაკიცხეს ისინი, რითაც მთლიანად გამოხატეს კვალელთა გულსიტყვილი, მოხდა საგულისხმო მოკლეობა. იქ (გ. წერეთლის დაკრძალვაზე — მ.გ.) შემოიკრიბა გამოიფხიზლებული და გაგონიერებული თბილისის



მუშა და ტანჯული ხალხი. ეს იყო პირველი შემთხვევა, ასე გულმზურვალე მონაწილეობა მიეღოს შეგნებულად ქართველ ხალხს რომელიმე მოღვაწის დასაფლავებაზე, რომ ხალხმა პირველად აღაბო ბავიყი თვისინი და აჯაბო სწორედ ლიტერატურის გათხასირებინასათვის", — აღნიშნავდა ნ. ჟორდანიანი.

ნ. ჟორდანიანი გადამქარებული მნიშვნელობა მიანიჭა ორიოდ „ხალხის წარმომადგენელს“ მიერ წარმოთქმულ სიტყვას, რომლის შთაბეჭებითელი და ნაწილობრივ შემთხვეულიც თვითონ იყო, დიდ პოელებად შეაფასა ქართველი „პროსტრატების“ ნ. მერკულიაძის და ვ. კირვალაძის მონაწილეობა ამ ცერემონიაში და ვ. კირვალაძის თვითვე უბოძა „თბილისის მოსამსახურეთა წარმომადგენლის“ მკვირალა სტატუსი.

ნ. ჟორდანიანი და ი. ქაქუჩავაძე იდეურად დაპირისპირებული ორი ბანაკის ლიდერები ერთმანეთს დაუწოდებლად ებრძოდნენ სიტყვით თუ საქმით, აშკარად თუ ფარულად. ილია — აშკარად, სიტყვით და კალმით, ნ. ჟორდანიანი კი ილიას დისკრედიტაციას ცდილობდა ყოველგვარი ხრიკებით, აშკარად და ფარულადაც. ნ. ჟორდანიანი იცოდა, რომ ილიაზე უარყოფითი აზრის შესაქმნელად მარტო მისი მცდელობა არ იყო საკმარისი. ილიას გმობა უსათუოდ უნდა წარმოეთქვა გლეხს, მუშას — ხალხის წარმომადგენლებს, რომელთა ნათქვამი უნდა გამხდარიყო „სმად ერისა“. ამისთვის იგი შესაფერდროს ელოდა და ეს დროც დაეგა. 1900 წელს გ. წერეთლის დაკრძალვის ცერემონიალი გამორიყენა ნ. ჟორდანიანი წინაფიქრის განსახორციელებლად. ილიასთვის საჯაროდ უნდა დაეკრიტიკებინა ხალხის დაბალი ფენა, რომლის წარმომადგენლობამ სულ რაღაც ორიოდე წლის წინ დიდი პოეტის სათუბილეო სამზადისში აქტიური მონაწილეობა მიიღო და დიდი თანავგრძნობა და საყვარული გამოიუცხადა. ამით უნდოდა, ილიასთვის ეთქვა, რომ იგი უკვე აღარ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელსაც ადრე ბრძამდ მიყვებოდა ხალხი, რომ გამოფხიზლებული და გათვითცნობიერებული მშრომელი მასა სხვაგვარად ფიქრობდა და რევოლუციის გზით ელოდა საქართველოს სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოპოვებას. ნ. ჟორდანიას მხოლოდ ეს ესახებოდა ყველაზე საიმედო გზად ილიას აქტიურობის შესაღაბად, იმ ავტორიტეტისა, რითაც იგი დამსახურებულად სარგებლობდა მრავალი წლის მანძილზე, როგორც ეროვნულ-განათავისუფლებული მძობრობის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი.

გ. წერეთლის სამარხთან ერთ-ერთი გამომსვლელის ვ. კირვალაძის სიტყვის ზუსტი ტექსტი ასეთი იყო: „თბილისში მყოფი მოსამსახურეები სულით და გულით სწუხან და ტირიან

მისთვის, რომ ჩვენში გამოეყრინე რისითანა პირები, რომლებიც უსაფრფლედ უმჯერნიან ამგვარ მოღვაწეებს... მეუბნებოდნენ მხეცნიც ზიზლით ვუყურებთ ავერის“ პირველ ნომერს. ვუყურებთ მისთვის, რომ მასში სწერია, რასაკვირვებია, მათივე დამამცირებელი ლაზნადრობა. ჩვენ, ეგრეთწოდებული მდაბიო ხალხი, არც ისე გონებადამშული ვართ, რომ ვერ გავარჩიოთ ავი და კარგი. დიდა! ჩვენ კარგად გვესმის რაც დასაკლისი დაჯაკლდა დღეს, მაგრამ ამით კი ვუფრეგობთ, რომ ხალხს უყვარდა და ხალხმავე სცა პატივი... და არც დაიფრეგებს გ. წერეთელს“. ამას მოჰყვება 4-სტროფიანი ლექსი. მსგავსი სულისკვეთებითაა გამსჭვალული მერკულიაძის მიერ დაკრძალვაზე წარმოთქმული ლექსი, რომელშიც ავტორი „ზიზლით და მტრობით გულავსებულს“ უწოდებს გ. წერეთლის მონაწილედგეგებს და არცხვენს იმისთვის, რომ მის წმინდა ცხედარი უკან მიყვებოდნენ ახლა.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ნ. ჟორდანიანი „შექმნა“ მერკულიაძე და კირვალაძე და ხალხის წინამე გამოიყვანა თავიანთი შემოქმედებით, რაო და ჩვენ დემოკრატის უპირველეს როლს ვანიჭებთ და დიდ ანგარიშსაც ვუნებთ მათ აზრებს და სურვილებს.

რეალურად რა წარმომადგენლობა უნდა გავნია „გლეხ კირვალაძეს“ (ასე აწერს იგი ხელს), როცა მისი პიროვნება არაფრით იყო გამორჩეული, ფართო საზოგადოებრიობა მას არ იცნობდა, მონაწილეთა შორის არ მოიხსენიებოდა, არასოდეს დაუწერია ერთი სტრიქონი და არც სადმე ტრიბუნაზე მდგომი და თბილისის მოსამსახურეთა სასარგებლოდ მოლაპარაკე არავის უნახავს. მამ რა ღირსებებმა გამოაჩინა ასე მოულოდნელად პიროვნება, რომელსაც „თბილისის მოსამსახურეებმა“ გ. წერეთლის დაკრძალვაზე თავიანთი თანავგრძნობის და მუხარების გამოთქმა დაავალეს“ სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეს ფაქტი მკორედად მაინც შეურაცხყოფს გ. წერეთლის ღირსებას და იმ შეგნებულ და წამედლად განათლებულ მოსამსახურებს, რომელთაც არ შეეფრეგებოდათ ასეთი უნებური და უსახური წარმომადგენელი.

ამასთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა ლალი (გ. ლასხივილიმა) „მოამბეში“. წერეთლის მძინევე გადაბეჭდა ავერიაშ“ და თან ჩიორას კომენტარები დაურთო.

ლალი აღნიშნავდა, რომ ქართველმა ინტელიგენციამ, მათ შორის ივერიელებმა და ი. ქაქუჩავაძემ, თავიანთი წმინდა ვალი მოიხადეს ქვეყნისთვის მებრძოლი და ერთგული მოღვაწის გ. წერეთლის ხსოვნის წინაშე, ნ. ჟორდანიანი კი „მეტად უზერული სიტყვა თქვა, რომელსაც აყენენ „მისი ჯარისკაცები“ და სასაფლაოზე შემამარუნებელი განგამი შეიქ-

ნა. ერთმა გამოაცხადა, მეზრალეობაა გ. წერეთლის მონინააღმდეგენი, მეორემ დაგმოიანი, მესამემ მრავალი წყველა და კრულევა წარმოთქვა და ასე კრემუნდოზე მიდიოდნენ, სანამ ერთმა ზიზლი არ წარმოთქვა... ამგვარ უზნეობას და უტაქტობას ძნელად წარმოიდგენს კაცი“. გაზ. „კვალის“ რეაგირება საკმაოდ მძაფრი აღმოჩნდა. ლალის იქით შეედავა, თუ რატომ გაიგო მან ნ. ფორდანიას სიტყვები „აჯანყების დაწყების ნიშნად“ მაშინ, როცა ამის წინაფიქრი არავის ჰქონია და ყველაფერი თავისთავად ბუნებრივად წარიმართაო. ჩიორას კომენტარებს: „რათ უკვირს ბ. ლალის კვალელთა უსაქცილობა, უზნეობა, უტაქტობა და უსარტყვილობა...“ უფრო რბილად უპასუხა არ უარყო გ. წერეთლის „მონინააღმდეგეთა“ ლანძღვის ფაქტი, მაგრამ ერთი პროუკაციული აქტი კვლავ განახორციელა. „კვალნი“ წერდა, ყოველივე ეს დაბალი ხალხის წარმოადგენლებიდან მომდინარეობს, რის დამადასტურებელ საბუთს აქვე დავეჭვდავთო. ეს საბუთი იყო კირვალისის წერილი „ივერიაში“ გამოთქმული შეურაცხველი შენიშვნების გასაბათილებლად... „მე მაგალითად, ერთმა წარმომადგენელთაგანმა დაბალი ხალხისამან, ვთქვი სიტყვა და მოვიხსენიე, მართალია, ამ წლის „ივერიის“ პირველი ნომერი ზიზლით, ეს ჩემი ნიშნად რწმენა იყო და არის. დიან, ათხაჯრაც გაიფიქრებ და გაიხიორებებს ჩემთან ერთად ასი ათასი ქართველი მუშა ხალხი ზიზლს „ივერიის“ პირველ ნომერში დასტამბულ საზიზლარ ლაზღანდარობისადმი, სადაც შეენისაუცუთესო მოღვაწეების იმოდენა ლანძღვა-გინება, ლაფშაგაფული და ძაფგაფეჭტილი უშვებობა... გლახი კირვალიძე“.

„ივერიის“ პირველ ნომერში ნ. ფორდანიასათვის ხელნასაჭიდი არაფერი იყო, გარდა ჩიორას უბოროტო საახალწლო სურვილისა: „კვალნი“ კვალში ჩამდგარიყოს და სემის, ქაშის და იაფეთის საძიძგ-საჩიქნი არ იყოს“. ჩანს, ამ საექტაკლის „რეჟისორს“ ფანტაზიამ უღალატა და არამოგებებიანი პოზიცია შეარჩია).

კირვალისის წერილიმ ყურადღებას იპყრობს პირველ პერიოდ ნათქვამი ფრაზა. „ქემი: ნიშნად რწმენა იყო და არის“ – ეს და სხვა მსგავსი ნიუანსი შეუმჩნეველი არ დარჩა აივერიის“ რედაქციას და „კვალნი“ ამხილა სიყალბესა და უსმგავსეობაში.

„კვალნი“ არ დაიბნა, იგი მკაყოფილი იყო იმით, რომ „საშუალება მისცა ხალხის წარმომადგენლებს ეთქვათ ის, რასაც ხალხი გრძნობდა და განიცდიდა.“ თან მთელი კატეგორიულობით აცხადებდა: გრძნობდა „კვალის“ თანამშრომლებისა და ხალხისა ამ დღეს, წინაწარს შეერთდა და ამით ეამაყობო ჩვენ“.

ბუნებრივია, ეს „თამაში“ უნდა გაგრძელებულიყო, გაჩერება აღარ შეიძლებოდა. კირვალისე, როგორც მთავარი მოქმედი

პერსონაჟი, კვლავ საჭირო იყო. მას თავისი სიტყვა ბოლომდე უნდა ეთქვა. არ გაეზარდა ფორდანიას, თუ ასე შორს შენტროპადა საფლობ ჭაობში, თორემ მოერიდებოდა თავისი სახელის, ღირსების და იმ პარტიის სახელის შებღალტას, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა.

ამჯერად კირვალისის პოზიციის გამაგრება სცადა „კვალის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა „მომსწრემ“. იგი მოჩვენებითი სიმშვიდით კითხულობს, თუ რამ აღაშფოთა ივერიელები. მაშინ, როცა ილიამ ბეს. ლოღობერიძის დაკრძალვაზე წარმოთქვა მსგავსი სიტყვა – „ქენი დასაფლავება გასკითხვის დღე იყო შენთა მტერთათვის. შენ უნაჯაროს ანგარიშთა შეგნამეს, პატიოსანს – უპატიოსნება... კაცურ კაცს უკაცურობა და სხვა“. მაშინ ეს საექციოლი არავის დაუგმია, არც „კვალს“ მოსვლია აზრად პოლემიკა გაემართა „ივერიასთან“... მაგრამ ამ შემთხვევაში ივერიელებს ზემობრივი მოსაზრება კი არ აღაპარაკებო, არამედ ის, რომ დაწერილში თავისი თავი იცნეს და ამას ვერ იფიქრებენ“.

ილია ჭავჭავაძე პოლემიკაში ჩაბმას ურიდებოდა, კვლათან დაპირისპირება, ორი წლის წინ ჩამოილი იუბილე, პოლემისტთა მომრავლება, საზოგადოების საერთო გულგრილობა, ქართველი ინტელიგენციის უფროსი თაობის დიდი ნაწილის ნეიტრალიზირი პოზიცია და დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია ბრძენის გონიერებას ითხოვდა, სწორად განეჭვროტა ყოველივე, მდებარე ნაბიჯი არ გადაედეგა და ყველა მოსალოდნელ უსიამოვნების თავშეკავებით შეეხვედროდა. მით უფრო ძვირად უყვებოდა ეს თავშეკავება, რომ ამ ამბის პარალელურად ნ. ფორდანიამ დაიწყო გაგრძელებით ბეჭდვა თავისი ნარკვევის – „პრესა“ – გაზ. „კვალში“. ილია დუმდა... იგი კამათისთვის ემზადებოდა. აღმფოთვლილი იყო ნ. ფორდანიას აზრებით, რომლის მიხედვით ივერიელები გ. წერეთლის იდეურ მტრებად ხან კი პირადი ანგარიშსწორების სურვილით შეპყრობილ ადამიანებად ინოდებოდნენ. არა და, ამ დაპირისპირების მომსწრეთა დიდ უმრავლესობას ეს „მტრობა“ იდეურ ბრძოლად, იდეურ კამათად მიაჩნდა. ლალიმ აღნიშნა კიდევც ნ. ფორდანიასადმი დაწერილ ნაპსუბო წერილში... ისინი, ვინც გ. წერეთელს ებრძოდნენ საზოგადო საქმეების გამო, არა კერძო, პირადი ანგარიშებით... ისინი თავიანთი შეხედულების ერთგულნი დარჩნენ ბოლომდე და ეხლაც, რომ გაცოცხლდეს გ. წერეთელი, ისინი კვლავ დაიწყებენ ბრძოლას საზოგადო საქმეების გამო“...

სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების, განსხვავებული მსოფლმხედველობის ქმონე მაშინდელი მოღვაწეები ერთმანეთისადმი გააფთრებულ თავდასხმას იდეური ბრძოლის მოტივით ამართლებდნენ და, ალბათ, ასეც

იყო, მხოლოდ ი. ქაქუცაძისადმი კირვალიძე-მერკვილაძის პოზიციას, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივცემთ ასეთ კვლიდგიკაციას. მატი მოქმედება პავადა რალად მნიშვნელოვანი დაპირებებით მოსყიდული ამდინანის თამამ საქციელს, რომელიც არ სცნობს ავტორიტეტებს, არც რაიმე სინშინდეს და რომელიც ეილიაით თუ რალაცით ზურგგამაგრებული „შეკადრებდად შყოფს შეუკადრებელთაცა“. მოპაექრე მხარეებმა ფხიზლად შეაფასეს არაბული სიტუაცია და დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს. ერთმა იმ მიზნით, რომ ფარდა აეღადა ამ უმსგავსი სცენისათვის და ნილაბი ჩამოეხსნა „მერკვილაძე-კირვალიძის ლიდერისათვის“, მეორემ კი მიზნად დაიხსნა, საკულთარი ავტორიტეტის და პარტიის „შეუბლაღვი“ სახელის შენარჩუნებისათვის ყველაფერი გაეკეთებინა, თუნდაც იგი დადგენილი მორალის და ეთიკის საზღვრებს გადაცილებოდა. სწორედ ამ ზნას დაადგა ნ. ჟორდანი და მისაღებ დებულებად ჩათვალა „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ახლა უკვე ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ვინ რა საშუალებას გამოიყენებდა გამარჯვების მიაღწევად.

1900 წლის თებერვლის თვის „ივერიამი“ ჩიორამ დაბეჭდა წერილი ისევ იმ საკითხზე. მან დაუზოგავად გაიკცა კირვალიძე და ნ. ჟორდანი, ეჭვის ქვეშ დააყენა მერკვილაძე-კირვალიძის დამოუკიდებელი მოწინააღმდეგეობა ამ საქმეში. აღნიშნავდა: „ლალის წერილიდან დაკრწმუნდი, ადრეც არ ყოფილა იგი დაფარული, რომ ყველაფერი ადრევე მოციქრებული განხრბაგით იქნა ჩადგნილი, რომ „ეკალის“ ზოგიერთმა თანამშრომელმა, ძალათ გამოეტებულმა მერკვილაძემ და გლეხმა (?) კირვალიძემ ნ. ჟორდანიასაგან ჩაქუზებული და გაბრიყვებული ერთი გრძელი, უხონ, ულახათი და უხერხული უმართებულობა გადაიკონტრუშეს ჯერ ცრემლისაგან შეუმრბებელ სამარეხედ... მაგრამ ახლა გასარკვევია, ემის თუ არა ნ. ჟორდანიას რა არის ხალხი და მისი ნარმომადგენლობა. ვინ არიან ადბალი ხალხის ნარმომადგენლები“ ვიქვით, მენწრილმანე გ. კირვალიძე გლეხია, ვინ დაულოცა მას „ხალხის ნარმომადგენლობა“, რომელმა ხალხმა და სად მიანდო, ნამოდექით და ენა თუ ის განაცხადეთო, ვკითხვთ „ეკალს“... ერთისა და ორის გლეხის უმართებულობა რატომ უნდა დაედოს მთელს ხალხს ბრალად, იმიტომ რომ ისინი გლეხები არიან... რადგან კირვალიძისთან ცხოვრების ნალექოდან ამოტივტივებული გლეხობისა აღარა სცხია-რა? შუმდეგ ჩიორა ეტება კირვალიძის წერილის იმ ადგელს, სადაც პირველ პირშია ვადმოცემული აზრი „ჩემი წმინდა რწმენა იყო და არის“ და კითხულობ: თუ ეს ასეა, ხალხი რალა შუამია, რომელმა ხალხმა

გამოუცხადა მას „ქენი წმინდა რწმენა ჩენი სარეთო გულისთქნაო“. თუ კირვალიძე, ხალხის ნარმომადგენელი იყო, ხალხისავე წმინდა რწმენა უნდა გამოეთქვა და არა თავისი. დიან, ამ წერილს რომ კარგად დაკვირვებოდნენ კვალელები, აღარ დაბეჭდავენ თავის გასამართლებლად“ (იქვე)

თამამად შეიძლება ითქვას, როგორც ამას ფექტობრივი მასალა გვიდასტურებს, ჩიორას წერილი რომ არ გამოქვეყნებულყო გას. „ივერიამი“, „101 წული“ და ილიას ბრძნულზე ბრძნული ნათქვამიც აღარ განდგებოდა ქართული ლიტერატურის და ჟურნალისტიკის ისტორიაში. ამ დროს კირვალიძე „ეკალის“ განცხადებით, თბილისში არ იმყოფებოდა (სინამდვილეში იგი ახალ პროუკაციას ამზადებდა თავის ლიდერთან ერთად). მოგვიანებით იგი წერს მესამე წერილს, რომელშიაც ჩიორას მიერ ნამოყენებულ საექუო კითხვებს და ბრალდებებს უქებნის შედეგებისდაგვარად და ბექდაეს „ეკალში“. ჩიორას ერთ-ერთ მთავარ ბრალდებებს ასე აბათილებს:

„მე დანერლი მქონდა ჩემ წერილში – ეს დაეკება იყო ხალხისაგან მეთქი, რომელიც „ეკალს“ რატომღაც გამორწენია (შუძლებულია „ეკალს“ ასეთა მნიშვნელოვანი ფრაზა გამორწენილია – მ.გ.) და შემდეგ უემატებდი: „ჩემი წმინდა რწმენაც ეს არის მეთქი“.

ის იქამდე გათავდადა, რომ ილიასაც კი შუადარ თავი. „კითხით ივერიის“ რუექტორს მის ბრწინვალეებს ი. ქაქუცაძეს, ვინ დაულოცა ნარმომადგენლობა მას, რომელმა ქართველმა მისცა რწმენების წილი, რომელ ნოტარიუსში იყვნენ ისინი დამტიკებულნი“ მთელი საქართველოს სახელით რომ მიმართედა მწერლებს დე ბაის და მარკოს, და ჩანგიც კი მართათა მთელი კავკასიის სახელითო. შემდეგ დიდი უპირატესობის მქონე კაცის ტონით აღნიშნავდა, გ. წერეთლის დაკრძალვაზე ვილაპარაკე იმ 100 კაცის სახელით, რომელთა მიერ ხელმოწერილ წერილს ვემქდაე გას. „ეკალში“. ხალხსტრაციოდ მოგვაქეს იმ 100 კაცის ხელმოწერილი წერილი, რათა მკითხველი დარწმუნდეს რომ იგიც კირვალიძის და მისი რეციხორის ნაცოდელიარია.

1900 წელსა, იანვრის 14 დღესა ჩვენ ამის ქვემოდე ხელისმომწერლებმა გავიგეთ რა ფრიად სამშუხარო ამბავი – სამშობლოს მოღვენის ბ.გ.ე. წერეთლის გარდაცვალება, ამოვირჩიეთ ჩვენს ნარმომადგენლად ორი პირი ბ. კირვალიძე და ექვთ. აბაშიძე, დაევაალეთ იკისრონ თფილისის მოსამსახურეთა ნარმომადგენლობა და დაესწრონ ზეგ, სხ იანვარს გ. წერეთლის გვამის გამოხვენებაზე, ნარმოთქვან სიტყვა და გამოუცხადონ ჩენი უდრმესი გულისტიკიული გ. წერეთლის ასე უდროოდ დაკარგვის გამო. აგრეთვე გაპიკცხონ ის ჯგუფი, რომელიც ჩენი ქვეყნის დიდებულ



მოღვაწე გ. წერეთელს უმართებულოდ დგენი- და და ლანძღავდა უშვერი კილოთი სიცოცხ- ლეში. აგრეთვე გააკიცხოს გაზ. ივერიის ზოგადი ნომრები და შეტადრე ამ იანერის პირველი ნომერი, რომლის ფურცლებზე იყო დგენა ლანძღვა-თრევა და უმართებულო ცილა-ანაწმენა და ლანძღვანობა იბეჭდება ჩვენი ქვეყნის ქემშარიტ თავდადებულ მამუ- ლისშვილების საგმობად და სადგენელად.

რაც შეეხება კირვალისის სამ წერილს, წერილ არ არის შევნიშნოთ, რომ ამ წერილებს არაფერი აქვთ საერთო ქემშარიტებასთან, კეთილ ზრახვებთან, ინტელექტუალურ აზროვნებასთან ან წმინდა იდეოლოგიურ პოლემიკასთან. ისინი ამკარად ატარებენ ხელეწინადად შექმნილი „საქმიანი“ ქალღებუ- ბის იერს. თვალში საცემია იხიც, თუ რამდენად ულოგიკო, წინააღმდეგობით აღსაესე და უსუსურია ეს წერილები, მიუხედავად იმისა, რომ იგრძნობა დირიჟორის მიმზარბთელი ხელ – საბუთის სახე მისცეს ყოველ საპასუხო ნაბეჭდვს. ერთი სიტყვით, მერკვილადე-კორე- ალიძე შვენიან იმ ახალბედა მსახიობებს, რომელნიც რეჟისორმა თავისი საჭიროებისა- თვის შრავალთავან გამოარჩია, შესარულები- ნა ერთი უფირო როლი და შემდეგ საბუთადომე ჩამოაცილა სცენას, ისტორიას კი შავ ლაქად შერჩა მსახიობებისა და მისი რეჟისორის სახელზე.

ილია კვლავ წრდილში რჩებოდა. ერთდროდა „კვალთან“ პოლემიკას, რადგან შედეგს წინასწარვე ხედავდა. იზიარებდა ვ. წერეთლის მიერ წერილობით გამოთქმულ აზრს: „კვალს“ უთავო მეთაურმა, ქართველთა პერსონატიკში თავი გამოიჩინა თავის უზომო თავხედობით... ვინც ამ „კვალის“ ან ნ. ყორდანიას შესახებ ამოიღო ხმა, მარქსიზმის მტრად დასახეს... ნ. ყორდანიას დანუნება მიანდათ მარქსიზმის დანუნებად... ილიას არ უნდოდა დაპირისპირებოდა მესამე დახის წარმომადგენლებს, რადგან ამ პარტიაში მოღვაწეობდნენ ისეთი პიროვნებები, რომელთა ინტელექტუალურ პოტენციალს და პატიოსანებას ილია ყოველთვის ენდობოდა. აკი 90-იანი წლების დამლევს, როგორც ამას ლ. გორგელაძე აღნიშნავს, როცა ილიას აეად- მყოფობის გამო „ივერიის“ რედაქტორობა სხვისთვის უნდა გადაეცა, არჩევანი და- ცლებუბზე შეაჩერა, რად, რა თქმა უნდა, დასე- ლებთან ახლო თანამშრომლობის მისწრაფე- ბას მოასწავებდა“.

ბოლოს და ბოლოს, ილია მაინც ჩაება პოლემიკაში და თავი რომ არ გამოემტლავებ- ბინა, ფსევდონიმს ამოეცა. „ივერის“ მე-60 ნომერში დაბეჭდა „უმეცრების ფართი- ფურცი“, ხოლო 61-ე ნომერში „პატარა საუ- ბარი“ „ახალმოსულის“ ხელმოწერით. უნდა ვეღიაროთ, რომ „კვალის“ თანამშრომლებს და

ასევე სხვებსაც არ გასჭირვებიათ ფსევდონი- მის ქვეშ ამოეცნოთ დიდი ილიას შერჩენებს... თუმცა არ ამტკიცებდა ამას. მათივე სიტყვებით აყრელი შემთხვევა იყო, რათა დაუზოგავად ელახდლით და დაემცირებინათ, ვითომ უცნობი „ახალმოსული“, ფაქტიურად კი ილია ქაეჭავაძე.

„პატარა საუბარი“ ირონიული ტონით იწყ- ება და ეს ილიასთვის დამახასიათებელი გამა- ნადგურებელი ირონია გასდევს წერილის პირველ ნაწილს. ილია აღნიშნავს მისივე სი- ტყვეობით „იმ ცნობილ ფაქტს“, რომ საქართვე- ლოს ხალხს თავისი წარმომადგენელი მყოლია, რასაც ულოგიკოს „კვალს“, რომელმაც პირველმა გახადა საცნაური ეს უცნაური ამ- ბავი კირვალისის ხალხის წარმომადგენლო- ბისა და ამ. შემდეგ „ახალმოსული“ ერთბაშად გადადის სერიოზულ ტონზე და მუხის დაკე- მახავით გაისმის სიმართლით დამძიმებული მისი სიტყვები: გლუბი კირვალძე რა მონაბე, რა კანონმდებელია, რომ იმის მავიერ, საბუთი წარმომადგინონ, საბუთი ამოციქულონ, სჯა ასაქმნო, ზნისა და მართებულობის საქმეში გლუბი კირვალძე (რომელსაც ილია ნულად მიიწნებს - შ.კ.) რა ავტორიტეტია. უკეთესი ეთიკოსი, უკეთესი ავტორიტეტი ვეღარსად იპოვნეთ... მეტი უარარობაა შესაძლებე- ლია, რომ კაცი კირვალძეს არამც თუ მარტო თვითონ დასჯერდეს, სხვასაც აჯერებდეს და ვინც არ იჯერებდეს ქვეყნის მტრად ისახელო- დეს... ნ. ყორდანიამ გერმანია შოიარა და ზნისა და მართებულობის შესასწავლად კირუ- ალიძის უნივერსიტეტში შეეღა“, - დაძძენ- და ილია.

რაც შეეხება 100 კაცის ხელმოწერას, რომელიც „კვალს“ დაურღვეველ საბუთად მიანდა, მათ შიშართ: ი. ქაეჭავაძეს გამა- ნადგურებელი განაჩენი გამოაქვს. უძებნის მათ ქმედებას იმ ზუსტ კრიტერიუმს, რომელიც ყოველი დროს და ყოველი სახის პრობლემატიკის გადასაჭრელად შეიძლება გამოიყენოს კაცობრიობამ. ილიას ბრწული სიტყვა ასეთი იყო: ... იმისთანა საქმეში, სადაც ლიტერატურული სჯა და ბაისი, იქ ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს“ და განაგრძო- მს: საქართველოში 1000 კაცსაც მოვანერინებ ხელს, რომ დედამინა ხარის რქაზედა დგას - ეს საბუთია მცირე მცოდნე კაცისა! ნუთუ არ 1000 კაცის ხმა უფრო მეტს იწონის, ვიდრე ერთი ხმა გალიელისა? ილიამ საბოლოო განაჩენიც გამოიტანა: „თუ კაცი თვითონ ნულია - გლუბია თუ თავად, ათასი ამისთანა ნული ხელითელ ჩართულად გაგვიმწკრივოთ, მაინც ნულია და ნული“

ი. ქაეჭავაძე ამით არ დაკმაყოფილდა, თავისი რკინისებური ლოგიკით და ორატორული ნიჭით შეეცადა გაერკვია საზო- გადობრივ ცხოვრებაში კირვალისის და 100

ნულის ფუნქცია (თანად, რომელი პოზიციონ-  
დს მივდგომოდ ამ საკითხის გადართვებდას —  
ვეროპული თუ ქართული). ილიამ ეს დაასაბ-  
უთა ნ. ფორდანიას წერილის შინაარსის გამოყ-  
ენებით, 1898 წლის „კვალის“ 11 ნომერში რომ  
წერდა: „ვეროპაში როცა რომელიმე მოვლენა  
მართბს ხალხი, მაშინ იგი ერის ყველაზე უფრო  
მძძრავ და მონინავე ელემენტს გულისხმობს,  
ჩვენში თუ ხალხი ახსენე, უთუოდ ქუჩის  
მიგლეჯილ-მოგლეჯილ და სოფლის უძრავ  
ელემენტს გულისხმობენ“... ილია, პირველ  
რეგში, ამ საკითხის გარკვევას ვეროპული ცნ-  
ობერებნიდან მოუდგა. დასვა კითხვა: კირვალი-  
ძე და ის 100 კაცი ერის ყველაზე უფრო მძძრავ-  
ვი ელემენტია თუ არა. თუ არის, რატომ არა-  
ვიცან და არასდროს გამიგია კირვალიძე და  
100 კაცი საქართველოს ერის ყველაზე უფრო  
მონინავე ელემენტი იყოს. ამას ხომ ვერც ნ  
ფორდანიია იტყვის, თუ თავზე არ აიღებს ხელს.  
მამასადამე, ისინი ერის მონინავე ელემენტები  
არ ყოფილიან. ახლა ქართული ცნობერებნიდან  
გაყენახლეროთ, როგორც ამას ნ. ფორდანიია  
ავხადებს, კირვალიძე და მისი ამქარი ქუჩის  
მიგლეჯილ-მოგლეჯილი ბრბოა, ან სოფლის  
უძრავი ელემენტი თუ ეს ასე არ არის, ნ.  
ფორდანიამ უნდა დაამტკიცოს, რომ კირვალი-  
ძეები წვენი ერის მონინავე ადამიანები არიან.  
ამას იგი ვერ შეძლებს, რადგან ინტელიგენციის  
მინასთან გასწორების შემდეგ არ გვეგონია მან  
ეს გაბელოს, მაშინ გამოდის, რომ ნ. ფორდანი-  
ამ, შემოთ დასახელებული მისივე წერილიდან  
გამომდინარე, თვითონ მისცა იმ 100 კაცს ქუჩის  
მიგლეჯილ-მოგლეჯილი ბრბოს“ ან „სოფლის  
უძრავი ელემენტის“ სახელწოდება.

ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა  
ილიას ასეთმა დასკვნებმა. ამოძრავდენენ,  
ამოქმედდენენ სხვა „ნულბიცი“ და „კვალის“  
ფურცლები აივსო მათი სახალებით და მართ-  
ლაც აუმეცრების ფართი-ფურთით“. არც  
ერთი მათგანი საპრობლეშო საკითხისადმი არ  
იჩენდა დაინტერესებას და ისტერიულად  
მხოლოდ იმას გაიძიბოდნენ, ნ. ფორდანიას  
თავი დენებებნია ლანძღვისა და გინების ოს-  
ტატ ახალმოსულთან კამითხთვის. ჩვენდღათ-  
აეად გვიწდა აღენიშნოთ, რომ მკითხველისა-  
თვის მათი წერილების შინაარსის გაცნობას არ  
ვაპირებთ, რადგან მიგვაჩნია, ამ ხალხის  
„ბრწყინვალე გონების“ ნაზრევი ერთი  
უბადრუკი პროვოკაციაა და განხილვის საგ-  
ნად არ ღირს.

ილია დიდ გასაჭირში ჩაერდა, მას პასუხი  
უნდა გაეცა ნ. ფორდანიას ბრალდებაზე არა-  
მარტო „ნულბიცი“ ამბებთან დაკავშირებით,  
არამედ ნ. ფორდანიას ნარკვევში — „პრესა“-  
ნამოჭრილ საკითხებზეც, რომლებიც  
სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვდა. ნარკე-  
ვეი იბეჭდებოდა კვალის ათამდე ნომერში. მ-  
თში ავტორი, სხვათა შორის, ეხებოდა აივე-

რის“ დაარსების ისტორიას, ცდილობდა მისი  
დაინშულების განაზღვრას მისი დეშქქიე-  
ბის გარკვევას, საბოლოოდ კი: „მამსმამსმამს“  
ტენდენციური ნარკვევი, თვით ილიას სიტყვე-  
ბით რომ ვთქვათ, „ამაზე იყო აკონძული, რომ  
დაემტკიცებნია იკვირის“ კონსტრუატიულო-  
ბა და უფარგისობა, მისი უთავებობა, ერის  
აზრზედ დაუდგომლობა, ი. ქაეჭავაძის  
უბერიობა, მის მიერ თავადაზნაურობისათვის  
გუნდრუკის კეჭა“ და სხვა. ნ. ფორდანიია ამას-  
თან ერთად სერიოზულ ბრალდებასაც  
უყენებს ილიას, რაც სავანგებო კვლევას  
სავანია და მას აქ არ შეეეებებით. ამ ნარკვევის  
გვერდით იბეჭდებოდა ნ. ფორდანიას სერიული  
წერილები „გზადგზა“, რომელიც იწერებოდა  
ილიას პასუხების საპასუხოდ.

უკანასკნელ საპასუხო ფელეტონში ილიამ  
დაუშვა ნ. ფორდანიას ნაშრომიდან ციტატე-  
ბის მოხმობისას გარკვეული მცდარობანი,  
რაც უუქველია, ფორდანიას ადრეული წერი-  
ლების ნაქტრევი გადაკითხვის შედეგი იყო.  
აღშოთებულმა ნ. ფორდანიამ უკადრისი, უსი-  
ნდისო ცილისწამება უწოდა ილიას საქციელს  
და დევილად დაამტკიცა ახალმოსულის ნებსი-  
თი თუ უნებლიე მოქმედანი. მას მხარი აუბა  
გ. ნულუკიძე, რეკლამაც „კარგად შეამკო“  
ილია და მოითხოვა, ფორდანიას შეენყვიტა  
კამათი ახალმოსულთან. მოსკოველი  
სტუდენტი ი. ქ. აღნიშნავდა, პოლეშკისა აქვს  
თავისი კანონები, აქვს საზღვარი, თავისი ეთი-  
კა... არ გაძნელებს ნებას, პოლეშკისა გინებად  
გადააქციოთ“. ასევე გამოილაშქრეს ილიას  
წინააღმდეგ „ნულბების“ შეგობრებნაც. ესენი  
იყვნენ: 102-ე ნული, ნ. კ.-ძე, ვ. კალი. პროვი-  
ციელი ნული“, ქართული ექიმი, ს. ჯულივი  
და სხვა. „კვალის“ მე-19 ნომერში დაიბეჭდა  
ოთხი წერილი, რომლის სქოლიოში ეწერა  
რედაქციის შენიშვნა: „ასეთი წერილები,  
როგორც ვიუნყებოდით, მრავლად მოგვდის,  
ჩვენ კი მათ ვებეჭდავთ, რომელიც მოკლე და  
კოლექტიური. „კაცს, რომელიც გაზეთის  
ფურცლებს სიტყვების რაბარუბით, ცილისწ-  
ამებითა და ლანძღვა-გინებით ავსებს, მოეთ-  
ოვება რაზე?“

გ. ბერიძე, ივ. ჯანელია, მ. კალანდაძე, ნ.  
ჩიჩუა, კ. კიკიანი, რ. ჩიხლაძე, მარაქველიძე,  
ილ. მოდებაძე ქიათურიდან მოითხოვდნენ,  
ფორდანიას შეენყვიტა კინტოტთან კამათი, ან  
„კვლიდან“ ნალუცი. მე-19 ნომერში იბეჭდე-  
ბამსავსები ტენდენციის 47 მკითხველის წერილი  
ბაქიდან. ა. ენუქიძის, ს. დეედარიანის, დ. ბაქ-  
რადის, ა. ობეროვის, ი. ნიკლაურის, მ.ა. მარხა-  
ლის, ჰ. წერილის, გ. გიორგობიანის, ჰ. ქარს-  
ანიძის და სხვა ხელმოწერით. მათი მიზანი იყო  
ილიას ავტორიტეტის ნულამდე დაყვანა,  
პიროვნების განადგურება და მის მიმართ ფა-  
რთო საზოგადოების უარყოფითი დამოკიდე-  
ბულების დამკვიდრება, რასაც მონშობს პრეს-



ამი გაცხადებული მათი შეურაცხყოფელი მოთხოვნები, რომელთა საწინააღმდეგოდ, ჩვენდა სამარცხვინოდ, არაღის არაფერი დაუნერია ჩიორასა და რამდენიმე ინტელიგენტი ჟურნალისტის გარდა. ამიტომ იყო, რომ ნ. ფორდანიას არმიამ, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, მისმა საკუთარმა ტენდენციურმა გაზეტმა „კვალი“ თამამად განაცხადა, ახალ-მოსულმა გარდა იმისა, რომ ზიზღი დაიმსახურა ყველა შეგნებული ქართველი მკითხველის თვალში, ამკარად ჰყო ჩვენი ბრწყინვალე და ამაყი ინტელიგენციის უღონობა, რომელიც დღეს და კმაყოფილება თავის ბელადის ისეთი „ლანდლაუ-გინებით“... ჩვენი ინტელიგენციის დღემდე თავისი გამართლება ჰქონდა. გავისვენოთ ერთი ეპიზოდი ამ პოლემიკიდან. როცა ლიამ 100 კაცს ნული უწოდა, ნ. ფორდანიამ გასწორა ის და დაიგებლა ქართველ ერთან: „ახალმოსულმა თავისი ერთი ვუმბარა ამ 100 კაცსაც ესროლა... თქვენ ვინა ყრისართ, თქვენ ნულები ხართო, მაგრამ რადგანაც მთელი ჩვენი ხალხი ასეთი „ნულებისაგან“ შედგება, მამ ყველა წყალნალექული ყოფილა... აი, სადამდე მივყავა „ივერია“! იმედია, ამას არ დაიფიცებთ ასე ყბადაღებული ხალხი“. რაზედაც ილია გულმოკლულად პასუხობდა: „რომ ველარას გახდით, საქარველოს ერთან მამებულვებ განა?.. ვიცო, მაგ ზეზულის უნარი საოდან მოგვცხობია, ეს რა საქმეზე აბეზლებთ საქართველოს ხალხს... ღმერთმა შეგინდოთ ეს უკადრისი, თუ უარესი არა, საქციელი... ჩემზე ხელა უშვერს, ჩემზე ბექუბს რაღაცისთვის საქართველოს ხალხს და უბრძანებს: იმედია ამას არ შეარჩნეთ ახალ-მოსულსაო“.

დრო იყო დაუნდობელი და ილიას თაობის ინტელიგენცია მოეროდა ილიას ბედის გაზიარება, რათა ასეთი დაბეზლების მსხვერპლი არ გამხდარიყო.

კ. აბაშიძე სასტიკი წინააღმდეგი იყო ამ სახის პოლემიკისა. დიდდა თანაურდნობდა ილიას და ურჩევდა კიდევ, არ აპყროვდა მათ, რადგან სწამდა, პოლემიკა შეუძლება გამართო რიგინ მოპირდაპირესთან, რომლის ფარმალი აიმართლისა და ქვეშარიტების მოყვარეობა უნდა იყოს. „კვალი“ კი ჭორების და ინტრიგების გამაერცვლებელია. ჭორთან ბრძოლა ყოვლად შეუძლებელია და ამიტომია, ალბათ, „კვალის“ პოლემისტები ამ უძვეველ იარაღს ხელიდან არ უშვებენ“.

კ. აბაშიძის ეს სიტყვები მიმართული იყო „კვალის“ იმ თითო-ორივს თანამშრომლის მიმართ... რომელთაც „კვალი“, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პირადი ანგარიშსწორების სარბილად გამოიყენეს.

იენისში ი. ჭავჭავაძე ავადმყოფობის გამო სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაემგზავრა. ჩიორას ჭიათურელი კორესპონდენტისაგან

მოუვიდა ინფორმაცია, რომ კარზე მოდებამ ეს გაუბრყვებია ხალხი და იტყობდა მხოლოდ პროტესტზე ხელი მოუწერინებდა ტექსტის ნაუკითხავად... კორესპონდენცია დაიბეჭდა „ივერიის“ 12-ე ნომერში. ნ. ჩიჩუა და მ. კალანდაძე უარყოფენ ამ „კვალისნამებას“ „კვალი“ (26). შემდეგ ნომერშიაც კვლავ სხვა ჭიათურლები იმართლებენ თავს და ჩიორას კი განაქიქებენ.

„ივერიის“ ჭიათურელი კორესპონდენტი ისევ აგზავნის ინფორმაციას გაზეთში, ამჯერად უფრო დამაჯერებელს და სარწმუნოს: „ერთი კვირის წინ თბილისიდან ჩამოსვლისთანავე კარზე მოდებამემ დაწერა იაბუჯე ახალ-მოსულზე“, რომელიც უკვე იყო დაბეჭდილი „კვალში“ და ჩამოატარა მთელ ჭიათურაში... ეინც შეგნებული იყო ხელი არ მოაწერა – ისინი თვითონ გამოეწვიობიანო. ხოლო ნაწილი გაბრყვებულან და წაუკათხავად მოუწერიათ ხელი“. „კვალის“ რამდენიმე ნომერში გრძელდებოდა ჭიათურლების თავის მართლება: „არავის გაუბრყვებიათ ჩვენ თვითონ მოვანერეთ ხელი“, „ჩვენ თვითონ მივანერეთ. მოვდებამეს საპროტესტო წერილის დაწერა“... „თუმიცა კიკიანმა თქვა, სიტყვა კინტო ამოვიღოთ, უფრო უშგობესი იქნებო, წერილის წინააღმდეგი კი არ ყოფილა“... კიკიანი ითხოვს „ივერიის“ კორესპონდენტთან დაპირისპირებას სიმართლის გახახვებად, დაასახელონ ის პიროვნებები, ვისთანაც კიკიანმა თქვა: „მოვტყუევი, შევცდი, რა ჩვენი საქმე იყოო“. იმავ ნომერში რ. ჩიხლაძე წერს: „... მივმართავ თხოვით თქვენგან დასახლებულ პირებს და ვთხოვ, საქველიო გამოაცხადონ, მიმიძღვის თუ არა ის დანაშაული, თითქოს მე ჭიათურდგან გამოგზავნილი პროტესტის წინააღმდეგი ვყოფილიყავი“.

ერთი სიტყვით, „ივერია“ მთელი მონდობებით იძიებდა, გამოამკარაებელიყო სიმართლე, ხოლო „კვალი“ ცდილობდა, სწორედ სის მიმართლე მიეჩქამლა. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩიორა და მისი ჭიათურელი კორესპონდენტები ძიების სწორ გზაზე იდგნენ, რაც „კვალის“ ლიდერებმაც დააფიქსირეს და ამ „არიადნას“ ძაფით აბურჯული საქმიდან სუფთად გამოსვლის გზის ძიებას შეუდგნენ. შეიძლება ისიც ვთვარავით, რომ პარტიაში მყოფად ჯანსაღად მოაზროვნე ძალეებმა მოინდომეს ობიექტური ინფორმაცია მიწოდებინათ მკითხველისათვის და გარკვეულწილად ნათელი მოეწინათ იმ ფაქტისათვის, რომ „ახალმოსულის“ წინააღმდეგ ილაშქრებდა მხოლოდ თითო-ორივს ავტორიტეტულ პირთაგან ნაქეზებული კორვალიძე-მოდებამის მაგვარი მოსოციალდემოკრატი ფენის ხმას აყალიბი მედროვე, უპრინციპო და უსახო ადამიანები. მათ „კვა“

ლში“ დაბეჭდეს ამ საკითხისადმი მიძღვნილი საბოლოო წერილი.

წერილის ავტორია მირიან შანიშვილი. გამოგზავნილია ქ. ბაქოდან 13 აგვისტოს. მასში აღნიშნულია: „რადგან ქაითურის სხვის ამბავში მეც ჩამრიგე, სიმარტლე მოითხოვეს, რაც ვიცო, მოგახსენოთ: დაიბეჭდა თუ არა ქაითურიდან გამოგზავნილი პროტესტი, ბევრმა უკმაყოფილება გამოუცხადა პროტესტანტებს, ზოგი თავის დაცვას მოჰყვა და ზოგმა ცეცხლში დაიხრია“ უკმაყოფილება განაცხადი: ადი მიუცლომა მოგვივიდა, რომ ხელი მოვანერეთო, რადგან ჩვენ სხვას ლანძღვას უკეთესობით და ჩვენც ვილანძღვებით“. ამის შემდეგ ამ საკითხზე „აგორიასა“ და „ეკვალს“ შორის პოლემიკა შეწყდა.

როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, შ. შანიშვილის ერთ შეხედვით, „ეკვალის“ მაკომპრომიტორებელი წერილი იყო პოლემიკაში მონაწილეთა ბრწყინვალე დისკუსიის სვლა მთელი ამ ამორალური დისკუსიის მანძილზე, რათა ჩამოერეცხათ ის ტალახი და ლაფი, რაც მათ მოსცხო უნიჭო რეჟისორის მიერ გამართულმა „საექტაკლმა“ და დემეტრიცკებმა ქართული ერისათვის „ეკვალს“ თითქოსდა ზნეობრიობა, და სიმართლისადმი სამსახური. ფაქტობრივად, ამ წერილის გამოქვეყნებით მათ ილიას წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი კამპანია, რომლის მიზანი იყო დიდი ეროვნული მოღვაწის, ქემმარიტი მაშულიშვილის გზიდან ჩამოცილება და საბოლოო დასამარება, დაიყვანეს უმარტყეს საკითხამდე — ილიას წინააღმდეგ დაწერილ პროტესტის წერილის რომელმა ქაითურელმა მოაწერა ხელი თავისი ნებით, რომელს შთანერინეს მოტყუებით, ნაუკუნავად და რომელმა მოინანია თავისი მონაწილეობა ამ უპატოსონო საქმეში.

მაგრად ქართველი ერის სამწუხაროდ და საუბედროდ, ეს იყო დროებითი ზავი, შემდეგ კი რაც მოხდა, ეს ყველაზეათვის ცნობილია და ამ შემადარუნებელ, ტრაგიკულ ამბავს მოკლედ მიანც შევხებით.

1905 წლის რევოლუციამ და მისმა მომდევნო წლებმა ბევრი საზრუნავი გაუჩინა სოციალ-დემოკრატიკა პარტიას, რომლის ლიდერები თანამიმდევრულად იღვწოდნენ „საკადრისი“ მივლბით ეროვნულ-გამათავსებელ-ტელეკლი მოძრაობის შედროშისთვის, რომელსაც მიაჩნდა, რომ საქართველოს ეროვნული და სოციალური თავისუფლების წინააღმდეგ მისი ძირითადი საშოქმედო პროგრამის კურსის შეცვლა, არავითარი აუტილებლობით არ იყო გამორეველი.

ახლა „ეკვალის“ მაგვირობა სოციალ-დემოკრატიკა ორიენტაციის სხვა პერიოდულმა გამოცემებმა იკისრეს. ილიას ამჟამად უკვე კლასობრივი პოზიციიდან და-

უნყეს ბრძოლა. ილიაზე თავდასხმი ახლა ჟ. „მოგზაურმა“ განახალა. ეს დაქმლენენემქმქმას ნიშნავდა, რომ აგორებულქმქმქმქმქმქმქმას ჩაქეოლა ილია, როგორც თავადი და გაენადგურებინა მისი კარ-მიდამო საგურამოში. თურნალში გამოქვეყნებული სტატიები უკიდურესობამდე პროვოკაციული იყო. „ნ.“ ინიციალებს ამოფარებულმა ავტორმა ქორის დონეზე დაწერილ სტატიკაში აღნიშნა, თითქოს საგურამოსა და ქოპორტის საზოგადოებამ მოინთია გლეხთა კრება, ი. ქაქევაძის ნაუყენეს მთელი რიგი ბრალდებებისა, გამოუცხადეს ბოიკოტი როგორც თავადს და გამოიტანეს წაგვერდინი დადგენილება.

ილიამ „აგორიანი“ დაბეჭდილი სტატიით მთლად გააბათლა ვ.ნ.-ის ბრალდებათა სიყალბე. რკინისებური ლოგიკით და დოკუმენტური სიზუსტით დაამტკიცა კორესპონდენტის ცილისწამებლური და ჯამუშური ხასიათის მონაჩმატი და აღნიშნა: „ბეზლობა, ჯამუშობა სამართლიანად ცნობილია ვითა ყოვლად საზიზღარი საქციელი და უტყუარი და უკილობული მამყენებელი მამუზღარის და ჯამუშის ერთმტყუქიანობისა, სულმდაბლობისა და ერთობ ზნედაცემულობისა, სრულად არ გამოკვირდება, რომ იმავე თავადუტურელმა ავტორმა ხელო არ დაწამოს შარავზაზე ხალხის ძარცვა და ამის საბუთად ის არ მომიყვანოს, რომ ერთმა გლეხმა ასე შამბოდა და თუ გაუტყრდა ერთ ასეთ უნაშუს გლეხს, ან სხვა ნოდების კაცს პირში წამოგაყენებს...“ და განმეორდა 5 წლის წინ მომხდარი ამბავი, იმ განსხვავებით, რომ მაშინ (1900 წ.) ვ. კორე აღიძვე გამოიყვანა ნ. გორდანიამ, ახლა კი ვ. კორეალიძე ვინმე ვ.ნ.-ის შეცვალა, ხოლო ნ. გორდანი — ფ. მახარაძემ.

ფ. მახარაძის და ვ.ნ.-ს საპასუხო წერილები დაიბეჭდა „მოგზაურში“. ფ. მახარაძემ ი. ქაქევაძის მიერ გულწრფელად, მთელი სიმართლით მოთბრობილი ფაქტობრივი მასალისე შეაბრუნა და პროვოკაციულად წარმოსახა, ძნელად თუ ვინმე მოახერხებდა და უწოდებდა მას „უსასტიკო საბრალდებლო ოქმი თავისივე ხელთ შედგენილი და ხელმოწერილი...“ თავისივე ხელთ თავის მოკვლა“ 20. ვ.ნ.-მ გაიმეორა 1900 წელს მომხდარი კორეალიძე-გორდანიას პოლემიკის ილეთები. მან ისარგებლა ი. ქაქევაძისა პასუხში გამოთქმული „რჩევებით“, მართლა გამოთქმება რამდენიმე ცრუ მონვე გლეხი და ამ გლეხებს ათქმენინა ის, რისი თქმაც მოითვის იყო მნიშვნელოვანი, ისევე როგორც ეს მოხდა 5 წლის წინ ვ. კორე-ალიძის საბუთებით.

ვ.ნ.-ს პროვოკაციული გამოხდობა შემადრწუნებელია, ავტორი კი ყოველგვარი მორალის და ნორმის საზღვრებს გადაცილებული და ძლიერთა კალთას ამოფარებული. იგი მიიწვეს, რომ ილია მისი მონა-

ნაღმდევგე მტრული ბანაკის ლიდერია, რომლის დამარცხებით უეჭველად მიაღწევს გარკვეულ პრივილეგიებს. უნსა და ფ. მაზარაძისათვის ილია ის თავადია, რომელმაც „ნულები უწოდა ზალხს, რომელსაც თავისი თავი საქართველოს ბურჟუად მიაჩნია და ამიტომაც მოჩვენებია, რომ მას ადვილად ვერავინ შეეცემა... ი. ჭავჭავაძე, როგორც საქართველოს საიქიანო მწერალი, ავტორი „გლახის ნაამბობისა“, „კაცია ადამიანისა“, „გლახა ჭრიაშვილის“, „კაკო ყაჩაღის“ და სხვათა, სრულიად დაუნრდილავს თ.ი. ჭავჭავაძეს, როგორც მემამულეს. ამიერიდან ქართველ მკითხველს

საჭმე ექნება არა ზევით დასახელებულ ნაწარმოებთა ავტორთან, არამედ ქართველ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებინა<sup>21</sup>. ფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. თუ რას ნიშნავდა ასეთი აზრების საჯაროდ განცხადება, ესეც ყველასათვის გასაგებია. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ინამა თუ არა ეს „ჭეშმარიტება“ ან თვით ილიას მიერ სიმართლის ლაღადი, არაფერ იცის, ერთი რამ კი ცხადია, რომ ჭეშმარიტი მამულიშვილი ამ ტენდენციურ: და უსამართლო დაპირისპირებების მსხვერპლი გახდა.

#### ლიტერატურა

- |                                                                                 |                             |
|---------------------------------------------------------------------------------|-----------------------------|
| 1. „კვალი“, 1900, 4                                                             | 11. „ივერია“, 1900, 65      |
| 2. „კვალი“, 1900, 5                                                             | 12. „კვალი“, 1900, 17       |
| 3. ფ. „მოამბე“, 1900, №2                                                        | 13. „კვალი“, 1900, 18       |
| 4. „ივერია“, 1900, 40                                                           | 14. „კვალი“, 1900, 19       |
| 5. „კვალი“, 1900, 11                                                            | 15. „კვალი“, 1900, 14       |
| 6. იქვე                                                                         | 16. „კვალი“, 1900, 95       |
| 7. ფ. „მოამბე“, 1900, 2                                                         | 17. „კვალი“, 1900, 31       |
| 8. „ივერია“, 1900, 47                                                           | 18. „კვალი“, 1900, 35       |
| 9. „კვალი“, 1900, 2                                                             | 19. „ივერია“, 1900, 68      |
| 10. ლ. გორგილაძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისათვის, „კომუნისტი“, 1986, 108 | 20. ფ. „მოგზაური“, 1900, 18 |
|                                                                                 | 21. იქვე                    |



მხარე რედაქციამ

## „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი

### 1. „ბუნებაზიარის“ გაზაფხისათვის

რას ნიშნავს „ბუნებაზიარი“, რომელიც პოემაში ავთანდილის დასახასიათებლად არის მოწოდებული? ბრძენმა რაინდმა როგორც კი შეიტყო ფატიმანისგან ჭაშნავაგისის მუქარის მთელი სერიოზულობის შესახებ, რაც საფრთხეს უქმნიდა არა მარტო ფატიმანისა და მისი შეილებების სიცოცხლეს, არამედ დასალუპავად სწორედ მთელ იმ საქმეს, რასაც ავთანდილი ასეთი თავდადებით მიჰყევოდა მანამდე, უმაღლესი მოსალაშველი შედეგები. ფატიმანი ეუბნება ავთანდილს: „ნადი, მოკალ მალევით დამით, / მე და სრულად სახლი ჩემი დახრცავს დაგვსენ ამით / მოხედა, გითხრობ ყველაკასა, მე ვითა ვარ ცრემლითა ღამით“ (1107.4). ფატიმანი განაგრძობს: „ეთარა ღამითვე ტვინითვე შენი ნაიღე ვირითა, / დაგაგე ჩემი მიდაპო, სრულად მიკრიფე, მი, რითა / ვეჭე, რომე ჩემთა კოდეათა შენდა ავჯოღო ქირითა, / თუ დარბაზს მივა იგი ყმა, შვილთა დამაქმევეს პირითა“ (1108). როგორც ვხედავთ, ფატიმანთან ერთად, საქმის გამჭვლავლების შემთხვევაში, ავთანდილიც „აივსება ქირით“ და ფატიმანის დახმარების იმედიც დაეკარგება.

ავთანდილი შექმნილ სიტუაციაში, როგორც რაინდს შეუფერება, უკან არ იხევს: „რა ესე ესმა ავთანდილს, ლალსა ბუნებაზიარსა, ადგა და ლაზტი აიღო, რა ტუფა რამე მხენ არსა“. შემდეგ მოთხრობილია, როგორ შეასრულა ფატიმანის სურვილი და სიცოცხლეს გამოსალაშა შურისიძების გრძობით შეპყრობილი ჭაშნავაგრი. ავთანდილისათვის ნეტანის ამბის მოყოლის შემდეგ ფატიმანი იმასაც ეუბნება, რომ ყოველივე გამწვლელი პერონდა ჭაშნავაგისათვის, რომელიც ყოველი „ნაკიდების ფაშს“ გამჭვლავნებას ექადდა „შე, გლას, ვიყავ მისი ნეზე, იგი იყო ჩემი ვაჟი“ — ეუბნება ფატიმანი ავთანდილს და დასძენს: „თუმცა ისი არ მოგეკლა. მისრულიყო დარბაზს ვითა, შემასმენდა ჯარონანი, გული ენდა ცეცხლბერ ნეთა; / მეცე მწყერალი გარდასმედა სახლსა ჩემსა გარდავითა / შეილთა, ღმერთთა, დამაქმედა, დამქოლავდა მერმე ქვითა“ (1209).

აი, ამგვარ დრამატულ სიტუაციას განმუხტავს ავთანდილი — ეს „ლალი“, „მხენე“ და „ბუნებაზიარი“ ჭაბუკი.

რაინდული კოდექსი ავალებს ავთანდილს, რომ ზოგჯერ იხსნას, დაუღუპავს გადაარჩინოს ფატიმანის ოჯახი; ამას ისიც ემატება, რომ, როგორც ვთქვით, თავად ავთანდილსაც ემუქრება საფრთხე ზღვათა სამეფოს დატოვებისა. ხოლო დარჩენის შემთხვევაში „ქირით

ავებისა“. მთელი ეს სიტუაცია კი აფერხებს იმ საქმეს, რამაც ავთანდილი გადმოხევენა ამ ქვეყანაში.

შექმნილი მდგომარეობა ავთანდილს ნარმოჩენს როგორც „ბუნებაზიარს“, როგორ უნდა გაეცხოვროს ამ სიტუაციის მნიშვნელობა?

ამ საკითხზე სხვადასხვა თეაღსაზრისი არსებობს.

ქრისტიანული თეოლოგიის შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბუნება ღვთაების (ქრისტეს) სინონიმი, რასაც თითქოს უნდა ადასტურებდეს „ვეფხისტყაოსანში“ დაცული „ბუნებაზიარი“. ამ შეხედულების ძალით ეს სიტუაცია ნიშნავს ღმერთთან წილნაყარს, შეზიარებულს, შეერთებულს, „ღმერთს სიზიარს“. „ბუნებაზიარს“ განმარტავენ აგრეთვე, როგორც „ადამბუნებოვანს“. არსებობს სხვა შეხედულებაც.

თეიმურაზ ბაგრატიონს „ბუნებაზიარი“ ესმის, როგორც „შაშავი“. მისი სიტყვით „ბუნებაზიარი“ ის ადამიანია, „რომელსაც კადნიერება აშვერთებული აქვს სიბრძნესთან“. ამ აზრს იზიარებენ დ. კარიჭაშვილი და დ. ჟიბინაშვილი. თ. ბაგრატიონი ადამბუნებოვანსაც გვთავაზობს. ამავე განმარტებას იზიარებენ დ. კარიჭაშვილი, იუსტ. აბულაძე და ა. შანიძე. „ღმერთისზიარი“ მოწოდებულია ვ. ნოზაძის მიერ მ. რაფეას განმარტებით „ბუნებაზიარი“ ნიშნავს ქრისტეს ზიარს. ამ აზრს არ ეთანხმება ე. ხინთიბიძე.

ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის შეხედულება „ზიართა ბუნებისა“ შესიტყვებასთან დაკავშირებით, რომელიც სახელწოდებაში მეცნიერმა „ვეფხისტყაოსნისგან“ დამოუკიდებლად გამოთქვა თავის ნაშრომში „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“. „გ. ხუცესსმონაზონისა და, უფველია, მისი დიდებული მოძღვრის, გიორგი მთაწმინდელის რწმუნის თანახმად, ადამიანი მარტო კაცთმყოფარობით არ უნდა დაეყოფილებინათ — ეს თვისება უყვე საკმარისი აღარ იყო, არამედ მისი გრძნობისა და შეგნების ხილრმე უფრო შორს უნდა წასულიყო. მას უნდა შეეცნო, რომ აღმთის მსგავსი მწყალებს ესე არს, რათა კაცი არა ხოლო თუ ზიართა ბუნებისა თვისისათა სწყალობდეს, არამედ, რათა პირუტყუთაცა მისუნეთ მოწყალებითა“.

როგორც ვხედავთ, გიორგი ხუცესსმონაზონის მიერ მონოდეისტულ ცნებაში — „ზიართა ბუნებისა“ — ღვთაებას კი არ ეზიარება კაცი, არამედ თავისივე ბუნების მატარებელ ადამიანს. ადამიანები ერთმანეთის „ბუნებაზიარნი“ არიან, მათ ახასიათებთ „გრძნობისა და მეგნე-



ბის სიღრმე“, „კაცთმოყვარეობა“, მაგრამ ამა-  
სიანი იგი უნდა აღვნიშნავდეთ ლეიტენანტი მოწყალე-  
უნასაც იმ აზრით, რომ მხოლოდ თავის  
„ბუნებაზიარს“ კი არ უნდა სწავლობდეს,  
არამედ „პარაბუნებაზიარსაც“ (პირუტყვს). „ზიარ-  
ება ბუნებისა“ აქ ნიშნავს „ადამიანთა ნათ-  
ესაეს“, „ადამიანთა კლასს“, რომელიც  
უპირისპირდება ცხოველთა კლასს. ეს ცნება  
გეომორფი ბუცესმონაზონთან ნიშნავს, რომ  
ადამიანები ბუნებით ერთნი (ზიარნი) არიან. მა-  
შასადამე, „ზიარი“ ამ შემთხვევაში ნიშნავდა  
ადამიანური ლირებულების სიტყვას.

აღაწიანბნავთ ისიც, რომ ადამიანები ერთ-  
მანეთის მიმართ „ბუნებაზიარნი“ შეიძლება  
იყვნენ არა მარტო ზოგადადამიანური ნიშნის  
მიხედვით, არამედ სიყვარულის, მეგობრობის  
„თანაზიარების“, „თანამონანილობის“. „მონი-  
ლობის“, „თანაგრძობის“ ნიშნითაც. ადამიანს  
შეუძლია „ადასახლდეს“ მეორე ადამიანში, „შე-  
ეთესოს“, „შეესაკუთროს“, „შეეკუთოს“ (ეს  
სიტყვა ნახშირი აქვს არაერთხელ რუსთაველს).

ბასილი დიდის ასკეტუტიკონის ერთი თხზუ-  
ლებაა — „კითხვა მოღვაწეთა“ შეიკვას ცნობებს  
ჩვენიკის საინტერესო საკითხზე. ნმ. ბასილი  
მსჯელობს ადამიანის ბუნებაზე, ურთიერთსიყ-  
ვარულზე, ძირითად თვისებადაც, ურთიერთდა-  
მონაზიარის ურთიერთშემზობას, ურთიერთგა-  
გებას, თანაგრძობას... „კინ-მე არა უწყის, — ნერს  
იგი, — კითხამედ მშვედ და ზიარებით ცხოველ  
არს კაცთა არა მარტოებითი, არცა ველურებითი.  
რამეთუ არარაი არს ესრეთ თვის ბუნებისა  
ჩვენიას ვითარ ზიარება ურთიერთას და უწყეა  
ურთიერთას და სიყვარულთ თანა-მონათხეა-  
ეთა ლენთა“ (თარგმანი იფრევი შვირიათ).

როგორც ვხედავთ, ნმ. ბასილი ადამიანის  
„ბუნების“ უარსებითეს ნიშნად თვლის ერთმან-  
ეთთან „ზიარებას“; უფრო მეტიც, მისი სიტყ-  
ვით ადამიანს სიცოცხლეს ანიჭებს სწორედ ეს  
თვისება („ზიარებით ცხოველ არს კაცი“). „ზიარ-  
ება“ — ბასილი დიდი უპირისპირებს „მარტოე-  
ბას“, რითაც ნარმოაჩენს ადამიანის, როგორც  
საზოგადოებრივი არსების, ბუნებას. იგი გარ-  
კვეთა გვეუბნება, რომ ადამიანი „ბუნებრივია“  
ადამიანთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

„ბუნებაზიარობა“ რომ საზოგადოებრივი  
ცხოვრების უშიშროვნელოვანესი პირობაა, ამის  
შესახებ მსჯელობს აგრეთვე ნემესიოს  
ესპელთა თავის ანთროპოლოგიურ ნაშრომში  
„ბუნებისათვის კაცისა“. მისი სიტყვით, „ურთი-  
ერთას მოქმედ ვართ ერთმანეთისა თანამეს-  
აკრეველობისათვის, რათა ამის მიერ მრავალნი  
ერთი კოქმეობდეთ, რამეთუ ვე ზიარებით  
ერთიერთას ცხოვრებით საქმართა მთავრე-  
ებისა მიერ... მახლობლობით და მშორებლო-  
ბით ერთიერთთარსსა სარგებელსა მთავრყოფე-  
ბით; რამეთუ ბუნებით თანმეყოფედ და მოქა-  
ლაქედ შეიქმნა კაცი; რამეთუ ერთი არავინ კმა  
ყოფილს საქმესა“ (იოანე მეტერინის თარგმანი).  
ვიტყობთ, როგორც ბასილი დიდი, ისე  
ნემესიოს ემესელი, ზედმინეენით კარგად გან-

მარტავენ „ბუნებაზიარის“ არსს. ისინი გარ-  
ევეთ გვეუბნებიან, რომ ადამიანთა ზიარება  
ერთმანეთთან მათი ბუნების არსებობის შე-  
დეაა.

მართალია, ეახტანგ VI-ს „ბუნებაზიარის“  
განმარტება არ მოუცია, მაგრამ შოქმის სხვა  
ადგილთან დაკავშირებით ნარწოდგენილი აქვს  
„ზიარის“ ახსნა. იგი ამბობს: „ზიარი მონილეს  
შეიქნა“. ჩვენ ვერაფერს ვიჭყვით დარწმუნე-  
ბით, როგორც საზოგადო მას „ბუნებაზიარი“, მაგ-  
რამ უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ  
„ზიარის“ ახსნა საფუძვლით შეესაბამება საკლ-  
ევე საკითხს. სულხან-საბა ორბელიანის „ქა-  
რთული ლექსიკონის“ მიხედვით „ზიარი“ ნიშ-  
ნავს „მონილე“-ს; აქვე „ზიარება“ ახსნილია,  
როგორც „თანამონანილობა“.

„შუპანიკის ნაშემაში“ რამდენჯერმე გვხვ-  
ება „ზიარება“, აგრეთვე „თანაზიარი“, რომელიც  
მონოდეტული „მონანილის“ სინონიმად („მონა-  
ნილე იყვნეს და თანაზიარ“). აღსანიშნავია, რომ  
ამავე თხზულებაში გვხვდება „მონლოობა“  
(„მადლსა მისცემდა მისსა მიმართ მონლოობისა  
მისისათვის“), რომელიც ილია აბულაძის მიერ  
ახსნილია როგორც „გულშემატკიერობა“.  
„მონლე“ ძველი ქართული ლიტერატურის სხვა  
ძველებშიც გვხვდება და იგი ხელნაწერებში  
ხშირად მონაცვლეობს „მონილე“-სთან. მაშას-  
ადამე, „ზიარი“ — „მონლე“ — „მონანილე“ ერთი  
ნიშნარსის სიტყვებია.

ახლა, თუ შოქმის საკლევე კონტექსტს  
მივუბრუნდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ  
აუთანდელი „ბუნებაზიარია“ იმ აზრით, რომ იგი  
მთელი სიგარქ-მეგავით ითვალისწინებს  
შექმნილ სიტუაციას. ათქმანის ოჯახზე  
თავდატეხილ სასიკვდილო საფრთხეს (რა თქმა  
უნდა, მას გათვალისწინებული აქვს თავისი საქ-  
მის ჩაშლაც). საერთოდ, მთელი შოქმის მ-  
ნიძლზე აუთანდელის სახე ნარმოჩენილია,  
როგორც „ბუნებაზიარია“ — იგი მთელი თავისი  
არსებით თავდადებით ემარტება ტარიელს. ამა-  
ვე თვისებებით არიან შემკული შოქმის სხვა  
პერსონაჟებიც, რაც მეგობრობის მთელ გავ-  
ბაში უღნიდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურათ-  
მცოდნე თ. ვასაქმ სწორი თვალსაზრისი ნარ-  
მოადგინა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა  
„თანაზიარობის“ შესახებ. მისი სიტყვით, „რუს-  
თაველის მხატვრული თვალთახედვით, ადამი-  
ანის ხსნა თანაზიარობის და სხვისი შეკლის  
უნარშია. ადამიანური ყოფიერების ასეთი გავ-  
ბა მოემას ერთიანად შესწავლავს... რუსთავე-  
ლის კონცეპტუალური თვალსაზრისი, რომ  
ადამიანის ხსნა და მონოდეტა თანაზიარობაა,  
სხვისთვის თვითგაღებაა, ყველაზე თვალს-  
აჩინოდ, რა თქმა უნდა, აუთანდელის სახეშია  
ხორცშესხმული. მასში მკაფიოდ ჩანს თანაზი-  
არობის არა მარტო მთელი ზნობრივი  
მომხიბვლელობა, არამედ პრაქტიკული  
ეფექტიანობა და მომგებიაობაც — სხვისთვის  
დახმარების განევეთ ადამიანი უნებლიეთ

თავის გასაჭირსაც შევლის... სხვებისათვის გაწეული დახმარება მიიყვანს იქ, სადაც ნუსტანის საიდუმლოს გაგება შეიძლება, ხოლო ეს შეაძლებლობა რეალიზდება იმის შემთხვევაში, რომ ენებარება ფაქტის, იბნინის მას მანამდე, სანამ სპეციტი შურისძიებისაგან... ამასთან, თ. ვასაძე ერთმანეთისაგან განასხვავებს „თანაზიარობას“ სხვადასხვა გამოვლინებას: „თუმცა არ არსებობს იმის საფუძველი, — ნერს იგი, — რომ ვისაუბროთ ავთანდილის შინაგან თანაზიარობაზე ბუნებრივად ვაჭრებთან ფაქტთან, მაგრამ თუნდაც სიღრმისეული მოტივის, თანაგრძობის გარეშე განხორციელებული სტაბილური დახმარების აქტები ავთანდილის წინაშე ყველა გზის გამშხნელია, რადგან, რუსთაველის რწმუნით, „კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურე არ ნახედების“. პოემაში თანაზიარობის, სხვის დახმარების აქტთა ზნეობრივი ღირებულება, სულიერი შინაარსით სისავსე მეტ-ნაკლებია, მაგრამ მათი კონცეპტუალური თუ სოცეტური მნიშვნელობა ყოველთვის დიდია, გადამწყვეტია“.

როგორც ვხედავთ, ამ ანალიზის მიხედვით ადამიანის მიერ გამოვლენილი სხვათა დახმარებას აქტიურ სხვადასხვა ხასიათისა თანაზიარობის ზნეობრივი ღირებულების მიხედვით — რეალიზდება თანაგრძობით ან ამის გარეშე, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ „თანაზიარობისათვის“ თანაგრძობის გამოორცილება დაუშვებელია; შესაძლებელია ვილაპარაკოთ, როგორც საპარტიოლიანად მიიჩნევა თ. ვასაძე, დახმარებას შინაარსის სისავსის მეტ-ნაკლებობაზე. მეცნიერის თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, საესეზო სწორად ასახავს საქმის თვარებას. პოემის პუნანისტური იდეა სრული, მთლიანი პიროვნების ჩვენებას ემსახურება და ამ იდეის არსობრივი მზასიათებელია სწორედ „თანაზიარობა“. ძველით არ დაეთანხმით თ. ვასაძის აზრს, რომ „თანაზიარობას“ პოემაში კონცეპტუალური მნიშვნელობა აქვს. მისი სიტყვით, „თანაზიარობის“ და სხვისი შევლის უნარი რუსთაველისათვის ადამიანის შეფასების ერთ-ერთი მთავარი საზომია... ადამიანის ერთადერთი ხსნა სხვა ადამიანებთან სიღრმისეული კავშირი, თანაზიარობა, ადამიანთა არსებობის სრულყოფილი ფორმა თავისუფალ და თვითმყოფად პიროვნებათა ანსამბლია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფუნდამენტება ქართული კულტურის ყველაზე ფასეული მონაპოვარია... ის, რომ ბოროტება სძლია კეთილმანქანებას არა მარტო სამყაროს შეტყაფვიკურ არსს (სამყარო ისეთი შექმნა ღმერთმა, რომ ბოროტებას აუცილებლად სიკეთე სძლევა), არამედ ადამიანის ბუნებასაც, იმას რომ ადამიანს შეუძლია თანაზიარობა, თვითგაღება და სხვისთვის ტანჯვა“. თ. ვასაძის ამ შეხედულებას არ შეიძლება არ დაეთანხმით. რა თქმა უნდა, „ზიარება“-ს აქვს არა მარტო „პირისპირტალური“ გაზრება — ადამიანთა შორის ურთიერთობის თვალსაზრისით. სამეცნიერო ლიტერატურაში საპარტიოლიანად არის

მითითებული, რომ ადამიანი უფროდნა, ეზიარება ღმერთს (სალეტისმეტყველო-თეოლოგიური ლიტერატურაში ამის შესახებ უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება). ევფხისტყაოსანში ასეთი შემთხვევაც დასტურდება — „ერთსა მიხედეს საზიაროდ“. მაგრამ, ამავდროს, გარკვევით უნდა გამოიყვანოს ზიარების შინაარსის ორი მიმართულება — ღმერთთან და ადამიანთან.

„ევფხისტყაოსნის“ საანალიზო ცნება — „ბუნებაზიარი“, როგორც ზემოთხსენილი მასალა ცხადყოფს, „ადამიანური“ მნიშვნელობითაა დატვირთული.

## 2. პიროვნების „ინროპიზმი“ და „პრულვიზი“ იდეისათვის „ვეფხისტყაოსანში“

„ინროების“ შინაარსის ვასათელებისნიშვნელად შეტად მნიშვნელოვანია „ევფხისტყაოსანში“ დადასტურებული „გონებაშეინრებული“, რომლითაც პოემის ავტორი გამოხატავს ავთანდილის განწყობილებას. მის მღელვარე სულიერ მდგომარეობას, რიანდის გულსწინული გამოწვეულია იმ მძიმე მისის შეუსრულებლობით, რომელიც მან იტყირთა.

საქმე ვება უცხო მოყმის მონახვას. მთელი სტროფის შინაარსი ნათლად და გარკვევით ნარმოვადგენს „გონებაშეინრებულის“ მნიშვნელობას, რასაც მხარს უბამს მთლიანი კონტექსტის გააზრებაც: „თქვენი ესხნეს ორნაბი, ამაღ სულთქაბას, ამაღ იბობს/ვიათ თუ საქმე გამომეღვენდეს“ — კვლა ამისთვის „გულმომიბობს“ (183). საგონებელი შექმნა, დადა საქმისა მრჩეველად/ თქვა: „თუ დაეზრუნდ, ეზობი ხანი რად დაეყავ მე ველად? ჩემსა რა ეკავორი მნაითბის, ვიყავ რად დედია მღელვლად?“ (184); თუ არ დაეზრუნდი, საქმერად დაეყვენე სხვანიცა ხანანი/ რომელსა ვეძებ, ვურა ვცნებ ამავენი მე მისთანანი/ დრო გარდაუწყვეს შერვადინს, მიხვდენ ღანვისა ბანანი/ მოიფესს ჰკადრეს მეფესა საქმენი საგვანანი“ (185). „უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩვენგან დავედრებული/ მათ შექმნან გლოვა ტირილი, ქმნან საქმე გამწარებული/ მერმე მივიდე ცოცხალი მე, სხვაგან სადმე რებული/ ამას იგონებს ტირილით გონებაშეინრებული“ (186). „ატყვი, ღმერთო, სამართალი შენი ჩემთვის რად ამრუდენ?/ მე ეზომი სიბარული კიდერად, გლას, გამოვადენ?/ გულით ჩემით სიბარული ამუტრენ, ქირანი დააძუდენ“; დღეთა ჩემთა ცრემლი ჩემი ვერაოდეს დაეყუდენ“ (187); კვლაცა იტყვის: „ადამიბა სჯობს“, და თავსაცა ეუბნების/ ადღეთა შეტად ნუ მოკვდები, გული ჩემი ნუ დადნების“ (188).

ეს ვრცელი ამონაწერი ნათლად მოგვანახვინებს „გონებაშეინრებულის“ მნიშვნელობას. ამ სიტყვით ვადმოცემულია ავთანდილის მღელვარება, მისი აფორიაქება ტარიელის უშედეგო ძებნის გამო მამინ, როცა ორი თველა



რჩება დათქმული ვადის გასვლამდე, რომლის შემდეგაც გაღვევას არასასურველი შედეგი მოჰყვება. ამ ფორთა მოძალბა გრძობებს უშლის და სალი განსჯის უნარს უკარგავს რაინდს, რომლის გონება შეირდება გამოხატულია გულის მოძრაობის გამოხატული ისეთი ცნებებით, როგორცაა „გულიდან სიხარული აღუვხვრა“ და ზის ნაცულებ „ჭირთა დაბუდება“, „გულიწიმიობა“, „გულის დაღნობა“. ამ მძიმე სულიერი განცდებით განპირობებული და განსაზღვრულია ავთანდილის „კონება შეირდება“ უღობა.

უნდა ითქვას, რომ რუსთაველი ოპერირებს ზუსტად ფსიქოლოგიური განსაზღვრებებით — გულის უარყოფითი ემოციები უკავშირდება, როგორც ამას ენობრივი და ფსიქოლოგიური ლიტერატურული, ისევე როგორც თეოლოგიურ-საღვთისმეტყველო მონაცემები გვიდასტურებენ, „გონების შეინება“ ს. „ინრობა გონებისა“ ინვეეს „გონობის ლოგიკით მოქმედებას (ე. ნორა კიძე). ამ აზრით, ნიშნადობლივია საბასეული დეფინიცია ისეთი სიტყვისა, როგორცაა „გულისტანჯვა“. ლექსი კოგრაფი ამ ცნებას განვიმარტავს როგორც „გონებით შეჭირვებას“, რითაც საცნაურყოფს ძველი ფსიქოლოგიური სისტემის ცოდნას.

საყურადღებოა აგრეთვე პიროვნების „შეკრის“ („კრულიობის“) რუსთაველი კონცეფცია, რომელიც რამდენჯერმეა წარმოდგენილი პოემაში.

პირველ რიგში ყურადღება გავამახვილოთ ისეთი შესიტყვებაზე, როგორცაა „გული კრულ“. პოემაში ადამიანის გულის თვისება დახასიათებულია შემდეგნაირად: „გული კრული კაცისა, ხარბი და გაუჭოლელი/ გული ეამ-ქამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მნდ-ნელი/ გული ბრმა, ურჩა ხედვისა, თვით ვერა ვერ გამოშოელი/ ვერცა პატრონობს სიყვადლი, ვერცა პატრონი რომელი“ (75).

„გული კრული“, როგორც უნდა იქნებოდეს, პოემაში ნაწილობრივად გრძობით-ემოციურ შესიტყვებად, პიროვნების ისეთ შინაგან მდგომარეობად, როცა გული ეურჩება გონებას (ხედვას), თავად კი ამ დროს ისეთ „ვნებებს“ გადაეურება, როგორცაა სიხარბე, გაუმაძღრობა, უსაზღერო და უგუნური სიამოვნება და სხვა. აქედან „გარემუ დარჩენილს ვერავითარი „პატრონი“ ვეღარ „პატრონობს“. ამ დროს გული დამრევეტულია, „ჩაკეტილია“, „დახურულია“, სხვაგვარად — „კრულია“ (ანუ „შეკრულია“).

რუსთაველი ამ სტროფში დიდი ფსიქოლოგიური სიღრმით გვიხასიათებს „გულს“, რომელიც, გაუნონასწორებული ვნება-ემოციებით შეპყრობილი, ხედვა-ს, აზროვნებას უსხლტება და ხშირად გამოუსწორებელ ცთომილებათა მიზეზი ხდება.

„ვეფხისტყაოსანში“ პიროვნების „შეკრის“ სხვა შემთხვევებიც გვაქვს. მეტად მნიშვნელოვანია პოემის ის ადგილი, სადაც დასტურდება

„სიმრთელის შეკრა“. მხედველობაში გვაქვს პოემის ის ადგილი, ავთანდილი რომშიმჭრის სატრფოს დაკარგვით სასოვნარეველად („შეკრულ“) ტარიელს: „თავსა მრთელსა რად შეკრავ, წყულუსა ახლად რად ინყულულებ“ (876,4).

ისიმი კითხვა: რას უნდა ნიშნავდეს „მრთელი თავის შეკრა“? — აქ წარმოდგენილი ტარიელის ის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც საცნაურყოფს ამ გამონათქვამის შინაარსს. ის, რომ ლაპარაკი არაა და არც შეიძლება მოიაზრებოდეს ფიზიკური თავი და მისი რაიმეი შეკრა (მეხვევა), ცხადი უნდა იყოს. მეთოდურად ენვადებით იმ ასპექტებს, რაც განაპირობებს „მთელი თავის შეკრას“. ეს არის „სიკვილითან მიახლება“, „ნებით თავის მოკლე“, „სრულად მიხდომა ცნობისა“, „თაისივე ცნობისაგან ქირში ჩავარდნა“ — ყოველივე ეს არის ის შინაგანი „წყულუს“, რომელიც განაპირობებს „მრთელი თავის შეკრას“. „თავი“ აქ მთლიანპიროვნული შინაარსის ცნებაა, ხოლო მისი „შეკრით“ გამოხატულია უდიდესი „სულიერი შეჭირვება“, რომელთაც სხვადასხვა ნაწარმადარი უდევს საფუძვლად.

აი, როგორ აგვიწერს პოეტი ტარიელის მდგომარეობას: „თავსა ახმადცა ზარ-იევა, სრულად მიხდოდა ცნობასა, მიახლოდა სიკვილისა, მოპშორეობდა თმობას“ (870.1-2). ავთანდილი ყოველ ღონეს ხმარობს, მგლობარი გონს რომ მოავგოს: „იტყვის: „ვერ მიცნობავთანდილს, შენთვის გაჭირლსა და ხელსა“/ მას არა დია შეესმის რეტსა, თვალდაუფახელსა“ (8713-4). აი, ეს მდგომარეობა განსაზღვრავს ტარიელის „მრთელ თავის შეკრას“, რაც ნიშნავს მთლიანპიროვნული სისრულის (სიმრთელის) „რღვეა“-ს, რასაც ინვეეს ვნებათა სიჭარბე ცნობიერებისა და გონიერების „შეჭირვების“ ფონზე.

პოემაში გვხვდება აგრეთვე „გორლითა შეკრვა თავისა მრთელისა“. ტარიელთან შეკრის სურვილით შეპყრობილი ავთანდილი ასმათის მიმართავს: „ან, დაო, შენთა ხელთა ჩემი საბელი ველისა/ სხვადა უღონოა უშენოდ ჩემგან აღუყრობა ხელისა/ რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ ნაშალი ხელისა/ თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკრვა თავისა მრთელისა“ (257).

„მრთელი თავის შეკრვა“, როგორც ვაჩვენეთ, გარკვეული სემანტიკის შემცველი გამოთქმაა. „გორლით თავის შეკრვა“ კი ამ ცნების მხატვრულ-პოეტურ გამაძღვრებაზე მიგვიანიშნებს. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ პასაჟს — „ან, ვაზირო, მაგა პირსა გული კრული“ ვით მოგთმინდეს“ (749.1) — აქ ავთანდილი საყვედურობს ვაზირს მისი ვასაჭირის გაუზიარებლობის გამო. „გული კრული“ ნიშნავს ამ შემთხვევაში გულტკეობას, შეუბრალებლობას, რაც პიროვნებას საშუალებას არ მღევს „გაიხსნას“ მოძმისა და მოყვანის დახმარების სურვილით.

გარდა ამისა, სატროფოსთან დაპირებით და-  
წინაშე აღებული ავთანდილი იტყვის: „შენი შორს-  
მყოფი კრულია“ -ო (833.1). აქ პიროვნებას  
„კრულს“ მიმღე სულიერი განცდები.

პოემარში ნათქვამია აგრეთვე: „დაიცვა ვი-  
ნცა უყვარს, გაეცვის და მისცემს გულსა/  
აუგა და მოყვინება არად შესწონს ყოლა  
კრულს“ (1093.1-2) აქ დიაცის გული შერულია  
ემოციური განცდებით, სიყვარულის „ვნებით“.  
პოეტი ამ შემთხვევაში „დაიცვის“ შინაბუნების  
მახასიათებლად გვანდვის ისეთ ექსპრესიულ-  
ემოციურ ცნებას, როგორცაა „კრულობა“.

ტარიელის მძაფრს სულიერი მღელვარება-  
განცდებთან დაკავშირებით პოემარში ნათქვამია:  
„დიდხან ეურა თქვა, სედეამან გული შეუჟურა,  
და რა“ (346.2). ზოგიერთი ხელნაწერი „შეუჟურა-  
რა“ ნაცვლად გვანდვის „შეუჟურას“ საფიქრებ-  
ელია, რუსთაველის ხელიდან გამოსული იყოს  
„შეუჟრა“, რადგან „გულის შეკერის“ არცთუ  
მცირე შემთხვევები დასტურდება „გეფისიტყ-  
აო ანაში“. ეს ვარიანტია გათვალისწინებული  
ზოგ გამოსცემაში.

„გულის შეკერა“ (აგრეთვე პიროვნების „შე-  
კერა“ საზოგადოდ) დასტურდება „კოსამიანში“:  
„გული საყისოსისა სიყვარულისათვის შეუკრავს  
ბურსა ძიძასა; შე ასურ შეჟურავს და სიხარული  
გულისაგან ნამილის“; „მისგან ერთხელცა ვერ  
გაეხარნის, ამით რომელ შეკრულიყო“.

„კრულობის“ („შეკერის“) იდეას, საზო-  
გადოდ, უპირისპირდება „ხსნის“ („დახსნის“  
„განხსნის“) იდეა, რაც პოემაში ნარმოდგენილია  
რამდენჯერმე. მეფე ბრძანებს: „რა შევიგნათ,  
გული ჩვენი რით იხსნებო?“ (183.1).

პოემარში ვხვდებით აგრეთვე საყვარადღებო  
განცდებებს - „გლოის გახსნა“ (1633.1), რაც ნიშ-  
ნავს იმ „ჭირისაგან გამოხსნას“, „კანთაისთუფ-  
ლეძას, რომლითაც შეკრულინი არიან ადამი-  
ანები“.

3. რას ნიშნავს „კვეთა-შეკვეთება“  
„კაუხისიტაოანაში“?

„კვეთ“ ძირიდან ნანარპოები ფორმები „ე-  
ფისიტყაოსანში“ არაერთხელ დასტურდება „შე-  
ერთების“, „ერთგულების“, „სიყვარულის“,  
„ახტივის(ცემის“ შინაშენელობით.

„კვეთა“ უპირისპირდება ამავე ძირიდან ნა-  
ნარპოებ ანტონიმურ ცნებას - „განკვეთა“.  
პირველი შეერთების იდეას გამოხატავს, მეორე  
- გამოყოფის.

რამდენიმე ადგილი პოემიდან: ასმათს უც  
ხორცი ირმისა, იქმს მასპინძლობა - კვეთასა“  
(1477.2). „ახლოს სიძორე დიაცისა, ვისგან ვითა  
დაიითიპობის/ გილიხადებს და შეგკვეთებს,  
მიგინდობს და მოგენდობის/ მართ ანაზდად  
გალალატებს, გააკვეთს, რასცა დაესობის“  
(1322.3-5); ტარიელი იტყვის ფრიდონზე ამა ყმა-  
ნან შემოკვეთა, გული მისკენ მიმიბრუნდა“  
(609.1); „ფატმან იტყვის (ნესტანზე) მივეგებე,

გული მისთვის ვაერთგულე... [ხედა დაესვი  
ტახტსა ჩემსა, შევეკეთე, გავესულე (1333.4).  
ეს მაგალითები, ვფიქრობთ, აქედანვე უნდა  
ოაჩენს „კვეთ“ ძირიდან ნანარპოებ ფორმისათა  
საპირისპირო შინაშენელობებს - „შეერთებას“  
და „გავყოფის“ იდეებს (ტრისის მხრივ „შეგვიკ-  
ვეთებს“, „შემიკვეთა“, „შევეკვეთე“, ხოლო,  
მეორეს მხრივ, „გააკვეთს“).

პირველ რიგში ამ ზოგადად სემანტიკის გათ-  
ვალისწინებით უნდა ვუხადებდეთ იქვე „მასპინძ-  
ლობა-კვეთა“. ვფიქრობთ, „კვეთის“ დაკავშირე-  
ბა „მასპინძლობა“-სთან იმით აიხსნება, რომ ეს  
უკანასკნელი გულისხმობს სტუმართმოყვარე-  
ობის ნესებზე დაფუძნებულ სიყვარულს,  
მეგობრობას, ამაღლებულ და წმინდა ადამი-  
ანურ თვისებებს, რისი მყოფებითაც მასპინძელი  
შეუთვისება და შეესაკუთრება სასოფელ  
ადამიანებს. მოეჭინათ სტროფის მთლიანად:  
„მოიედეს, შიგან გარდახდეს ქებასა მას დიდთა  
კლდეთასა/ ასმათს უც ხორცი ირმისა, იქმს  
მასპინძლობა-კვეთასა/ ამხანაგობედ, ლალ-  
ობედეს, ნასლავსა მათ საქმეთასა/ დმერთისა  
პმადლობედს შეცვლასა ლხინად ფირისა  
დღეთასა“ (1497). ამ ადამიანთა (სამი რაინდისა  
და ასმათის) სიხარულს საზღვარი არა აქვს, მათ  
მიაღწიეს დასახულ მიზანს - მიზანებს ნესტანს,  
მათი „ჭირი“ შეცვლილია „სიხარულით“, ისინი  
„ამხანაგობედ“, „ალაობედ“. ასმათი, თანამოზი-  
არე ტარიელის ყოველგვარი ჭირისა, უზომოდ  
ბედნიერია და იგი, როგორც მასპინძელი, შეკ-  
ეთულია მხანდაფიც მეგობრებთან მთელი თავი-  
სი არსებით.

რაც შეეხება ტარიელის მიერ ნათქვამს  
ფრიდონზე - ამა ყმაწამ შემოკვეთა, გული მისკენ  
მიმიბრუნდა“ (609.1) და იმ ადგილს, სადაც „დაი-  
ცის თვისება დახასიათებულია ამგვარად:  
„გილიხადებს და შეგკვეთებს“-ა. შანიძის მიერ  
ამ მაგალითების გათვალისწინებით „შეკვეთება“  
განმარტებულია როგორც „შეზღვეა“; ხოლო ფატ-  
მანის სიტყვები ნესტანის შესახებ: „მივეგებე,  
გული მისთვის ვაერთგულე...“ ხედა დაესვი  
ტახტსა ჩემსა, შევეკეთე, გავესულე“ (1338.4) -  
იგივე სიტყვა (შეკვეთება) კვლავ ა. შანიძის მიერ  
განიმარტება ასე: „თავი შევაყვარე“.

მოტიანილ მაგალითებში, როგორც უკვე  
აღნიშნეთ, სახეზეა „შეერთების“, დაახლოე-  
ბის, დამეგობრების, თანაზიარების იდეა, რასაც  
ამავე მაგალითებში „შეკვეთება“-სთან ერთად  
ნარმოდგენილი ისეთი ხანტერპრეტაციო მას-  
ალა გვიდანსტურებს, როგორცაა: „გული მისკენ  
მიმიბრუნდა“, „გული მისთვის ვაერთგულე“,  
„გავესულე“. ეს უკანასკნელი სიტყვა („გაუ-  
ესულე“) განმარტებულია როგორც „დაეუტკებ“.  
ჩვენი აზრით, „გავსულება“ კარგად გამოხატავს  
„შეკვეთების“ იდეას - ერთხელეობას.

ნიშანდობლივია, რომ დ. რუბინაშვილის მიერ  
„შეგვიკვეთებს“ (1084.3) განმარტებულია  
როგორც „შეგვიკვეთა“, რომელიც საცნაურია  
იგივე „შეერთების“, „ერთობის“, დაახლოების  
იდეა.



საზოგადოდ, „შეკვეთების“ იდეა უკავშირდება დადებით ემოციებს – სიყვარულს, ბედნიერებას, სიხარულს, რაც ამთლიანებს და „ერთარსებად“ გამოსახავს პიროვნებას როგორც საკუთარ თავში, ისე სხვასთან მიმართებაში. ეს რომ ასეა, ამას ცხადად ნათელყოფს ისეთი ცნების შინაარსიც როგორცაა „სულის-კეთება“, რომელიც შეიცავს პიროვნების გაშლიანების, მობილიზების, შინაგანი კონცენტრაციის იდეას, რაც გარკვეულ მიზანრეალობაში ელინდება. პიროვნება, ვითარცა „სული“, გულის, გონებისა და ნების – მთავარ მამოძრავებელ ძალთა მონაწილეობით მოღიანდება (საყურადღებოა, რომ ნ. ბარათაშვილის პედი ქართლისაში“ ეხედებით კულისკეთებას“ – „მისდედე შენსა გულისკეთებას და უთრგუნვიდე თავისუფლებას“. „სულისკეთება“ იგულისხმებს მისწრაფებას, თავისი შინაარსით კატეგორიული ცნებაა, საცნაურყოფს ჯერარსობის, ნებელობის სემანტიკას, როგორც პიროვნების სისრულის, სიმტკიცისა და ძლიერება გამოვლინებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ნემესიოს ემესელის (IV ს.) ანთროპოლოგიურ ნაშრომში დასტურდება ნათლიანობის გამოხატველი ცნება „განუ-

კვეთელი“. ეს ცნება პიროვნების გამოხატველი სომხურ ენაში („ანჰატ“).

„შეკვეთების“ სემანტიკა ქართველურულ საზოგადოდ, უკავშირდება „ზიარების“ განმსჭვალვის“ იდეას. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის წევრებით, „კვეთი“ განიშარტება როგორც დერიტა – საყველედ რძის შესადედეელი მასალა (სინონიმი – „დედა“). მამასადამე, „კვეთი“ არის ის არსებითი, სუბსტანციური, რაც განამტკიცებს, შეკრავს, საფუძვლად დაედება, როგორც გამაერთიანებელი რამ მასალა, რისამე შექმნას. აქედან – ამ სიტყვის სისრულის (მთლიანობის, სისხვის) სემანტიკაა, რაც სიმტკიცის, ამაღლებულობის, სიყვარულისა და მეგობრობის მნიშვნელობებით ნარმოგვიდგება.

„შეკვეთება“-ს პოემაში უპირისპირდება მთლიანობის რღვევის სემანტიკით, როგორც ითქვა, „გაკვეთა“ (10812). იგივე იდეა, საზოგადოდ, საცნაურია ისეთ სიტყვებში, როგორცაა „მოკვეთა“, „მოკვეთილი“, „მონაკვეთი“, „განაკვეთი“ და სხვ.

„კვეთ“ ძირიდან ნაწარმოებ ფორმებში „შეერთებისა“ და „რღვევის“ იდეა დასტურდება ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში ნარმოდგენილი მასალებით.





ბურამ მაისურაძე

## ბნიშველოვანი საკითხი

აკადემიკოსი ნიკო ბარძეიშვილი ლეონტი მროველის ეთნოგრაფიული კონცეფციის გაზიარების შესახებ

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთაგან არც ერთს არ გამოუწვევია სამეცნიერო ნრევებისა და ინტელექტუალური საზოგადოების ისეთი განსაკუთრებული ყურადღება, არც ერთის გარშემო არ შექმნილა აზრთა იმგვარი დაპირისპირება და ავტორის პიროვნებობისა, თუ მისი ნაღვანის მიმართ ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებული შეფასება, როგორც ნილად ხედა ლეონტი მროველსა და მის მთავარ თხზულებას „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს, რომელსაც თავიდანვე „ქართლის ცხოვრების“ დასასწავის ნაწილში მიეკუთვნა ადგილი. XIX ს-დან დღემდე უნებართვად მის გარშემო, ფაქტობრივად, არ ჩამოცხრალა და პოლემიკა დრო და დრო სულ უფრო მეტ სიმწვავეს იძენდა. 1998 წლიდან კვლავ განახლდა დისკუსია ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს გარშემო. ამ თემაზე ფერჯურობითი მოლოწილი ვახუშტი ნუნის დასასრულის დაიბეჭდა ჟურნალი „მნათობში“. რამდენადაც აზრთა დაპირისპირება ისევე გრძელდება და მოსალოდნელია ახალი პოლემიკური ნერივების გამოჩენა, საკითხით თეორეტიკულად მკითხველ საზოგადოებას ვთავაზობთ საქართველოს ისტორიის ერთერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული მეცნიერის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის თვალსაზრისის სადისკუსიო თემაზე. დისკუსიის პროცესში დიდი მეცნიერის თვალსაზრისისა და მასთან დაკავშირებული არგუმენტების შესვენებას იმპროვიზაციულად მივიჩნევთ მოზანსურონილად, როცა მისი კუსისის მოზანილენი, განსაკუთრებით, ლეონტი მროველისა და მისი ნაღვანის მიმართ მიჰქრობიკულად განწყობილი ნაწილი, რატომღაც, დემილით გვერდს უვლის ნ. ბერძენიშვილის ნაკვალევს, მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის მას თავისი მნიშვნელობა არა თუ არ დაუკარგავს, არამედ მომავალშიც იქნება, ალბათ, გასათვალისწინებელი.

ლეონტი მროველსა და მის თხზულებებზე ცალკე საგანგებო გამოკვლევა ნ. ბერძენიშვილს არ დაუწერია, თუმცა კი, ასეთი განზრახვა უნდა ჰქონოდა. „ქართლის ცხოვრების“ გარშემო მეცნიერის არქივიზაციული მასალები მოწმობენ, რომ იგი დიდხანს მუშაობდა და ურცელი მონოგრაფიული გამოკვლევის დაწერასაც აპირებდა ამ ძველის შესახებ, რაც თავისთავად გულისხმობს „ქართლის ცხოვრების“ კრედიტში შესულ ავტორებსზე და მათ თხზულებებზე, პირველ რიგში კი ლეონტი

მროველზე გამოკვლევის დაწერას (4, 5-9). ლეონტიზე ფიქრი რომ გამოუდგებოდა აწვალბდა და ნღვების მანიჩიზე თანმიმდევრულად იკვლევდა მასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს, გვარანმუნებს მეცნიერის არქივში დაცული ერთი ჩანაწერი, სადაც საუბარია „მოქცევა ქართლისა“-ს და ლეონტი მროველის კონცეფციების ერთმანეთთან დეტალური შედარების საჭიროებაზე. ნ. ბერძენიშვილი წერს: ეს შედარება დეტალური აუცილებელია ამ ორი წყაროს შეფასებისათვის, „ლეონტის საკითხის“ გარკვევისათვის. მოვასწარებ? (3, 555). განსაკუთრებით, ეს უკანასკნელი სიტყვა ცხადყოფს როგორი სიფრხილითა და სერიოზულობით შესდგომოდა, როგორც თვითონვე ამბობდა ლეონტის საკითხის გარკვევას“. პრობლემის გადაწყვეტის სიძნელეზე კი შემდეგს წერდა: ... ლეონტის ისტორიოგრაფიული განხილვა-შეფასება დიდი სიძნელის საკითხების გამოჭედას მოითხოვს, მაგრამ ლეონტის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სამუშაო უნდა განუღებოქნას... ლეონტის დებულებათა შეწყნარება თუ უარყოფა, მათი კრიტიკული განხილვა მუდამ საკვლევად დარჩება ჩვენს ისტორიოგრაფიაში და ეს ასეც იყო დღემდე; ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფია ლეონტის ისტორიულ კონცეფციას იზიარებდა, ბურჟუაზიული ხანის ქართული ისტორიოგრაფია ძირითადად უარყოფდა მას, თუმცა სამაგიეროს მოცემას, რამდენადმე მაინც მეცნიერულად დამაჯერებელი სურათის მოცემას ვერ ახერხებდა (3, 549).

„დიდი სიძნელის საკითხთა“ რიგში უნდა განიხილავდეს ნ. ბერძენიშვილი ლეონტი მროველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდის დათარიღებას, რამდენადაც ლეონტის ეთნოგენეტიკური კონცეფციის სწორი შეფასება ბევრადაა დამოკიდებული იმაზეც, თუ რომელ ეპოქის VIII-IX სს თუ X-XI სს-ის ნაყოფია ეს კონცეფცია. ნიშანდობლივია, რომ ლეონტის დათარიღებაზე მსჯელობისას თავის ჩანაწერებში ერთბაშე ემოციურ შენიშვნასაც აკეთებს: „ლეონტი უფიფიზი პრობლემისა საქართველოს ისტორიისა“ (4, 12). ჩანს, ასეთივე ხასიათის პრობლემად უნდა მიიჩნევდეს „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ ნაწილებზე ლეონტის ავტორობის გაკრეკვლის საზღვრების შემოფარგლასაც, რაზეც მრავალჯერ ამახვილებს ყურადღებას თავის ჩანაწერებში.



ნ. ბერძენიშვილის არქივში დაცული მასალები და „შენიშვნები“, რა თქმა უნდა, არაა ერთგვაროვანი. დასრულებული წერილების გვერდით არის დაუსრულებლებიც და ნაწილობრივ დაშორებული საკითხებიც, ზოგი შენიშვნები კი წინასწარი ძიების სახეს ატარებენ. მოუხდეადა ამისა, მისი თვალსაზრისი ლეონტი მროველის ისტორიულ კონცეფციასზე სრულიად გამოკვეთილი და თანმიმდევრულია, რომელიც წყაროების დეტალურ ანალიზსა და საკითხის ღრმა მეცნიერულ შესწავლას ემყარება. მისი განსაკუთრებული უნარი, თუნდაც სულ მცირე, ფრავგმენტის ცნობის სიღრმისეულ პრეციზულობასა და სპეკულაციას აძლევს. პრეციზულობა, საშუალებას აძლევს მეცნიერს ცალკეული დეტალებისაგან ნარსულის ქვემარტივად მეცნიერული სურათი აიღვინოს. ამიტომ ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისით ლეონტი მროველის ისტორიულ კონცეფციასზე იმ სახითაც, როცა თემის ცალკეული მხარეები, თუ დეტალები ბოლომდე დამუშავებული არაა, მაინც მისაღები და ვასთავალისნიშნადაა უნდა იყოს. მათი სრულყოფილი დამუშავება და კვლევის დასრულება რომ დასცლოდა, ცქეი არაა, მხოლოდ გააძლიერებდა იმ მთავარ ტენდენციას, რაც დიდი მეცნიერის შეხედულებას ახასიათებს დასმულ საკითხზე.

ნ. ბერძენიშვილი ლეონტი მროველის XI სის მოღვაწედ მიიჩნევს. ასეთ დასკვნამდე მეცნიერი მიყავს ლეონტი მროველის თხზულებაში დაცული ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული, სოციალური აღნაგობის, პოლიტიკური თუ სხვა ხასიათის ფაქტებს, ეთნიკურ, გეოგრაფიულ ტერმინებს, ენობრივ და სხვა მონაცემებს. ნ. ბერძენიშვილის მიერ შემსწავლელი სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის ის სურათი, რომელიც იხატება ლეონტის თხზულებაში მოტიანილი ფაქტებით, მართლაც X-XI სს-ზე ადრეული არ შეიძლება იყოს, რაზეც არაერთგზის ამბავილებს ყურადღებას მკვლევარი თავის მრავალრიცხოვან შრომებში. ლეონტის ავტორობის საკითხზე კი ძირითადად კ. კეკელიძის თვალსაზრისის იზიარებდა. ნ. ბერძენიშვილის მოწმობით, კ. კეკელიძე განაწინუნოა ლ. მროველის ისტორიულ-ლიტერატურულ განხილვა-შეფასებაში, რომ ლეონტი რუისის უპისკოპოსია, რომ ის XI სს-ის შუა პანის მოღვაწეა, თუმცა განუზრახავს დაუწერა ქართველთა თვითმასწავლებელი დასაბანიდან და რომ მან ეს მოთხრობა ქართლში მეფობის გაუქმებამდე მოიყვანა (3, 549). სხვა აბიგასს კი ნერს: ლეონტი მროველი აბტორია როგორც „მოქცევისა“ და მოქცევაზე, ისე ჯუანშერის თხზულებისა (4, 7) არგუმენტები: ლეონტიც და ჯუანშერიც ერთნაირად დეტალურად იცნობენ ან უკეთ დეტალებს, რეალურს, გეანგაფიან მცხეთის შესახებ... ლეონტის და ჯუანშერს ერთნაირი ფეოდალური ტერმინოლოგია აქვთ: მამა-უფალი, პატრონი; შვილი-მორჩილი ყმა. ჯუანშერი ლეონტივით გაყოფს ეგრისს ორად: შარგუი და შიდა ეგრ.

ერთნაირი აქვთ შეხედულება ციხე-ქალაქზე, ძღვენზე, ნიჭზე... გამოთქმებიც კერძოდ ფრულ აქვთ. ასეთივე ბუმბერაზობა (4, 22) იგივე ლეონტია – განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი – ერთნაირად გვაგვა ერთნაირი. ტერმინები, სახლვარი, ქვეყანა, აფხაზეთი, ერთნაირი ეგრისი... ქართველ მეფეთა ნებროთიანობა. ფიგურები ერთნაირი. სახელმწიფო წყობა ერთნაირი (და რაც ყველაზე ძვირფასია, მოგონილი, შეთხუელი. ორმა მწერალმა ერთნაირი წყობა მოიგონა?). ვახტანგის მეფობა ისევეა გაერცვლებული გაქრისტიანებულ-გამოქცაურა-სებული, როგორც ლეონტის მოქცევა. ასე რომ, შეიძლება ვთქვათ: ეს მონაშობანი ლეონტისა და ჯუანშერზე – ფსევდოჰიგრაფიკულია... ეს ლეონტი იგივე ქართველი მოსე ხორენელია (4, 23).

ლეონტის თხზულების ქრონოლოგიური საზღვრების გაფართოება იმითაცაა საყურადღებო, რომ ამით მნიშვნელოვანწილად ფერმკრთალებდა „მეფეთა ცხოვრების“ დასაწყის ნაწილში სომეხთა უპირატესობის ჩვენებით გამოწვეული ეფექტი. წინაქრისტიანულ, მითურ ხანაში სომეხებისა და სომხური ენის პირველადობაზე საუბარი უწინარ ნარსულად გამოიყურება ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ქვეყნის კულტურული განვითარების თავისთავადობის ფონზე, რასაც ლეონტი განსაკუთრებული გულმოდგინებით აღწერს, ხოლო ქრისტიანული ერის დაწვეობიდან ე.წ. შუა საუკუნეების ქრისტიანული ქვეყნებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხანიდან, საერთოდ, ქრება თხზულებიდან სომეხთა გავლენის რაიმე კვლი. ამდენად, თუკი ლეონტის თხზულებას ნ. ბერძენიშვილის მიერ ნაჯარაუდეუ ქრონოლოგიურ საზღვრებში მივიღებთ, რასაც მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი უჭერს მხარს, პიპერკრტიკოსთა სამიწედ აღებული „მეფეთა ცხოვრების“ ის ნაწილი არაარსებით ფუნქციურ დატვირთვას იღებს და მთავარი ტენდენციისადმი დაქვემდებარებული ხდება. ალბათ, ამიტომაც ნ. ბერძენიშვილი ლეონტის თხზულებიდან ცალკე გამოყოფს და მთელი სისაყსით ნარმოაჩენს ქართველი მემატიანის ისტორიული კონცეფციის მთავარ ტენდენციას და მის სრულ თანხედრას ეპოქის ამოკანებთან.

ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, ლეონტის პატრიოტული მოტივი ამოქმედდება ქართველი ხალხის კულტურული დადგინების საკითხი სხვა მეზობელ კულტურულ ხალხთა გვერდით (3, 298) ე.წ. იგივე, რაც მის წინამორბედებსა და მისი დროის დიდ პატრიოტებს აფიქრებდათ. ლეონტის მიზანია, წერდა ნ. ბერძენიშვილი, საზოგადოებას ნარმოუდგინოს ქართლის დამოუკიდებელი კულტურულ-პოლიტიკური ერთეულის ნარმოქმნის სურათი. სომეხთათვის ასეთი შრომა ბრწყინვალედ შეასრულა ხორენელმა. ლეონტიმ შარგუედ გამოიყენა ხორენელი და ორიგინალური ისტორია შექმნა.



მან არ უარყო ცხადელი ხორენელის ისტორიული დებულებანი, თუმცა არსებითად შეასწორა ისინი და რაც თავიანთი დაურთო ორიგინალური თეორია თარგამოსიანთა შესახებ და შემდეგ მთელი ისტორია ამ თარგამოსიანთა ურთიერთობის ფონზე გაშალა, რამაც მათ საშუალება მისცა ორიგინალური ისტორიული ცხოვრება წარმოეჩინა. ხორენელი ჩრდილოეთის ხალხებს არ ხედავს, მისი ისტორია ამიერკავკასიის საზღვრებსა და ახლო აღმოსავლეთის ფონზეა გაშლილი. კავკასიის ხალხები აქ ჩრდილოა. ლეონტი სინათლე შეიტანა ამ ჩრდილო, ამიერკავკასიის ხალხები ისტორიაში შემოიყვანა ისე, რომ ამ ახალ სამყაროს ცენტრში ქართლ (ეგრის-მერეთით) მოათავსა (3, 261).

ნ. ბერძენიშვილის ამ მსჯელობიდან ამკარაა, რომ ლეონტიმ არამარტო კარგედ გამოიყენა ხორენელი, არამედ პრინციპულად დაუპირისპირდა კიდევ ხორენელის მტკიცებით სომხეთი გამორჩეული იყო ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის, რომლის გაუგენა მთელ კავკასიაზე ვრცელდებოდა და თით ქართლიც მას შექმნიდა რეზოვია (ნ. 170, 184, 186, 240). ლეონტი კი ამ მტკიცების სრულიად საპირისპირო სურათს ხატავს, რომლის ცენტრში ქართლი და მხირებს. ლეონტის მიერ ხორენელის უარყოფის არაერთი შთაბეჭდიანი მაგალითი აქვს შენიშნული და კომენტარული ნ. ბერძენიშვილის თავის ნეროლებში. იგი წერს: ლეონტი არ აღნიშნავს ხორენელის მტკიცებას მორიანის დაპოვებულების შესახებ თრდატ-ხოსროვისაგან, არ აღნიშნავს ნინოს და მოკიდებულებას გრეგორისაგან, ხაზგასმით აღნიშნავს ქართული დამწერლობის შემოღებას ფარნავაზისაგან მესროპ-მამტოციის საწინააღმდეგოდ, მისი თეორია მოითხოვდა სომხური ენის პირველადობას და ლეონტი ცდილობს ზედმინივენი უჩვენოს ქართული ენის წარმოშობა, სომხურის დატოვება (3, 380). ნ. ბერძენიშვილის ფიქრით, ლეონტიმ მის დროს გაბატონებული თეორიის თანახმად (ზიბლია) გამოართო ეს ისტორია. არსებობდა კავკასიის მსოფლიო, არსებობდნენ ამ მსოფლიოში ნათესავეები; პოლიტიკურად ეს ნათესავეები ურთიერთის მოძვენი იყვნენ, ისე რომ ერთ დროს მათ საერთო ენაც ექონდათ: ეკლარნი ერთი მამის თარგამოსიანთა ნათესავე იყვნენ. შემდეგ ნაგლისხმევია, თითოეული მისი წილი ქვეყანა ცალკე ნათესავე (ცალკე ენა, ცალკე ერთეული) შეიქმნა თავისი ენით (3, 542).

ლეონტი, განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, მთელი შრომის სიგრძეზე ებრძვის ხორენელს, ავითანგვლისას, ანაბეუებს ქართლს... სომხეთის სახელმწიფო წყობილება, ხორენელი რომ ხატავს, წერს მკვლევარი, ისეთივეა, რაც ლეონტის მიერ წარმოდგენილი ქართლის სახელმწიფო წყობილება ფარნავაზის მიერ შემოღებული. ასევე ვაბჯანგ გორგასლის დროის (თრდატისა და სხვების) მთელ სიგ-

რძეზე... რატომ ამბობს ლეონტი ხაზგასმით, რომ ეს ნუგბა ფარნავაზმა შემსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა შემოიტანა? ხორენელისგან განსამიჯნავად ხომ არაა ხორენელის ტენდენციის უარსაყოფელად (ჩრდილოეთის ხალხების მიქქალა) ლეონტი სპარსეთიდან ცდილობს გამოიყვანოს (როგორც ხორენელის სომხეთი) და სომხეთიდან დამოკიდებულებას გაურბის... (3, 379-380).

ნ. ბერძენიშვილი შეხანიშნავად არკვევს, რომ ლეონტის კრიტიკა მიმართულია არამხოლოდ ძველი სომხური ისტორიოგრაფიის ერთ რომელიმე, თუნდაც ყველაზე დიდი ავტორიტეტის წინააღმდეგ, არამედ, საერთოდ, კავკასიაში სომხეთის პოლიტიკური კულტურული შეგვიწინების იდეოლოგია წინააღმდეგ (შევსებს ხორენაცი, ავთანდულოს, მესროპ-მამტოცი და სხვ.). ამ იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში მკაფიოდ იკვირება სადავო პრობლემები - ტერიტორია, ენა, ლიტერატურა, რომელთა გარეშე ლიტერატურული, თუ პოლიტიკური დავა საქართველოსა და სომხეთის შორის საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, ლეონტი მრავალი სიროულია და ძველებს წარმართობით ახერხებს. სომხეთა ტერიტორიული პრეტენზიების საპირისპიროდ ლეონტი ნათლად და გამოკვეთილად უჩვენებს ქართლის ისტორიულ ტერიტორიას უკვე ფარნავაზის დროიდანვე (3, 382). მკვლევარი განსაკუთრებული მნიშვნელობისად მიიჩნევს ენის საკითხის ლეონტის ეულ გაახრებას, რამდენადაც ენა და ლიტერატურა ფუძელადური საქართველოს უპირველესი საკითხები იყო. ქართული ენით და ქართული დამწერლობით (ქართული ქრისტიანობით) ქართლის კულტურულ ინდივიდუალობას ააფუძვლებდა სომხეთისა და საბერძნეთის მეზობლობაში. თუ ეს არა, უმოტივოდ გამოიყურება თეორიები ქართული ენისა და დამწერლობის შემოღების შესახებ - დაასკვნის ნ. ბერძენიშვილი (3, 380). ისიც საკულისხმოა, რომ ლეონტიმ - ორთოდოქსმა ქრისტიანმა ქართული მწიგნობრობის გაჩენა დაუკავშირა არა ქრისტიანობის შემოსვლას, როგორც ეს მესროპ-მამტოციც მოიმოქმედა, არამედ ქართული ეროვნული კულტურის დიდ ტიპის ქართული სახელმწიფოს წარმოქმნას, რითაც სომხურთან შედარებით 7-8 საუკუნით დაამტკიცა ქართული სომხეთი (ცნობილ პრეტენზიებს ქართული დამწერლობის მიმართ. მაშინ გაფორმდა, წერს ნ. ბერძენიშვილი, ლეონტის წარმოდგენილ ქართულ კულტურული ერთეულის წარმოქმნა - ტერიტორია, ენა, რელიგია, დამწერლობა, პოლიტიკური წყობა (3, 382-383).

ხორენელისა და ლეონტის კონცეფციების შედარება და პარალელური განხილვა, რასაც ნ. ბერძენიშვილი ვადავლებს, აამოკავებს მათს, როგორც ფორმალურ, ისე შინაარსობრივ სხვაობას. ეს სხვაობა განსაკუთრებით საგრძნობ-



ბია იკულოვების სფეროში, სადაც ისინი, თავისი მიზანდასახულობით, მკვეთრად უპირისპირდებიან. ხორენელი კავკასიაში სომხეთის აგრესიის დასაფუძვლებსა და გამართლებას ცდილობს, როცა მისი პოლიტიკური და კულტურული ვალებების უცილობლობას ამტკიცებს, ლეონტი კი კავკასიის ხალხთა ნათესაობისა და თანამშრომლობის იდეას ქადაგებს, რომელმაც შემდეგში მყარი ნადაგი შეუზნადა მომავალ დიდ გაერთიანებას. ბერძენიშვილის მოხერხებული შენიშვნით... ფრიად დამახასიათებელია, რომ ლეონტის მონათესავეები (იფიკრები) XII ს-ის მხურვალისათვის თითქმის ყველა საქართველოში შემოდიოდა. ლეონტი იდეოლოგიური მებრძოლი იყო საქართველოს პოლიტიკური აგრესიისათვის [2, 93] და ამ მხრივ ისინი, რა თქმა უნდა, ერთხანითაცაა არც განსხვავებულდნენ. ალბათ, ამ მომენტსაც გულისხმობდა ნ. ბერძენიშვილი, როდესაც ლეონტის „ქართველ ხორენელად“ წარმოადგენდა. და მაინც, იდეოლოგიურ ბრძოლაში ქართველი პოლიტიკოსი მემატიანის უპირატესობა, არსებულ ვითარებაში, სრულიად ამკარა იყო. თუ ლეონტის კონცეფციას რეალური პოლიტიკური სიტუაცია უმარგებსა ნიდავს და დროის მოთხოვნებს ესადაგებოდა (სელურკიანი თურქების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობა, კავკასიის სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებაში გამაერთიანებელი ტენდენციის მომტარებება და სხვა), სომეხ მოღვაწეთა ერთი ნაწილის მიერ ხორენელის კონცეფციის რეაქციუზი იმ დროს, როცა სომხური სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი ნაშთურეგებიც ქრებოდნენ, უზარალად ანაქრონზად გამოიყურებოდა. ამიტომ, ლეონტის კონცეფციაში ხორენელის უარყოფითი გავლენის რაღაც ნიშნების ძიება და მათი მნიშვნელობის, მით უფრო, გაზვიადებული წარმოადგენა, ალბათ, არ უნდა იყოს გამართლებული.

ნ. ბერძენიშვილი წერს: - ... რაგონდ და მოკიდებული ჩანს ლეონტი მოხეხორენელისაგან, კავკასიის ხალხთა მონათესაეობის და ქართველების ტომობრივი შედგენილობის საკითხში ის არავისგან დამოკიდებული არა ჩანს (შეიძლება დაეწუგათ, რომ ის იცნობდა ბერძენულ ქრისტიანულ მწერლობას, სადაც ხალხთა მონათესაეობის საკითხი და მისი სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა უხედავ მოაზრებულია. მაგრამ ისეთი გადაწყვეტა, როგორსაც ჩვენი ავტორი ვეთავაზობს, რამდენადაც ცნობილია, არავის მოეპოვება). მით უფრო საყურადღებოა ლეონტის ეს ორიგინალური კონცეფცია. ყალბი ეფრემისა და მისე ხორენელის წიგნებში მოცემული იდეები ლეონტის არ ავალბდა მისი დროის კავკასიის ხალხები ურთიერთის მონათესავე თარგამოსიანებად წარმოედგინა. ქართველების შესაყვანად მსოფლიო ისტორიის ფერხულში საკმაო იქნებოდა, ვთქვათ, ქართლოსის გამოცხადება

ჰაოსის ძმად და თუ ლეონტი ამას არ დაკმაყოფილდა და ამ კონცერტში მთელი კვანძი ხალხები შემოიყვანა, უქველია. კვანძი საფუძველი მოეპოვებოდა. აქ ჩვენი ავტორი უთუოდ ორიგინალურია და მოსე ხორენელის კონცეფციას ასწორებს და უპირისპირდება: ლეონტი ნათლად მოხაზავს ყველა ამ ხალხთა საზღვრებს, მაშინ როცა ხორენელი ჰაოსის სამფლობელოს წრდილო საზღვრები სრულიად გაურკვეველია (სადადმისაც ამ გმირის ხმალი მისწვდება...) ხორენელი ჰაოსს ძმები არა მყავს და ის მხოლოდ საკუთარი ძალით (შეილები, შვილიშვილები) ებრძვის ნებროსს (ბელს) ლეონტი კი ჰაოსი, მართალია უფროსი, მაგრამ მაინც ძმა თარგამოსიანთა და საერთო ძალით იბრძვიან ეს ძმები ჰაოსის ხარდლობით ნებროსის წინააღმდეგ. ხორენელი სომხური ენა ჰაოსს ბაბილონის ენათა გაყოფიდან მოჰყვა. ლეონტით ბაბილონის გოდლით თარგამოსი ნამოყვდა ენათა გაყოფის შედეგად და, იგულისხმება, მისი ენა, სომხური, იყო ყველა მისი შვილის ენაც.

ცხადია, ლეონტის უნდა გაეკვია, როდის და როგორ წარმოიშვა ქართული. ენის საკითხში ლეონტი არ მისდებს განძთა ქვაბს. იქ სომხითი იმთავითვე იგულისხმება. ლეონტით კი სომხითი ენათა გაყოფის შედეგად შეიქმნა, როცა ბაბილონით ნამოსული თარგამოსი თავისი ნათესავთი მასის - არარატის სახანებაში დაესუნა. ცხადია, სომხურიც ამ დროიდან არის ნაგულისხმევი, თორემ ნოეს კიდობნის ადგილი - „სომხითი“ რომ ენის პიშნით იყოს ნახმარი, მაშინ როგორღა ამბობს იგივე ავტორი („ქვაბი“), რომ ადამოსთგან ამითი ენა ასურული იყო? და თუ სემი, ქამი და იაფეტი ასურულად მეტყველებდნენ, გამოდის, რომ სომხეთში, სადაც სომხურად მეტყველებდნენ, ნოეს ჩამომავლობას არ უცხოვრია, ან არადა სომხითში სომხურ ენაზე არ მეტყველებდნენ.

მაგრამ ლეონტის ორიგინალობა სხვაგან კიდევ უფრო თვალსაჩინოა. ეერსად, რა თქმა უნდა, ჩვენი ავტორი ვერ იპოვდა კავკასიულ ხალხთა მონათესაობის იმ სურათს, რომელც მას აქვს მოცემული. შემდეგ კი განაგრძობს: ეს დიდი მნიშვნელობის საკითხი მთელი ხილრით უნდა დაისვას: სად, როდის, როგორ და რატომ შემუშავდა ლეონტის ეს თეორია კავკასიის ხალხთა მონათესაეობისა, როგორ და რა ნიდავზე მოიხაზა XI ს-ის ქართველი პოლიტიკური მოაზროვნის ცნობიერებაში ეს ერთეული - დიდი ქვეყანა; სად და როდის ჩაისახა ასეთი იდეა, სად და როდის მიიღო ასეთი დასრულებული სახე? მართლაცდა, ხომ ვერ ვფიქრებთ, რომ ასეთი მოხაზვის საკმაო საფუძველი ჩამომავლობითი მონათესაეობის შესახებ აცოდნა იყო, წერილობით თუ ზეპირი გადმოცემის სახით არსებული? რა რეალურ-ისტორიული საფუძველი მოუძებნება ასეთი კონცეფციის შექმნას? ხომ არის ეს მოვლენა იმის ღრმა და ნიშანდობლივი მონაშობა, რომ კავკასიაში ამ დროს,

ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობის ხანაში მიმდინარეობდა ისეთი პროცესი, რომელიც ხელს უწყობდა (ინევედა) ასეთი მონათესავეობის კონცეფციის შემუშავებას, თუ აქამდე უკონაზი უპირგადმოცემის გამართვას... მინდა ვთქვა, განმარტავს ნ. ბერძენიშვილი, რომ ლეონტი მროველისეული კავკასიის ხალხთა მონათესავეობის თეორია იკვებებოდა კავკასიის ფეოდალური საზოგადოებრივი ცხოვრებით იმავე წყაროებით, რომელთაც საფუძველი შეუქმნეს „ვეფხისტყაოსნის“ კულტურას, რომ ლეონტი მროველის მონათესავეობა და „ვეფხისტყაოსნის“ ძმადნაფიცობა ერთი და იმავე წყაროთი მორწყული ფეოდალური სამყაროს ნაყოფია (პ. 555-557).

ამრიგად, ნ. ბერძენიშვილი ლეონტის თავისი ეპოქის ღირსეულ მოღვაწედ წარმოგვიდგენს, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი დროის მოთხოვნას. იგი წერს: ლეონტი თავისი საუკუნის შვილია... ლეონტი წერს ისტორიას და ასაფუძვლებს ქართველი ერის არსებობას უკვე ფარნავაზის დროიდანვე (ქნა, დამწერლობა, საზღვრები)... ლეონტიმ ისტორიულად დაასაფუძვლა ის, რაც მის ეპოქას ახასიათებდა, აფიქრებდა, აზრუნებდა: ქართველი ერის (ფეოდალურის)

წარმოქმნა (პ. 379) მისი მწყობრი თეორია ქართველთა წარმოშობისა, მისი კულტურული ჩამოყალიბების შესახებ სატელემდევნეო და ურვევი იყო მთელი შუა საუკუნეთა სივრცეზე (პ. 380-381). ქართული ისტორიული აზრი ფეოდალური ურთიერთობის მთელ სივრცეზე იზიარებდა, აგრეთვე, კავკასიის ხალხთა მონათესავეობის ლეონტი მროველის ისტორიულ კონცეფციას, რომელიც ნ. ბერძენიშვილის აზრით, ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და საერთო პოლიტიკური თავგადასავლის საფუძველზე უპირატესად უნდა შემუშავებულიყო (I, 330). ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფცია, განსაკუთრებული სიცხადით განმარტავს ნ. ბერძენიშვილი, ესაა პოლიტიკური მონოდედა კავკასიის ხალხებისადმი თანამშრომლობისათვის, საერთო ძალით საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის (I, 318), იდეოლოგია, რომელიც კავკასიისათვის, ალბათ, სამარადისო მნიშვნელობისად დარჩება.

ნათქვამიდან გამოშდინარე, საესეებით ლოგიკურია ლეონტის შიროვნების ნ. ბერძენიშვილისეული შეფასება: დიდი მოღვაწე, დიდი მეცნიერი, დიდი პოლიტიკური მოაზროვნე (პ. 380. 557 და სხვ.).

### ციტირებული ლიტერატურა

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები (შემდეგში სის), ნ. III, თბილისი, 1966
2. სის, VII, თბილისი, 1974
3. სის, VIII, თბილისი, 1990
4. სის, IX, თბილისი, 1979
5. მოვსეს ზორენაცი, სომხეთის ისტორია, თბილისი, 1984



# ქალთა სალონების ილუმინაცია საქართველოში

ბიზლისის მიხედვით გველმა აცდუნა დედა-  
კაცი ეა დედაკაცმა შეჭამა უფლისგან აკრძა-  
ლული ხის ნაყოფი, მეერ „მისცა თავის კაცს  
და კაცმაც შეჭამა“ (3, დ. 3, 3). უფლის კითხვა-  
ზე, „ამ ხის ნაყოფი ხომ არ გიტამია, მე რომ  
ავიკრალე?“ (3, დ. 3, 11), კაცმა თავის გასამა-  
რთლებლად დედაკაცს გადააბრალა ცოდვის  
ჩადენა: „შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან  
მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შეჭამე“ (3, დ.  
3, 12); უფლის კითხვაზე, „ეს რა ჩაიდინე?“ (3, დ.  
3, 13), დედაკაცს თავის მართლება არ უცდია,  
გულლიად უპასუხა: „ გველმა შემცდინა და  
მეც შეჭამე“ (3, დ. 3, 13), მაგრამ ვერცერთის  
პასუხს ვერ მოხიბლა უფალი, ცოდვის ჩადე-  
ნისთვის სამივე (გველი, დედაკაცი და კაცი)  
განდევნილი იქნა და დაწვეულა.

განდევნილებმა დაინყეს ამქვეყნიური ცხ-  
ოვრება.

კაცმა, ჯერ კიდევ ედემში ყოფნისას,  
უფლის წინაშე გამოხატა დედაკაცისადმი  
უპატიო დამოკიდებულება, რადგანაც  
დედაკაცმა დაარღვევინა უფლის აკრძალვა და,  
ბუნებრივია, ედემიდან განდევნის შემდეგ  
უფრო გაუმძაფრდებოდა წყენა, რადგანაც, მისი  
ახრით, სწორედ დედაკაცის გამო შეცვალა  
ედემისეული ნეტარი ცხოვრება ამქვეყნიური  
ტანჯვით; უფალმა უთხრა კაცს (ადამს): „რა კი  
შენ დედაკაცს დაუჯერე... მინა დაინყველოს  
შენს გამო, ტანჯვით მიიღებ შემიგან საზრდ-  
ოს მთელი სიცოცხლე“ (3, დ. 3, 17).

უქველია, დაწყველილი, გამოძევებული და  
განანყენებული კაცი შეეცდებოდა გამოეხატა  
თავისი უარყოფითი დამოკიდებულება დედა-  
კაცისადმი, მით უფრო, რომ ეს უფლის წყევლის  
შესაბამისი იქნებოდა, რადგანაც, დაწყველა  
რა უფალმა დედაკაცი - „ქმრისკენ გექცემა  
ლტოლვა, ის კი იმატოვებს შენზე“ (3, დ. 3, 16),  
ან წყევლის კაცს მასზე ბატონობის უფლებას  
მისცა (როგორც ჩანს, მაინც კარგად გაუმა-  
რთლებია თავი კაცს უფლის წინაშე).

სწორედ შეძლო კაცმა ან უფლების გამო-  
ყენება, ვიჭრობით, ამაზე მიგვიანიშნებს საჭა-  
რთველის მთაში არსებული ზოგის წესი,  
კერძოდ, მამაკაცი ცდილობდა ცოდვის გამო-  
სყიდვით უფალთან შერიგებას, მასთან მიახ-  
ლოვებას, თხოვდა ამქვეყნიურ ცხოვრებაში  
დახმარებას, რისთვისაც ღელეულობდა, მსხვე-  
რპლა სწირავდა, ხატებს ამეწებდა, დედაკაცს  
კი ხატთან მისვლას უკრძალავდა. დღემდე  
რელიგიური რიტუალებში მხოლოდ კაცები მონა-  
წილეობენ, დედაკაცებს კი მხოლოდ შორიხ-

ლოს, განსაზღვრულ მანძილზე ყოფნის  
უფლება აქვთ.

მაგრამ დედაკაცი არსებულისადმი შეური-  
გებლობით გამოირჩევა, რაც, ჯერ კიდევ  
ედემში ყოფნის დროს გამოხატა, როცა უფლის  
აკრძალვა დაარღვია, ამიტომ, ცხადია, არ შეეგ-  
უბოდა კაცის მიერ „მუთავაზებულ“ მდგომარე-  
ობას. მაინც რა მოიძოქმედა დედაკაცმა,  
როგორ აისახა მისი ქმედება ქართული ქალის  
ყოფაზე?

კაცისაგან განსხვავებით, ქალს საუროთი-  
რთოდ გველი დარჩა, სხვა გზა არც უქონდა,  
რადგანაც უფლისკენ მიმავალ გზაზე მას კაცი  
გადელოდა, თანაც გველს ქალთან უფრო ეა-  
დვილებოდა ან მოსწონდა ურთიერთობა (რაც  
მათი ედემში ყოფნის დროსაც გამოჩნდა), მაგ-  
რამ, რაც მთავარია, ქალი გველთან კეთილი  
ურთიერთობის დამყარებით შეეცადა უფლის  
წყევლის შემსუბუქებას (უფალმა უთხრა გვე-  
ლს: „მტრობას ჩამოვადებ შენსა და დედაკაცს  
შორის“ (3, დ. 3, 13), რითაც იმავდროულად  
ზრუნავდა მთამომავლების გამრავლებაზე  
(უფალმა უთხრა გველს: „მტრობას ჩამოვ-  
ადებ... შენს თესლსა და დედაკაცის თესლს  
შორის: ის თავს გიტყუადებს, შენ კი ქალს  
უგისლადე“ (3, დ. 3, 13).

ედემიდან გამოძევებული კაცი და ქალი,  
სხანამ სახლს ააშენებდნენ და ველზე, მთაში ან  
გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ, გველის საყო-  
ფილეად და ე.ი. მასთან ქალის საკუთიერო-  
სალოცავი (სავედრებელი) ადგილიც მათთან ახ-  
ლოს იყო: ველზე, მთაში, კლდეზე...

მსგავსი მოვლენა აღნიშნული აქვს ივანე  
ჯავახიშვილს. კერძოდ, მეცნიერი გვანავდის ან-  
ტოიქის საეკლესიო მსოფლიო კრების ძეგლის  
წერის ქართული თარგმანის ბოლოში შენახულ  
ცნობას იმის შესახებ, რომ ქართველები  
„უწინათ“ ძალიან მსახურობენ „სადაცა სახ-  
ლად, გინა გარე ველთა, ანუ სადაც კლდის შირთა,  
ანუ ხეთა და რომელნიმე უფლის ციხელთა მშა-  
ახურობენ და რომელნიმე ბორანისა ვშმაკთა  
თაყუანის სცემენ კერამიკის თუ ვშმაკთა  
არიან“ (14, 89). ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს,  
რომ ხეყუსურებს სწამთ „კორის ანგულოზის“ და  
„ადგილის დედის“, ფშაველებს - „ადგილის  
დედის“, თუშები თაყუანს სცემენ კლდეს, აფ-  
ხაზები - „ადგილის დედას“ („ადგილ ანხუს“ -  
ადგილის დედოფალს), მინას („ადგილ-ჰეა“) სწი-  
რავენ ქათმებს და მხურვალე ლოცვით ევედ-  
რებიან: „აფგილ-დედოფალ დედა-შეილის მთა-  
რველ-მწყალობელი ბრძანებდო“ (14, 90).

განსაკუთრებით საყურადღებოა კალენიკე ანდელუაძის აღწერილი და იანეზ ჯავახიშვილის მიერ დამოწმებული სვანების „ახალ-კვირად“ წოდებული დღესასწაული, რომელშიც მხოლოდ ჯვარდნადღესადღეობები მონაწილეობდნენ. ისინი აღდგომის პირველ კვირას მიიტანდნენ დანიშნულ ადგილზე პურის ცომა, ყველს და გამოაცხობდნენ ქვერებს - „ტაბლებს“. სამ დიდ კვირს იქვე შესწირავდნენ ღვთისმშობელს, ხოლო სამ-სამ პატარა კვირს, თითო სანთლის ნატყებს და პატარა ნაკერჩხალს მისცემდნენ სამ ხნივად და პატივცემულ ქალს, რომლებიც აღნიშნულ შესანიწინ ნაიღებდნენ ცოტა მოშორებით, ბრტყელი ქვერებით მოფენილ სოროსთან, რომელსაც „ლაშზირს“ - მინის სალოცავს უწოდებდნენ. სალოცავთან ქალები სამჯერ მოიყვრდნენ მუხლს მონინებით, სანთლის ნატყებს ნაკერჩხალზე დაყრიდნენ, ერთი ქალი სულს შეუბერადა, თუ სანთელს მოეკიდებოდა და აღს აუშვებდა, რაც მათი ღოცვის გამარჯვებას ნიშნავდა, სამივე მუალმოყრილი, ხელში კვირებით, ღოცვა-ვედრებით შესთხოვდნენ ღვთაებას „მამათა სქესის სიმრავლეს“. ღოცვის შემდეგ კვირებს სოროში ჩაანკობდნენ და ხედიდნენ დაადებდნენ, რასაც „ტაბლების დაკრძალვა“ ეწოდებოდა. შემდეგ სამჯერ მოიყვრდნენ მუხლს და უკან დაბრუნდებოდნენ. მათ მოსვლამდე ქალები ხმის ამოღებულად იცდიდნენ პირველდაშობილნი. დაბრუნებულებს ფეხზე წაიფრებოდნენ და ეტყუოდნენ: „გაგმარჯვებოთ მინის სალოცავის ღოცვარ“, მისულები უპასუხებდნენ: „თქვენც გაგმარჯვებთომ“, მერე დასხდებოდნენ, თითო კვირს შესჭამდნენ და ერთმანეთის ღოცვითა და კოცნით ნატიფდნენ სახლში (14, 91-92).

ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ლაშზირი“ არის ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველი მდებარებითი სქესის ღვთაება, რომელიც წარმართული რწმენის თანახმად, დედამიწის სახით არის წარმოდგენილი, ქრისტიანული სამოსლით კი - ღვთისმშობლად (14, 92).

ივანე ჯავახიშვილი საინტერესო პარალელს ავლებს ზემოთ აღნიშნულ რიტუალსა და „საქმისას“ (კაცების დღესასწაული) ზემოწვანურ ჩვეულებას შორის. კერძოდ, აღნიშნავს, „საქმისას“ რომ დიდ ზაქაპურსა და ყველს მიამრთებდნენ, ის პირს ღვთისმშობლის ეკლესიაში იწვევს, ყველს პირში ჩაიღებდა, იტყუა „ფოჟ ლაშარას“, თან აფურთხებდა მისკენ და ვარაუდობს, რომ „ლაშარასა“ და ღვთისმშობლის სახელით ქალთა „მინის სალოცავი“ ღვთაება იგულისხმება, რომელსაც ქალები „მამათა სქესის სიმრავლეს“ შესთხოვენ, ნაყოფიერების მამრობითი ღვთაების - კვირის მვედრებელი მასაკის (საქმისა) კი უწუნებს ნაყოფიერებას და ამის სიმბოლური გამოხატულებია მისი მოქმედებაცა და სიტყვებიც (14, 92).

ცხადია, მინის სალოცავი „ლაშზირი“ მოკვირებით, ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ღვთისმშობლის სალოცავად იქნა მიწმუნებული, მაგრამ გასარკვევია, თურას უკავშირდება მისი წარმოშობა.

თუმცა ივანე ჯავახიშვილი მინის სალოცავს - „ლაშზირს“ გველს არ უკავშირებს, მაგრამ „ლაშზირი“ რომ გველის სალოცავია, ამასზე მტკიცანიშნული სალოცავის ადგილი - სორო, რიტუალში მხოლოდ ქალების მონაწილეობა და სალოცავისადმი კაცების უარყოფითი დამოკიდებულება. შესაძლებელია, ეს იყოს მხოლოდ არაპირდაპირი მიწმუნება, მაგრამ ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა საქართველოს სხვა კუთხეში, კერძოდ, კახეთში არსებული მტკაცის რიტუალი, რომლის დროსაც ქალები „ხთივება დედამდებარის“ - გველის სახელზე ღოცულობენ.

„ხთივება დედამდებარის“ რიტუალი ასეთია: მარნის კარის წინ შლიან მწვანიან და ვეჯილენ-ბიან სუფრას (რაც მინდორ-უელის სიმბოლოდ აღიქმება). შესანიარაოდ კლავენ მამალ ბატს ან იბეს და ქათამს. დაკლული შესანიარავის სისხლი უნდა ჩაიდვაროს მარნის მარჯვენა ამოჭრილ პატარა ორმობი, იქვე დგამენ რძეს, მანონსა და მაქარს ფხვნილს. სუფრაზე აწყობენ მოხარშულ საკლავს, სამ უმ კვირცხს, სამ თევზს, ერთ პურს, ნიგვზის გულიან ქადას და ტკბილეულს. დააკმევენ საკმეველს, აანთებენ ოთხ სასთელს, კითხულობენ ღოცვას - „მამო ჩვენი“. ჯერ არყით დაილოცებიან, მერე — ღვინით; როდესაც სათელი ნახევრად ჩაინება, გარეთ გამოიღებან, თან ნაიღებენ რძეს, მანონს, მაქარს და უხილავ „დედამდებარის“ ბაღისკენ გაუძღვებიან სიტყვებით: „ქეთ ნაობრძანდო, არენი შამიშინო“. კაცის ან თხილის ხეზე მიაკრავენ სასთელს და იქვე დატოვებენ რძეს, მანონს და მაქარს. რიტუალი ყოველ წელს, ყველიერის ნინა კვირის სამშაბათს უნდა შესრულდეს, თუმცა საკლავს ხუთი წლის განმავლობაში აღარწირავენ. თუ „დედამდებარეს“ შესაბამისი „პატყვი არ მიაგეს, ბრაზდება და ოჯახში უშვილობის, უბარაქობისა და აყალ-მაცალის მიზეზი ხდება“ (10, 15).

გარდა იმისა, რომ „ხთივება დედამდებარის“ რიტუალში მონაწილე ქალები ღოცულობენ შვილიერების, ბარაქანობისა და მშვიდობისათვის და ამით აღნიშნული რიტუალი (ე.ი. როგორც ფორმით, ისე - მინაარსით) ძალიან შეესაბამება სალოცავის - „ლაშზირის“ რიტუალს, საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ რიტუალის ჩამწერი აუტორის გადმოცემით, დედა ნინო, რომელიც რიტუალის მონაწილე და მთხრობელია, „ადამიანის მოდგმის მტყერზე, წყურღზე, უხსენებელზე“ ღიმლით და მონინებით ლაშარაკობს. მაშასადამე, როგორც „დედა-მდებარეს“, ასევე „ლაშზირს“ ქალები მონიშნებით ეპყობებიან, კაცები კი, როგორც ვიცით, „ლაშზირს“ უდიდრად ექვეყვიან და თუმცა „დედამდებარის“ მიმართ მათი დამოკიდ-



ებულება ავტორს არა აქვს გადმოცემული, სამაგვროდ, აღწერილი აქვს „დედამებარის“ დამოკიდებულება კაცისადმი, როგორ მუშონებია იგი გზაზე და სანთლის ანთება მოუთხოვია... იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა გველსა და კაცს შორის ურთიერთობა სხვა შესაბამისი რიტუალების მიხედვით, ქვემოთ აღწინასწავთ, ახლა კი მთავარზე გვირდა გავამაგვილოთ ყურადღება, კერძოდ, იმაზე, რომ „დედამებარე“ იგივე ადგილის დედაა“ და ეკანონმდინარეობს როგორც მათი სახელწოდებებს, ასევე მათი შინაარსების მსგავსებით დანაც: სულხან-საბას განმარტებით „დედარე“ ნიშნავს — ადგილზე იდგას, ადგებუდ იდგას“ (1, 456) და ვი. ადვამებარე იგივეა, რაც ადედა ადგილისა“ ანუ ადგილის დედა; რაც შეეხება აღნიშნულ რიტუალთა შინაარსობრივ მსგავსებას, ვფიქრობთ, თავისაწინაოებისათვის საჭიროა აღვნიშნოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ადგილის დედის“ რიტუალი. მაგ. ხევსკართში, სოფ. გუროში, ადგილის დედის“ ნიშმი, ქალები მიდიოდნენ ერზო-ხინკლებით და ლოცულობდნენ. ხატში დიდი ქვა იყო, რომლის ქვეშაც, ხალხის რწმენით, ადგილის დედის“ დობილი იყო დასადგურებული და, თუ გავაგრძობდა, ოჯახს ყველ-ერთობა ბარაქა გამოვლევოდა. ხატში მისულ მოლოცველს ფეხი არ უნდა მიეკარებინა ქვისთვის, თორემ სულს განაჩეკებდა. ქადა-ხინკალს ცოტას ფრჩხილით მოტეხავდნენ და ქვას ნაუსუამდნენ, თან ერბოთი გაპოხავდნენ. ერბო იმდენი უნდა დაეხათ, რომ ძირს გადმოდვრილიყო. ამ ერბოთი ქვის ქვეშ მყოფი დობილი იკეებებოდა. ბარაქა მოგვიტანე ერზო-სა და ყველისა, ადგილის დედაო, ჩვენ ნამრო-ნამუშეკარი მშვიდობიანად მოგვამარე“ - ლოცულობდნენ ქალები. ძროხა ხბოს რომ მიიგებდა, ქალები მისი რძის პირველ ნალებს ადგილის დედის ნიშმი ნაიღებდნენ და იქ ბროლის ქვას ნაუსუამდნენ“ (1, 101-102); ფშავში, მკის ნინ, სოფელი ხატში ადგილის დედის ნიშთან შეიკრიბებოდა და გუთნის საღმრთოს გადასიდა. გაღვნილი პურის ერთი კოდიდან ქადა-პურებს აცხობდნენ და ხატს მადლობას უფრდნენ მოხალისისათვის. განიავებულ პურს მათავსებდნენ ქურჭელში და შიგ ნახშირს ჩააფრდნენ - ბარაქა ქვენებაო (1, 100). თუმცა, ამ აღიღების მგორე კვირას თურსიების ხატში (ფურების ხატი) სანირ-საკლავით მიდიოდნენ შეხვენილი დედაკაცები და ევედროვოდნენ საქონლის მომრავლებას, ფეხმძიმის „მშვიდობის მუხლის მოგებას“ და სხვ. (7, 221). ამ უკანასკნელ რიტუალს, მართალია, ადგილის დედის“ საეღვროდგება არა აქვს მაგრამ რაკი შინაარსით მისი მსგავსია, აქ იმატომაც აღვნიშნეთ; რაც შეეხება ადგილის დედის“ ზემოთ აღწერილ რიტუალებს, როგორც ენახეთ, მსგავსია ლამაზობისა“ და „დედამებარის“ რიტუალებს: შინაარსებით

არიან მხოლოდ ქალები და სალოცავს თხოვრებ (და მადლობას უხდიან) ნაყოფიერებებზე და ბარაქიანობას.

**შენიშვნები**

რატომ ეწოდებოდათ ადგილის დედას, ადვამებარეს“ დედა? არ რატომ იყო ამ და „ლამაზობის“ ლეთაბათა სახელწოდებები და კავშირებული მინასთან? ვფიქრობთ, პასუხი ბიბლიაშია, რადგანაც უფალმა გველსა და დედა-კაცს ერთნაირი - მდებრობითი სქესი განუსაზღვრა - უფალმა უთხრა გველს: „... შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის“ (3, დ. 3, 5); მინასთან კავშირაც უფალმა განუსაზღვრა გველს - „მეცვლით იხოზე და მტვერი ქაზე მთელი სიცოცხლე“ (3, დ. 3, 14).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სიტყვა „დედამინას“ ძველად დღევანდელი მნიშვნელობით არა უმხარობდნენ, ამ მნიშვნელობით უმხარობდნენ სიტყვა „ქვეყანას“, რადგანაც სიტყვა „დედამინას“ განაკუთრებული მნიშვნელობა უქონდა და მთელ „მინის დედას“, მინის ლეთების დედას ეხსენებენ ანუ ისევე, როგორც ადგილის დედას, „დედამინასაც“ თავიანთს სცემდნენ, როგორც ლეთაბათს (14, 92). ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, რომ ადგილის დედის“, დედამებარის“, „ლამაზობის“ (მინის სალოცავის), „დედამინის“ და სხვა მათ მსგავსთა ლეთაბად გველი მოიხსენებოდა.

მას შემდეგ, რაც ქალმა და კაცმა ერთ სახელში დაიწყეს ცხოვრება, გველმაც მათთან დაიწყო სადგურა „სახლის ანგელოზის“, „სახლთანგელოზის“, „სახლის ბედაჩველოზის“, „კარის ანგელოზის“, „დედათ ანგელოზის“, „ქორა მებარის“ (სახლის მებარი) ან „ფუდის გველის“ სახელწოდებით.

ქართლში ხორციელის ხუთშაბათს, სახლთანგელოზობის ანუ მარიამობის დროს, 3 დღის ნიწლით ადებდნენ მინას (ქუსლს ან შუა მინკალს აჭირდნენ) სამარაშნოდ. სამ გულიან ქადას, სამ ლავაშს, სამ კვერცხს, მოხარშულ ქათამს და ჩარქვა ღვინოს დააწყობდნენ სუფრას. ქადა და ქათამი სტუმარს არ უნდა ეჭამა. ქათამის ძელებს მინაში ზაფლავდნენ ან ცეცხლში დანავადნენ, ცხოველს რომ არ ეჭამა. ქადაზე დადებულ თავ-ფეხს მოიტანდნენ სახლის მარჯვენა კუთხეში, აინთებდნენ სანთლს და დაილოცებოდნენ. ქადა და თავ-ფეხი ქალს უნდა ეჭამა. ზოგი ქათამს როდინზე კლავდა, როდინში ნიგოზინიყება და ბარაქიანი იქნებოდა, ზოგი, ქათამს რომ დაკლავდა, იმის სისხლს ქვემოთ დაყრილ მარცვალზე დააფენდა, ამ მარცვალს ინახავდნენ და ნიწილებს უჭირდნენ. საინგლოზე საქმელს მხოლოდ უფროსები შექამდნენ, ბავშვებს არც დაანახებდნენ - თვალები ეტკინებოდათ. ამ დღეს ქალები უქმობდნენ (1, 62, 63).

კახეთშიც, ხორციელის ხუთშაბათს, სახლთანგელოზობის მთავარი კერძი მოხარშული ქათამი იყო, რომელსაც ღია ფენჯარაში დადებ

გაძენენ, საღამოს მოსულ ანგელოზს რომ დეა-  
ნახა. ყველა კუთხეში სანთლებს დაანთებდნენ,  
კარებს გააღებდნენ - „კეთილი ანგელოზო, მინ  
შეხოდი, აჲო, გარეთ გადაო“, ხოლო შემოსულ  
ანგელოზს სთხოვდნენ, წლის მოსახლისათვის  
ბარაქა მიეცა (1, 63).

თუშეთში ხორციელს ხუთშაბათ დღეს  
ხინკლაობას უწოდებდნენ. ამ დღეს დილით  
ადრე ქალები დიდ ხინკლებს მოხარშავდნენ და  
მზის ამოსვლამდე თითო-თითოს  
დაურთებდნენ მეზობლებს, სახლში კი მიცე-  
აღებულთა სულების მოსახსენებლად  
საძირებს ანთებდნენ (1, 63).

ხევაში „სახლის ანგელოზი“ (სახლთ-  
ანგელოზი“, სახლის ბუფანგელოზი“, ოჯახის  
ანგელოზი“, დედათ ანგელოზი“, ადგილის  
დედა“) ოჯახის მფარველ ღვთაებად იყო  
მიჩნეული და „ღვთისმშობლის“ ამხანაგ  
მდგრობითი სქესის წმინდანს წარმოადგენდა.  
„სახლის ანგელოზის“ სამყოფელად მიჩნეული  
იყო პროფუქტების შესახაი სენა, სადაც  
სათანადო წესების შესრულება და ლოცვა-ვე-  
დრება დედაკაცთა შორის ყველაზე მაღალი  
უღვლებების მქონე შორის — დიასახლისის  
ფუნქციებში შედიოდა (5, 63).

სავსეთში წელიწადში ოთხჯერ (აღდგომას,  
15 ივლისს, პეტრე-პავლობას და მარიამობას)  
„ქორა მეზირის“ (სახლის მეზირის) საიდებუ-  
ლს ლოცულობდნენ ქალები. სანამ ახალი მოს-  
ავლის ჭამას დაიწყებდნენ, ქალები გამოა-  
ცხობდნენ იმდენ ყველიწართულ პურს, რამდენი  
სულიც იქნებოდა ოჯახში. აცხობდნენ კიდევ  
სამ პატარა პურს, რომლის მასალასაც  
უმაჯობდნენ ახალი მოსავლიდან ერთ ჯამ ფქვი-  
ლს. პატარა პურების ცხობის პროცესისათვის  
კაცებს არ უნდა შეეხედათ. გამოცხობილ  
პურებს ოჯახის უფროსი ქალი პირქვე დაშობი-  
ლი შეულოცავდა „ქორა მეზირს“ - „მინაურ  
ღწერთს“, რომელიც მუდამ ოჯახში უნდა  
ყოფილიყო, რადგან მისი ოჯახიდან ვასვლა  
ოჯახის დაშობას ნიშნავდა. (თუ რას ულოცავ-  
და ქორა მეზირს ქალი, კაცებისათვის საიდუმ-  
ლოს წარმოადგენდა, რადგანაც მისი გაშვება  
„მეზირს“ ვწყინებოდა და ოჯახს აენებდა - ასე  
აუხსენა საიდუმლოს გაუმჟღავნებლობის  
მისწინ დედამ ბესარიონ ნიჭარაძეს, რომლის  
მონაცემებითაც ესარგებლობთ „ქორა  
მეზირის“ რიტუალის აღწერისას). როდესაც  
პირქვე დაშობილი ქალი ლოცვას მორჩებოდა,  
ურთი სამეპურიდან დანიშნულ კედლის ხვრე-  
ლში შედებდნენ, რათა მეზირს შეეჭამა, ორს-  
ნაალოდ ქალები შეჭამდნენ, დარჩენილ ყვე-  
ლიან პურებს კი - ოჯახის უფროსი ქალი ჩაანყო-  
ბდა გოდრომი და ნაიღებდა სოფლის ეკლესია-  
ზე „მოსალოცვად“. ეკლესიის გაღვანას გარ-  
ეთ ქალი გოდრიდან აიღებდა ჯერ ერთ ყველი-  
ან პურს და შევედრებოდა მამა ღმერთს,  
შემდეგ - მეორეს და შევედრებოდა ქრისტეს  
და ა.შ. შევედრებოდა მისთვის ცნობილ წმინ-  
დანებს და ბოლოს იმ ეკლესიას, სადაც მივი-

და... მელიციელ პურებს ვახშად პირობი-  
ვდნენ, როგორც ქალები, ესე მამა კაცებე (9,  
75-76).

როგორც ვხედავთ, ყველა ანგელოზს  
რიტუალში, გადმოიხატავდა რა გველმა სახლში  
- ოჯახში, ნაყოფიერება-ბარაქანობასთან ერთ-  
ად, ახალი ფუნქციაც შეიძინა — ოჯახის მფა-  
რველობა, რიტუალის მონაწილეებად კი კვლავ  
მხოლოდ ქალები დარჩნენ.

როგორ გამოხატა კაცმა ქალების სალოცა-  
ვის სახლში გადმოტანისადმი დამოკიდებულე-  
ბა? კაცმა ქალების სალოცავს დაახლოვდა ან  
მის პარალელურად შექმნა თავისი სალოცავი  
„ფუძის ანგელოზის“, „ნერჩი პატენის“ თუ სხვა  
სახელწოდებით, რომელიც ითვლებოდა  
ოჯახისა და იმ გეარის მფარველად, რომელშიც  
ეს ოჯახი შედიოდა.

ხევაში „ფუძის ანგელოზის“ საბრძანის ან  
კუთხეს წარმოადგენდა „წმინდა კუთხე“ -  
აღმოსავლეთისაკენ მდგარ კედელში და-  
ტანებული ერთ-ერთი შექმნილი (მცირე ზომის  
თანხა). „ფუძის ანგელოზი“ ოჯახთან ერთად  
მიჩნეული იყო გეარ-წამომავლობის მფარველ  
ძალადაც, ამიტომ რელიგიურ ღვთასან-  
აულეზეც გეარში შემავეს ყველა ოჯახში  
„ფუძის ანგელოზს“ სანთლებს უნთებდა და  
ოჯახებს ამწვალობებდა „გორის უფროსი“ (ვე-  
არში უხუცესი კაცა); სხვა დროს კი, ყოველ  
შაბათ საღამოს - „შაბათ შამომავალს“ „ფუძის  
ანგელოზის“ სახელზე ლოცვა „გორის  
უფროსს“ აღარ ევალებოდა; „მოსანთლე-  
მონმინდარი“ იყო ოჯახის მეთაური, რომელიც  
სანთლებს აანთებდა, იქვე კედელში და-  
მაგრებულ ქვაზე ან დედაბოზე მიაკრავდა და  
„ფუძის ანგელოზის“ სახელზე სათანადო ლოც-  
ვებს შეასრულებდა (5, 62).

სამეგრელოში ფუძის მფარველ ღვთაებას  
„ნერჩი პატენი“ ერქვა. ივანე ჯავახიშვილის აზ-  
რით, „ნერჩი“ ნიშნავს ფუძეს, იმ ნიადაგს და  
მიწას, რომელზედაც სახლი დგას. ნერჩისადმი  
ლოცვას - „ნერჩიმი ხვამი“ აღავლენდნენ დიდი  
მარხვის წინ 25 დღით ადრე ორშაბათს ან ოთ-  
ხშაბათს. სახლი მიწის პირას უნდა მდგარიყო,  
რომ „ნერჩი პატენს“ ლოცვა შეესმია (14, 9).  
ამთვალსაზრისით საინტერესოა, აგრეთვე, სამ-  
ეგრელოში, ძველი სტილით ახალი წლის  
პირველი ორშაბათის დღეობა - „ოდუდია სამ-  
გარიის“ სახელწოდებით. ამ სალოცავს დიდ  
ოხვამერს (დად სალოცავს) ან თუმ ოხვამე-  
რსაც (გოქით სალოცავს) უწოდებდნენ. სალო-  
ცავად მიჩენილი იყო სალოცავი ქვევრი „ოხუ-  
ამერ ლაგვანი“, რომელიც ჩადგმული იყო მა-  
რანში, გარეთ - მზის პირზე, სახლის მარჯვენა  
მხარეს ან ვენახში მიქამგარის (მთავარანგე-  
ლოზების - მიქაელისა და გაბრიელის) სახელზე.  
ლოცვას ასრულებდა ოჯახის უფროსი. ერთი  
მამის შვილები ერთად ლოცულობდნენ  
მუხლოდრეკილები ორი კვერთხა და ღვეზუ-  
ლით (კეთებოდა სიმინდის ფქვილითა და ყვე-  
ლით ან მოხარშული შიგნულით). სალოცავად

ნიქონდათ, აგრეთვე, საკლავის ფილტვი, გული და თაყი. ოჯახის უფროსი დაანთებდა სანთლებს, თავზე შემოავლებდა ოჯახის წევრებს და დაილოცებოდა. საკურთხის ქვევართან ქაბდენ. მკერდლთა რწმენით, მიქამგარიასადმი ლოცვის ჩაპარებაზე იყო დამოკიდებული ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ნაყოფიერება (1, 55).

სვანეთში წელიწადში ოთხჯერ ანირვინი ქედნი პაპს (სასულიერო პირთა) ოჯახის კეთილდღეობისათვის. წირვის დღეს ოჯახში უწმინდური ქალი არ უნდა ყოფილიყო. პაპის მისვლისთანავე ოჯახის უფროსი ჩამოქნიდა სანთელს, მოუკიდებდა და მარილის კენიტთან ერთად გადასცემდა პაპს, რომელიც საზეარაკე ვერძი ნაუკითხავად ლოცვას, შეაქმევდა მარილს, მიქურუსავდა ბალანს და გადასცემდა ოჯახის უფროსს დასაღვლად. შემდეგ პაპი გამოაცხობდა ხუთიოდე სეფისკვერს, ცხობის პროცესში ნაიკითხავად ლოცვებს - სეფისკვერის საკურთხის, რის შემდეგაც პაპს ჩაურკობდნენ აბჯამი დიასახლისის გამომცხვარ ოთხ ტაბლას და ორ პატარა პურს, ვერძის შემწეარ გულ-ღვიძლს, ხელში დააჭირებდნენ სახედაშე არაყს, ფეხებში ნაკვერჩხლებს დაუყრიდნენ, რათა ზედ გადავიდეს განმურხილიყო და გაუშვებდნენ ეკლესიაში სანირადად. სადაც სხვადასხვა ოჯახებიდან მისული სხვა პაპებიც დახვდებოდნენ. პაპები ინირუებდნენ, ღმერთს შევედრებოდნენ, რომ მათი წირვა „ღირსიანი უფოს“ მასპინძელს, არაყს დაღვებდნენ, ღვიძლს დიანაილებდნენ და თაყის სანირველ ოჯახებში დაბრუნდებოდნენ, სადაც აკურთხებდნენ სუფრას, რომელსაც მთელი ოჯახი მოუსხდებოდა. შეძლებულ ოჯახებში ნათესავეებსაც ეპატივებოდნენ. ვინც ამრტულად არ შეასრულებდა, მის ოჯახს რაიმე მარცხი მოუვიდოდა: კაცის სიკვდილით, საქონლის დახოცვით ან სხვ. (9, 73). თუმცა ამ უკანასკნელ რიტუალში კონკრეტული დეტალების სახელი არ ჩანს, ლოცვობდნენ ღმერთის სახელზე, მაგრამ მისი მონაილეებით (კაცებით), შინაარსით და მიზნით - ოჯახის (შესაბამისად, გვარის - რადგანაც ეპატივებოდნენ ნათესავეებს და ამასთან რამდენიმე ოჯახი ერთდროულად ანირვინობენ, რიტუალი მსგავსია „ფუძის ანგელოზის“, „ნერჩი პატენის“ და „ოდუდია სამგარიოსი“.

ვაღერძიან ითონიშვილი ხუვის მაგალითზე აღნიშნავს, რომ „სახლის და ფუძის ანგელოზები“ ერთნაირი ფუნქციის მქონე, ოღონდ სხვადასხვა სიდიდის სოციალური ერთეულების მფარველ ლეთებდად ნარმოვრდგებოან. პირველი მათგანის მოვალეობა იყო ერთ ოჯახისა და მისი საცხოვრისის დაცვა, ხოლო მეორისა - მთელი საგვარეულოს მოდგმისა (ფუძის, ძირის) და შთამომავლობის (გვარის ფარგლებში შენავალი ოჯახების) მფარველობა“ (5, 64).

ფიქრობთ, ზემოთ აღწერილი რიტუალებს მიხედვით ამ მოვლენის განზოგადება შეუძლებელია. სახლის ანგელოზი“ და „ოდუდია სამგარი“ ოჯახის მფარველი და ქალების სალოცავად ღვთაებებია, ხოლო „ფუძის ანგელოზი“, „ნერჩი პატენი“, „ოდუდია სამგარი“ და სხვა — გვარის მფარველი და კაცების ცვაზრი მამოდან შეილზე გადადის) სალოცავი ლეთებდა.

საინტერესოა, აგრეთვე, რომ, მოხვევთა რწმენით, სახლს მფარველობდა და სახლის საძირკველში ბინადრობდა „ფუძის გველი“, რომელსაც ჯანმრთელობა და ბარაქა მოპქონდა ოჯახისთვის, მისი არც მოკვლა და არც გაჯავრება არ შეიძლებოდა, მას ჯამში რძეს დაუსხამდნენ და კუთხებში დაუდგამდნენ, გველიც „სახლის კუთხეში იწვის“ (13, 120). ასეთ გველს სახლი „ანგელოზის“ [კე. კეთილი თვისების მქონეს] უწოდებდა, მაგრამ რაკი ის სახლის ფუძეს (საძირკველს) იცავდა, ზოგჯერ მას შეცდომით ფუძის ანგელოზსაც უწოდებდნენ (5, 64). ვალერიან ითონიშვილის აზრით, „ფუძის გველის“ აღრევა-გათანაბრება „ფუძის ანგელოზთან“ გამონეველი ჩანს სიტყვა „ფუძის“ ხმარებით. სინამდვილეში ცნება „ფუძე“ ერთ შემთხვევაში მხოლოდ საძირკველის იდენტური, ხოლო მეორე შემთხვევაში, შედარებით ფართო მინაარსის მოიცველია და ნათესაური გაერთიანების აღსანიშნავადაა ნახმარი“ (5, 64).

ფუძის გველის არსებობისა საქართველოს სხვა კუთხეებშიც სწამდათ, კერძოდ, ფშავში პატრიც სცემდნენ გველს, როგორც სახლში, ისევე ხატში. სახლში, ყორეში თუ თვალს მოპქონებდნენ გველს, არ გაალიზიანებდნენ, არ მოპქლავდნენ, იტყოდნენ - „ფუძისააო“, თუ მოპქლავდნენ, მაშინ იმ ოჯახს დიდი უბედურება დაატყებოდა (კლაცა მოუკვებოდა) (13, 125). საინტერესოა აგრეთვე, რომ საქართველოს ზოგ კუთხეში (იმერეთი, კახეთი, ქართლი და სხვ.) გველს, რომელსაც სახლში, ეზოში ან ვენახში ნახავდნენ, თუშცა რაიმე კონკრეტული სახელი არ მქონდა, მაგრამ სწამდათ, რომ მას ოჯახისთვის დოვლათი და ბარაქა მოპქონდა და რძეს უდგამდნენ. ვინც ასეთ გველს გააბრაზებდა ან მოპქლავდა, იმისი ოჯახის საქმე უკულმა ნავიოდოდა (13, 120-131).

შესაძლებელია, შემთხვევითი არც იყოს „ფუძის გველის“ აღრევა-გათანაბრება. ფუძის ანგელოზთან“ და მოხვევთა რწმენაში ქვეცნობივად გაერთიანდა „ფუძისა და სახლის ანგელოზების“, ანუ კაცებისა და ქალების სალოცავების ფუნქციები (კაცისა და ქალის, ანუ ქმრისა და ცოლის დიდი ხნის ერთად ცხოვრების შემდეგ). ფიქრობთ, ამ მოვლენას გამოსატყვ მოხუერი სახლის კარის თავზე (წირთხლზე) გამოსახული ერთმანეთზე თავებშიდებული და კუდებში მოხვეული ორი გველი (იქნებ დედალ-მამალი?) „ფუძის გველის“ სახელწოდებით (5, 83 ტაბ. XIV).





ველოში არ დასტურდება. ხალხის რწმენაში არსებული ერთადერთი შეხება გველისა მიცვალებულთან არის გველის მიერ მიცვალბულისთვის თვალის ამოღება: გველები თოლს (თვალს) მოულობენ სასაფლაოზე, ქუდებდიანი რომ ვარდაცვლება, იმას ამოუღებენ თვალს, ამოიჭანენ ზევით და ათამაშებენ. ასეთი თოლი საფლავიდან ალაღ გველს ამოაქვს. არამი გველი ამას არ გააკეთებს" (წ, 120). ურც მიცვალებულის კულტის დაკავშირებულ რწმენა - ნარმაგვებში მოვიძიებ გველის - როგორც ტოტემის ნიშნები. ერთადერთი, რაც შესაძლოა საეჭვოდ ჩანდეს, არის აღმ. საქართველოს მთიელთა რწმენა მიცვალებულის უწმინდურობის შესახებ, თუმცა ეს ეხება მიცვალებულის სხეულს და არა სულს (4, 22-26).

აქვე უნდა აღინიშნოს სასწაულად მიჩნეული იმ მოვლენის შესახებ, რომელიც საბერძნეთში არსებობს. კერძოდ, კუნძულ კეფალინიზე მდებარე ორ სოფელში აკრინიოსა და მარკოპოლოში ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე მოივან ჩამოვიან და ეკლესიაში წირვას ადამიანებთან ერთად ესწრებიან თავსე ვკარგამოსახული გველები, რომლებიც მხოლოდ ღვთისმშობლის ხატთან მივიან (სხვა ხატებს ახლოს არ ვკარგებენ) და იქ ირწმენებიან წირვის დამთავრებამდე. წირვის დამთავრების შემდეგ კი გველებიც ადამიანებთან ერთად ტოტემურ ეკლესიას და წირვის დროს სრულიად უწმინდური, წირვის შემდეგ კვლავ სამიწი ხდებიან და მათ ვედღარავინ ვკარგა. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, მეკობრეები თავს დასხმია კუნძულ კეფალინის მოსახლეობას და სასტიკად გასწორებინ მას, აუბრუნებიათ და გადაუწეათ კუნძული. მოხალეკრში მცხოვრები მონახენები მფარველ ღვთისმშობელს შეუბრალებია და გველებად უქცევი იხინი, რომელიც მთებისთვის შეუფარებიათ თავი და მას შემდეგ ღვთისმშობლის პატრიკსაცმად ეკლესიაში მივიან და თავიანს სცემენ მის ხატს (წ, 3). მნიშვნელოვანია ისიც, რომ არსებობს აღნიშნული სასწაულის ამსახველი ვიდეომასალა, რომელიც გადაიკა 2001 წლის აპრილში საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით (პროგრამა — გინდ დაიჯერე, გინდ არა).

აღნიშნული მოვლენა, თულოგთა აზრით, ღვთის ძალით აღესრულება ამოსტასიური საზოგადოების შესავარებლად.

საკურადღებოა, რომ ზემოთ აღნიშნული თქმულების მიხედვით, მარიაამ ღვთისმშობლეს ქალები გველებად აქცია და არა სხვად, რაც გვაფიქრებინებს ქალისა და გველის განსაკუთრებული ურთიერთობის შესახებ, რომელიც ვერ კიდევ სამოთხეში მოწინისა დაინაყო ვეჭვობთ, რომ სასწაულად მიჩნეული მოვლენის არის გასაგებად გახათვალისნიებელია საქართველოში არსებული ქალისა და გველის ურთიერთობის ამსახველი რიტუალები, რადგანაც აღნიშნულ მოვლენაში ჰედათე გველის დამოკიდებულებას არამხოლოდ უფლის-

გან რჩეული ქალის — მარიაამ ღვთისმშობლისადმი, არამედ, ზოგადად — ქალეკამეყელე ადამიანები წირვაზე დავედივართ, რავე მოვისმინოთ ლოცვები ცოდევის განსანძენდად, შევავედროთ უფალს ჩვენი სული და მადლიერება გამოვხატოთ უფლის წინაშე ჩვენი არსებობისათვის.

თუმცა ქრისტიანული რელიგია ცხოველებს მიიჩნევს სულის სამშეინველის არმქორეებად, ვეჭვობთ, გველი ვამოხალისია, რადგანაც ის ჩვეულებრივი ცხოველი არაა, მასში ცოდევილი ანგელოზის სულია. ამიტომ, ვეჭვობთ, გველის წირვაზე დასწრების მიზანიც ისეთივეა, როგორიც ადამიანებისა — ლოცვავედრების აღავლენა და მადლიერების გამოხატვა.

ვევარგამოსახულებანი გველი მიდის წირვაზე, რათა მოისმინოს ლოცვავედრება მარიაამ ღვთისმშობლისადმი (რადგანაც ყოველდმინდა და ღვთისმშობელი, რომელსაც ეკლესია მფარველსა და ქომაგს უწოდებს, ყველა ნიშნადიზე მეტად მონახილოვს ქვეყნიური და ზეციური ეკლესიის ცხოვრებაში, ის აბიდა და აკიბა, რომელიც უბიდაე ზეცას და ჩვენს ზილულ ქვეყანას აერთიანებს), ამით ის ცდილობს მოიხანოს და გაინმინდოს იმ ცოდევისაგან, რაც მან ედემში ჩაივიან: უფლისა და ქალის წინაშე დედაკაცის ცდუნებით, რადგანაც ცხადი გახდა, რომ ქალმა უბიდაე — კაცისა და გველის გარეშეც შეძლო შეიღის — უფლის ძის გაჩენა და პროცესი სასწაულბეროვი — გველი წირვის დროს სრულიად უწმინდელია. ამავდროულად, ამ უწმინდობით გველი მადლიერებასაც გამოხატავს იმ მშვიდობიანი ურთიერთობისთვის, რომელსაც ამყარებდა ქალი მასთან. ადგილის დედისა და სხვა მსგავსი რიტუალებით. თუ გველი ქალისადმი მადლიერებას საბერძნეთში გამოხატავს და არა საქართველოში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სამყარო ერთი მთლიანია და მათ (გველის და ქალის) ურთიერთობას სახელმწიფობეროვა საზღვრები არა აქვს, თუმცა, შესაძლებელია, ადგილის დედის მსგავსი რიტუალები საბერძნეთშიც არსებობდა.

ამრიგად, ედემიდან გამოქევებული დედაკაცი, ახახათებს რა არსებულისადმი შეურიგებლობა (რაც პირველად ედემში გამოჩინდა, როცა აკრძალული ნაყოფი გასინჯა), შეეცადა უფლის ნების (მთამომავლების გაჩენის აუცილებლობა) შესრულებას უფლის წყველისვე შემსუბუქებით — გველთან მშვიდობის დამყარებით, რაც გამოხატა განაყოფიერების — ადგილის დედის, ადემადმებარის, ლამზირის, სახლის ანგელოზის, ქორა მეზირის და სხვა სალოცავების რიტუალებით. ქალის ამგვარ ქმედებას მადლიერების ნიშნად სასწაულის საბით უპასუხა გველმა. კაცი ყველანაირად ცდილობდა დაპირისპირებოდა დედაკაცს აფუძის ანგელოზის, მერჩი პატენის და სხვა მსგავსი რიტუალებით, აგრეთვე გველისთვის თვალის წართმევით, რათა ვანმტკიცებინა უფლისგან ბოძებული უფლება - ებატონა დედა-



კაცზე, რასაც ბუნებრივია, დედაკაცი ვერ შეუ-  
რიგებოდა მისი ბუნების გამო. ამ დაპირი-  
სპირებაში, ვფიქრობთ, სანაყისძივე ჩადებულია  
უფლის ნება - კოდი კაცობრიობის განვითარე-  
ბისათვის. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს დაპირი-  
სპირება არ იყო აგრესიული, არც სიმბოლურად  
და არც რეალურად, ყოველ შემთხვევაში, ქალ-  
ების შხრიდან მაინც, რადგანაც, როგორც ვნახ-  
ეთ, ქალმა მიზნის მისაღწევად თავისი შესა-  
ძლებლობები იდუმალური სიმშვიდით გამოა-  
ვლინა. საინტერესოა, კიდევ რა შესა-  
ძლებლობები აქვს ქალს, ანუ რას  
მოიმოქმედებს ის მომავალში? ამის განჭვრეტა  
ამჟამად ძნელია (თუმცა შეუძლებელი არაა),

მაგრამ ის, თუ როგორ შეძლო (ან შეძლო კი?)  
ქალმა უფლის წყევლის მთავარი სიმძიმის -  
დედაკაცზე კაცის ბატონობის შექმნა, ქება,  
შემდეგი კელევის საგანჩქნება, რადგანაც  
ვფიქრობთ, ეს პროცესი აუცილებლად აისახე-  
ბოდა ქართველი ხალხის ყოფაში შესაბამისი  
რიტუალებით (ქალის განუწყვეტელი ლტოლვა  
უმასიპაციისაკენ თანამედროვე ყოფაშიც ამკა-  
რაა - ქალი კაცის თანასწორად ცდილობს ყვე-  
ლა ყოფითი პრობლემის გადაწყვეტას -  
პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში,  
სპორტში და ა.შ., თუმცა საეკლესიო მოღვაწე-  
ობა, მოუხედავად თანამედროვე რელიგიების  
პროგრესულობისა, მათ მაინც ეკრძალებათ).

### ლიტერატურა:

1. ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ლამბაძიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991.
2. ვ. ბარდაველიძე — ლომია, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, თბ., 1927.
3. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989.
4. დ. გიორგაძე, დაქალებისა და გლოვის წესები საქართველოში, 1982.
5. ვ. იონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967.
6. ეკა ლომიძე, ღვთისმშობლის თავყანისმცემელი გველები, „გზა“ (კვირის პალიტრა), N 22, 9 - 15 ნოემბერი, 2000.
7. სერგი მაკალათია, თუშეთი, თბილისი, 1983.
8. ა. ნადარაია, დემონოლოგიის საკითხისათვის საქართველოში, გურია, (მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის), თბ., 1980.
9. ბესარიონ ნიგრაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962.
10. თამილა პატაშური, ჩვენ დედამზის, ნანას, მსახურები ვართ, გაზ. „ახალი ეპოქა“, 2000 წლის 25 ივლისი.
11. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1993.
12. თ. შარაბიძე, ხარის დაკელის რიტუალი უდიურ ქორნილში, „საქართველო“, თბ., 1-2 / 99.
13. აპოლონ ცანავა, ქართული მითოლოგია, თბ., 1992.
14. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1969.
15. Дж. Томсон, Исследование по истории древнегреческого общества, М., 1958.
16. Зигмунд Фрейд, Толкование сновидений, Киев, 1991.

## ქრისტიანული რწმენა და ფანოქანოლოგიური ლოგია

„მე ვარ ეს, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვრჩევარ  
მეტი, თუ არა წყაით“ (იოანე, 14.6).

„მე და მამა ერთი ვართ“ (იოანე, 10.30).

მაცხოვრების სიტყვა მამისა და ძის განუყრე-  
ლობა ეს შესახებ, ქრისტიანული რწმენის გზისა  
და მიზნის ერთიანობას ამტკიცებს, მაგრამ თუ  
რწმენის მიზანი სრულიად ჭეშმარიტია და მისი  
გზაც, შესაბამისად სიმართლის ერთადერთი  
გზაც, მაშინ არ არსებობს ღმერთთან მიახლოე-  
ბის სხვა შესაძლებლობა, რაც ქრისტიანული  
რწმენის დაპირისპირებას და შეუზღვიებლობას  
უნდა ნიშნავდეს სხვა სარწმუნოების, როგორც  
არაჭეშმარიტ გზის მიმართ.

საინტერესოა, როგორ ხდება ამ შეურთვე-  
ლობის შეთანხმება ქრისტიანულ შემწყნარე-  
ლობასთან. თუკი რწმენაში ყოფნა ჩემი მიზნის  
ურყევო ჭეშმარიტებისა და, აქედან, სხვა სარწმ-  
უნოების სიმცდარის ნათელი დასაბუთებაა,  
მაშინ მიმტკიცებლობა, როგორც ქრისტიანული  
ცხოვრების ზოგადი მცნება, რომელიც კრძალ  
სხვა სარწმუნოების მიმართაც ძალაში რჩება,  
ლოგიკურად აღარ გამომდინარეობს ასეთი მი-  
ნაგანად უკომპრომისო და პრინციპული  
პოზიციიდან.

გაბოსავალი აქ ისაა, რომ უარი ეთქვათ იმ  
ჩვეულებრივ ლოგიკაზე, რომლის თანახმად  
ერთი დებულებიდან გამომდინარეობს მეორე,  
მეორედან მესამე და ა. შ., ეს გახლავთ  
ფორმალური, ანუ გამომდინარეობითი ლოგიკა,  
რომელსაც უნებურად მივმართავთ როგორც  
ყოფაცხოვრებაში, ასევე მეცნიერებაში და  
ფილასოფიაშიც. ჩვენი პრობლემის ქრლში  
ფორმალურ-ლოგიკური ფაქტის რგოლი ასეთი  
იქნება:

თუკი მწამს, რომ ჭეშმარიტია **A** (ქრისტიანო-  
ბა), მაშინ უნდა ვაღიარო, რომ არაჭეშმარი-  
ტია: არა **A** (ისლამი). სანეისი თეზისიდან გამომ-  
დინარე, ლოგიკური ანტითეზა ამ შემთხვევაში  
მიზიქნებს შეურთველობისა და ბრძოლისაკენ  
და არა შემწყნარებლობისაკენ; უფრო სწორად,  
სხვა სარწმუნოების მიმართ შეურთველობას  
და შემწყნარებლობას ერთმანეთის საპირი-  
აპირო და ურთიერთშეუთავსებელ  
მოქმეტებად სახავს, რამაც არ შეიძლება განხ-  
ეთქალება არ შეიტანოს ქრისტიანული მსოფ-  
ლგანცდვის მთლიანობაში.

ეს რომ არ მოხდეს, უნდა დავამსხვრიოთ  
ის ლოგიკური ფაქტი, რომლის თანახმად ჭეშ-

მარიტების რწმენიდან თავისთავად და  
ფორმალურად გამომდინარეობს მტკიცება  
საპირისპირო ანტითეზის მცდარობის შესახებ.  
ლოგიკური ანტითეზა უნდა განიფეგნოს რწმე-  
ნის მიზანზე მთლიანად კონცენტრირებული  
ცნობიერებიდან, რადგან ყოველი მსჯელობა,  
გამოქმედილი ამ საპირაპირო მინარსის მიმა-  
რთ, არის არა ცნობიერების რეალური კონცენ-  
ტრაციის შედეგი, არამედ ფორმალური დააკ-  
ნა ლოგიკის ზოგადი წესების საფუძველზე,  
რომელთანაც არაფერი ესაქმება ქრისტიანული  
რწმენის ფერმიენს.

ფორმალური ლოგიკის უარყოფისა და ახალი  
ლოგიკის ძიების პროცესში, ვფიქრობთ, შესა-  
ძლებელია მივმართოთ ტრანსცენდენტალურ  
ლოგიკას, რომელიც ეფუძნება მუსერლის  
ფენომენოლოგიურ ფილოსოფიაში ჩამოყალი-  
ბდა. ტრანსცენდენტალურ, ანუ ფენო-  
მენოლოგიურ ლოგიკას საფუძველად უდევს ის,  
რაც უგულველყოფილია ფორმალური ლოგიკის  
დინებზე; კრძალს, სამყაროს საგნებისა და  
მოვლენების, უფრო ზუსტად, ამ მოვლენათა  
მნიშვნელობებისა და საზრისების მიმართება  
ადამიანის ცნობიერებასთან. ცნობიერება,  
როგორც ცოცხალი არსი, არის უწყვეტი ნაკადი,  
ენ. „პერკლიტეს მდინარე“, რომელშიც ორჯერ  
შეუძლებელია შესვლა. ეს ნიშნავს, რომ თუკი  
ცნობიერების ნაკადი აზროვნების ზოგად-  
ლოგიკურ კალაპოტში მიმდინარეობს, თვით ამ  
ნაკადის ყოველი წვეთი, ყოველი ჭავლი,  
ყოველი მოძრაობა განუმეორებელია და თუ  
სამყაროს მოვლენებზე ამ განუმეორებელ  
ნაკადთან მიმართებაში განვიხილავთ, მაშინ შე-  
უძლებელია მოვახდინოთ სამყაროს  
სისტემატიზაცია, მისი ლოგიკური იდეათა და  
საზრისთა ქსელში მოქცევა. ასეთი სისტემა  
მოითხოვს განმეორებადობას, პერიოდიზაციას,  
ზოგად კანონზომიერებათა ცოდნას, მაშინ,  
როცა ცნობიერების ნაკადთან მიმართება  
სამყაროს მოვლენას განუმეორებელ,  
უნიკალურ ფენომენად აქცევს და ეს ფენომენი  
გამუდმებით ხელიდან უსხლტება ლოგიკური  
სისტემის ბადეს.

ფორმალური ლოგიკა მოვლენის განმეორ-  
ებადობის პოსტულატს ვყრდნობა. თუ მოვლე-



ნა არ განმეორდა, მაშინ ვერც მისი განმაზოგადებელი კანონი იარსებებს და ველარც დორმალური ლოგიკა იმუშავებს – მისი მეთოდები, ინდექცია და დედუქცია, სწორედ დეტექტის ერთგვაროვნებას ეფუძნება. ამ ერთგვაროვან სისტემაში ხელიდან გვექრება ერთი მხრივ სამყარო, როგორც ვანუმეორებელი სიცოცხლის ნაკადი, მეორე მხრივ კი ცნობიერება, როგორც უნიკალური ფენომენი, ფენომენი, სადაც ვამუდმებით მიმდინარეობს საგანთა და მოკლენათა მნიშვნელობების შექმნისა და ცვალებადობის პროცესი, სულიერი სიცოცხლის პროცესი, სადაც ვეკლადფერი ერთხელ და განსაკუთრებულად ხდება. სულისა და სამყაროს ეს მთლიანობა აღემატება ლოგიკურ შემეცნებას და მოითხოვს ნედომის – განსაკუთრებული სახის აზროვნებას, რომელიც საგანს რამაზებს, როგორც უნიკალურსა და თავისთავადს, მხოლოდ ერთხელ და განსაკუთრებულად არსებულს. ნედომის ფენომენი არ გამოიყვანება შემეცნების შინაარსისაგან ფორმალურ-ლოგიკური გზით, ზოგადი კანონის ან დებულების საფუძველზე. ნედომის ფენომენი ჩნდება და არსებობს თავისთავად; ის, ერთის მხრივ, რაღაც გაცხადებული შინაარსია, მეორეს მხრივ კი „კერძ“ ცნობიერების იმ შიძრაობას, რომელსაც ეს შინაარსი გაცხადდა. ასეთი ფენომენი გვეჩვენებს როგორც თავის ობიექტს, ასევე მისი ნედომისა და განსახიერების სუბიექტურ პროცესსაც, ამ რატომაც ნედომელები ამ შინაარსისაგან აბსტრაქცია ფორმალურ-ლოგიკური დასკვნის გამოტანის მიზნით. აბსტრაქცია შეუძლებელია იქ, სადაც სწავი გვაქვს უნიკალურ მოკლენასთან. მოვლენა კი უნიკალურია იმიტომ, რომ ის ასახავს არა მხოლოდ ობიექტურ მოვლენას, არამედ გვეჩვენებს იმ ცოცხალ სუბიექტურ პროცესსაც, რომელმაც ეს მოვლენა სულის ფენომენად აქცია. ლოგიკა, რომელიც ამ უნიკალურ ფენომენს შეეხება, ვერ ისარგებლებს აზროვნების ფორმალური ნეცბებითა და კანონებით. ლოგიკა აქ მხოლოდ გვისახავს იმ ზოგად-მეთოდოლოგიურ მითითებებსა და ნესებზე, იმ სიმბოლიკასა და რიტუალებს, რომელიც ქმნის ხელსაყრელ სიტუაციას, რათა მიხდეს ამ უნიკალური შინაარსის გახსნა და გამოცხადება. ეს არის ფენომენოლოგიური ლოგიკა, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ მოვლენათა რაციონალურ ურთიერთკავშირს, არამედ თვით მოვლენის შინაარსსა და ამ შინაარსის ნედომის სულიერ ძალისხმევას.

ვეფირობთ, სწორედ ასეთი სახის ლოგიკა მოქმედებს რწმენის სფეროში. ქრისტიანობა, როგორც ცოცხალი ღმერთის რელიგია, აქლავიკის სიცოცხლის უნიკალური ფენომენის მიზართა უნდა ახდენდეს. სიცოცხლის ფენომენშია ჩაქსოვილი როგორც ადამიანის თავისუფალი ნება, ასევე ამ თავისუფლებასთან თანაზიარი იდეა კაცობრიობის ხსნის შესახებ. ეს ღვთაებრივი იდეა გულისხმობს არა მხოლოდ მხსნე-

ლის შემწეობას ადამიანის მიმართ, არამედ ადამიანის შემხედვრ, საპასუხოდ მოქმედებას ხსნის მოლოდინში. ადამუქუნეს-თავიყუფვლი ნების გარეშე ხსნის პროცედურა იქნებოდა გარედან თავს მოხვეული იძულება, ზემოქმედების ობიექტის სრული დეტერმინირების მიზნით. ანუ იგი დაკარგავდა ზნეობრივი აქტის საზრისს და, მამასადაძე, ველარ დაუკავშირდებოდა სიკეთის იდეას – საზიერ და კაცთმოყვარე ღმერთს.

რწმენა ადამიანს არ ეძლევა მხოლოდ ზემოდან. რწმენა მის შინაგანი თავისუფლებისა და ღვთაებრივი განზრახვის პარაშინის ნაყოფია. ქრისტიანული რწმენის მარადყოცხალ ნაკადში შესვლა ხდება საკუთარი ნებით, ადამიანის სულის თვითმოძრაობით, რომელიც, როგორც ვნახეთ, ცნობიერების ცოცხალ და უნიკალურ შინაარსთან შედინარეება. ამიტომ რწმენის სფეროში გამოთქმული დებულებები აღარ ექვემდებარება ფორმალურ ლოგიკას. აქ სიტყვა უნიკალურ ფენომენის სიმბოლიკა, მისი შინაარსი ლოგიკურად არ გამოიყვანება სხვა შინაარსიდან, არამედ ინტუიციურად ცხადდება. გამოცხადებაში ნათდება არა მხოლოდ რწმენის ობიექტი – სრული და უსწავსი რეალობა – არამედ მისი სუბიექტიც; უფრო ზუსტად, ადამიანის მიერ ჩატარებული სუბიექტური აქტი რწმენაში შესვლის მიზნით.

სუბიექტისა და ობიექტის ეს ერთობლიობა ქმნის რელიგიური შინაარსის განუმეორებლობას და შეუძლებელი ხდება ამ შინაარსისაგან აბსტრაქცირება ლოგიკური დასკვნის გამოტანის მიზნით. ამიტომ რწმენაში მყოფი ადამიანისათვის საკუთარი გზისა და მიზნის ბასოლუტური ქეშმარიტებიდან თავისთავად, ფორმალურ-ლოგიკურად აღარ გამომდინარეობს სარწმუნოების სხვა გზათა სიმედარე. როდესაც მე ვახდენ ჩემი რწმენის, ჩემი გზისა და მიზნის სრულყოფას, ამას მე ვახდენ არა აბსტრაქტულად, მხოლოდ ლოგიკის სფეროში, არამედ მთელი ჩემი არსით, ჩემი გულისა და გონების მთლიანობით; მე მთლიანად ჩავექსოე ჩემს თავს ამ პროცესში და აღარ მრწება სულიერი ენერგია, რომ უარყოფითად განვეყო სხვა სარწმუნოების მიმართ. მთლიანად, ამომურავად კონცენტრირებული ჩემი რწმენის მიზანზე, მე აღარ ვარსებობ ამ კონცენტრაციის მიღმა. ჩემი გონება, ჩემი ლოგიკური აზროვნება ვერ გადასცდება ჩემი სულიერი არსებობის საზღვარს და ამიტომ ველარ განსჯის, ვერ განიკითხავს იმას, რაც ხდება ამ საზღვრის მიღმა, სხვა სარწმუნოების სფეროში.

ამრიგად, ერთი მხრივ მე ვერ შევალ ცოცხალი რწმენის ნაკადში, თუ ბოლომდე ამ ვირწმენე ჩემი გზისა და მიზნის სრული ქეშმარიტება, მაგრამ მეორე მხრივ, მე ვერ გავყვები ამ ნაკადს, თუ ლოგიკური ჯაჭვის ბორკლი დავიდე და ჩემი ქეშმარიტებიდან გამომდინარე, გამოვიტანე დასკვნა სხვა სარწმუნოების მცადრობის შესახებ.



ნათქვამი სულაც არ ნიშნავს, რომ ქრისტიანთა არ შეიძლება დაუპირისპირდეს რელიგიური ცნობებების სხვა შესაძლებელ ფორმას. ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ ამ დაპირისპირებას არ შეიძლება ჰქონდეს ფორმალურ-ლოგიკური საფუძველი. ჩემი რწმენაში ყოფნის ფაქტთან თავისთავად და ფორმალურად არ გამოშინარეობს სხვა სარწმუნოების უარყოფა. ასეთი უარყოფა-დაპირისპირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა რელიგიური აზროვნება ხელს უშლის ჩემს მიზანს კონცენტრაციას რწმენის გზასა და მიზანზე. ეს უკვე სრულიად არაფორმალური, შინაარსობრივი მიზეზია, რათა ნინა აღმდგეობა გვეხერხოს რწმენის სინნიზმის ამპლერგველ უცხო შენაკადს. ამ შემთხვევაში მე ვებრძვი ეკლესიური ცხოვრების შემოფარგვლელ ძალას და არა ჩემი ქვემარტების საპირისპირო ლოგიკურ დებულებას ფორმალურ-საკუთლათიკური აზროვნების სფეროში. მე ვებრძვი ძალას, რომელიც ხელს მიშლის შემოქმედებაში — საკუთარი არსებობის საზრისის დადგენაში, რაც ეკლესიური რიტუალის გათავისების გზით უკლებს ქრისტიანულ დოგმას; დოგმას, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ დაადგინა დღევანდელ, მაგრამ თავს არ მომახვია ძალით, პირდაპირ და მექანიკურად არ გადმოვიცა მე. ჩემი შირიდან დაუშვა თავისუფალი ნება, შემოქმედება, რომელიც უკვე დადგენილ საზრისს, სულიწმიდის შემწეობით, თავიდან შემაქმნევის ნიშნავს. ეს გახლავთ მცნების გათავისების პროცესული აქტი, რომელიც სწორედ თავისუფალი ინდივიდუაციის გზით ერწყმის მთელი მრევლის, მთელი ეკლესიის მიერ ქვემარტების წვდომის რიტუალს; რიტუალს, რომელიც ექვემდებარება არა ფორმალურ, არამედ ფუნქციონოლოგიურ ლოგიკას — ინტუიციური ხილვით და გამოცხადებისთვის საჭირო ცნობიერების ლოგიკას.

თუკი უცხო ძალა შემოიჭრება ამ რიტუალში, შეაფრებებს და დაარღვევს მას, ის ჩემი მხრიდან ნინა აღმდგეობას ნააწყუდება. მაგრამ ვიმორაბობ: მე ვიცავ აქ ჩემი რწმენის სინნიზმს და ვეკლესიის ცოცხალ მთლიანობას და არა ფორმალურ დებულებას საკუთარი ქვემარტების უპირატესობის შესახებ სხვა სარწმუნოების მიმართ.

ამრიგად, ფუნქციონოლოგიური ლოგიკა, ლოგიკა, სადაც გათვალისწინებულია ფსიქოლოგიური მომენტები, უფრო სწორად, ადამიანის ცნობიერების ის განუმოკრებელი, ცოცხალი ნაკადი, რომელიც დაადგენს ლოგიკურ შინაარსთა საზრისებს, არის აზროვნების ის ზოგად-სტრუქტურული ფორმა, რომელშიც ხდება უნიკალური სულიერი ფენოქსის გამოცხადება. ასეთი ლოგიკა გამოიყენება მხოლოდ იმ შინაარსის მიმართ, რომელიც ამავე დროს მოიცავს ამ შინაარსის

განსაზღვრელ სუბიექტურ პროცესსაც; სადაც გვაქვს არა საზრისთა და მნიშვნელობების უნიკალური ჩამოყალიბებული სისტემა, არამედ უნიკალური ელობათა ძიებისა და დადგენის ცოცხალი, შემოქმედებითი პროცესი.

როგორც ვამტკიცებ, სწორედ ეს პროცესი ხდება ქრისტიანულ-საეკლესიო რიტუალში. ქრისტიანობა, მიუხედავად თავისი დოგმატური ხასიათისა, უფრო სწორად, ამ თავისებური დოგმატიზმის ძალით, ლთაებრივ ქვემარტებასთან მისვლის შემოქმედებითი პროცესია, სადაც პირდაპირ და ფორმალურად კი არ ვადმოიხდის ქრისტეს მცნება ადამიანის სულში, არამედ მისტიკური რიტუალის გზითა და სულიწმიდის შემწეობით ჩნდება ცნობიერების თავისუფალი მოძრაობა ქვემარტების თავიდან აღმოჩენის, დადგენისა და მასთან ზიარების მიზნით. ადამიანის თავისუფლების გარეშე ვერ დაიშინებურად ლოგიკური აზროვნების ჯაჭვი და ვერ აღმოცენდება რწმენა, როგორც ზნეობრივი, სიკეთისმომცველი ფენომენი, როგორც ადამიანის ნების თანხვედა მესლის განხორციელების ლევაბრივ იდეასთან.

მაგრამ ხომ არ გვეკარგება თავისუფლება, როცა ხდება პიროვნების შემოქმედების ორიენტაცია რელიგიური დოგმის მიმართ? შემოქმედების ნაყოფი ხომ უნიკალური, ყველაფრისგან განსხვავებული ფენომენია? ამიტომ იგი შეიძლება დაუკავშირდეს რელიგიურ მცნებას არა თავისი სუბიექტურა, ფსიქომოციური შინაარსის მიხედვით, არამედ თავისი იდეის, თავისი მნიშვნელობის საფუძველზე. რწმენაში პიროვნება აღაშენებს საკუთარი სულიერების თავისუფალ და განუზიარებელ ფენომენს, რომელსაც ზოგად-ეკლესიური რიტუალის გზით ანიჭებს დოგმატური მცნების მნიშვნელობას. მნიშვნელობის მინიჭების ამ ურთულეს პროცესში, ერთის მხრივ, გვაქვს თავისუფლება, რაკი ჩნდება უნიკალური ფსიქომოციური შინაარსი, მეორეს მხრივ კი გვაქვს ქვემარტებასთან ზიარების ზეინდივიდუალური რიტუალი. განზოგადებისა და ინდივიდუაციის ეს ორი განსხვავებული პროცესი ქრისტიანულ მსახურებაში ერთიანად მიმდინარეობს. ამასთან, პიროვნული ინდივიდუაცია ხდება უშუალოდ სულიწმიდის მადლით, ხოლო განზოგადება და საერთო ქვემარტებასთან ზიარება — ქრისტეს შემწეობით, რომელშიც დააფუნდა მორწმუნეთა ერთობა და ეკლესიის ცოცხალი მთლიანობა.

ამრიგად, ქრისტეს აღდგომითა და მოციქულთა ნინა აღმდგეობით გამოცხადებით დამკვიდრდა მოციქულთა (მორწმუნეთა) ერთიანობა და ერთიანი ეკლესია, ხოლო სულიწმიდის გზით როცა სულიწმიდის ცეცხლი უშუალოდ და ცალკეადაც გადმოვიდა მოციქულზე და მკვიდრდა მორწმუნის პიროვნებაში, მისი თავისუფლების ორიენტაცია რწმენის ერთიანობაში.

1 ამ პრობლემის ინტერპრეტაციაში ძირითადად ვყვარდებით ლოსის თვალსაზრისს. იხ. ლიტერატურა №2.



# არეოპაგიტული ისტორიკა და კარლ-გუსტავ იუნგის არქეტიპების თეორია

ფილოსოფიური აზრის ისტორიაში ცნობილია, რომ არეოპაგიტული მოძღვრება ანტიკური ფილოსოფიის, კერძოდ ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანული იდეების პირველი სისტემური გაერთიანების ცდას წარმოადგენს.

ფ. ეველი-დლიონსე არეოპაგელის თხზულებებში ამოსავალი წყარო არის სახარება. იგი მიზნად ისახავს სახარებისეული ძირითადი იდეების ნეოპლატონურ გადაშუქებასა და მათ დამკვიდრებას. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ისიც, რომ ნეოპლატონური ფილოსოფიის ყველა დებულება პარამონიულად როდი ერწყმის ქრისტიანულ შეხედულებებს. ისიც საყურადღებოა, რომ მთელი რიგი დებულებების განხილვის დროს, მიუხედავად ფსევდო-დლიონსეს მკაცრი ფილოსოფიურ-ლოგიკური დასაბუთებისა, ის მაინც უძევებს იმ აზრს, რომ მის მიერ მოცემული ახსნა შეიძლება იყოს ნაკლოვანი. ეს კი შეტყვევებს იმაზე, რომ მისი სტილი არ არის დოგმატურ-დიდაქტიკური.

არეოპაგიტული კრებული შედგება ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ოთხი ტრაქტატისა (1. საღმრთოთა სახელთათვის, 2. ზეცააა მღვდელთმთავრობისათვის, 3. საეკლესიო მღვდელთ-მთავრობისათვის, 4. საიდუ-მლოდ ღმრთის-მეტყველებისათვის) და სხვადასხვა სასულიერო პირებისადმი განკუთვნილი ათი წერილისაგან (ეპისტოლეები ათნი: ვალის მიმართ, დორითუს მიმართ, სოსიპატრუს მიმართ, პოლი კარპუს მიმართ, ტიტუს მიმართ, იოანეს მიმართ).

ამ წერილების შინაარსი ძირითადად ეკლესიის ყოფით პრობლემებს ეხება. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მე-9 წერილი იპყრობს (ტიტუს მიმართ), სადაც განხილულია ღვთაების შემეცნების ორ გზა.

ზემოთ აღნიშნული ოთხი ტრაქტატისა და ათი წერილის გარდა, ფსევდო-დლიონსეს უნდა დაეწერა სხვა თხზულებანიც, რომელთა სახელწოდებებიც მოდერნულ ტესტებშია ხსენებული, კერძოდ:

1. სულის შესახებ;
2. ანჯელოზთა ჩინებისა და თავისებურებების შესახებ;
3. სიმბოლური ღვთისმეტყველება;
4. საღმრთო ქებანი;
5. სულიეროსა და გრძნობითის შესახებ;
6. ღვთაებრივი ჰიმნები.

არეოპაგიტული მოძღვრების პრობლემების სფერო საკმაოდ ფართოა, შეიძლება ითქვას უნივერსალურიც. იგი საჭიროებს კვლევას ფილოსოფიური, თეოლოგიური, თეოსოფიური, ისტორიულ-ფილოლოგიური, ხელოვნების ისტორიისა და რაც მთავარია, ჩვენი მიზნებისათვის ესთეტიკის მიმართულ-ებით.

არეოპაგიტული კორპუსის პრობლემების შესწავლა საქართველოში დაახლოებით ნახევარ საუკუნეს ითვლის. მიუხედავად ამისა, არეოპაგიტიკის კვლევა ესთეტიკის მეცნიერების პოზიციებიდან, მისი ესთეტიკური პრინციპებისა და ნორმების დადგენა, თუ შეხედულებაში არ მივიღებთ არეოპაგიტული თხზულებების, როგორც მხატვრული შემოქმედების გააზრებას\*, ჯერ კიდევ მოძალის საქმეა და საჭიროებს ამ კრებულის ღრმა ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ანალიზს.

უკანასკნელ პერიოდში წევნ სპეციალურად ეიკლევთ არეოპაგიტულ მოძღვრებას ესთეტიკის მიმართულებით, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს და მას არაერთი სამეცნიერო სტატია მიუძღვენით, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ამ მიმართებით, სხვადასხვა კონკრეტული საკითხების შესწავლამ (იერარქიის თეორიისა და სიმბოლოების ესთეტიკური ასპექტი, არეოპაგიტიკის ფილოსოფიურ-ესთეტიკური სისტემის არსების შესახებ, არეოპაგიტიკის როლი შუა საუკუნეების მხატვრული აზროვნების განვითარებაში, მისი გავლენა დასავლეთის ესთეტიკაზე და სხვა), ვფიქრობთ მომავალში უნდა წარმოაჩინოს არეოპაგიტიკაში არსებული პრობლემების მთელი სპექტრი, ამით კი საფუძველი უნდა მომზადდეს ამ მოძღვრებაში ორგანულად ჩანსული ესთეტიკური პრობლემების მთლიანობაში შესასწავლად, რომელშიც იკვეთება და სახეზეა ის მთავარი მომენტები და ელემენტები, რომელთა შემეცნებითაც იმდება ესთეტიკურის მთლიანობა.

წინამდებარე სტატიაში გვინდა საეკლესიურად შევეჩრდეთ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც მხატვრული შემოქმედების პრობლემას უკავშირდება.

საქმე ეხება „არქეტიპის“ ცნებას, რომელსაც მხატვრული შემოქმედების თანამედროვე თეორიებში, განასკუთრებული ყურადღება ექცევა. როგორც ს. აკერინციევი შენიშნავს, „ს. გ. უნგამ არქეტიპის“ ცნება სწორედ

\*ამასთან დაკავშირებით იხილეთ: მ. ბარათელი, მხატვრული შემოქმედების საკითხი არეოპაგიტულ ესთეტიკაში, თბ., 1998 (საკანდიდატო დისერტაცია)



არეოპაგიტული წიგნებიდან აიღო". მართლაც, არქექტივი არეოპაგიტულ მოძღვრებაში ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობის მქონე დენომინია.

როგორც ცნობილია „არქექტივი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს პირველსახეს. იგი გამოყენებული იყო გვიანბანსკური პერიოდის დიოხონოფიაში, კერძოდ, ქრისტიანულ ნკოპლატიონიზმში (ვილონ ალექსანდრიელი და სხვები), თავისებურად იქნა წარმოდგენილი იგი არეოპაგიტულ თხზულებებში. არქექტივის ცნება არეოპაგიტიკაში გამოყენებულია სწორედ — მხატვრული შემოქმედება პრობლემის განხილვისას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მხატვრული შემოქმედების პრობლემას ესთეტიკის მეცნიერებაში მე-20 საუკუნემდე შედარებით უმნიშვნელო ადგილი უკავია. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან კი იგი თანდათანობით განსაკუთრებული ინტერესის საგანი ხდება. უფრო მეტიც, მან ესთეტიკის პრინციპული მნიშვნელობის მქონე საკითხების რიგში გადმოინაცვლა და ამ მეცნიერების ერთ-ერთ ნამყვან პრობლემად იქცა. ესთეტიკაში ამ პრობლემის პარალელური ჩატვის საქმეში უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვით ზიგმუნდ ფროიდსა და მის მიმდევრებს. ის დიდი გავლენა, რაც ფროიდს და მის მიმდევრებს აქვთ მე-20 საუკუნის მხატვრულ-ესთეტიკურ ცხოვრებაზე საერთოდ და მხატვრულ კულტურასა და ესთეტიკურ თეორიაზე კერძოდ, იმაშიც გამოიხატა, რომ მათი იდეები სხვადასხვაგვარ კორექტირებასა და ტრანსფორმაციას განიცდიან და ამით გამდიდრებას პოულობენ ფრიოდიზმისა და ნკოფროიდიზმის მრავალრიცხოვან წარმომადგენელთა ნააზრევში.

ამ წარმომადგენელთაგან განსაკუთრებით კოლორიტული ფიგურა გახლავთ კარლ-გუსტავ იუნგი. ფროიდის პირველი მოწაფე და მიმდევარი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს ფროიდიზმის დამწყობსა და ამ მიმდინარეობის ისეთი წარსახეობის შემქმნელსაც, რომელსაც უკვე დიდი ხანია იუნგიანელობით იცნობენ. ფროიდიზმის მიმდინარეობებში სწორედ იუნგიანელობა ისეთი ფორა, რომელიც ყველაზე გამოკვეთილად ამჟღავნებს მხატვრული შემოქმედების პრობლემას. ჩვენ დეტალურად არ განვიხილავთ იუნგის შესვლას ამ საკითხში. ეს არ არის ჩვენი ამოცანა. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ საერთოდ რა როლს თამაშობს იუნგის მოხედვით მხატვრული შემოქმედების პროცესში არქექტივის ცნება. არქექტივის სახით იუნგმა შექმნა თავისი ფილოსოფიურ-ესთეტიკური პრინციპების რეალიზაციისათვის უაღრესად კონსტრუქციული ცნება.

იუნგი აღნიშნავს, რომ არსებობენ გარკვეული მოტივები და ცნებათა კომბინაციები, რომლებიც ხასიათდებიან, ყველგანმყოფობით, ისინი მუდმივად ავლენენ თავს არ მხოლოდ შიშობსა და რწმენაში სრულიად განსხვავებული ხალხებისა, არამედ, აგრეთვე, მითოლოგიის

არმოდნე თანამედროვე ინდივიდების სიზმრებსა და ბოდიის დანტაზიებშიც კი. ეს ბოდიები იმდენად დანტასტიკურნი და „სიზმრებრივი“ არიან, რომ შეუძლებელია ისინი დეტერმინირებული იყვნენ გარესამყაროს ლოგიკით; რჩება ერთი შესაძლებლობა: კერძოდ, მათი წარმოშობი კანონზომიერებათა თვით ფსიქიკაში. იუნგი ვარაუდობს, რომ არაცნობიერი ყოველთვის და ვეღვან აწარმოებს, ქმნის გარკვეულ სქემებს, რომლებიც აპრიორულად ავალიბებს ადამიანის წარმოდგენებს. სწორედ ამ სქემებს უნდა მან „არქექტიკები“ ზახუნდა გაეგვას, რომ მას მხედველობაში აქვს სწორედ სქემები და არა წარმოდგენები (წარმოდგენებს ეს სქემები ავალიბენ).

არქექტიკები ზოგადად შეიძლება ასე დაეახსიანთ: არქექტიკებს აქვთ არა მინარსული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ნიშნები, და ისიც უაღრესად შეზღუდული სახით. მინარსული ნიშნებს პირველსახე მხოლოდ მაშინ იძებს, როცა ის ცნობიერებაში შევლენებს და ამ დროს ცნობიერი გამოცდილების მახალით ივსება... არქექტიკი თავისთავად არის ცარიელი; ფორმალური ელემენტი, ესე იგი, სხვა არაფერი, თუ არა პრეკონიერების უწარმი, წარმოდგენების გაფორმების a priori მოცემული შესაძლებლობა<sup>2</sup>.

თავიანთი არაშინაარსულობის მიუხედავად არქექტიკები მინარსებს წარმომადგენელ კოლექტიური არაცნობიერის მიმართ. ისინი ამ უკანასკნელის მინარსებია როგორც გარკვეული ფორმალური წარმონაქმნები. „არქექტიკები, — ნერს იუნგი, — არის სიმბოლური ფორმული, რომელიც ყოველთვის იწვევს ფუნქციობას იქ, სადაც ცნობიერი ცნებები ან არ არიან, ანდა მინაგანი და გარეგანი საფუძვლების მიხედვით საერთოდ შეუძლებელია არიან“<sup>3</sup>. ამრიგად, არქექტიკები, ერთის მხრივ, აწხოვადებენ არა ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურ, საყოველთაო მინარსს. მუორც მხრივ, ისინი არსებობენ როგორც მხოლოდ სიმბოლოები, როგორც „სიმბოლური ფორმულიები“.

მიუხედავად თავიანთი ფორმალურობისა, არაშინაარსულობისა, არქექტიკულ ფიგურებს ახასიათებს შემდეგი თაკისებურება. იმის შესახებ მოსადა, თუ რამდენად უფრო გამოკვეთილინი ხდებიან, მათ ახლავს არაწვეულებრივად გამოცოცხლებული ემოციური ტონი, ესე იგი, ისინი უწარმოქონენი არიან იყენენ მთამბეჭდავნი, მთამაგრებელნი, გაცელების გამოშვენი, არქექტიკებში აკუმულირებული ფსიქიკური ენერჯია სრულიად ნეიტრალურია სიკეთისა და ბოროტების მიმართ. არქექტიკები თავისთავად არც მორალურია და არც მახინჯი, არც საზრანი და არც უსაზრისო, მაგრამ მათში მოცემულია გარკვეული ღიაობა, სიკეთისა და ბოროტების უკიდურეს გამოვლენათა შესაძლებლობა.

საერთოდად ერთი გარემოებაც არქექტიკების შესახებ იუნგის მსჯელობა ანალოგიური პლატონის მსჯელობისა იდეების შესახებ და არისტოტელის მსჯელობისა ფორმის შესახებ. ეს



ბუნებრივიცაა, უნაბიდან სწორედ იდენობა და ფორმის პლაც-ნისეულ და არისტოტელესეული ცნებების შინაარსის განვითარებით ჩამოყალიბდა არქიტექტონის ცნებო. შინაარსი გვიანანტიკურ ფილოსოფიაში, მათ შორის არეოპაგიტკაშიც, სადააპაცროგორც უკვე აღინიშნა, ნამოილო იგი უნდა იყოს.

სრულიად ლოგიკურად დგება ასეთი კითხვა: სად უნდა ვეძებოთ არეოპაგიტულ ნიგნებში არქიტექტონის ფუნქციონის შინაარსი? — ამასთან დაკავშირებით თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სწორედ მხატვრული შემოქმედების პროცესისა ის არეალო, სადაც უნდა ნარმოიწნდეს არქიტექტონის შინაარსი, ამ შინაარსის სპეციფიკური მხარეები, ამასთანავე ნაჩვენები იქნას დანარჩენი, მასთან სიახლოვეში მყოფი. — ფუნქციონებთან მისი კავშირ-ურთიერთობა. ეს უკანასკნელი გარემოება იმაზე მუთუთებს, რომ იგი (არქიტექტონი) იზოლირებული, განკალკერებული არ არის მათგან.

რეკონკრეტული, არქიტექტონი რაღაც კავშირ-ურთიერთობაში გვესახება. ამ კავშირ-ურთიერთობაში შემოდის მხატვრული სახის, ტიპის, მშენიერების, ადრელეზულის, ბაძების, სიმბოლოს, სინათლის, ფერის კონტრასტის მოვლენები, რომლებიც არეოპაგიტულ ესთეტიკაში მხატვრული შემოქმედების პროცესში იგულისხმება, მაგრამ არა შექანიურად (ეს უფრადიად უნდა არ არის), არამედ თითოეული მათგანი ამ პროცესის უარსებითეს მხარეს გამომხატავს და მინაგანად ჩართულია მასში.

არეოპაგიტულ მოძღვრებაში პირველსანყისი და სამყაროს ნარმოქმნა მხატვრული შემოქმედების პროცესის ანალოგიურია. ამ ანალოგიურ პროცესში აღნიშნული მოვლენები გარკვეულ დანიშნულებას ასრულებენ და ამით ქმნიან არეოპაგიტულ ესთეტიკაში მხატვრული შემოქმედების მთლიან სურათს, სადაც მოიაზრება ისეთი უძირითადესი ინსტანცია, რომელიც თავისში აერთიანებს ყველა შემოაღნიშნულ ფუნქციონს, ამასთანავე, იგი არის მხატვრული შემოქმედებით პროცესის დამწყობი და დამამთავრებელიც, იგი არის შემოქმედი. ესე იგი, მთელი კატეგორიული და ცნებით აპარატი არეოპაგიტული ესთეტიკისა ჩვენ უნდა გავიაზროთ ისეთ მთლიანობასა და ერთიანობაში, სადაც მოხდება მათი თავმოყრა, კონცენტრაცია. ისეთი უძირითადესი ინსტანცია არის პირველსანყისი. სწორედ იგი უნდა იქნას კავშირ-ურთიერთობაც და მთლიანობა-ერთიანობაც.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ასეთი ამონაწერი არეოპაგიტული ნიგნებიდან: „ყოველი მოცემა კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდმო არა გარდა მხოველი მამისაგან ნათელთაჲსა. არამედ ყოველივეცა იგი მამით მოძრავისა ნათელი-საჩინოებისა ნინა-გამომავლობაჲსა სახიერებისათჳს. ყოველი მომავალი, კუბალი ვითარცა ერთ-მყოფი ძალი აღყვებით აღმოყვანებს და მომამტვეს ჩუენ შემკრებელისა მის მამისა ერთობისა და ღმერთ-წყოფელისა სიმარტოვისა მიმართ. რამეთუ მისგან და მისსა მიმართ არს ყოველი, ერთი იგი სამღვდელთა სიტყუა იტყეს“.

აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ყოველივე მოდის ზემოდან, იქნება ეს კეთილესეულიც ან არი თუ ნიჭი, მშენიერება თუ სიკეთესეულიცა. ესე ებულობა თუ სილაამაზე-ესე იგი, ყოველივე ამის გამაერთიანებელი, საერთოდ, სულ ისინამდგმელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი არის უზენაესი ინსტანცია პირველსანყისის სახით. ამ შემთხვევაში მის უზენაესობაში გვერდისხმობთ და ხაზს ვუსვამთ, პირველ რიგში, ესთეტიკურ ასპექტს (თუმცა არ უნდა დავივიწყოთ სხვა ასპექტები და მათ შორის, ასევე მთავარი — ეთიკური).

ყოველივე აქ აღნიშნული შეიძლება ასე შევაჯამოთ: არქიტექტონის საკითხი ჩვენ უნდა ვიკვლიოთ გარკვეულ კავშირ-ურთიერთობასა და მთლიანობა-ერთიანობაში. ასეთ აუცილებელ და ამავე დროს საკმარის მოთხოვნას აკმაყოფილებს პირველსანყისის ცნება, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც (არქიტექტონისა), და საერთოდაც მხატვრული შემოქმედების საკითხების კვლევის დროს ყუნდამენტურ ცნებას ნარმოადგენს.

სახამ გაავრძელებდეთ მსგელობას უფრო კონკრეტული მიმართულებით, საქით იქნება ვაჩვენოთ „ბაძვის“ ცნების არეოპაგიტული შინაარსი, რაც ამ მოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ესთეტიკური კატეგორიაა.

„ბაძვის“ ცნების განილიყა ორმად მნიშვნელობას იძენს ჩვენთვის. ვერ ერთი, ნაჩვენები იქნება მისი ბუნება არეოპაგიტული ესთეტიკის კონტრასტში, კერძოდ, ის, რომელსაც იგი მხატვრული შემოქმედების პროცესთან კავშირში ავლენს, და, მეორე, აქედან შესაძლებელი ხდება არქიტექტონის საკითხზე მსგელობის გაგრძელება, უნაბიდან ამ უკანასკნელის შინაარსის გააზრება სწორედ „ბაძვის“ ცნებასთან უშუალო კავშირში უნდა მოხდეს; ეს იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, არქიტექტონის გააზრება ჩვენ მხოლოდ გარკვეულ კავშირ-ურთიერთობასა და მთლიანობა-ერთიანობაში გვესახება. აქ კი არქიტექტონის ცნებისათვის, ასე ეთქვათ, ერთ-ერთი შეკავშირეა „ბაძვის“ ცნება.

არეოპაგიტული მოძღვრების ავტორი ავენებს „ბაძვის“ ანტიკური პრინციპის არსებითად ახალი გააზრების საკითხს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი საგანი ერთდროულად ტრანსცენდენტური პირველსანყისის მსგავსი დაა და არამსგავსიც. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია არა ჩვეულებრივი „ბაძვა“, არამედ მხოლოდ „მოუბამველი ბაძვა“. ასეთი ანტიინომორი ფორმულით ავტორი ხაზს უსვამს თავისი სისტემისა და კლასიკური ესთეტიკურ-ფილოსოფიური სისტემების პრინციპულ განსხვავებას. მოცემულ შემთხვევაში, იგი მინადა იხაზავს „მიმეზინის“ ანტიკურ გაგებას დაუპირისპიროს პირველსანყისის სახეობრივი ბაძვის საკუთარი იდეა — როგორც უმთავრესი ეტაპი ჰემმარტივის, სიკეთისა და მშენიერების მიღწევის გზაზე.

თუ ძველი ბერძნული ცდილობდნენ პირველსანყისის უშუალოდ შექმენებას, თვლიდნენ რა



ხილული სამყაროს საგნებს ქვემარტების შილოდ და შილოდ ჩრდილებად (პლატონის სკოლა), ბიზანტიულ მოაზროვნებს კურადღების აქცენტები გადააქონდათ გამოალებული შემეცნების მეთოდზე. არეოპაგტიკის ავტორის აზრით, ცეკელს მრავალი თვისება აქვს. ისინი წარმოადგენენ პირველსანისის (ლეთაბრივი) თვისებების „გრძნობად ხატებს“ (ეს ტერმინი არეოპაგტიკულია). მოუხდავად ამ მსგავსებისა, იდეალურიცა და ამაღლებულობისა, ეს თვისებები მინიც შორსა პირველსანისთან მსგავსებისაგან, იმიტომ, რომ იგი (პირველსანისი) ზეალმატებულია ყოველგვარ არსებულზე და სიცოცხლეზე, ყოველგვარი სიტყვა და გაგება შეუდარებლად შორსაა მისგან.

არეოპაგტიკის ავტორი გაცილებით მაღალ შეფასებას აძლევს „არამსგავს მსგავსებას“, არამსგავს იმ შიკუთვებას პირველსანისის პროფატიკურ აღნიშვნებს. თუ ღვთაებრივ საგნებთან მიმართებაში უარყოფითი აღნიშვნები უფრო ახალი ქვემარტებისათვის, კიდრე დადებითი, მაშინ უბილავისა და გამოუსახავის გამოყოფის ნებისათვის გაცილებით უფრო შესაფერისია არამსგავსი გამოსახულებები. აქ ავტორი აგრძელებს ალექსანდრიული სკოლის გზას, რომელიც ეგრძობდა ფილოსოფიას (ორიგენე, გრიგოლე ნოსელი).

არამსგავსი სახეები აუცილებლად უნდა შეიქმნას ანტიკურისაგან დიალექტურულად განსხვავებული პრინციპებით და მათში მთლიანად უნდა იქნას უარყოფილი ადამიანთა მიერ აღქმული ისეთი თვისებები, როგორებიცაა: კეთილმოძღვება, სილამაზე, პარმონიულობა და სხვა, რადგანაც ესენი ავტორის აზრით, არის ადამიანის მიერ დაქტერტილი ხატის უხეში მატერიალური ფორმების არქეტიპი და არ შეიძლება ადამიანმა მათზე (ე.ი. ამ თვისებებზე) შეაჩეროს თავისი გონება. უხეანესი სულიერი არსებების გამოსახვისათვის უკეთესია გამოყენებულ იქნას მდებარე საგნების სახეები, ისეთები, როგორებიცაა: ცხოველები, მცენარეები, ქვები და თვით მატერიალური საგნების გამოყენება უნდა იქნას მხოლოდ იმისთვის, როგორც მათი მნიშვნელობა ენიჭებათ.

აქ არეოპაგტიკის ავტორი შეგნებულად მიდის მხატვრული აზროვნებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ისეთი საინტერესო დონომენის თეორიულ გახსნებამდე, როგორცაა კანტარასტი, ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ არისტოტელემ მოაქცია ვრცელდება თავის „მოქტიკაში“, როდესაც აღნიშნავდა, რომ „უგვანო“ და „ხადავლი“ ცხოველებში შეიძლება აისახოს ხელმოწევაში და იყოს სიამოვნების მომწიქებელი. არეოპაგტიკის კი სრულიად სხვაგვარ შეხედულებასთან გვაქვს საქმე. არამსგავს საბელებს აქ განსაკუთრებული სახის ნიშანსიმბოლური ბუნება აქვთ, იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც მიეკუთვნება სულიერ არსებებს, უნდა გავიანზოთ სრულიად სანიხალმდეგო მნიშვნელობით, კიდრე ამას ვახდენთ მატერიალურის საყაროსდ საგნების გააზრებისას.

არეოპაგტიკის მიხედვით არამსგავსი სახეები არამხოლოდ პირიბითი ნიშნებია, არამედ

რაციონალური სიმბოლოებიც, რომელთა სტრუქტურა რთულია. ისინი „მარტქმლამა“ შორის ფლობენ ფსიქოლოგიური ნაშაპმსწერებქცხასაც. ამოღისრა ამფუნქციოდან, ავტორი გვიხსნის არამსგავსი სახეების აუცილებლობას და თვლის, რომ არამსგავსმა გამოსახულებებმა ყველაზე არამსგავსი ნიშნებით უნდა აღავსონ და აამაღლოს სული. ამ „პირობითმა ნიშნებმა“ უნიხარესად უნდა იმოქმედონ არა გონიერ, არამედ ფსიქიკის არაინტოიერ სფეროზე, აღავსონ იგი ადამიანური სულის ამაღლების მიმართულებით – გრძნობადი ხატებიდან (სახეებიდან) ქვემარტებამდე. აქედან გამომდინარე, თვითონ გამოსახულებას ავტორი უწოდებს „ამამაღლებელ“ სახეებიდან. ქვემარტებისა და არქეტიპზე ასეულის ეს იდეა ნამყვანი იდეა იყო ბიზანტიურ ესთეტიკაში. სახეობრივი შეეცნების პრობლემა თუცა ჯერ კიდევ ნეოპლატონიკოსებმა და პირველმა ქრისტიანმა მოაზროვნებებმა (კლიმენტი ალექსანდრიელი, ორიგენე, გრიგოლე ნოსელი) დასვეს, დასრულებული, ღრმად თავისებური და სრული გახსნა მან მიიღო მხოლოდ არეოპაგტიკულ მოძღვრებამ.

მაშასადამე, არეოპაგტიკული მოძღვრების მიხედვით ღვთაებრივი არსებები გამოსახება „არამსგავსი მსგავსებით“, არამსგავსი სახელებით, რამეთუ „უსგავსად მოღვთიისა მსგავსებისა და მათგანე არა ეგრეთვე ბოლო შეწყობილად და განთოისებულად განსახლებებდა თვითებასა საცნაურთა და გრძნობადისა“. მათში (არამსგავს სახეებში) უნდა გავიყოთ დაუკლებელი სწრაფვა უსაგნობისადმი, ნმონდა ქვერტისაკენ. უსაგნო სახეებამდე ასელა (იგულისხმება ღვთაება) შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პრედიკატებს, რომლებითაც გამოხატულია ღვთაება, მის (ესე იგი, ღვთაების) არამსგავსად ჩაეთვლით. რაც შეეხება „არამსგავს მსგავსებას“, რადგანაც ყოველი არსება პირველსანისისაგან მომდინარეობს, იმიტომ მათში გარკვეული აზრით არის ღვთაება. თუკი ღვთაება არსებებში არის, მაშინ არსებები მსგავსნი არიან მისი და შეიძლება მისი (ღვთაების) დახასიათება არსებების სახელებით. მაგრამ არსებები სრულიად ვერ გამოხატავენ პირველსანისის. საბოლოოდ არსებები არამსგავსნი არიან მისი (ღვთაების) აქედან – არამსგავსი მსგავსება“.

ამრიგად, „ბაძის“ ცნების არეოპაგტიკულმა განხილვამ (კერძოდ, იმან, რომ „ბაძეა“ გაგებულა, როგორც მხატვრული შემოქმედების განყოფილი ნიშანი), მისმა განვითარებამ, რომელიც გულისხმობდა კავშირ-ურთიერთობასა და მთლიანობა-ერთიანობის პრინციპს, მიგვიყვანა არქეტიპის მიხარსის გაგებამდე. აქ ხაზი ესმება იმას, რომ არქეტიპი არეოპაგტიკაში ფორმისეულია, მიხარსულობა მას არ ახასიათებს), რაც, ავტორის თქმით, უმსგავსო მსგავსებად ინოდება და იგი საფუძველდებულა ავტორისეული ფილოსოფიურ-ესთეტიკური ხედვით. ისიც ნიშანდობლივია, რომ არქეტიპებში დაგროვილი ფსიქიკური ენერგია მთლიანად უარყოფს ადამიანთა მიერ აღქმულ თვისებე-



ბს. ესე იგი, ფაქტობრივად ამით ხდება უარყოფა კეთილშობილების, სიკეთის, სილამაზის. ამასთანავე, როგორც უკვე ითქვა, არქეტაიპები (უმსგავსო სახეები) მოქმედებენ ფსიქიკის არა გონიერ, არამედ არაგონიერ სფეროზე. მათი საპეიციკლორობის მაჩვენებელია უარყოფის ეს მომენტები. ამასთანავე, ისინი ფლობენ ფსიქოლოგიურ ფუნქციასაც.

მიუხედავად იმისა, რომ პირველსაბენი (არქეტაიპები) თავისი თვისებებით მაინც შორსაა პირველსაწყისთან მსგავსებისაგან, ისინი (არქეტაიპები) მაინც იძენენ ვარკვეულ შინაარსულობას, რადგანაც, როგორც ამ შემთხვევაში, ასევე, საერთოდ, ისინი წარმოადგენენ პირველსაწყისის თვისებების გრძობად ხატებს. ამასთანავე, ისინი ხასიათდებიან მკაფიოდ გამოვლენილი ემოციური ტონით, მათ უნარი შენევეთ იყენენ შთამბეჭდავნი და შთამბეჭდვნი. ყოველივე ეს შეტყველებს არქეტაიპის იმ ძალასა და ენერჯიას, რაც პირველსაწყისიდან იღებს სათავეს. არქეტაიპის ადგილსამყოფელი, არეოპაგიტკის მიხედვით, პირველსაწყისის სფეროა, კერძოდ ლეთაბრივი ცნობიერებისა. არივედ პირველსაწყისის შემოქმედი, საიდანაც შატრული შემოქმედების პროცესი, რაც ანალოგიურია პირველსაწყისიდან სამყაროს წარმოქმნისა, იღებს სათავეს. აქედან გამომდინარე, შატრული შემოქმედება დაფუნქციებულია სწორედ არქეტაიპზე.

ყოველივე შემოქმედების გათვალისწინებით, რაც შეეხება არეოპაგიტკისა და იუნგის შეხედულებებს არქეტაიპის თვისებებზე, შეიძლება ასეთი შეხედულება და განსხვავებაც გავაკეთოთ.

დაიწყებთ იმით, რომ არეოპაგიტკულ ესეთიკაში შატრული შემოქმედების პრობლემა უფალო კავშირშია არქეტაიპის საკითხთან. უფრო მეტიც, ეს პროცესი (შატრული შემოქმედება) დაფუნქციებულია არქეტაიპზე. როგორც შემოთენახელი, ასევეა იუნგთან. უფრო ზუსტად, ამ უკანასკნელის მოძღვრება შატრული შემოქმედების მსკვნიებზეა სწორედ არქეტაიპებს და არა „კომპლექსებს“ ან სხვა რამეს, როგორც ამას ფროიდიან აქვს ადგილი.

არეოპაგიტკის მიხედვით არქეტაიპის ადგილსამყოფელი არის ლეთაბრივი ცნობიერება. ამაში არაფერია გასაკვირი, არეოპაგიტკიკა ხომ სეოპლატონური მოძღვრებაა და მასში ლეთაბრიობის ფენომენი განაპირობებს ყოველივე სხვა ფენომენს, ის არის ყოველი არსებულის წარმომშობი. და ამის გამო ისინი მსკვე უზრუნდებიან. აქედან გამომდინარე, არქეტაიპის ადგილსამყოფელი არის ლეთაბრივი-პირველსაწყისი.

არქეტაიპი არეოპაგიტკაში მეტად რთული სტრუქტურის მქონე ფენომენია. ის სხვა ფუნქცი-

ებთან ერთად ფლობს ფსიქოლოგიურ ფუნქციასაც, რაც ჩვენს აზრით, ვეფქვეფქვეფქვე მნიშვნელობისაა. სწორედ ფსიქოლოგიურ ფუნქცია არქეტაიპის განაპირობებს მის სხვა ფუნქციებს, ეს კი აუცილებლობით არის გამაპირობებული.

განსხვავებული ვითარებაა იუნგთან. ვერკრთიკონფისათვის არქეტაიპის ადგილსამყოფელი არ არის ლეთაბრივი ცნობიერება. იუნგმა იგი (არქეტაიპი) ლეთაბრივი ცნობიერებიდან ადამიანის ქვეცნობიერში გადმოიტანა და ამით გზა მოუნახა მის განვითარებას. კერძოდ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იგი (არქეტაიპი) თითქოსდა კიდევ იძლევა გასაღებს იმ იდეალში და გამოუცნობი მოვლენების ახასხენლად, რომლებიც იუნგთან საბაბი ვახდენენ „კოლექტიური არაცნობიერის“ კატეგორიის გავრწინათისა. მასთან ამ ცნებაზე უნდა ვინარსი, არის ითიად, ხაზს უსვამს იმას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ფსიქიკურ მემკვიდრეობასთან, ხოლო არქეტაიპი კი მისი შატრებულია. ისინი (არქეტაიპები) თავიანთ თავში ინახავენ ჩვენი ფსიქიკური წინასამშობლოს დროინდელ ნამდვილ ფსიქიკურ რეალობებს, მსგავსად გონებისა, რომლებმაც ჩვენი უძველესი წინაპრების ფიზიკური სახე და სხვა მემკვიდრული ინსტრუქციები შემოინახეს და ჩვენამდე მოიტანეს. იუნგმა არქეტაიპი ლეთაბრივი ცნობიერებიდან (როგორც ეს არეოპაგიტკაში იყო) არა მხოლოდ ადამიანის ქვეცნობიერში გადმოიტანა, არამედ მას არაცნობიერის ყველაზე ღრმა ფენოტი – კოლექტიურ არაცნობიერში – მოუწინა ადგილი, რომელიც ინდივიდუალური ფსიქიკის სახეურებს სცილდება.

არეოპაგიტკის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არამსგავსი სახეები მთლიანად უარყოფენ ადამიანთა მიერ აღქმულ თვისებებს, რადგან ისინი წარმოადგენენ ჩვენს მიერ განქვრეტილი ხატის უბეში შატრიალური ფორმების არქეტაიპებს და ამიტომ ადამიანმა არ შეიძლება შეაჩეროს მათზე თავისი გონება. როგორც გვახსოვს, ანალოგიურ, კერძოდ, უარყოფის მომენტს ადგილი აქვს იუნგთანაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ არქეტაიპი არც მორალურია და არც იმპორალური, არც მშვენიერი და არც მახინჯი. არეოპაგიტკაშიც და იუნგთანაც საქმე გვაქვს შთაგონების არქეტაიპულ ხასიათთან, სადაც მოცემულია უკიდურეს გამოვლენათა შესაძლებლობა.

დაბოლოს, არქეტაიპები არა მხოლოდ პირობითი ინსტრუქციაა, არამედ რაციონალური სიმბოლოებიც, რაც მათს ფორმისულობაზე მიუთითებს. ასევეა იუნგთან. არქეტაიპები მასთანაც არა შინაარსულია.

**შეჯამება:**

1. См. Аверинцев С. Аналитическая психология К.Г. Юнга и закономерности творческой фантазии. Кн.: О современной буржуазной эстетике. 1972, с. 125.
2. Там же, с. 126.
3. Юнг К. Г. Психологические типы, СПб., 1899, с. 59.
4. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დონისე არეოპაგელი). შრომები, გვ. 101
5. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დონისე არეოპაგელი). შრომები, გვ. 12.





## ზურაბ კაკაბაძის ბასხენება

1952 წლის ნოემბერში თბილისის უნივერსიტეტში ბატონ კოტე ბაქრაძის „ლოგიკის“ განხილვა მოეწყო. პირველი კორპუსის ერთ-ერთი აუდიტორია გაჭყდილი იყო. მსურველებს მხოლოდ მოხსენივები ბარათებით უშვებდნენ.

განხილვა დაიწყო ნიგნია და მისი ავტორის განქიქებით. რალა არ დააბრალებს ბატონ კოტეს, ის თურმე, ბურჟუაზიის მსახური, ანტიანელი, პეგელანელი, პუსერლიანელი, პოზიტისტი, ანტილენიელი, ანტიტალინელი და რა ვიცი, რა აღარ იყო. ასეთი დახასიათებების შემდეგ, იმ შაგბნელ დროში, ნიგნის ავტორს, ბუნებრივია, კარგი დღე არ ელოდა. ეს მშვენივრად იცოდნენ კოტე ბაქრაძის განმაქიქებლებმა.

საბოლოო სიტყვა ბატონ კოტეს საყვარელმა მოწაფემ, ზურა კაკაბაძემ ითხოვა. მოწაფე თვგამოდებით იცავდა მასწავლებელს, იცავდა ძალზე მარჯვედ, ქვეიანურად. ზურა ლაპარაკობდა ღინჯად, აუღელვებლად, მკაფიოდ, საინტერესოდ. ნიჭიერი ადამიანის ნებისმიერ თემაზე საუბარ ინტერესის აღმსრულებია, ზურა კი — ეს უნიჭიერესი კაცი — ლაპარაკობდა უმაღლეს ფილოსოფიურ „მატრიცებზე“.

დარბაზი სმენად იქცა. ზურას არც ბატონი კოტეს მტრები დაკონწყობია: ყველას დაანახა მათი უმეცრება, უნიჭობა, მურო. ის მოხდენილად უთავსებდა ერთმანეთს სერიოზულ ანალიზს და დახვეწილ იუმორს. ჩვენ ყურადღებით ვუსმენდით ორატორს, დროდადრო კი გულიანად ვიცინოდით — მწარედ დავეცინოდით ნიგნის ოპონენტებს. ბატონი კოტე სიამოვნებისაგან ადგილზე ვერ ისვენებდა, ყველამ იგრძნო, რომ ქართულ ფილოსოფიას მოეკლინა ფართო ერუდიციის მქონე, მრავალმხრივი პიროვნება.

მართლაც, ზურაბ კაკაბაძე მრავალმხრივი ადამიანი იყო. იმ დროს, როცა ის ფილოსოფიაზე ბჭობდა, მე მახსენდებოდა ამ ადამიანის სხვა მხარე — ფილოსოფიისაგან საკმაოდ დამორცხული. ვიხსენებდი სოფელ ძეგოტისკის ქუჩაზე მდებარე სახლის ფართო ეზოს, სადაც ბავშვობიდანვე დავედი. ვიხსენებდი ამ ეზოში გამართული ფეხბურთის მაჭქების გმირს — დღევანდელ ორატორს. ზურა ბრწყინვალე თამაშობდა ფეხბურთს. ჩემთვის დაუგინჯარია

მისი „ფინტები“, მისი თავბრუდამხვევი გარღვევები მარჯვნიდან, მარცხნიდან, ცენტრიდან. ფეხბურთის თამაშის ამგვარი მანერა, ალბათ, კარგად გამოხატავდა ზურას ცხოვრების ეულ არხს — მოქნილობა ბუნებრივად ერწყმოდა პრინციპულობასა და გონიერებას.

უფრო გვიან, როცა ზურამ უნივერსიტეტის ასპირანტურა დაამთავრა, არაერთხელ მოგვინია ერთად ფეხბურთის თამაში: თბილისში, კიკეთში, ოჭორუყანაში. ვალიარებ: ფეხბურთი ძალიან მიყვარდა, მაგრამ ცუდად ვთამაშობდი. მიყვარდა მითითებები, ბრძანებების გაცემა, ვყირილი, — თამაშის შემდეგ ყველ უფრო მტკიოდა, ვიდრე ფეხის კუნთები. ზურასაც ხშირად ეტუქსავდი, ის ლიმილით ისმენდა ჩემს შინიშვნებს და განაგრძობდა თამაშს — თამაშით კი მართლაც შესანიშნავად თამაშობდა. ყმაწვილ კაცობის დროს ზურამ და მისმა მეგობარმა, რუსთაველის გამზირზე ბორის პაიჭაძე შეამჩნიეს. ორივეს არანორმალურად უყვარდა ფეხბურთი და, ბუნებრივია, ბორის პაიჭაძეც, მეგობრებმა სწრაფად იცვალეს გეზი და თავიანთ კერძს აედღვენეს. ისინი ფეხბურთის მისდევდნენ სათაყვანებელ პიროვნებას, მისი ყოველი მოძრაობით ტკებდოდნენ, იმ პაერიით სუნთქავდნენ, რომლითაც მათი კერძი სუნთქავდა...

თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ეს შემთხვევა ამით არ დამთავრებულა: კერძი საესებით მოულოდნელად მოუბრუნდა ბიჭებს და წყურთით შაახალა:

— რას მომდევო, საქმე აღარა გაქვთ?

მერე ამ ნაშობახილს საკმაოდ მკვეთრი გამოთქმებიც მიაყოლა: ეტყობა, იმ დღეს ვერ იყო გუნებაზე ვერაფერს გაანყობ, ხშირად ასეც ხდება. ამ შემთხვევის მიუხედავად, ზურა სიცოცხლის ბოლომდე მონინეებით იხსენიებდა ბორის პაიჭაძის სახელს.

მე ვფიქრობ, რომ ფეხბურთი მხოლოდ აზარტულობით, რისკით და სიმაძაქით არ იზიდავდა ზურას. ამ თამაშში მას მოსწონდა სილამაზე, სინატიფე, დახვეწილობა, ესე იგი, ის ნიშნები, რომელიც ყოველგვარ ხელოვნებას ახლავს. ფეხბურთით გატაცება, ამ შემთხვევაში, ხელოვნებით გატაცებასაც ნიშნავდა. ფეხბურთის სიყვარული ზურასთვის ბავშვობიდანვე გადაიზარდა ხელოვნების სიყვარულში.



ზურა ეთაყვანებოდა ხელოვნებას. ამის შეტყობა ძნელი არ იყო: მისი ბინის კედლებს ამშვენებდა სეზანის, რენუარის, ვან გოგის, მოდილიანის, პიკასოს ტილოთა რეპროდუქციები; ქართველი ფერმწერების: ჯიროსმანის, კაკაბაძის, გულაშვილის ნამუშევრები. კარადებში ეწყო ნიგნები ხელოვნებაზე. საგანგებოდ დამზადებულ უჯრებში ინახებოდა ფირფიტები, რომლებზეც მსოფლიოს ცნობილი კომპოზიტორების ქმნილებები და გათქმული შემსრულებლების ხმები იყო აღბეჭდილი. ზურას ხშირად შეხედებოდათ პრეპიერებზე, კინოჩვენებებზე, მუზეუმებში, გამოფენებზე. მას ძალიან ღრმად ესმოდა ხელოვნება, რაც ცხადად გამოსტევიის კიდეც ნიგნებში – „ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება“, „ხელოვნების ფენოქენი“, „წერილები“, „ფილოსოფიური საუბრები“...

ერთხელ, ლამის ორ საათზე ზურა სახლამდე მივიპოვე. მთხოვა, ცოტა ხნით შემოდიო, შევედი. უჯრიდან პენდელის ფირფიტა ამოიღო და რბილ სავარძელში ჩაძირული დიდი გერმანელის მუსიკით ტკბებოდა. თუდავიწყებულს ისიც გადაეინყადა, რომ უკვე ღამის სამი საათი მოახლოვებულიყო. უეცრად მყუდროება ტელეფონის ზარმა დაარღვია. აღშფოთებული მეზობელი რეკავდა და ჩიოდა, ნუთუ ღამეც ვერ უნდა მოისვენოს კაცმაო. ზურამ უხალისოდ გამორთო ფირსაკრავი.

ხელოვნების ღრმა ცოდნა, ალბათ, იმიტაც უნდა აიხსნას, რომ ზურა თუთადაც იყო ხელოვანი – შესანიშნავი პოეტი. მისი ლექსები ზეპირად იცოდა პიონერთა სასახლის ლიტერატურული წრის ყველა წევრმა. ამ წრეში კი ნატიფი და დაბეწვილი გემოვნების ქმანვლები იყვნენ თავმოყრილნი. პოეტს დამახასიათებელ თვისებებს – მძაფრ ემოციურობას, განცდვის სიმაბეილებს, ანტიოსაზივის ნიჭს – ზურა ყოველწამიერად ამყვანებდა.

გვიან გაზაფხულზე, ერთ-ერთ შაბათობის შემდეგ, ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლები ზოოპარკის ნინ, სასაუზმეში შევედით. ცივ „ტენუსა“ ევაფინით და კვდილობდით, მოერეოდით მწვადს, რომლის სიმაგრე და შეუპოვრობა სტამბოლის კახსაც კი შეუმურდებოდა. ჩვენს გვერდით მაგიდას ცუდად ჩაცმული რუსი მამაკაცი უჯდა. ერთი ბოთლი დაეღგა და ნრუპავდა.

– ეს კაცი, – ინინასწარმეტყველა ზურამ, – როგორც კი თავის ბოთლს გამოცლის, აქით გამოსწევს.

მართლაც, ცოტა ხანში უცნობი ჩვენივენი დაიძრა. ჩვენც, ცხადია, გაეშაფრფრეხნენ. ჩაის ქიჭა გაეუპოპინეთ ღვინოშიც. დაუპატიჟებელმა სტუმარმა სასმისი გამოცალა და მაღლიერების ნიშნად უცნაური რამ შემოგვთავაზა: თუ გინდათ, ესენინს ნაკიკითხავთ, ყოფილი მსახიობი ვარო.

ჩვენ, რასაკვირველია, დაეთანხმდით. მასაც არ უღალატია თავისი სიტყვისთვის და ესენინის ჩვენთვის უცნობი ლექსის კითხვა დაიწყო. ლექსში გადმოცემული იყო ახალგაზრდა ქალის ბედუკულმართი ცხოვრება. რომელიც შეძლებულმა გარენარმა ნამუხი ახადა და მოტყუებული დატოვა ქალი. ესენინის ლექსი ძალზე შთამბეჭდავად ღღერდა. რაც წეხება ჩვენს სტუმარს, ის ისეთი არტიტულობით და გზებით კითხულობდა ლექსს, რომ გულგრილი ნამდვილად ვერ დარჩებოდი. კითხვა დაამთავრა და მწარედ აქეთიანდა. ვანყნარებდით. მე გამახსენდა ზურის ტაქტი, ქჭუა, დამრიგებლობის უნარი და მისკენ მივტრიალდი, ვიფიქრე, უჩქველად იპოვის-მეთქი მანუგეშებულ სიტყვებს, მაგრამ მწარედ მოვტყუედი: ზურა ტიროდა, თანაც ისე წრფელად, ისე გულსაკლავად, როგორც მხოლოდ ბავშვები და პოეტები ტირიან.

კაკაბაძეების ოჯახი პუშანტარების და ქეშმარიტი პატრიოტების ოჯახი იყო. ოჯახის თავი – მეთოდე კაკაბაძე ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა. შოთას, ილიას, აკაკის, ვეფას გამო ბატონი მეთოდე ნებისმიერ ადამიანს შეებეზოდა. ზურას ძმა – ბრწყინვალე გერმანისტი ნოდარ კაკაბაძე ავტორთა შესანიშნავი წერილებისა ქართული მწიგნობის და მოღვაწეების – ნიკოლორთქიფანისძის, გერონტი ქიქოძის, ერეკლე ტატიშვილის, გრიგოლ კიკნაძის და სხვათა შესახებ. ზურაც ამგვარივე სიყვარულით იყო გამსჭვალული ქართული ლიტერატურის და, საერთოდ, კულტურის მიმართ. მან ზეპირად იცოდა ქართული პოეზიის შედეგები. უსაზღვრო პატივს მიაგებდა შოთა რუსთაველს, გალაკტიონ ტაბიძეს, დიდი მონიკებით ეპურობოდა ქართული მეცნიერების და ხელოვნების ყოველ ნამდვილ ქმნილებას, ჩვენს ფოლკლორს, ხე-ჩვეულებებს, განსაკუთრებით, სიმღერას და ცეკვას. მოკლედ, დიდ ღირებულებას ანიჭებდა ქართულ კულტურას. ეს გარემოება ხელს არ უშლიდა ზურას, მწარე სიტყვებით მოეხსენიებინა ადამიანები, რომლებიც ქართველი ერის განსაკუთრებულობაზე, ჩვენი გენის თუ სიხსლის გამორჩეულობაზე ლაპარაკობდნენ. ზურა ვერ იტანდა ფაშიზმს.

... ზაფხულის ერთ მწვენიერ საღამოს, მე და ზურას, რუსთაველის გამზირზე უზრუნველად მოსივრნეთ — ნაცნობი შემოგვხვდა. უკვე გვირინანად შეზარბოშებულმა, ხალუდვით შეგვიპატივდა. მაღალი მაგიდის ირგვლივ დავდექით, ჩვენმა ნაცნობმა უბიძან მოტლანდიური ვისკის ბოთლი ამოაძვინა და ქიქობი ამ პირველი ქვეყნის სასმელთი შეგვივსო. მართლაც შესანიშნავი ვისკი იყო. მაგრამ დაჭაშნიკება ვერც კი მოვასწარით, რომ თანამეინახემ მგზნებარე და გაბმული საუბარი ნამოინყო პატრიოტულ თემაზე. შედმეტად ემოციური ფესტიკულაციით საუბრობდა, ორივე ხელი აღმართა და შეჰყვირა:

— მე ნამდვილი ქართველი ვარ, სისხლის წვეთიც კი არ არის ჩემში არაქართული!

ზურამ მშვიდად მოისმინა ეს პატრიოტული ტირადა — გალაკტიონის პერიფრაზი, თვალეები მოქუტუა და წყნარად უცხრა ჩვენს ნაცნობს:

— კი, მაგრამ, რომ ანბოზ წვეთიც არ არის ჩემში არაქართულიო, არც მოტლანდიური ვააკია შენში?

ჩვენი ნაცნობი შეცბა. დიაგნოზი ზუსტი გამოდგა: ვისკის პატრონი გახლდათ ტრამბაა, უქნარა, არაფრის მაქისი კაცი, ყველაფერში ხელი მოეცარა და ახლა ქართველობით მოქაქონდა თავი.

საერთოდ, ზურას ამგვარი დიაგნოზების დასმის იშვიათი ნიჭი შექონდა: ადამიანის სულს თითქოს უშუალოდ ჭვრეტდა. ტყუილი უშალ დაგიჭერდა; იმნამსვე გაიგებდა შენი ქცევის ნამდვილ მოტივს, აღნათ, ფილოსოფოსი ამგვარი თვალთ უნდა იყოს შეიარაღებული.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებამ არაფერი არ დაიშურა მისთვისან საჭიკლი ფილოსოფიური გონება, ღრმანაწარმგმგმის და განცდის უნარი, მდიდარი წარმოსახვა, ის მაინც საოცრად თავმდაბალი იყო.

... მოსკოვში საკანდიდატო დისერტაციას იცავდა ზურას მეუღლე, ქალბატონი ნათია ამირეჯიბი. დისერტაციის თემა იყო ქართული მუნჯი კინოფილმები. დაცვის შემდეგ გაიშალა სუფრა. სუფრას კინოს ცნობილი მოღვაწენი უსხდნენ. თითქმის ყოველ მათგანს შექონდა ნაკითხული ზურას ნიგნი — აექსისტენციური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ პუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია. ამ გამოკვლევაში მოსკოვში ნამდვილი სენსაცია მოახდინა — მაშინ ასე ღრმად და თამამად ვერავინ წერდა. ქალბატონი ნათიას სტუმრებს ეგონათ, რომ ქართველ ფილოსოფოსს მენტორული ტონი ექნებოდა, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლებულა. ზურა იჯდა სადღაც, სუფრის კუთხეში და იშვიათად თუ იტყოდა რამეს. გაკვირვებულმა თამადამ იხუმრა — ქალბატონმა ნათიამ თბილისიდან თავისი დისერტაციის მუნჯები ჩამოიყვანაო.

ეს თავმდაბლობა ზურას არსებიდან გამომდინარეობდა — მან შესანიშნავად იცოდა, რომ თამაში, ნილაბი, ყალბი პათეტიკა, ხელოვნური პოზა, ქიშპოზა სამყაროსთან, სიკედილთან, ღმერთთან — სასაცლოა. ის იყო საოცრად პირდაპირი, ლალი, ნალდი, ზან სევედიანი, ზან მზიარული, მაგრამ ყოველთვის თავისი თავის — ზურამ კაკაბაძის — ერთგული.

## მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს...

რეჟისურაზე

რეჟისურა მართლაც, გაძლიერდა ნიშნავს. ტერმინიც ფრანგული ზმნისგან — regir (განკარგვა) წარმოდგება.

რეჟისორის მხატვრული ქმნილება სპექტაკლია — სანახაობა, რომელიც სცენის ხელოვნება ერთობლივი შემოქმედების ნაყოფია. ის ცოცხალ პროცესად მიმდინარე მთლიანობაა და მოიცავს ყველა სახის მხატვრული მთლიანობისთვის ბუნებრივ ნაწილთა ჰარმონიულ შერწყმას.

XIX საუკუნის მიწურულამდე სათეატრო ხელოვნების უმაღლეს მიღწევად მსახიობის მიერ გაცოცხლებული ლიტერატურული გმირი იყო მიჩნეული. შემდეგ საკითხი სხვაგვარად დადგა: არსებობს უფრო რთული და უფრო მაღალი ხელოვნება — თვით სპექტაკლი, ყველა სახეობრივ მეტყველი ძალის სინთეზი. მასასადაამე, ნაწარმოების დედა-აზრია სრული ძალით წარმოჩენაც სათეატრო ქმნილების ამგვარ სახეობას შეუძლია. ამ, პრინციპულად ახალი თვალსაზრისიდან აღმოცენდა რეჟისურა, როგორც ხელოვნება და რეჟისორი, როგორც მთლიანმხატვრული წარმოდგენის შემთხვევითი ხელოვანი.

იქსათვის, რომ სცენაზე ადამიანთა ცხოვრება იყოს წარმოდგენილი, ეს ცხოვრება ჯერ უნდა დაინეროს. დანერვილ პიესაში ჩაქსოვილი უნდა იყოს ყველაფერი, რაც შემდგომ სცენაზე გაცოცხლდება: ამბავი, მოვლენები, მოქმედ პირთა ურთიერთგამომრიცხავი სურვილები, მათ განსაზოცილებლად აუცილებელ პრეკლათა თანამიმდევრობა, განვითარება და დასასრული. რაც სპექტაკლს სჭირდება, ყველაფრის საყრდენი პიესაში უნდა არსებობდეს. სასცენო ნიჭიერება ლიტერატურული ნაწარმოების ამგვარი პოტენციის ამოკითხვის უნარა გულისხმობს. რეჟისურაც სცენის ხელოვნებაა და ისიც დრამატურგიას, ლიტერატურას იდება საფუძვლად.

რას ნიშნავს ეს კონკრეტულად? პირველ ყოვლისა, ამჟამად ამაღლებული სათქმელად შესატყვისი პიესის არჩევას. შემდეგ — უამრავ კითხვაზე პასუხს: რანაირა პიესის

აგებულება? რანაირი ადამიანებითაა იგი დასახლებული? ამ ადამიანებს რანაირი სურვილები და მიზნები ამოქმედებთ? როგორ ჩაერთვებიან ისინი მიმდინარე მოვლენებში? როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს? საით მიემართება ეს კავშირები და რანაირია მათი ცვალებადობა? რას სჩადიან მოქმედი პირები? როგორ ნაწილდება მათი ენერჯია, რომელიც ერთი მოქმედი პირის მიერ მეორეს გადაეცემა მანამ, სანამ უმთავრესი — ნაწარმოების დედააზრის მთავარი მუხტი ამოხეთქავდეს და ა. შ. და ა. შ. ეს ყოველივე დანერვილ სიტყვებშია ღრმად ჩამალული. მათი მიგნება და ამოცნობა არაა ადვილი. მით უფრო, სცენურ სანახაობად მათი გადაქცევა. დრამატურგიის სიტყვიერი ზედაპირი — ის ზღვაა, რომლის სიღრმესაც ყველა რეჟისორი ერთნაირად ვერ ჩანედება. ამისთვის მას დრამატურგიული ნაწარმოების შეგრძობის გამსაფრებელი უნარი უნდა ჰქონდეს. გარკვეული თვალსაზრისით, ისიც დრამატურგიულად უნდა აზროვნებდეს. არც ისაა, ალბათ, შემთხვევითი, რომ რეჟისურის, როგორც სასცენო შემოქმედების ცალკე სახეობად აღმოცენებამდე, იმთავითვე ანსამბლური სათეატრო ხელოვნების მეთაურობას, უპირატესად, სწორედ დრამატურგები კისრულობდნენ.

საკუთარი სიტყვის სათქმელად არჩეული პიესა ძვირფასია რეჟისორისთვის. ის გატაცებით ეძებს მასში ჩაბუდებულ კონფლიქტებს, იძიებს მოქმედ პირთა ფარულ ურთიერებს, ყველა მხატვრულ ხერხს, რომელსაც ავტორი მაშინათვის. ასე შედის ლიტერატურული ქმნილება რეჟისორის შინახაზგარეშე, უკარგავს მოხვედრებს, უსვამს შეკითხვებს, რომლებიც პასუხს ითხოვენ. პასუხები — რეჟისორის ვერსიებია, ნაწარმოების მისეული ინტერპრეტაცია.

განა ყველა მკითხველს ნაწარმოები თავისებურად არ ესმის? თანაც ხშირად ძალზე განსხვავებულად? განა არ ყოველი, რომ ერთი და იგივე ნაწარმოები მის თანამედროვეთათვის ერთია, შემდგომი თაობებისთვის კი, შესაძლებელია, სრულიად სხვა?



ნებისმიერ მკითხველსაც, მსმენელსაც და მაყურებელსაც ინტერპრეტატორია, ოღონდ ისინი ნაწარმოების ხელოვნების სხვა სახეობაში გადაწყვენი არ არიან, რადგან ახალ ნაწარმოებს არ ქმნიან. სცენის ხელოვანი კი ქმნის. მისი ინტერპრეტაციის შედეგად, სხვადასხვა რეჟისორის მიერ დადგმულ ერთი და იგივე პიესა განსხვავებულია წარმოინდება. იმიტომ, რომ დრამატურგის ნაწარმოები იქნეს რაღაცას ახალს, რეჟისორის მიერ მასში ჩაქსოვილს. თავისი ბუნებით ეს მოვლენა მსგავსია სხვადასხვა მუსიკოსის მიერ ერთი და იგივე ნაწარმოების განსხვავებული შესრულებისა იმის გამო, რომ ნაწარმოების ნაწილები ერთმანეთში კომპოზიტორისა და მისი შემსრულებლის ჩანაფიქრითაა შედუღებული. ამიტომ პიესისადმი უკიდურესი ერთგულების მიუხედავად, სპექტაკლი მაინც სუბიექტურია, რადგან მწერლის ქმნილებას სხვა ხელოვანი მიეკარა. ეს ხელოვანი რეჟისორია, სანახაობის შემთხვეული. მას საკუთარი წესილები აქვს, საკუთარი მოქალაქეობრივი, ეთიკური და ესთეტიკური მისწრაფებანი. აღჭურვილია ხელოვნების ყველა სახეობის უამრავი „იარაღით“.

სპექტაკლი მხატვრული ქმნილებაა. მისი საჯობრიობა მრავალსახეაგოვანია, რადგან სინამდვილეს განსხვავებული მხატვრული საშუალებებით ასახავს. სწორედ ამას გამოა სპექტაკლი ერთი მხატვრული მთლიანობა. ამას ისიც ერთვის თან, რომ ამ მთლიანობის ყველა ნაწილი ნაწარმოების მოქმედ პირთა სცენურ ცხოვრებას ემსახურება. ეს სათეატრო ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ნიშანდობლიობაა.

ასეთი ურთულესი მხატვრული მთლიანობის შემთხვევლია რეჟისორი. ამიტომ მიანიშნავს ეს. მეიერჰოლდს, რომ რეჟისურა სააქტორო ხელოვნებაა. ასეც იყო აღნიშნული მისი სახელობის თეატრის აფიშაზე — სპექტაკლის ავტორი ეს. მეიერჰოლდი. ამით ის იყო გაცხადებული, რომ მსგავსად ყველა სხვა ავტორისა, რეჟისორიც დამოუკიდებლად იკვლევს ცხოვრებას, ოღონდ პიესის ჩარჩოებში სპექტაკლის სახით. არა ქაღალდზე, როგორც მწერალი, არამედ სცენურ სივრცში, როგორც თეატრის ხელოვანი. ის აერთიანებს წარმოდგენის ყველა შემადგენელ კომპონენტს, უქვემდებარებს პიესაში მის მიერ ამოკითხულ დედააზრს, ადგენს მისი სცენური ხორცმცხმის მხატვრულ პირობას, რომელსაც სათეატროებს ღერ მონაწილეებს, შემდეგ — მაყურებელს.

დიდი შრომაა საჭირო იმისთვის, რომ ნკითხველისთვის ნასაკითხად დაწერილი

ნაწარმოები მაყურებლისთვის სახილველსანახაობად აქციო. **მ. რ. ცხელი**  
 რას ფიქრობს ამის შესახებ: მრავალხედიანიშვილი?

ალბათ, არაა გასაკვირი, რომ ის სწორედ ამაზე ფიქრობდა დაამუშავებდა, რადგან ცხოვრების გზად რეჟისურა აირჩია. მით უფრო, რომ თანამედროვე თეატრში რეჟისურა, არსებითად, ყველა თეატრალური პრობლემის მომცველია. ამიტომ მისი უხვი ნააზრევიდან მოვიხმობთ მხოლოდ უმთავრესს. ამ უმთავრესს ერთმანეთისგან გამოვყოფთ, რათა ნაფიქრის მთავარი ხაზი ცალკე არხებად გამოიკვეთოს და ქართველი რეჟისორის პრობლემის გარშემო ფიქრთა სპექტრიც ნათელი გახდეს.

მაშ, ვინ არის რეჟისორი და რა არის მთავარი შემოქმედების ამ სახეობაში?

**1977 წ. „სანამ რეპეტიცია დაიწყება...“:**  
 „რეჟისორი ის ადამიანი კი არ არის, ვინც დგამს წარმოდგენას, არამედ ის, ვისაც არ შეუძლია არ დადგას სპექტაკლი“ (გვ. 36).

„რეჟისორი-ხელოვანი ის ადამიანია, რომელიც გამოხატავს თავის აზრს ნუთისოფლის ბრუნვის გამო და არა სცენარული ვილაციის (თუნდაც გენიოსის) მიერ დაწერილი პიესისა... ყველაფერი დამოკიდებულია მის ცხოვრებისეულ პოზიციაზე, ცხოვრებისეულ მოვლენათა, პიროვნებათა და ფაქტებისადმი დაპოკიდებულებაზე“ (იქვე, გვ. 173).

**1989 წ. „რეჟისორი თეატრიდან ნავიდა“:**

„ჩვენ საქმეში მთავარია წამოჭრა თეატრალური პრობლემები, რომელზეც პასუხი უნდა გაცეს. თუ პრობლემა არაა დასმული, რეჟისორი გადაიტყვევს ხელოსნად“ (გვ. 224).  
 „აზრი სცენური ცხოვრების სულია, ფორმა მისი ხორცია“ (იქვე, გვ. 262).

**1998 წ. „ახლა კი, ფარდა...“:**

„ლიტერატურის ბორკილებიდან წარმოსახვის გამძლე სივრცეში გაღალიო, — აი, რა არის მთავარი რეჟისორის შემოქმედებაში. იგივე ხდება ქუმარიტ ზალეტში, სადაც მუსიკას ექვევან დაარამუსიკის თანხლებით“ (გვ. 92).

ამგვარად, რეჟისორი ისაა, ვისაც არ შეუძლია არ დადგას სპექტაკლი, რადგან უიშვიათესი მისი ნიჭი გამოვლენას ითხოვს იმ ქმნილებით, სადაც ცხოვრებაზე მისი ფიქრია ჩაქსოვილი და სცენაზე გაცოცხლებული. ასე გადააქცევს რეჟისორი ქაღალდზე დაწერილს სივრცეში გამხილსანახაობად.

მუდამ ლიტერატურაა რეჟისორის შემოქმედების საყრდენი. რას ეძებს იგი ამ



საყრდენში? პირველ ყოვლისა, მისი ავტორის სათქმელს, დედააზრს. იმისთვის, რომ მწერლის მიერ შეთხზულის სახეობრივ სამყაროში აკუთარი სიტყვის თქმის შესაძლებლობა აღმოაჩინოს – ორი ხელოვანი მინაგანად უნდა ეხმარებოდეს ერთმანეთს. მ. თუშანიშვილის აზრით, ეს მაშინაა შესაძლებელი, თუ მიაგნებ იმას, რაც მთავარია ამ პიესაში და რაც მუდამ მის სიღრმეშია –

**1977 წ. „სანამ რეპეტიცია დაიწყება“!**

„ქარგი პიესის გული არასოდეს ზედაპირზე არ დეცა, ყოველთვის ღრმად და დაუნჯებელი, როგორც ის გრძნობები, რომელთა დანახეც არ შეიძლება. ჩანს მხოლოდ მინაგან მიზეზთა გარეგანი გამოვლენა. მედიცინაში მომატებული როე ექიმისთვის სიგანია – სადღაც ორგანიზმში ანთებითი პროცესია“ (გვ. 57).

**1989 წ. „რევისორი თეატრიდან ნავიდა“!**

„ავცილებლად უნდა მოეძებნო მოვლენის მთავარი მიზეზი... რომელიც ექიმმა ავადმყოფობის მიზეზი შეადარა იმ ასანთს, რომლის ანთებითაც სახლი დაიწვა. ნარმოდგინეთ, რა ძნელია ამ ასანთის ღერის მოძებნა ზანძრის შემდეგ... საჭიროა მოიძებნოს მიზეზი – ასანთი, რომლისგანაც დაიწყო ექვლაფერი. შემდეგ კი ნარმოიდგინო, როგორ იწეოდა ეს გველაფერი, რისგან დაიწყო და თანდათან რად იქცა... თუ პიესაში ვერ დაიჭირე რაიმე ისეთი, რაც შენ გაღეულებს ცხოვრებაში, სპექტაკლის შეთხზვა შეუძლებელია“ (გვ. 25).

ისევე ჩანაფიქრი, დედააზრი, იდეა... „სპექტაკლის ზეამოცანა – ესაა რევისორის პოზიცია თანადროული სინამდვილის მიმართ, მისი თვალსაზრისი ცხოვრებაზე, მოქალაქეობის მისეული ქადაგება“ („სანამ რეპეტიცია დაიწყება...“, გვ. 102).

პიესა აქტიური ქმედებით დამუხტული ნაწარმოებია. ქმედება – დინამიკაა, მოძრაობაა. მამასადამე დედააზრიც შიგა „ძრავებში“, პიესის ზედაპირზე საჩინოდ არსებული ფაქტების ქვეშეთში უნდა მოიძებნოს, მოქმედ პირთა ფარულ ზრახვებში. იალიან რთული, მაგრამ უაღრესად საინტერესო, ნარმტაცი პროცესია, რადგან საიდუმლოში შეღწევას ნიშნავს. რა გზით? – მოქმედ პირთა უბნობის ენობრივი სტრუქტურა მეოხებით – ადამიანი ხომ იმნაირად ლაპარაკობს, რანაირადაც ფიქრობს!

ამას ამოიკვობს ყველა როლის აღმსრულებელი მსახიობი. ასე შედგება კიდევ ორი ხელოვანის – ამჟამად მწერლისა და მსახიობის სცენური ქმნილება, სადაც შევი-

ცნობთ პიესის მოქმედ პირსაც და მის განმახორციელებელსაც.

**1977 წ. „სანამ რეპეტიცია დაიწყება...“**

„თეატრალური ანალიზი ესაა შიგა ანტიომირება. ესაა პიესის მოქმედებათა სფეროდან შესწავლა. ესაა გაკვეთა და შესწავლა ურთიერთმოქმედებათა და ურთიერთკავშირთა ავტორისეული სისტემისა“ (გვ. 5).

„შვიგრძნო ავტორი, მისეული ხერხი, მიაგნო მისეულ „შიფრს“ სპექტაკლის არა მარტო დადგმის, სახიერ გადაწყვეტაში, არამედ როლების ფსიქოლოგიურ მინაარსში, გმირთა განცდებთა თავისებურებაში, – თანამედროვე რევისორის მთავარი თვისებაა“ (იქვე, გვ. 167).

მამ, ასე – რევისორი დახადგმელად არჩეული პიესის გმირთა ცხოვრების სიტყვიერი, საჩინო ზედაპირის ქვეშ ეძებს მოქმედ პირთა ფარულ, ქეშმარიტ მამოძრავებლებს. იმას, რაც თავის სათქმელს ათქმევენებს. ზოგიერთი თავის სათქმელი მ. თუშანიშვილმა გაგვანდო:

„დ. კლდიაშვილის „ბაკლას ღორები“ ჩვენი ძირითადი სათქმელი ის გახლდათ, თუ როგორ მონდა პატოსანი, გამრჯე გლების ზეობრივი დაცემა მეფის ცარიზმის ბიუროკრატიულ მექანიზმთა შეტაკების შედეგად“ (ფურნ. „თეატრალური თბილისი“. 1979. № 5).

„თ. უალიდერის პიესის შესახებ. გადაეწყვიტეთ დაგეედა სპექტაკლი ნარსულზე, განცდილზე, გარდასულზე, თითქმის დაიწყებულზე, სიკვდილზე, ქორნილზე. ერთი სიტყვით, გველაპარაკა იმაზე, რაც ჩვენ განიცადეთ და გვიჩახავს სიცოცხლეში... კაცი შედინარ ასაკში და მაშინ გრძნობ მხოლოდ განცდილის გამოხატვის აუცილებლობას“ (ფურნ. „სახეტოთა ხელოვნება“. 1982. № 10).

როცა სათქმელი გარკვეულია და პიესაც შერჩეული, რევისორი იწყებს მომავალი სპექტაკლის თხზვას. ამ დროს ის მუშაობს მარტო, რადგან თხზვა ნარმოხახვა – უნდა დაიბაფოს თხზულება, მხატვრული ქმნილება.

რას ნარმოხახავს რევისორი? – იმას და იმათ, რაც და ვინც პიესის საკითხეთი გიორე ყველაფერს, რასაც სწადიან მოქმედი პირები იმ სურელებსა და მიზნების განსახორციელებლად, მან რომ ამოიკითხა მათ მიერ ნარმოთქმულ სიტყვათა შორის. ეს ქვევები, ეს მოქმედებანი რალაცას უნდა გამოხატავენენ, უნდა აქონდეთ მინარსი ზუსტი, აქტიური და შეუნელებელი, რადგან ნებისმიერი სპექტაკლი მიმდინარე პროცესია. მ. თუშანიშვილი ასახელებს იმ წყაროებს, რომლებიც ამ რთულ პროცესში უმთავრესად მიაჩნია:

**„პიესა. ავტორის განხილული თემატური ნაშრომები, საკუთარი ზეგნები და ფერები გააჩნია.**

ჩემს ირგვლივ არსებული ცხოვრება თავისი დადებითი და უარყოფითი ფაქტებით.

საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ჩემი დამოკიდებულება და

თეატრალური თამაშის ის ხერხი, რომელსაც მე ვირჩევ.

ძალიან ბევრია დამოკიდებული ჩემს მსახიობებზე, მხატვარზე, მუსიკოსზე, ჩემს ნარმოსახეზე, ფანტაზიაზე და კიდევ ბევრ სხვა რამეზეც“ (1998 წ. „ახლა კი, ფარდა...“ გვ. 147).

ნეკროთა ამ სიმრავლეში, რა თქმა უნდა, მთავარ საფიქრალთან ყველაზე ახლოა თამაშის ხერხი, რომელიც მსახიობთა მიერ უნდა იყოს განსხვავებული მათ ცოცხალ, უწყვეტ სცენურ ქმედებაში. რეჟისორის ფქვილი ასე მიემართება:

**1977 წ. „სანამ რეპეტიცია დაიწყება...!**

„თუ სცენაზე ქმედება ერთი ნუთით მაინც შეწყდა, შეჩერდება სპექტაკლის გულისცემა და მოკვდება“ (გვ. 125).

**1989 წ. „რეჟისორი თეატრიდან ნაედა“!**

„თეატრის ენა – ესაა განცდები, გამრავლებული მოქმედებაზე, მაყურებელი თეატრში იმის გასაგებად კი არ მოდის ოტელო დეზდემონას დაახრობს, თუ არა. არა, მაყურებელი იცის, რომ ოტელო დეზდემონას დაახრობს, მაგრამ მას აინტერესებს როგორ მოხდება ეს, ტრაგედიის პერსონაჟები როგორ მოვლენ აქამდე“ (გვ. 153).

**1998 წ. „ახლა კი, ფარდა...!**

„ყოველი სცენა – ბრძოლაა. თუ სცენა წინ არ მიიწევს, ის მკვდარი ყოფილა. როდესაც მაყურებელი თეატრში საუბარს იხმენს და არ ადევნებს თვალს ბრძოლის განვითარებას – თეატრი მკვდარი ყოფილა“ (გვ. 108).

რადგან სპექტაკლი სცენაზე გათამაშებული სიცოცხლეა, ის, მსგავსად ყველა სახის თამაშისა, აუცილებლად გარკვეულ პირობაზე უნდა იყოს აგებული და ამ პირობას უნდა სთავაზობდეს მაყურებელს. ამ პირობას რეჟისორი ირჩევს თავისი მომავალი სპექტაკლის უმთავრესი შინაარსის წარმოსახენად მანამ, სანამ წარმოსახვა ამ უშუავედროდებს. სხვანაირად მას კონკრეტული მისამართი არ ექნება.

რადგან ეს პირობა თამაშის პირობაა, სცენაზე ცოცხლად მოთამაშე კი მხოლოდ ნსახიობია, რეჟისორის მიერ არჩეულ მხატვრულ პირობასაც მაყურებელს ის სთავაზობს. ბევრს ფიქრობდა ამაზე მ. თუნანიშვილი, რადგან სწორედ თამაშის მხა-

ტრულ პირობაში გამოიხატება ყველაზე ნათლად ის, რასაც სათეატრო ხელოვნებაში სპექტაკლის რეჟისორი უნდა გადმეცხვებავს.

**1977 წ. „სანამ რეპეტიცია დაიწყება...!**

„სპექტაკლის გადაწყვეტა ნიშნავს თეატრალური თამაშის გარკვეული ხერხის მოფიქრებას და შეთხზვას, მის გამოხატვას პლასტიკურ ფორმაში მსახიობის, დეკორაციის, კოსტიუმების, მუსიკის, აქუსუართა და სხვათა საშუალებით“ (გვ. 167).

თვითონ მუდამ გადამწყვეტის სადა და კონკრეტულ გზას ირჩევდა. ეს ცხადია თუნდაც ე. ანუის „ანტიგონეს“ მისეულ დადგმასთან დაკავშირებით გამოთქმული მის ერთ ნინადადებაში: „ანტიგონეს დადგმითი გადაწყვეტა, მისი გასაღები დისკუსიაა და არა სასამართლო“ („სანამ რეპეტიცია დაიწყება...“ (გვ. 174). მოგვიანებით კი კატეგორიულად განაცხადებს: „ყოველ სპექტაკლს საკუთარი გასაღები, თამაშის ნეის მოეპოვება“ (1998 წ. „ახლა კი, ფარდა...“ გვ. 148).

საფუძელი ამ კატეგორიული განცხადებისა მ. თუმანიშვილისათვის იმის ურყეობი რწმენაა, რომ თამაშის მხატვრული პირობის საყრდენიც მწერლის ნაწარმოებია. ეს ნაწარმოები მუდამ თავისებური სამყაროა, ადამიანთა ცხოვრების ამბის თავისებურად მომზადებული. მამასადავამ, ამ სამყაროში შესაღწევია კარისათვის გამოსადეგი სცენური გასაღებს მომთბოვნი. ყველა მისი ცნობილი დადგმა ამის დასტურია: „როცა ასეთი სიყვარული“ არ გაედა „ჭინჭრქას“, ორივე ერთად – „ანტიგონეს“, სამივე – „პაკულას ლორებს“, მათთან ერთად კი ყველა დანარჩენი „ქვენ პატარა ქალას“ ... საკუთარი ნიჭიერების სადემონსტრაციო მასალად ლიტერატურული ნაწარმოები არასდროს გადაუქცევია. პირიქით, ყველაფერს მის სიღრმეებში ეძებდა. რა თქმა უნდა, მოქმედ პირთა მამომთავებულ კონფლიქტებსაც.

ცნობილია, რომ კონფლიქტი – ეს არაა ნაწარმოების რომელიმე ნაწილი, ის ნაწარმოების სულია, მთავარი მამომძრავებელი ძალა. ის განაპირობებს როგორც სიუჟეტის განვითარებას, ისე ფაბულის აგებასა და ხასიათების გამოკვეთას. სამივეს მოქმედებაში აეღვს.

კონფლიქტი არ შეიძლება იყოს გამოვლინი. ის ბუნებრივად უნდა აღმოცენდეს ადამიანთა ცხოვრების რეალურ ნინაალმდეგობებში, მათი სასიცოცხლო ინტერესების შერკინებაში. უნდა ისრუტავდეს ყველა მოქმედი პირის შინაგან მამომძრავებელ სტიმულებს, მათი ქცევების თანამი-



ნდვირობას. ყოველი მოქმედი პირი, გარკვეულ მომენტში, უთუოდ უნდა მოექცეს ნაწარმოების გმირთა ცხოვრების უმთავრეს მდინარეებში. მდინარეება მხოლოდ აღმავალ ხაზს არ ნიშნავს. პირიქით, ჩვეულებრივ, პრობლემა წარმოიწინდება როგორც რთული, მოულოდნელი მოსახვევებით მიმავალი გზა, რომელზეც მოქმედი პირთა იკვალავენ. ამ გზაზე თანდათან იცვლება მათი ურთიერთდამოკიდებულებანი, მიმართებები როგორც მოვლენების, ისე ერთმანეთისადმი. ვლინდება ხასიათის თვისებები. ცვალებადობის ეს პროცესი განაპირობებს ნაწარმოების დასასრულს და მის დედააზრსაც გამოკვეთს. დრამატული ნაწარმოების კონფლიქტის რაობის შესახებ თავისი შეხედულება მ. თუშანიშვილმა ზუსტად ჩამოაყალიბა ნიგნში „ახლა კი, ფარდა...“:

„კონფლიქტი მოძრაობის საფუძველია — წონასწორობის დარღვევა, ახიშვტრია, მიწუნიადი პლიუსისკენ მიმართული მოძრაობა, მაღალი ძაბვა. შეთხზა სპექტაკლი ნიშნავს შეთხზა ნინააღმდეგობები და მათი დაძლევის საშუალებები“ (გვ. 254).

„ყველაფერი კონფლიქტის არსის განსაზღვრით იწყება. უნდა იგრძნო, უნდა დაინახო არა ნაწილ-ნაწილ, არამედ მთლიანად, როგორც ერთი მოვლენა, ეპიკენტრიდან დასაწყისისაკენ და ბოლოსკენ, ფინალისკენ მიმართული. ამბობენ, მოცარტს სმენითი წარმოსახვით შეეძლო ერთ ნაწილ თავიდან ბოლომდე მოესმინა თავისი ჯერ არ დაწერილი სიმფონია! წარმოუდგენელია, მაგრამ შესაძლებელი“ (იქვე, გვ. 258).

თუ კონფლიქტი მოძრაობის საფუძველია, პიესაში კი მოძრაობა დასაწყისიდან დასასრულისკენ მიემართება, ცხადია, გარკვეული ეტაპების გავლა ბუნებრივი და გარდუღალია. ყოველ მათგანს განაპირობებს ის მოვლენა, რომელიც მოქმედი პირთა ცხოვრებაში ხდება — ცხოვრებაში ხომ განუწყვეტელივ ხდება რაღაც ისეთი, რაც ცვლის არსებულ ვითარებას და ავამიანის ცხოვრების დინებას, მის მიმართულებას განაპირობებს! (ცხადია, ყველა ხდომილება ერთნაირად მნიშვნელოვანი არ შეიძლება იყოს. ნაწარმოების შესწავლისა და ანალიზის შედეგად შაკუთვნიებს რეჟისორი ყოველ მათგანს თავის ადგილს და იმასაც დაადგენს, თუ რომელია მისი აზრით ის მთავარი, ყველა დანარჩენს რომ ისრუტავს. მთავარი მოვლენის განსაზღვრა ნაწარმოების ნაწარმოების მოქმედი პირთა ცხოვრების განვითარების გზას — თეატრალური ტრენოლოგიით **გამჭოლ მოქმედებას**. ყველა თავის ნიგნში შეეხო მ. თუშანიშვილი ამ საკითხს:

**1977 წ. „სანამ რეპეტიცია დაიწყება...“**  
 „გამჭოლი მოქმედება შედგება ცალკეულ ამბავთა ეპიზოდთაგან, რომლებმაც უნდა შექმნან მოვლენათა რიგი — გამჭოლი მოქმედების ხერხემალი“ (გვ. 105).

„ლიტერატურულ ნაწარმოებს თეატრის ქმედითს ბუნებას ჩვენ მაშინ ვუახლოებთ, როდესაც ყოველი პიესის ნებისმიერ მონაკვეთს ვაქცევთ მოქმედებად, როცა „ლაპარაკის“ ყოველი ატომში ჭიდილი ვიკოვია. ამ ჭიდილის ერთი რგოლი — მოვლენა (ამბავი). მოვლენა კი პატარა ომია, სადაც თავდასხმელებიც არიან და თავის დამცველებიც. პერსონაჟების შერკინებათა გარკვევა მათი ჭიდილის მიზნებისა და მოტივების გაგება ნიშნავს ნაწარმოების არსის ამოსხნას“ (იქვე, გვ. 120).

**1989 წ. „რევისორი თეატრიდან ნავიდა!“**

„გამჭოლი მოქმედება — ესაა საშინლად დიდი წყურვილი შენთვის და სხვებისთვის რაღაც ძალზე მნიშვნელოვანის მიღწევისა, ესაა დაუოკებელი სურვილი იმისა, რომ ადამიანის მიელი სიცოცხლე წარმართოს გარკვეული კალაპოტით, დაუმორჩილოს იგი ერთიან მისწრაფებას, ცხოვრების ყოველი საათი მთავარ მიზანს შეუსაბამოს. გამჭოლი მოქმედება გიგანტურ სლალომსაც შეიძლება შევადაროთ“ (გვ. 205).

შენიშნა, ალბათ, მკითხველმა, რომ ყველა სათეატრო პრობლემის შესახებ მსჯელობა მ. თუშანიშვილისთვის დრამატურგიით იწყება. ეს იმიტომ, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებზე დაფუძნება სათეატრო ხელოვნების შემოქმედებით აუცილებლობაა — ლიტერატურის გარეშე თეატრი არ არსებობს. ესაა იმის მიზეზი, რომ დრამატურგიის გაუთვალისწინებლად არც ერთი თეატრალური პრობლემის გადაწყვეტა არ ხერხდება. მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემისაც, როგორიცაა ე. წ. გრძნობათა ბუნება ანუ მწერლის შემოქმედებით ინდივიდუალობის შესატყვისის სცენური ექვივალენტის მოძიება. მ. თუშანიშვილიც ასე იწყებს მსჯელობას:

„გარდა ჟანრობრივი განსაზღვრისა, არსებობს კიდევ უფრო ზუსტი განსაზღვრა, რომელიც უკეთ გამოხატავს ნაწარმოების ხასიათს — ესაა გრძნობათა ბუნება. გრძნობათა ბუნება — ესაა ღრმად პირადული, განუყოფელი ბუნება, რითაც ხელოვანი ცხოვრებისადამი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს. ესაა უკიდურესად ინდივიდუალური თავისებურება, რომელიც გამოიხატება

მისი ფორმის განხორციელებაში\* (სანამ რეპეტიცია დაიწყება... გვ. 16).

მაინც რა არის გრძნობათა ბუნება? ესაა ხელოვანის შინაგანი სამყაროს ღრმად ინდივიდუალური გამოხატულება ნაწარმოების გარეგან ფორმაში. ესაა განსაკუთრებული ხერხი სამყაროს სახეობრივი ხილვისა. ესაა შემოქმედის თვისება და თავისებურება, რაც მხოლოდ მას ახასიათებს\* (იქვე, გვ. 162).

„რამდენიც არ უნდა ვიკამათოთ, თანამედროვე თეატრი მაინც ლიტერატურისაგან ამოიზარდა. თვით შეიერ-პოლდის ნათქვამი: „ლიტერატურა გვკარნაობს თეატრს“ — აქსიომა გახლავთ. დ. კლდიაშვილი არ შეიძლება ისე დაიდგას, როგორც ვაჟა-ფშაველა, ხოლო შ. დადიანი, როგორც დ. კლდიაშვილი. ეს ისევე შეუთავსებელია, როგორც შოპენის დაკრა ბეთჰოვენის დარად. სპექტაკლის გადწყვეტა უნდა შეესაბამებოდეს მოვლენათა გადმოცემის ავტორისეულ ხერხს“ (იქვე, გვ. 195).

ყოველ მწერალს აქვს თავისი გრძნობათა ბუნება. ერთისთვის ეს გამოიხატება ირონიული თხრობით, ზოგისთვის — რეპორტაჟულით, ზოგისთვის კიდევ — გროტესკულით ან ბალაგანურით... ყოველ პიესაში არის რაღაც განსაკუთრებული, განუმეორებელი“ (რეჟისორი თეატრიდან ნაიფა“. გვ. 165).

პიესაზე ამ პრინციპით მუშაობის შედეგად იხადება მომავალი **სპექტაკლის სარეჟისორო გეგმა**.

ნებისმიერი გეგმის შედგენა ცნობიერია, რადგან ის მომავალი საქმიანობის თავისებური პროექტია. პიესაზე მუშაობის პროცესში რეჟისორის ჩანაფიქრი თანდათან ზუსტდება და იხვეწება. ცხადია, ჩანაფიქრის ხორცშესხმის შესაძლო ვარიანტებიც ჩნდება. ეს აზრისა და ნარმოსახვის ერთმანეთისგან განუყრელი პროცესია — ვერც მხოლოდ გრძნობა ჩანდება მოვლენის სიღრმეს აზრის გარეშე, არც მხოლოდ აზრია ისე ზემოქმედი, როგორც გრძნობასთან ერთად.

რეჟისორის მიერ სახეობრივ სათქმელის ნიშანშემარტულება განსაკუთრებული სახის გონებრივი შრომაა — ავტორის მიერ თქმულში საკუთარი სათქმელის აღმოჩენა ან შრომის შედეგად ნათელი ეფინება ამა თუ ამ საზოგადოებრივსა და ზნეობრივ პრობლემას, რომელიც ალელვებს ხელოვანსაც და მისი ქმნილების აღმქმელსაც.

მ. თუმანიშვილი სარეჟისორო გეგმის შესახებ:

„მოდელს (გეგმას) შეადგენს იდეა, ნოქმედების, მოვლენის, მოქმედ პირთა სუ-

რილის, მისწრაფებათა, ხასიათის განწყობილების ნიშნების, დეკორაციისა და მუსიკის, კოსტიუმისა და გრიმის, სინაოგისა და რეჟიზიტის ზუსტად მიგნებული ელემენტები და, რაც მთავარია, გამჭოლი მოქმედებისა და ზეამოცანის სისტემები, მოვლენური რიგის ელემენტები“ (სანამ რეპეტიცია დაიწყება“. გვ. 50).

„თეატრალური ანალიზი ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. შესაძლებელია, რომ რეჟისორული ექსპლიკაციის შექმნის უმთავრეს მომენტად მივიჩნიოთ გმირთა შორის ურთიერთკავშირის სათუთი და აზუსტი ქსელის ნიჭიერი მიგნება და აწყობა. და განა ეს უფრო ადვილი გასაკეთებელია, ვიდრე პოემის, რომანის თუ ლექსის დანერა, ან მრავალფიგურიანი ფერწერული ტილოს შექმნა? ჩემი აზრით, არა“ (იქვე, გვ. 88).

ფრამენტში მ. თუმანიშვილის სარეჟისორო გეგმიდან შექსპირის „კულიუს კეისრისათვის“:

„10. შეთქმულება. ბრუტუსი ჩქარი ნაბიჯით შეთქმულებს უახლოვდება. ზარ-ზეიმური განწყობილება აქვს და ალელვებულია. იგი ახლო მიდის კენატორებთან და ფაქტიურად ანიშნებს, მზად ვარ შეთქმულებაში მონაწილეობა მივიღო. შეთქმულნი აღტაცებულნი არიან. ახლა ყველაფერი რიგზეა, მათ მკვილეს ველარაივი დაუძახებენ: მათთანაა კეთილშობილი ბრუტუსი!“

მერე ერთბაშად ალაპარაკდებიან, ერთმანეთს სიტყვას აწყობენ, ინჯებენ მომავალი ოპორციების დაწვრილებით განხილვას, მაინცდამაინც ყურადღებს არ აქცევენ სახლის პატრონს, მაგრამ ის ამის ყაბული არ არის. ბრუტუსი შეთქმულებს შეუერთდება და ფაქტიურად განხილვის წარმმართველი ხდება. იგი ამჟამად ნინა-ალმდეგია იმ შეთქმულების, რომლებიც მონონთ კახიუსსა და სხვებს. ამ ეპიზოდში განსაკუთრებით მრავლდება მოვლენებისადმი მისი რომანტიკული დამოკიდებულება, განსაკუთრებით კარგად ჩანს მისი „დონ კიხოტომა“ ამ ფორად პოლიტიკურ საქმეში. ბრუტუსს მაინც სჯერა, რომ სამყარო ლამაზადაა მოწყობილი, რომ ამქვეყნად ცხოვრობენ უანგარო ადამიანები, რომლებიც პირადულს იღვას შესწირავენ და თვით სიცოცხლესაც არ დაიშურებენ დემოკრატიისათვის. მას სჯერა, რომ ყველა შეთქმულს მხოლოდ ასეთი დამოკიდებულება აქვს შეთქმულებასთან. ფაქტიურად, ყველა საკითხის გადაწყვეტისას, იგი თავის შკაცურ პირობებს აყენებს: კახიუსი ითხოვს, რომ შეთქმულება ერთგულების ფიქრი დადონ (გავიფიცოთ, რომ აღვასრულებთ, რაც



შეთქმულდება ერთგულების ფიცი დადონ (გაგიფიცნოთ, რომ აღეპარულებით, რაც განეცხრახნოთ). ბრუტუსი ნინაალმდეგია. რა საჭიროა ფიცი? განა ფიცის გარეშე ერთმანეთს არ ვენდობით? არ არის საჭირო ანტონიუსის მოკვლა — ჩვენ ხომ სამართლიანობა გვინდა და არა მკვლევლობა? ჩვენ კეისარი კი არ უნდა მოკვლათ, არამედ ეს უნიტიერესი, ჩვენი საყვარელი პიროვნება მსხვერპლად უნდა მიუტანათ უზენაეს პრინციპებს, დემოკრატიული რომის იდეებს, თუ თქვენებურად გაუტყვით, მე მიგატყვებთ. აქ ბრუტუსი ამკარად პირობას აკეთებს. იგი შეთქმულებს თავის თვალსაზრისს უმტკიცებს და უნდა, რომ მას დაემორჩილონ. კასიუსი ცდილობს შეეკამათოს, მაგრამ გრძნობს, რომ ამან შეიძლება ბრუტუსს შეთქმულებაში მონაწილეობაზე ააღზინოს ხელი. ერთობ უკმაყოფილოა იმით, რომ ფაქტიურად ბრუტუსმა მისი ადგილი დაიკავა და შეთქმულების ნამდვილი ხელმძღვანელი და შთამაგონებელი გახდა, მას კი თავმოდრეკისა და დამორჩილება შეტი არაფერი დარჩენია. ტრეპონიუსი და დეციუსი ურჩევენ, ნუ შეეკამათებთ ბრუტუსს. იმასაც ეტყვიან, მერე როცა ბრუტუსს თანხმობას ამოვგლეჯთ, შეიძლება არც არაფერი ვკითხოთ, არამედ ისე მოვიქცეთ, როგორც საქმე მოხდენსო. ყველანი ემორჩილებიან ბრუტუსს. ემორჩილთავერდება კასიუსის პათეტიკური მოწოდებით. ამას იმისთვის აკეთებს, რომ როგორმე აღადგინოს თავისი შეღაბული ავტორიტეტი შეთქმულთა შორის. ბრუტუსი აცილებს მას ჭიშკრამდე, როგორც მისთვის ძვირფას ადამიანებს, რომლებთანაც ერთად იგი კეთილშობილ ბრძოლაში ებმება რეაქუბლიკური იდეების დასაცავად...

ეპიზოდი — სინანული. ასეთი გრძნობით უბრუნდება ბრუტუსი სკამს. საშინელმა სინანულმა მოიცვა იგი, აუცდენელმა შიშმა დარია ხელი. „მამ, გადანჯდა, იგი უნდა მოკვდეს“ — ვკითხება ბრუტუსი თავს. აქ ეს რეპლიკა შექსპირს არა აქვს. იგი სცენის დასაწყისიდან უნდა ანმოვლით, ბრუტუსის მონოლოგადან“ (სანან რეპეტიცია დაიწყება...“ გვ. 213-214). აქვეა მითითებული, რომ „სარეჟისორო გეგმა ესაა მხოლოდ შენიშვნები მომავალი სპექტაკლის მიმართ. მხოლოდ მომზადება სარეპეტიციო პროცესისა“ (გვ. 68). ვფიქრობთ, ნათელია, რომ მ. თუმანიშვილისთვის სპექტაკლის შეთხზვა მხოლოდ ინტუიციას არ იყო მინდობილი. მისი სარეჟისორო გეგმიდან მოხმობილი ეს ერთი ამონარიდიც საკმარისია იმის საბუთად, რომ სპექტაკლის მონაწილეებთან შე-

ხედრამდე მას უკვე ჰქონდა გააზრებული გმირთა სცენური ცხოვრების მთლიან სურათის გარკვეული კონსტრუქციები, თუმცა რომ დენყო მომავალ სპექტაკლზე მუშაობის ახალი, უზნიშვნელოვანესი ეტაპი უკვე მსახიობებთან ერთად — რეპეტიცია.

რეპეტიციაზე ერთობლივ მუშაობაში მონაწილეები ან საკუთარი მიჯნებით, ან სხვა მონაწილეთა დახმარებით, რასმე მოიძიებენ. ერთობლივ შემოქმედებაში ურთიერთგამდიდრება ბუნებრივი და კანონზომიერია. თუ რეპეტიცია ძიებაა და არა მხოლოდ მოპოვებული გამეორება, მაშინ ის, როგორც ნესი, მომდევნო რეპეტიციის მაღალ დონესაც ამირთბებს. რეპეტიცია მხატვრული სიმაღლისკენ მიმართული ძნელი გზაა — ხრეშით, ნარეკლით მოფენილი, ნეიმა-ავდარში გასაკვალავი. რთული საქმეა. ამდე დროს, ძალზე საინტერესო. ზოგჯერ ისეთი შთაგონებული, შემდგომ რომ მზა სპექტაკლი ვერ უტოლდება.

პერსონაჟთა შორის კავშირები რეპეტიციაზე უნდა მოიძებნოს, დადგინდეს და განზოგადდეს. ეს არაა ადვილი. რეპეტიციის წარმოებასაც ცოდნა ესაჭიროება — ყოველი მოქმედი პირის მიერ წარმოქმულ სიტყვას ფესვი უნდა მოეძებნოს. ამისთვის აქტიურად უნდა მუშაობდეს ფანტაზია, წარმოსახვა. ამგვარი შრომა მამინა ნაყოფიერი, რადესაც მიზანია ნათელი.

დროთა განმავლობაში სარეპეტიციო მუშაობის სისტემა ცვლელბოდა. თანამედროვე თეატრში ეს სისტემა მჭიდროდაა დაკავშირებული დრამატულ თეატრში რეჟისურის ხელშეხებას დასკვიდრებასთან. შეიცვალა თვით მიზანი რეპეტიციისა — მხოლოდ უმთავრესის კონტურის მოხაზვა აღარაა საკმარისი. მთავარი გახდა პიესის დედააზრისა და მისი ლიტერატურული ქსოვილის თავისებურების ამოხსნა-გამომხეურება სპექტაკლის მთლიან მხატვრულ ორგანიზმში.

სარეპეტიციო მუშაობის ყველა ეტაპის წარმმართველი რეჟისორის მიერ ჩაფიქრებული სპექტაკლის დედააზრია. ასეა ეს დაწყებით, ე. წ. „მაგიდის გარშემო“ რეპეტაციებზეც და შემდეგმაც, როდესაც მონაწილენი შინაგანად მზად არიან სიერცემში ამოქმედებისათვის. მთავრდება „რეპეტიციები ძგადებებში“. მუშაობის პროცესში თანდათან ერთეება დეკორაციის ელემენტები, საჭირო ნივთები. შემდეგ რეპეტიციის გადინა სცენაზე. ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ უფრო მოზრდილ მონაკვეთებად, აქტებად, ვიდრე არ მომნიფდება

ხაზარევი და განცდილი ერთმანეთს ერწყმის. რეჟისორის ხელმძღვანელობით სპექტაკლის რთული და მრავალსახოვანი ორგანიზმის ნაწილები საბოლოოდ ერთიანდებიან ერთ მთლიან მხატვრულ ქმნილებად — სპექტაკლად, სადაც მ. თუმანიშვილის თქმით, ყველაფერი მოძიებული თავს იყრის უმთავრესი მოქმედების — გამჭოლი მოქმედების გარშემო:

„გამჭოლი მოქმედება არაა მოქმედების მშრალი, გონებით გავლებული ხაზი. ეს ცოცხალი, მფეთქავი არტერიაა, რომლის მიხედვითაც ათასობით მოძრავი სისხლმტარებელი სხეული (ფიზიკური მოქმედებანი) მიემართება ცხოვრების ცენტრისკენ — გულისკენ. გული ზომ რთულს მქაჩის ხმაი, რომელიც მთელ ორგანიზმს ანედის სისხლს. ასევე ზეამოცანამაც უნდა „წარმართოს“ გამჭოლი მოქმედება. დაიშორსილოს ყველაფერი, მოქმედების ყველა უფრედდ მიაწოდოს საკეები, ენერჯოულად წარუდგინოს ნინ სცენური ცხოვრების მქვეყნარე ნაკადად“ („სანამ რეპეტიცია დაიწყება...“ გვ. 96).

როლის სიტყვიერი ტექსტი თუ მიღწერისაც მოიცავს, ე.წ. ქვეტექსტის ცნებაც საესეებით ბუნებრივია და მ. თუმანიშვილი ანაზეც აჩერებს ყურადღებას: „ქვეტექსტი — შინაარსია, რითაც ჩვენ ვმსჭვავლავთ სიტყვებს, შეფერილობაა. როდესაც ქვეტექსტი ხდება მთავარი, სიტყვები თავისით წოიპოვებენ ადგილს ქმედებაში. სიტყვა ცხოვრებისეულად დამაჯერებლად ფლერს. ცხოვრება ზომ ფრაზებისგან კი არა, უნდების, ქცევებისა და განცდებისგან შედგება. სწორედ ისინი მჭენენ სიტყვებს ყოველ ჯერზე სხვა შეფერილობას“ („ახლა კი, ფარდა...“ გვ. 10).

მ. თუმანიშვილი სარეპეტიციო შემოქმედების არაერთ სახეობას ახახელებს: ხილრმისეული, ბობოქარი, ცრუ, წყვეტილი, მოსაწყინი, გაბორტებული, გამშაბებული... ყოველ მათგანს ახასიათებს და მათ შორის გამოარჩევს ერთს, რომელსაც ნამდვილს უწოდებს —

„ნამდვილი რეპეტიცია ისაა, როცა მისი სადავეები შენ გიჭირავს ხელში და ისე წარმართავ, როგორც მოაქროლებენ ეტლს, რომელშიც გახელებული, ფეხმარდი ცხენეია შებმული.

ნამდვილი რეპეტიცია ისაა, როცა შენ ისეთ სარეპეტიციო ხიტუაციას შექმნი, რომლის დროსაც მსახიობები თვითონ ქერავენ სახეებს და მყისვე იტაცებენ, ავითარებენ იმას, რაც შენ მხოლოდ შეუმჩნევლად მიაწინე. ისინი მათდა შეუმჩნევლად მკავებს იქითკენ, ხაით, კნაც გინდა, მათ კი

გახარებულებს, ჰგონიათ, ჩვენ მიჭკრიოთ. რეჟისორის ოსტატობის უმჯდელეს მტერება ესაა.

რეპეტიცია რეჟისორის მეორე სიცოცხლეა. შენი ყველა რეპეტიცია რომ ერთმანეთს გადააბა, გამოვა ერთი დიდი დამოუკიდებელი სიცოცხლე — მეორე სიცოცხლე, რომელიც პირველის პარალელურად არსებობს და ვითარდება.

ამ სიცოცხლეს თავისი საკუთარი კანონები აქვს“ („რეჟისორი თეატრიდან ნაიდა“ გვ. 103).

სათეატრო შემოქმედების შესახებ არსებულ ლიტერატურაში სარეპეტიციო პროცესის ამსახველი მასალა იშვიათია. განსაკუთრებით მინაშელოთა მიერ აღწერილი მით უფრო იმით მიერ, ვინც თავიდანვე კი არ იყო ჩართული სპექტაკლის მზადებაში, არამედ შემდეგ შევიდა მზა წარმოდგენაში. ეს მუდამ რთულია მრავალი მიზეზით. მით უფრო რთული იყო იგი კინოსმსახიობთა თეატრის მაშინ დამწყებ მსახიობთა მთარ გეგმქორისთვის, რომელიც მისთვის მოულონელად დაინიშნა ნესტანის როლზე სპექტაკლში „ჩვენი პატარა ქალაქი“. მცირე შემოკლებით გთავაზობთ მის მოგონებას:

„... ყველაფერი ისე დაიწყო, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს თეატრში მისულს დახის გამგემ ქმა ქეთი ესაიშვილმა ძალიან მშვიდი სახით რაღაც ფურცელი მომანოდა. მეგონა, საყვედური იყო, რადგან ნინა დღეს რეპეტიცია გაეცდინე. აღელვებულმა ქალაღი გამოვართი და კითხვა დაეინყე. იქ ენერა: აღდგანილ იქნას „ჩვენი პატარა ქალაქი“. ნესტანი თამარ გეგმქორი.

არ შემიძლია იმის გადმოცემა, რაც დამემართა. ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ მეგულებოდა. გული ისე მიცემდა, მეგონა მთელ თეატრს ესმის. მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა — მარტო დაეწინილიყავი. ეს იყო 1993 წელს.

ოცნება მხოლოდ 1996 წელს იქცა სინამდვილედ. მანამდე ემუშაობდით. რეპეტიციები სხვადასხვა მიზეზით ხშირად წყდებოდა...

ბ-მა მიმამ ნესტანისა და გიორგის ახალ შემსრულებელთა მომზადება რეჟისორ გ. სიხარულიძეს მიაწოდო. ის გვამუშავებდა, შემდეგ კი ნამუშევარს ბ-ნ მიმას უჩვენებდა. ეს იყო ჩემი ცხოვრების დაუღწევარი ხანა.

რეპეტიციები ზან ბ-ნ მიმას ოთახში, ზან სცენაზე გეიტარდებოდა. მახსოვს ამ რეპეტიციებზე გახარებული ბ-ნი მიმა. ეს იმას ნიშნავდა, რომ რაღაც გამოგვიდოდა. მოგახსენებთ, მზა სპექტაკლში ჩართვა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.





მივიდით იმ სცენამდე, სადაც ნესტანი გარბის და ხელს ურტყანს კედელს. ბ-ნი მიშა მკარნახობს:

— მიდი მაშასთან, მოეფერე... რაღაც უზილაღია თქვენ შორის... ვერ მიდიხარ ახლოს... აღარ იცი რა გააკეთო, დაიბენი... აი, ახლა თქუი შენი სათქმელი.

— გამარჯობათ, დეიდა ნინო, ნეიშა მოდის, — ვთქვი მე. ბ-ნი მიშა კი გახაგრძობს:

— გესმის გალობა? რა ბედნიერებაა... გაგახსენდა გიორგი, ის სამყარო... არა, სიცოცხლე უკეთესია, რა გინდა აქ? გაიქეცი, ადექი, გაიქეცი!

მეც წამოვხტი, მივყარდი კარს და დაეინწყე ბრახუნი. გამაჩერა: — მოდი, დაჯექი. თუ იცი, რას ურტყამ?

მე გავეცანი ჩემი ეერსია, რომელიც გენიალურ მიგნებად მიმამნდა. ბ-ნი მიშა მისმენდა და ხმას არ იღებდა. როდესაც დავამთავრე, მითხრა:

— არა, შენ წევხარ კუბოში, თავზე მისი სახურავი გახურავს და სული გეხუთება. ურტყამ ამ სახურავს, რომელიც ცხვირზე გადევს! გესმის?! მიდი, თავიდან.

ეს იმდენად შემზარავი იყო, რომ თავს უკვე ვეღარ ვაკონტროლებდი. თვალები ცრემლით ამჯესო, სიტყვა ვეღარ ამოვიღე, მხოლოდ შევივადრე — ახლა გამიშვით-მეთქი...

— ნადი და იფიქრე. ხვალ ისევ შეხვდებით, — მითხრა.

ერქიხნული

გამოვიხურე ჯადოსნულ კარს და შეინისკენ გავემურე. მთელი გზა მისი ხმა ჩამესმოდა ყურში, ყველა მისი სიტყვა, თვალნინ მედგა ყოველი მისი მოძრაობა, ყოველი ჟესტი. მოუთმენლად ველოდი მეორე დღეს და ამ საოცარ ადამიანთან შეხვედრას...

ეს მოგონება მშვენიერი ანარეკლია ერთობლივი შემოქმედებით განცდილი ბედნიერებისა. და გესმის რატომ დაარქვარევისორმა ან. ეუროსმა თავის წიგნს „რეპეტიცია — სიყვარული ჩემი“ და რამ დაანერინა მიხეილ თუმანიშვილს ეს სიტყვები:

„ჩემი ყოველდღიური ოცნებაა რეპეტიცია. სულ ვფიქრობ, ნეტავ დღეს არსად გამომიძახონ. ერთადერთი, რითაც ახლა ცხოვრება შემძლია, თეატრია. თანაც განა პრემიერის დღეს მაყურებლით გაქედილი დარბაზი? არა, მინდა რეპეტიციაზე ვიჯდე. იქ იმდენი საინტერესო ხდება!“

მინც რა? — სცენურ გმირთა სიცოცხლის მსახიობთან ერთად თხუვა, თორემ სპექტაკლის დაბადებამდე კიდევ დიდი გზაა გასაფლელი...

## გაგრძელება იქნება



# „სისფარი“ სემანტიკა ქართულ მხატვრულ შემოქმედებაში

რომანტიზმის, როგორც მხატვრული მიმართულების ღირებულებათა სისტემაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია ფერთა სემანტიკას – ფერი და მასთან დაკავშირებული სიმანტიკის რომანტიზმის სიმბოლიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ყოველი ისტორიული ეპოქა, ამა თუ იმ ქვეყნის კულტურაში მხატვრულ შემოქმედების ესთეტიკის შესატყვისად ახდენდა ფერთა სემატიკის მოაზრებას. მეტად საგულისხმოა, რომ ცისფერი ყველაზე მეტად იყო დაკავშირებული რელიგიურ წარმოდგენებთან, რაც ამ ფერის „არამატერიალური“ ბუნებრივად მომდინარეობს. იგი ყოველთვის ფიგურირებდა დროისა და სივრცის მიღმა არსებულ ღვთაურ, ციურ, ციურ სამყაროს ატრიბუტად. „ლურჯი ფერი მარადისობას საზღვრებს მიღმა, საზღვრების გარეშე განიხილავს“<sup>1</sup>. ცისფერი საუბრისას ჩვენ გვერდს ვერ აუღვრის საკუთრივ ცის სიმბოლოსადმი ამ ფერის მიმართებას, აქედან გამომდინარე კი ციურ სამყაროს. როგორც აღვნიშნეთ, ცა წარმოადგენდა ისეთი ღმერთების ატრიბუტს, როგორებიც არიან ძველგვიპტურ ამონი, შუმერული დიდი დედა, ბერძნული ზეფსი, პერა, ინდუისტური ინდრა, ვიშნუ და ცისფერკანიანი კრიშნა. ცისფერი გულმონწყალებას აღნიშნავდა იუდაიზმში, სიბრძნეს ბუდიზმში, ერთგულებას ევროპაში, განათლებულობას, იღბლიან ჟინების ჩინეთში. ასოციატური კავშირი ცისფერ სისხლსა და არისტოკრატის შორის ნომინირებს ფრანგულ არისტოკრატიაში გავრცელებული ფიცის ტექსტიდან – „ღმერთის სისხლს ვეცადე“, რომელიც „ღმერთის“ ვეფონში გახლდათ სიტყვა „ცისფერი“. ამის გამო დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა გამოთქმა – „ცისფერა სისხლი“<sup>2</sup>.

ქართულ სინამდვილეშიც და მხატვრულ შემოქმედებაშიც ფერის სიმანტიკის როლი უკიდურესად მნიშვნელოვანია. ამიტომაც ცალზე საინტერესოა ცისფერის სიმბოლიკის კვლევა ერთი მხრივ რომანტიზმთან, მეორე მხრივ რომანტიკულ ტენდენციასთან მიმართებაში. ევროპის ქვეყნების რომანტიკოსთა მსგავსად ქართველთა პოეტურ ცნობიერება-

შიც ცისფერმა გარკვეული ფსიქოემოციური დატვირთვა შეიძინა, რაც ხაზს უსვამს ამ ტენდენციის საერთოობას დასავლეთ ევროპისა და ქართული რომანტიზმის კულტურისთვის. რომანტიზმი, ცხადია, ზოგადევროპული მოვლენა იყო, რომელმაც მოიცვა ქრისტიანული აღმსარებლობის ქვეყნები. მიუხედავად იმისა, რომ რომანტიზმმა შეიმუშავა მხატვრულ სახესიმბოლოთა ერთიანი, ზოგადევროპული სისტემა, ევროპის ყველა ქვეყანაში ეროვნული შეობის შესატყვისად, საკუთარი კულტურის თავისებურებებთან მიმართებაში მოიაზრა რომანტიზმის პოსტულატები. ქართული კულტურა ზოგადევროპულის ნაწილია და შესატყვისად ქართულ და ევროპულ რომანტიზმ შორის არსებობს ერთგვარი საერთოობა, რაც თვალნათლივ ჩანს თუნდაც ცისფერის სიმბოლოს ინტერპრეტაციაში.

რომანტიზმის ხელოვნებაში ცისფერი, მასთან ერთად ღია ლურჯი, ამაღლებულის, მიუნდამილის, ზეცოურის, სისპეტაკის სიმბოლოა. ამასთან დაკავშირებით გაიხსენოთ რამდენიმე ნაწარმოები უცხოური ლიტერატურაშიდან.

გერმანელი მწერლის ნოვალისის რომანში – „პენრიხ ფონ ოფტერდინგენი“, ფიგურირებს ცისფერი ყვავილი, როგორც მთავარი გმირის ღამაში სიზმრის მთავარი სახე. სიზმრად ნაწილი ყვავილი სიყვარულის, პოეტური ოცნების, ადვალურზე სედეის სიმბოლოდ გვევლინება.

არ შეიძლება გვერდი აუაროთ მ. მეტელის კის „ლურჯ ფრინველს“, რომელშიც პატარა გმირები დაქვებენ ლურჯ ფრინველს, იგი ბავშვების აზრით მიუნდამილი, განუხორციელებელი ნატურების, სურვილების შემსრულებელია. ფრინველის ძიება სიზმარში ხდება და პისის ბოლოს მკითხველს აბსოლუტური გაურკვევლობის შეგრძნება ეუფლება. მწერალი ამზადებს გაურკვევლობის ფიქტს მთელი ნაწარმოების განმავლობაში, რათა ჩვენს ცნობიერებაში კიდევ უფრო მიუნდამილი გახადოს ლურჯი ფრინველი. მას ვერავინ პოულობს. მეტერლინკის პოზიცია ნათელია – ლურჯი ფრინველი მიუნდამილის

სიმბოლოა და ასეთად უნდა დარჩეს, იგი იმ ამაღლებულობის სიმბოლოა, რასაც ფრინველის ნავარდის ადგილი — ცისფერი ცის შორეთი განასახიერებს. საგულისხმოა, რომ ბავშვები ეძებენ ბუნებაში არარსებული ფერის ფრინველს. თუ გაითვალისწინებთ სიმბოლისტ მეტერლინკის შემოქმედების თავისებურებებს, მიხვდებით, რომ ლურჯი ფრინველი არ გულისხმობს კონკრეტულად მხოლოდ ფრინველს. მწერალს სჭირდებოდა ეს „საგანი“, რომელიც ყველაზე ნაკლებმა ბატერიალისტურ ფერს დაუკავშირებოდა.

მე-19 საუკუნის ლათინური ამერიკის მოდერნისტი მწერლის რუბენ დაროს მოთხოვნაში „ლურჯი ფრინველი“, მთავარი გმარი, ტიპიურად რომანტიკული პერსონაჟი თავისი სევედის მიზეზად მის თავში ჩაბუდებულ ლურჯ ფრინველს ასახელებს. ესადა, არც რ. დარო გულისხმობს ლურჯ ფრინველში მხოლოდ ჩიტს. ესეც სახე-სიმბოლოა, რომელშიც ცისფერს უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვა აკისრია, ფრინველი არსებობს იმდენად, რამდენადაც ცისფერ ქასთან ასოცირდება. პოეტი გარსინის თავში ჩაბუდებულ ლურჯ ფრინველს თავისუფლება სწყურია და როცა აფრენის სურვილიც ებადება, პოეტი გარსინი ცისკენ აღაპყრობს მზერას. ამგვარად, ფერიდან გამომდინარე ხდება საგნის — ფრინველის არჩევა მწერლის მიერ. აქვე აღვნიშნავთ, რომ რუსულ ენაში შემდეგ სიტყვებს, — სული ნშიადის სიმბოლოს, „მტკრედს“ და „ცისფერს“ საერთო ძირი გააჩნიათ.

ქართულ პოეტურ რომანტიზმშიც ცისფერი გვევლინება შორეული ცის, ამაღლებულობის სიმბოლოდ. რისი ნათელი დედასტურებია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ცისა ფერს“. საგულისხმოა, რომ სიტყვა „ცისფერი“ პოეტს ორი დამოუკიდებელი სიტყვის სახით აქვს დაფიქსირებული, რაც შორდაპირი მინიშნება იმსახე, რომ ეს ფერი სიმორის, იდეალურის სიმბოლოა პირველ რიგში ცის უკიდველბასთან რომ ასოცირდება. თუკი მეტერლინკი, დარო ამაღლებულობის, მიუნდლომლის სიმბოლოს გამოსახატად ირჩევს ცისფერ ფრინველს, ანუ კონკრეტულ საგანს, რაც ცის ასოციაციას ნიშნავდა, ბარათაშვილს „საგნის“ მოშველიება არ სჭირდება, მითუმეტეს რომ ფერი სულიერი და მატერიალური ფენომენიც გააღავთ. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ გია ბუღაძის დამოკიდებულება ფერის მიმართ, რომელსაც „ერთდროულად შეუძლია ფეის სიმბოლოც და ნიეთიც“, საგულისხმოა, რომ ბარათაშვილის ცნობიერებაში ცისფერსა და ლურჯს შორის ტოლობის იმგე-

არი ნიშანია დასმული, რომ ცისფერი სწორედ ლურჯია.

მე-19 საუკუნის

მეტად საგულისხმოა გუგულისფერულს ლექსი „სამშობლო“, სადაც ცა ფირუზის ფერთან არის დაკავშირებული, როგორც შემდგომ მსჯელობაში გამოჩნდება, ქართულ ცნობიერებაში ფირუზის ფერიც (ცისფერის მსგავსი სიმბოლური დატვირთვის მატარებელია, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს ცისფერის სემანტიკის საკითხს.

ცისფერი-ლურჯი ფერების რომანტიკული შანაარსით დატვირთვა თვალსაჩინოა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში, რაზეც შევხვდებით შემდეგ სიტყვათა შეთანხმებაში — „ცისფერი ლანდები“, „ლურჯა ცხენები“, „ლურჯი ანგელოზები“, „ლურჯი კომში და ცისფერი ატამი“ და სხვა.

ცისფერის რომანტიკული ინტერპრეტაცია ქართველი პოეტების შემოქმედებაში ქართული ენობის და ხასიათის ერთ-ერთ მკვლევარს, კონსტანტინე კაპანელს დახასიათებული აქვს სწორედ რომანტიკული იდეალიზმის ქრისტე — „მოელი ფსიქოლოგია რომანტიკული ესთეტიზმისა ამ სიტყვებში გამოისახება; ლურჯი ფერი — ცისფერი, რომანტიკოსების საყვარელი ფერი — ფერი, რომელიც ამბობოლა მარადისობის და სიმორის; შორეულისადმი სიყვარული ერთი დიდი თვისებათაგანია რომანტიკული იდეალიზმის, და ყოველთვის, როდესაც რომანტიკოსები სიყვარულისა და ქალის შესახებ ფიქრობენ, ცისფერ თვალებს ეძებდნენ; ცისფერი თვალები რომანტიკოსებისათვის სულის მარადიული ყოფის ფანჯრებია“. ამ ციტატაში ყურადღებას იპყრობს იმის ხაზგასმა, რომ ქართველი რომანტიკოსების პოეტურ ცნობიერებაში ცისფერი სწორედ სულთან და სულიერების კატეგორიასთან არის დაკავშირებული. შემთხვევით არ არის, რომ ქართულ პოეზიაში ამაღლებული სულიერების სიმბოლო სწორედ ცა არის (ბარათაშვილის „ცისა ფერს“), რომლისკენაც აღაპყრობს სულის მზერას რომანტიკული გმირი.

საყურადღებოა თავად „ცისფერი ფერი“ გაერთიანებული პოეტების „ცისფერყანწელთა ორდენის“ არსებობის ფაქტი საქართველოში.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ პრიმიტივისტი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის შემოქმედება. ადამიანი, რომელსაც არასოდეს არ ენება ზღვა და წყალი სტიქიის გრანდიოზულობით მიღებული იმპულსები არასოდეს მიეღო, თავის ნახატებში ცისფერ ან ფირუზისფერ ზღვას ხატავდა. ამასთან ცისფერი გვევლინება ცხოველების, ადამიან-



ნია ტანსაცმლის, ბუნების მოვლენების ამსახველი ფერის როლი.

ზე მოთ მოყვანილ ფაქტთა არასრული სიაც შეტყველებს იმაზე, რომ ციხეფარს ქართულ ცნობიერებაში დიდი ადგილი უკავია და ასულის მარადიული კოფის ფანჯრეზე უკავშირდება.

საგულისხმოა, რომ ქართული ენა პრაქტიკულად ერთადერთია, რომელშიც კონკრეტული ფერის სახელწოდებაში გამოიყოფა სიტყვა ცა. ცის ფერიდან გამომდინარე მოხდა ამ ფერისთვის სახელის დარქმევა როგორც ჩანს, ქართულ ცნობიერებაში მიუწევდომელი, შორეული იდეალის, სულიერების, ამაღლებულობის კატეგორია, რასაც ცისფერი უკავშირდება, იმთავითვე ცასთან, ზეციურ სამყაროსთან იყო დაკავშირებული და ამიტომაც ყველაზე პოეტური ფერაც ქართველებმა ისეთი სიტყვით გამოხატეს, რომელშიც ერია სიტყვა „ცა“, ნ. ბარათაშვილის ამ ფერის რომანტიკული ინტერპრეტაციისთვის მყარი საფუძველი დახვდა ეროვნულ ნივთზე. ის სულიერება, რომელიც პოეტის ნარმოსახებაში ცას უკავშირდებოდა, უკვე ასოცირებული და დაფიქსირებული იყო ქართველი ერის მიერ სიტყვაში „ციხეფარი“. საერთაშორისო, რომ ქართველების მიერ ამ ფერისთვის სახელწოდებამ დარქმევაში, იმთავითვე იდო რალაც რომანტიკული.

როგორც ცნობილია, რომანტიკული ტენდენციები ქართულ მხატვრულ შემოქმედებაში ისტორიულ რომანტიზმამდეც მძლავრად და ინტენსიურად ვლინდებოდა, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ რომანტიკულისაკენ სწრაფვა როგორც იმანეტური ტენდენცია, ქართული ცნობიერების ერთერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს. ის, რომ ქართულ რომანტიკულ მხატვრულ შემოქმედებაში ციხეფარი ამაღლებულობის, იდეალურის სიმბოლოა, მიგვითითებს ქართული და ევროპული რომანტიზმის შესაფუძვლებზე, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თვით ქართული სიტყვის „ციხეფარის“ ეტიმოლოგია გვაძლავს ამ ფერის როგორც ცის პოეტითი მიუწევდომელობის სიმბოლოს ძირითად ქართულ კულტურაში ისტორიულ რომანტიზმამდეც მოვიძიოთ და არ მივანეროთ ყველაფერი ევროპული რომანტიზმის გავლენას. ამის საშუალებას იძლევა ქართული ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე საკმაოდ აღიარებული ფაქტი ქართული რომანტიზმის როგორც მხატვრული მოვლენის თავისთავადობაზე. თუკი ქართულ პოეტურ რომანტიზმს მივიჩნევთ ეროვნული კულტურის ნიაღში შემ-

ხადებულ მოვლენას, ბუნებრივია, რომ საუბარია რომანტიკული ტენდენციების გავლენაზე ისტორიულ რომანტიზმში. ცხადია, ციხეფარისადმი დამოკიდებულება ქართულ პოეზიაში ზოგადევროპული რომანტიზმის მხატვრულ-სააზროვნო სისტემის ფარგლებში მოიაზრება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ რომანტიზმში საქართველოში პირდაპირ რომანტიკული ტენდენციიდან მოვიდა, შესაძლებელია ციხეფარის, როგორც ამაღლებული სულიერებისადმი დამოკიდებულების ძირები მოვიძიოთ ქართული კულტურის განვითარების ადრეულ ეტაპებზე. ცხადია, ქართულ მწერლობაში რომანტიზმამდე პრაქტიკულად არსად არ ვხვდებით ციხეფარის ინტერპრეტაციას როგორც სიმბოლოს, მაგრამ ქართული კულტურა ხომ მხოლოდ მწერლობა არ გახლავთ. ამასთან ციხეფარი არა მხოლოდ გარკვეული პოეტური სახიერების დონეზე აყვანილი სიმბოლოა, არამედ კონკრეტული ფერი, რომელსაც კოლორიზტული დანიშნულება გააჩნია პირველ რიგში. თუ საგულდაგულოდ გავიხსენებთ ქართული ტაძრების მონასტულობას, თვალს გადავაავლებთ ქართული ხელნაწერების კრებულს, გაგვახსენდება საყოფადღებო ფაქტი – ციხეფარის დომინირება. როგორც მე-19-20 საუკუნის ქართველ პოეტთა შემოქმედებაში განასახიერებს ეს ფერი, კავანელის თქმით „ასულის მარადიული კოფის ფანჯრებს“, ქართულ ხატუნერაშიც იმ მარადისობის სიმბოლოა, რომელსაც ზეციური სამყარო წარმოადგენს. გ. ტაბიძის პოეტური სტრიქონები „მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები“ კი პირდაპირ ინტერესს ასოციაციას აჩინების ლურჯ ანგელოზთან.

მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა ქრისტიანობის, მისი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი როლის შესახებ რომანტიკული ხელოვნებისთვის. რომანტიზმის ირგვლივ არსებული ქართული მეცნიერული ლიტერატურაც ხაზგასმით მიუთითებს ქართული პიმნოგრაფიის მნიშვნელობაზე ჩვენი რომანტიკოსებისათვის. ზემოთქმულიდან გამოდის, რომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ტაძრების მონასტულობა, ქართული ხატუნების ნიშნები, ხელნაწერთა მხატვრობა გარკვეული თვალსაზრისით ქვეცნობიერ გავლენას ახდენდა ციხეფარისადმი ქართველი პოეტების დამოკიდებულებაზე. მითუმეტეს, აუ გავითვალისწინებთ, რომ ნ. ბარათაშვილი პიმნოგრაფიის, ქრისტიანული კულტურის ჩინებული მცოდნე იყო. ციხეფარი ქართულ ხატუნერა-

შიც და პოეზიაშიც განასახიერებს ქრისტიანს, პიროვნების ლტოლვას — ამაღლებულს, მიღმურის, ზეციურის, მოუხელთებლის, ცენ. ეს მოუხელთებელი და ამაღლებული ქრისტიანობაში გახლავთ ღვთის სასუფრეები, რომანტიკული ესთეტიკის ნიაღში აღმოცენებულ პოეზიაში კი მიუხედავად მშვენიერების იდეალი. სწორედ ამ განცდას ბაეებს მე-12 საუკუნის ყინვისის ეკლესიაში უცნობი ხატმწერის მიერ შესრულებული ანკლოზი. ცისფერი დომინირებს უბნის ტაძრის მოხატულობაში (დამიანეს მხატვრობა), ცხადია, ცისფერის მნიშვნელობა სცილდებოდა უბრალო ფონის მნიშვნელობას, მას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. აქვე არ შეიძლება არ გაგვახსენდეს გია ბულაძის სიტყვები — „ლურჯი კის ფერია, რომელშიც როგორც ქრისტიანულ ტაძარში ნებისმიერი მლოცველი მასში მოხვედრისთანავე აღაღვენს თავის დამოკიდებულებას მარადიული არსის მიმართ. იგი გამომხატველია ადამიანის დამოკიდებულებისა აბსოლუტის მიმართ“.

ყურადღებას იპყრობს ქართული მინაქრის ნიმუშები, მხედველობაში გვაქვს მედალიონები, რომელთა საშუალებით ხედვობა ხატების გამშვენება. მედალიონზე გამოსახული ნმინდანების, ჯვრების ფონი ფირუზისფერი ან ცისფერია. ცისფერი დომინირებს ნმინდანთა ნიშნის როლში.

ცისფერი დომინირებს ქართული მხატვრული ხელნაწერების დასურათებულ ნიგნძაშიც.

საგულისხმოა, რომ სხვა ქვეყნის მარტლმადიდებლურ ტაძრებში ცისფერს ამგვარი დომინირებული ადგილი არ უკავია. თანაც, როგორც ცნობილია, ცისფერის ამ სპეციფიკური ტონის მისაღებად ქართველები მეტად რთულ, ჩვენთვის უცნობ ფერთა ქიმიას იყენებდნენ. ეს ხაღებავები ისეთი შემაღგენლობის იყო, რომ საუკუნეებისთვის უნდა გაეძლო და ფერის აღქმა გარკვეული ემოციის, განცდის, საკრალური იდეალების დონეზე აიყვანა. ამ ტონის განსაკუთრებულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი ცისფერის და ლურჯის მიჯნაზეა, ხშირად კი მას ფირუზისფერი ჩაენაცვლებდა.

რუსულ და ბიზანტიურ ხატწერაში დომინირებული მნიშვნელობა მოაოცებელი აქვს ნითელ ფერს. ბიზანტიური და როსტოვსუზდალს, ფსკოვის, ნოვგოროდის სკოლების ხატწერაში სწორედ ეს ფერი ბატონობს და არა ცისფერი.

ცისფერისადმი მინიჭებულ განსაკუთრებულ როლზე შეაძლია ვისაუბროთ ისეთ ნინარექრისტიანობამდეც. მხედველ-

ობაში გვაქვს თუნდაც ქართულ ეთნოგრაფია, რომლის ნიმუშებშიც მრავალხარისხო ბრაილაშვილის ნიგნძი „ქრისტიანული ჩანახატები“. მნიშვნელოვანია ე.წ. „ლურჯი სუფრის“ არსებობამ. საგულისხმოა, რომ „ლურჯი სუფრა“ მთლიანად ქართული მოვლენაა, რომლის დაჩითვის წესი განსხვავდებოდა სხვა ქსოვილების დაშაადების ტექნოლოგიისგან. „ლურჯი სუფრის“ დაჩითვის წესი — ე.წ. ცივი კუბური ღებვა იყო და როგორც ავტორი წერს — ასე ჩითავდნენ მხოლოდ და მხოლოდ ლურჯ სუფრებს, რუსეთისა და ევროპისგან განსხვავებით“. ავტორი მიუთითებს, რომ ეს სუფრა არქაული წარმოშობისაა, რაზეც მიუთითებს თეთრი ნახატის დაკორატიული ფიგურები და რომ სუფრა საკოფაცხოვრებო დანიშნულებასთან ერთად რიტუალურ ხასიათს ატარებდა, გამოიყენებოდა საქორწინო ნადიმის და საეკლესიო დღეების დროს გამილი სუფრაზე. „ლურჯი სუფრის“ ისტორიულმა მესხურებამ შემონახა ადრექრისტიანული სიმბოლოები — მზის დისკო, ცხოველების გამოსახულება.

ამდენად, როგორც ჩანს, ცისფერს იმთავითვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა — აზრობრივი ემოციური, იდეურ-საკრალური. ეროვნულ ცნობიერებაში დამკვიდრებული ცისფერის ასეთ რომანტიკულ განცდას, რომელიც გამოვლინდა ქართულ პოეზიაში, მართლაც რომ ჰქონდა შემხადებული მტკიცე საფუძველი საკუთრივ ეროვნული კულტურის ნიაღში.

ამაღლებული სულიერების ის განცდა, რომელიც შემოიტანა პოეზიაში ცისფერთან დაკავშირებით ნ. ბარათაშვილმა, აგრძელებს არსებობას არა მხოლოდ თანამედროვე ქართულ მხატვრულ შემოქმედებაში, არამედ ასევე გადადის ახალ ქართულ პროფესიულ მუსიკაში. მხედველობაში აღექვსი მაჭავარიანის რომანსი ნ. ბარათაშვილის ლექსზე „უკის ფერს“ და მისივე სავილიონო კონცერტი, რომლის მეორე, ნელმა ნაწილმა შეისიხლხორცა რომანსის ინტონაციები. საგულისხმოა, რომ რომანსიც და სავილიონო კონცერტის მეორე ნაწილიც მუსიკალური ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენს. თვით ა. მაჭავარიანის შემოქმედებაში ზოგადად, ლირიკული სახიერების რომანტიკულობა არაერთხელ გამხდარა ქართველ მუსიკატომცოდნეთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ მაჭავარიანის რომანსში სიტყვების — ცისფერისა და ლურჯის მუსიკალურ-ინტონაციური ამტყვევლება მართლაც ინარჩუნებს ნ. ბარათაშვილის პოეტური სტრიქონე-



ბის აბდელებულ ტონუსს. ამგვარი ატმოსფეროს შექმნას ხელს უწყობს აღმავალი ტერციული სვლები, რომლებიც ამდელებულისკენ ლტოლვას სიმბოლოზებს.

ეს ტერციული ინტონაციები მსმენელის ცნობიერებაში პოეტურ პირველწყაროსთან ერთად აღიბეჭდება. არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ მუსიკალური ინტონაცია აქ მთლიანად სამეტყველო ინტონაციიდან აღმოცენდა, რომ ბარათაშვილის ეს სტრიქონები ბუნებრივად ახშიანდა ორ აღმავალ ტერციულ სვლამი და იქცა ერთიან პოეტურ-მუსიკალურ მოტივად, რომლითაც გაჯერებულია სავიოლინო კონცერტის მეორე ნაწილიც. კონცერტის ეს ლირიკული ნაწილი თავისი ჟღერადობით მართლაც რომ ინვეს ამდელებულისკენ, ზეცაურობისკენ ლტოლვის ასოციაციას. ცხადია, ა. მაჭავარიანის მიზანს არ წარმოადგენდა ბარათაშვილის ლექსის ფილოსოფიური სიღრმის გადმოცემა, მაგრამ ამდელებულის ის განცდა, რომლითაც ბარათაშვილის ლექსია შთაგონებული, მართლაც რომ შესაფერის მუსიკალურ ინტერპრეტაციას, საკადრის ექვივალენტურ ინტონაციურ გააზრებას იძენს ა. მაჭავარიანის რომანსში. ზვენი პოზიციის ნათელსაყოფად მოვიშველიებთ გვი ორჯონიკიძის მოსაზრებას აღნიშნული რომანსის ორგელი – „მშენიერ რომანსში – აცისა ფერს, პოეტური მასწრაფება ცის სილამაქრდის მომწუსხველ და უკიდევანო სიერისკენ – მიუნდომელი სილამაზის ამ სიმბოლოსკენ – გამოსახულია მომზებელი, რამდენადნე სეფიან, ნახ მელოდიაში“.

აქვე შესაძლოა მოვიხსენიოთ, რომ ა. მაჭავარიანის რომანსის ინტონაციური სახე – ტერციული მოტივი, მუსიკალური აღუზის ფორმით გამოიყენა თანამედროვე ქართველმა კომპოზიტორმა თენგიზ შველოაშვილმა თავის კონცერტში ჩელოსა და

ორკესტრისათვის. საგულისხმოა, რომ ტერციული მოტივის გამოყენებულს არის დაკარგული მისი ემოციური მნიშვნელობა ამ კონცერტში. ტერციული მოტივი აქაც ამდელებულის, სულიერების, მუნდომელი იდეალის სიმბოლო გავევლინება და შემთხვევით არ წარმოადგენს ნაწარმოების ლირიკული ეპიზოდების, ზოგადად ლირიკული ხაზის გამაერთიანებელ ინტონაციურ ბირთვს... კომპოზიტორის ინტერპრეტაციით სწორედ ამ სულიერებას, ამ ამდელებულის რომანტიკულ განცდას აფარებს თავს თანამედროვე ცივილიზაციის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გათავგული ადამიანი. რომანტიკული ტენდენცია, როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი სულიერების თანამდევი მოვლენა კვლავ ცოცხალია.

ამგვარად, ცისფერი ფერი ქართულ ცნობიერებაში შეტად გამოიკეთილი სიმბოლოს რომლი გვევლინება და რომანტიკულ ეპოქაში მის სემანტიკურ ინტერპრეტაციას მტკიცე საფუძველი მოუშადა ქართული კულტურის განვითარების მრავალსაუკუნოვანმა პროცესმა. ცისფერის სიმბოლური აღქმა ევროპული რომანტიზმის ტენდენციის გამოსახულებაა და ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში ჩადებული კოდის, იმანენტური გამოვლენაც. რომანტიზმმა, როგორც ზოგადევროპულმა მოვლენამ, ერთგვარი კატალიზატორის როლი ითამაშა მე-19, მე-20 საუკუნეების ქართულ პოეზიაში ცისფერ ფერთან დაკავშირებული სიმბოლიკის აქტიური ამოქმედებისათვის.

ზვენს გამოკვლევაში გამოთქმული ვარაუდები შესაძლოა გახდეს შემდგომი უფრო თანმიმდევრული და ღრმა ანალიზის საგანი, სტატიის მიზანს კი შეადგენდა ცისფერთან დაკავშირებული პრობლემების წამონევა საკითხის დაყენების წესით და შედეგებისდაგვარად საარგუმენტაციო მასალის მოპოვება.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. გია ბულაძე. ფიქრები წარმავალზე, რამდენიმე სიტყვა ფერთა შესახებ, თბილისი, 1994, გვ. 93.
2. Сивий цвет. Днсек Пресидлер. Словарь символов, М., 1999, стр. 334.
3. გია ბულაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 93
4. კონსტანტინე კაპანელი. ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, თბილისი, 1996. გვ. 158
5. გია ბულაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 93
6. ნინო ბრაილაშვილი. საქართველოს ეთნოგრაფია, თბილისი, 1990 (იხ. ილუსტრაცია 147 ა)
7. გვი ორჯონიკიძე. ბალეტი „ოტელო“, 1954, რუსულ ენაზე, გვ. 62

## ორი ახალი ნიშნი

1

გამომცემლობა „მერანმა“ — მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკის სერიით გამოსცა ხილვითა და პლატის ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო ახალგაზრდა მთარგმნელმა ლელა სამნიამელიძემ.

ერთი შეხედვით, თითქოს ძნელი დასაჯერებელია, რომ სიცოცხლით აღსავსე ამ ახალგაზრდა პოეტმა ქალმა, რომელიც ასეთი მომხიბველი ლიბლით იცქირება ნიკანს დართული სურათებიდან, ცხოვრება 30 წლის ასაკში თვითმკვლელობით დაასრულა.

1950 წელს სილვია პლათმა მოიპოვა ნოდება „მის ამერიკალიტირატორი ქალი“. კარგი ნოდებაა არა? ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ამერიკის მიბაძვით ჩვენში გადმოღებული უამრავი ზერელე და თვალის სერის დახარბებული გასართობების გვერდით (მარტო მისს საქართველოს ტიტულის მოსაპოვებლად პოდიუმზე შემდგარი ნახევრადმომხველი გოგუცანების ყურება რად ღირს!), უფრო ღრმა და სერიოზულ მოვლენებსაც გაენიოს პოპულარიზაცია. მაგალითად, აი, ასეთს — „მისს საქართველოლიტირატორი ქალი“. მაგრამ ისევე როგორც უამრავი რამ, ესეც ოცნებებს სფეროში რჩება, რადგან ამ ტიპის კონკურსებს ნიკანთან ინტიმის, სიწმინდის მოსმენის ნიჭი და სულ ცოტა გონკურების საფრანგეთი მაინც სჭირდება და არა სნობიზმითა და უტყინოთა ამბიციებით გამოხრული არსებები, უიდეებო და უდელო ქვეყანას რომ ამენებენ ქეიშაზე.

ჩვენგან უფროდ ნახული ნიჭიერი მწერალი ქალი, ქეთი ნიჭრამე ერთგან წერდა: „ნიკანთან შეხვედრა ისეთივე ბედისწერაა, როგორც განგების ძალით მფორე ადამიანის წინს ცხოვრებაში შემოსვლა და განგებისავე ნებით შენი მწერლად ქცევა“.

მე არ ვიცი, რომელმა ნიკანმა მოახდინა სილვია პლათზე სახედისწერო გავლენა, მაგრამ მისი ბიოგრაფიიდან კარგად ჩანს, რომ საკმაოდ მძიმე და პგრძნობიარე ბავშვობის შერე, მის ცხოვრებაში ცნობილი ზრიტანელი პოეტის, ტედ პოუზის გამოჩენა სანდისწერო გამოდგა... თო, ალბათ იყო აღნიშვნები, თავლობის თვე და სიყვარუ-

ლის ნაყოფი — ორი ბავშვი, ორი შვილი, — ორი ყვავილი, მაგრამ იყო ასევე ხილვითა პლათზე (ცოლზე) არანაკლებ რთული ტედ პიუზი (ქმარი), რომელიც პოეზიაში დემონური ძალების მომხრე გახლდათ. სილვია პლათის მგრძნობიარე და უანგარო, სუფთა გულს კი, მე თუ მკითხავთ, საყრდენად სალი კლდე, ანუ იესო (მაცხოვარი) სჭირდებოდა, რწმენით რომ გაქძლო და მიელო ყოველგვარი დარტყმა და დალატი ცხოვრებაში და არა სხვა ქალს — ახალ ეფემერას — დადევნებელი პოეტ-ქმარი.

შურისძიების გრძნობამ ვერ კიდევ ბავშვობაში დარია ხელი სილვიას. ვერაფრით რომ ვერ პატიობდა გარდაცვლილ მამას სიკვდილს და უცნაურია, მაგრამ მამის სიყვარულმა და მარტოობამ შემზარავი სიძლიერის ლექსი დაანერინა სათაურით „მამილო“.

შურისძიების დემონი და პროტესტული სულისკვეთება თუ გათქმევენებს შემდეგ სტრიქონებს:

**„ღმერთო, მე არ ვარ შენი მსგავსი,  
შენს ცარიელ სიმაკვში  
ვარსკვლავები ჩაჭედებული ბრწყვილა და  
სულიწარე კამფებია“.**

ეს სტრიქონები ამკარად მონშობს იმას, რომ ამ პერიოდიდან სილვია პლათისათვის უკვე დაკარგულია სამყაროს იდუმალება და ლუციფერის შემოტყეებით გამომშრალია მისი ხილბო, სითბო, სიყვარულის უხარი. ამგვარი „პროგრესი“ ინტელექტისა ყოველთვის რეგრესია სულისა და, უმეტეს შემთხვევებში, მარცხით მთავრდება. არადა, სანამ შურისგებას სიყვარული ჯაბნდა, როგორი ხახხახა და წყინანი, ტყინიანი მისი ლექსები: „მაცვალზე“, „სიკეთე“, „სასიყვარულო ბარათი“...

სილვია პლათის ცნობიერების ნაკადი თეთრი ლექსის თავისუფალ მარნუქებშია მოქცეული და ენ. აღმსარებლობით ხახიათს ატარებს. მაგრამ ამ პოეტის გენიალურ ხილვებსა და მეტაფორებში, იწნება ეს ყუთში მოქცეული ფუტკრების სკა, „შუაზე გახლენილი ლამაზი ნითელი გველი“, ლიანდაგების რკალური და ცვიი ნათება და ასე უსასარულოდ, მაინც ვერ ხდება იმ უარყოფითი, ანუ დემონური ენერგიისაგან სრული



განტვირთვა, რომელიც სრულიად განმე-  
ნდს მის გულსა და გონებას იმ ავი ცნობის-  
ოყვარუბისაგან, სიკვდილთან მიახლების  
და სიკვდილისათვის თვალეში ჩახედვის  
სურვილი რომ ჰქვია.

ახალგაზრდა მთარგმნელის, ლელა სამ-  
ნიაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ  
მან მალაღმბატერულ დონეზე თარგმნა  
პლათის ლექსები და შეძლო მხატვრული  
ლოგიკით, ანუ პოეზიის იდეალუბით ამოდ-  
რავებული ამ უაღრესად მგრძნობიარე  
გულსა და საკმაოდ ძლიერი გონების მიერ  
ართუ სამყაროში მოხაზული გრაფიკული  
სიმკვეთრის, კარდოვარამის, არამედ სილვია  
პლათის მიერ თვით უმნიშვნელი ჩქამის,  
ნიაცივით მოუხელთებელი და დაუფი-  
ქსირებელი ელვარე ფიქრების პოეტურ  
ხატებად ქცევა და ჩვენამდე მოტანა

2

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“  
დაატკმაბა ლევან ბრეგვაძის მიერ შედგენილი  
„ქართული ფარგონის ლექსიკონი“. დიზაინი  
ეკუთვნის დეა ჯაბუას, ნიგმი მეტად ხალხ-  
სიანადაა გაფორმებული. პირადად მე,  
როგორც მკითხველი და პროფესიონალი,  
ნიგნის გარეკანზე აქედრებულ ფერებს ამ-  
გვარად აღვიქვამ: მომეგო-მოყვითალო  
ფონი სიმბოლურად ჩვენი ავადმყოფური  
ყოფილობის ადექვატურია, რომელზედაც  
მოულოდნელად ციხარტყელა გადაიკარე-  
ბს თავისი მათორული ფერებით. შემთხვევით  
არ მიხსენებია სიტყვა ხალისიანობა,  
რომელიც უშუალოდ ახალგაზრდულ  
ასაკთანაა დაკავშირებული.

ახალგაზრდობამ კი ხშირად არ იცის  
როგორც საკუთარ ფიზიკურ ენერგიას, ისე  
სიტყვის ენერგიას რა უყოს. ამიტომ ამ  
ენერგიას მეტად თავისუფლად ექცევა, მის-  
თვის სასურველ სტილურ სამოსელს უძებ-  
ნის (აცმეის). ქმნის ერთგვარ კოდირებულ  
ენას, ერთგვარ პაროლს, რომლითაც ერთი  
თაობის ხალხი ხშირად ასე კარგად უგებს  
ერთმანეთს.

ეს ლექსიკონი 600 ფარგონულ სიტყვას  
შეიცავს (ანუ სლენგს, როგორც ხშირად უყე-  
ართ თქმა). ეს სიტყვებია, რომლებიც თანამ-  
ედროლე ზეპირსიტყვიერებაში ყველაზე

მეტადაა გავრცელებული და რომელითაც  
ვერც ერთ სხვა ლექსიკონში ვერ გავიხსენი-  
ნიგნს ერთვის ავტორისა და შემდგენლის  
წინასიტყვაობა, რომელშიც ძალზედ ლაქ-  
ონურად და პოპულარულ ენაზეა გან-  
მარტებული საერთოდ ფარგონის ბუნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს კოლექცია  
მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში  
გროვდებოდა. განსაკუთრებით მინდა  
თქვენი ყურადღება სწორედ ამ ხანგრძლი-  
ვობას მივაქციო, რადგან ფარგონი (სლენგი)  
ახალგაზრდობისთვის იგივეა, რაც მოდაში  
შემოსული სამოსი, ამ შემთხვევაში,  
ლექსიკური სამოსი. ისევე, როგორც მოდის  
კანონმდებლები თვლიან, რომ ყოველ 20-30  
წელიწადში მოდა უკან ბრუნდება, ფარგო-  
ნის ხანგრძლივობაც, ყოველ შემთხვევაში  
თაობათა მუხსიერებაში, ამ ასაკით ამოიწე-  
რება. და კიდევ ერთი, — მე ვფიქრობ, რომ  
როგორცაა ეპოქის შინაარსი, ისეთივეა  
მისი სლენგი, მისი ფარგონი. ანუ ეპოქის შეს-  
ატყვისადა არსებობს ნაკლებუნყინარი  
სლენგი, მსუბუქი იუმორის მატარებელი  
ფარგონი, პირქუში, სარკასტული, აპა-  
თიური, და ასე გასინჯეთ, თვით სასწარმ-  
კეთილი სლენგიც არსებობს. ფარგონის  
მიხედვით თქვენ შეგიძლია დააკვირდეთ  
თაობათა ცვლას და აღადგინოთ ეპოქის,  
დროის ტონუსი და სულისკვეთება.

ასეთი ტიპის ლექსიკონი ქართულ ენაზე  
პირველი მცდელობაა. ლევან ბრეგვაძისათ-  
ვის, როგორც ლიტერატორისა და მკვლევ-  
არისათვის, დამახასიათებელია მაღალი  
მეცნიერული ეთიკა. სწორედ ამიტომაც, რომ  
ამ ლექსიკონშიც ზუსტადაა მითითებული  
საილუსტრაციო მასალის წყაროები,  
ეტიმოლოგიათა გასაგები და საინტერესო  
განმარტებანი. შესაბამისი ციტატები ასამდე  
ქართველი მწერლის ნაწარმოებებიდან.

„ქართული ფარგონის ლექსიკონი“, — მამ  
ასე, ეს მშენიორად გამოცემული პატარა  
ნიგნი აგვისტოს ხვატში ჩამოვარდნილი  
ეული ფანტილივით დაფარფატებს სოცო-  
ალური პრობლემებით გაბერებულ საგამ-  
ომცემლო ერთუზიანში, რომელიც, ვინ  
იცის, როდის იქცევა საგამომცემლო  
ინდუსტრიად და კეთილი გაკვირებით სახ-  
ეგანათებულ თავის მყოფელსა და მკითხე-  
ლს მოელის.







# „შუქს ნუ ჩამიქრობთ“

ის კი არ მოკვდა, შუქის ჩაქრობის შემდეგ, აქცეიებული ბრონქულით ხეში გადაინაცვლა და თითო ალისფერ ყვავილში თითო სევდა შეიფარა, ის თვალელები, რომლებიც დაბადებიდან დაჰყვებოდა სტურუას ღირიკულ გმირს

**„ვერ უფურებენ დამწვარ ქალაქს,  
მოდრეკილ პირებს, დაღუფილ ქალებს,  
დარბაზულ კეთილშობილ მათხოვრებს“**

(„შუქს ნუ ჩამიქრობთ“).

უბერხულია ეროვნული პრობლემებით გულდამსიმბეზული, „სულა კიდელებული“ პოეზია ეწოდებოდა. სტურუას სევდიან სტრიქონებს. ეს ნაოქვამი ძალზე ტრაგადრული იქნება პოეტის ქალის უაღრესად მგრამობიარე სამყაროსათვის, მიუხედავად იმისა, რომ მისი სევდა – საქვეყნოცა და პირადულიც – ეროვნულიდან იღებს სათავეს.

**„ვეწმის მთელი ღამე ისროდნენ,  
ვაშლის ხეებს ხერცებდნენ,  
ზედმეტად ბედნიერი სახე გაქვითო“**

(„ისერიან, ისერიან“).

არადა, როგორ შეეძლო გაუსაძლისი ყოფით თავგზაბანულს, მასთან სალაპარაკოდ ნა-სტუმრებ არცთუ ლოყანიული, ფერმკრთალი ეპილისთის გადაეშობა გული. მასაც ხომ ადამიანით უჭირდა ცხოვრება, მინიდან ფესვების ამო-ღოწვდა, ამოზრდა. უგებდნენ ერთმანეთს პოეტის და ბმელი ნიფელივით, ღერუვთვალა იასავეით გა-ნსულიერებული ვაშლის ხეები. მაგრამ ისინიც მო-უკლეს, დაუხვრიტეს, შემდეგ – „ბიბლიურად ნავეები ბავშვები“ გაუფიქრეს „უფანტაზიო კაცებ-მ“, მათი სული ხეებში გადასახლდა და ცხოვრო-ბს პოეტს.

**„ათუ მაგიდებე დამხოხილი,  
რომელშიც ტკოვილი ვუძღება,  
ხალხს მომღერალი ურჩუნია,  
პირიდან რომ ვარდებს აურქვევს,  
შე კი ყელში  
ბეგრების ძალი მაქვს განხვრილი  
და ყრუ-მუნებს უფრო ვეჯარ“**

(„ავტობორტრეტი“).

ამის შემდეგ „ზამთარი, დეპრესიის ნომატებული გრიპი“ და ცხოვრობს ასე – „ელფერების, ჭურჭლის, ნახევარტონების და ნახევარი სიმართლებების სამეფოში“.

ღ. სტურუას თვით ისეთი სამონელებაც კი, როგორც ოშია, მკვეთრად გამიჯნული ხეების რაკურსითა აქვს აღქმული და შეფა-სებული:

**„ისხილი ვაბდა ერთადერთი ფეროვანი  
ამ სამყაროში, სადაც ადამიანებს**

**შხოლიდ ორა ფერი დატრევის:  
შავი შიშა, თეთრი სუღარი“**  
(„ოში“).

დაკარგული სამშობლოს ნოსტალგია და დარდიანვლებს პოეტის ქალის მორჩილ, პიეროს-ავეთ მწუხარე სახეს, რომელიც ეკითხება საკუთ-არ თავს:

**„ნუთუ ასეოფე ოშმა და უბედურებამი  
იწერებოდა ტანი ტატანო?“**  
(„შეუთხება საკუთარ თავს“).

პოეტისათვის ამ გათიშულ სამყაროში დრო აღარ არსებობს, მხოლოდ სიერცე, ადამიანთა სი-კედლით გამოწვეული სევდა და ვაჟა-ფშაველას მალალი მთებივით, უსაზღვრო მთლოდინი. სამშობლო კი ქარვისფერი კრიალოსანივით ჩაი-მარცვლება და ბოლოს ერთად მოიყრის თავს, იმარ-ცვლება და იესება.

**„სა-ქართველო, სა-ქართველო,  
საქართველო“**  
(„შუის კულტი“).

„საქართველო“ – ყოველგვარი ტირი-გამყო-ფის გარეშე, ხმოვანთანხმოვან შევეჯუფული, მონოლოთური და ერთიანი.

ჩვენს აპოკალიფსურ დროსა და ქვეყანაში ადამიანები სახლებში კი არ ცხოვრობენ, ჩიტებივით ბუდობენ, ზოგი დროშას იფრიალებს გულში, თან არს-ებობის პურზე“ ფიქრობს, ზოგი – „სიმათრლის ელვარე მარილზე“, ეს უკანა-სკნელი კი, მართლაც ძველი სამოხენელია („აპო-კალიფსი“).

ლევან იბაშიძის, ირაკლი ამირეჯიბის, არჩილ მიშველადის ხსონას უძღვნა პოეტმა ულამაზესი ბიჭების მარადმყოფობის ლექსი „აღდგომის პოემა“, 9 აპრილს დაღუპულ ქალებს კი – „რეკვიემ“.

თუმცა ამბობს:  
**„მე მომკლეს ჩემს რუსთაველზე,  
მე არაფერი არ შემიძლია...“**

(„მოკლული ქალაქი“).

ეს უნემოების შეგრძნება და ტკივილია შემძლ-ეობის დანაბამი ღ. სტურუას იმ „სახლისოდენა სევდიდან“, მის პოეტურ სამყაროში რომ არის და-ვანებული.

**„ერთი ძაფიც რომ გამოწვლი  
და ზვეთი აუწყვა  
მხესთან მიფიქვანს,  
საიდანაც დანახავ ვარდების სულს“**  
(„ალფომის პოემა“).

ყოველივე ამისთვის კი მართლაც ღირს სიყ-ოცხლე და „ქრთა თმენა“.

ღ. სტურუა, შუქს ნუ ჩამიქრობთ, თბ., 1994.



# ნიგნები ფრანგული მხარლობის შესახებ

დღეს რეალურია და ბუნებრივი საიმი-  
სო პრეტენზია, რომ ქართულ ენაზე გამ-  
ოცემული ნიგნების მხატვრულ-  
პოლიგრაფიული დონე და შინაარსი საინტე-  
რესოად მიესადაგოს ერთმანეთს. მხა-  
ტვრულ-პოლიგრაფიულ სახეს აბსოლუტურ-  
რად ყველა კომპონენტი განისაზღვრავს: ქა-  
ლადის ხარისხიანობა, შრიფტის მოხაზუ-  
ლობა და სიმკვეთრე, კომპოზიტურული  
გრაფიკის, ფოტოხელოვნების ნიმუშების და  
ჩვეულებრივი გრაფიკული წინახატების აღ-  
ბეჭდვა სუპერზე. არსებობს გარკვეული  
ასოციაციური კავშირი ნიგნის ტექსტსა და  
მხატვრულ გაფორმებას შორის. ეს უაღრ-  
ესად ფაქიზი სფეროა და ნამდვილი თანხე-  
დრა ნამინ ხდება, როცა ბოლომდე იძლევა  
ზღვარი, და ტექსტი კი არ აგრძელებს ან  
ინყებს, - არამედ მთლიანად ერწყმის ვიზ-  
უალურ მხატვრულ აქსესუარს.

ჩვენს ხელთაა საქართველოში საფრან-  
გეთის საელჩოსთან არსებული ალექსანდრე  
დიუპას სახელობის ფრანგულ-ქართული  
კულტურის ცენტრის მიერ გამოცემული  
რამდენიმე ნიგნი. ამ ნიგნების  
პოლიგრაფიული დონე მართლაც მაღალია.  
გემოვნებით და საქმის ცოდნით არის  
შერჩეული ფრანგ ავტორთა ნაწარმოებები  
- ესუსტიკა და ინფორმაციულ-კლავითი  
ხასიათის წერილები. ზედმეტად მიგვაჩნია  
საუბარი იმის შესახებ, თუ რაოდენ აუცილ-  
ებელია იმ უზარმაზარი ვაკუუმის შევსება,  
რომელიც დღეს ჩვენში უცხოური  
ლიტერატურის, უცხოური მწერლობის სფ-  
ეროში არსებობს. რაც უფრო დიდია ეს  
ვაკუმი, მით უფრო მკაცრად უნდა შეირჩე-  
ოს სათარგმნი ნიგნები. ამ მიმართულებით  
ფუჭად განეული შრომა ნამდვილად დახა-  
ნანი იქნება. ისარჯება უამრავი რამ - დრო,  
სახსრები, ენერგია, ყურადღება, ე.ი. ყოვე-  
ლივე ის, რასაც გამოყენება და სწორ კალაპ-  
ოტში მოქცევა ესაჭიროება. რა ვითარება  
გვაქვს ჩვენს მიერ არჩეული ნიგნების შემთ-  
ხვევაში?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას,  
რომ ყოველი ნიგნი მნიშვნელოვანია და  
თავისთავად ეს ფაქტი სერაოზული ძიების  
მეფუკია. ვთქვათ, კრებულნი, რომელსაც  
წოდება „პარიზის სკლანი“ ორიგინალური  
ნიშნით წარმოგვიჩვენს ცნობილ ფრანგ  
პოეტებს. ეს არის ნიგნი იმის შესახებ,  
როგორ აირეკლა პარიზი დიდი პოეტების

შემოქმედებაში. აქ მნიშვნელოვანია დროის  
ფაქტორი, ანუ ის, თუ როგორ იცვლებოდა  
თვითონ ქალაქი, რა „დისპარმონია შექმონ-  
და მას პოეზიის მუსიკაში“ და  
კონკრეტულად რა მიმართება ჰქონდათ ამ  
ცვლილებებისადმი ფრანგ პოეტებს.

აი, რას წერს ავტორი, - ჟან პოლ ავისი:  
„ბოდლერმა, რემბომ და ამოლინერმა მაი-  
ნც მიიღეს გამონევეა, რომლის ნინამეც მათ  
თანამედროვე ქალაქი აყენებდა. სერიგება  
მისი ცხოვრების პირობებთან, რაც  
ბოდლერს სურდა, ნიშნავდა შერიგებოდი  
ქალაქს, მიგლო მისი ცვლილებები. ფრან  
დე ნერვალი კი, რომელიც დედაქალაქმა  
თავის ჯოჯობითურ რკალში მოაქცია და  
რომელიც გაფაციცებით ნიშნავდა თვალის  
მოპკრას სახეებს, პორიზონტს, ცაში  
ღრუბლების მოძრაობას ქალაქში, სადაც  
იგი შემთხვევის წყალობით დაიბადა, გვა-  
რწმუნებს, რომ ქალაქს შეუძლია პოეტის-  
გან მხოლოდ პარიზი კოსი შეიცვანებ შეას,  
პოეზიის ხმა კი მხოლოდ მინის საგალობე-  
ლში გაისმის“. საგულისხმოა ფრაგმენტი  
რემბოს შესახებ: „თანამედროვე  
მეტროპოლიების სახაღმე“ რემბოს  
მხოლოდ აერთობ უკმაყოფილო მოქალაქის  
იმედგაცრუება მოგვარა“.

განსხვავებულია ნერვალის, ბოდლერის,  
რემბოს, ამოლინერის დამოკიდებულება  
პარიზისადმი. არც შეიძლება სხვაგვარად  
იყოს, ვინაიდან ყოველი მათგანი თავის  
პარიზს ხატავდა, მაგრამ აქ სხვა რამაა საი-  
ნტერესო: მათ შემოქმედებაში მარტივად კი  
არ უპირისპირდება ერთმანეთს ურბანი-  
სტული და პასტორალური ყოფა, არამედ  
ყოველივე ეს, ამგვარი ნინამედგობრიო-  
ბა, ქალაქის ცხოვრების ნესის თანდათანო-  
ბითი ცვლილება, რთულ პოეტიკისა და მკა-  
ცრ ხატუნებში ვლინდებოდა.

ეფიქრობ, ცალკე აღნიშვნის ღირსია  
კრებული „თანამედროვე ფრანგული  
რომანი“, აქ თავმოყრილია როგორც  
ინფორმაციული, ისე კლავითი ხასიათის  
მასალა თანამედროვე ფრანგულ ლიტერატ-  
ურაში მიმდინარე პროცესებზე. ნიგნის  
აქტორები არიან ჟან-პიერ სალგასი, ალენ  
ნადო და ფოულ შმიდტი. ნინასიტყვაობის  
ავტორია იე მანენი.

ჟან პიერ სალგასისეული ფრანგული  
რომანის რეტროსპექტიული მიმოხილვა  
უაღრესად საინტერესო და პარადოქსული

დაკვირვებებისაგან შედგება. აქ კრიოლოგიური ნიშანსებების კვლევა, კვლავ სტილური და ზოგადად მსოფლმხედველური ცვლილებები აღნიშნული. აღწერის გამოკვლევა ფრანგული რომანის კრიზისულ მდგომარეობას ეხება, რაც სათაურიდანაც შესანიშნავად ჩანს: „თანამედროვე ფრანგული რომანი: სამაგალითო კრიზისი“. აი, რას ნერს ამ სატატიის ავტორი: „თანამედროვე ფრანგული ლიტერატურა მცლიანად და რომანი განსაკუთრებით, კრიზისშია, კრიზისის სერიოზულობის შენიღბვას აზრი არა აქვს“. მესამე გამოკვლევა გახლავთ თოელ შმიდტის „ფრანგული რომანის მრავალსახეობა“. ამ ავტორის ნერლი უფრო აკადემიური ხასიათისაა, ზუსტი და მიზანმიმართული. აქ ლაპარაკია ფრანგული რომანის სტილურ სხვადასხვა-გვარობაზე.

მიმზიდველი ნიგნია ნადინ სატიას „სორე დე ბალზაკი“. ეს არის ორიგინალურად დანერილი ბიოგრაფია. მშრალი ფაქტები ავტორის მახვილი თვალისა და თავისუფალი, ოდნავ ირონიული ტონის შემყობით სიცოცხლისუნარიანობას იძენს. ნიგნი დანერილია დინამიურად, მოკლე და მუტყველი შტრიხები ასლებურად წარმოგვიჩენს ბალზაკის პიროვნებას. ამ ნიგნს ინტერესით გაეცნობა როგორც უმცროსი, ისე უფროსი თაობის მკითხველი.

სიტყვას აღარ გაავრძელებ. ფრანგული მწერლობის წარმომჩენი ახალი ნიგნები, გვეჯრა, რომ თანდათან უფრო მეტ ქართულ მკითხველს მოიზიდავს. და სწორედ ამიტომაც მინდა ბოლომდე ობიექტური და-ვრჩე. ენობრივი ხარვეზები, რომელიც ამ

გამოცემებს ახლავს, მნიშვნელოვანილად აფერმკრთალებს ზოგად მთაბეჭდვლებას. მხოლოდ ენობრივი ხარვეზების გაქსრების შემდეგ შეიძლება ზრუნვა სტილზე. მთარგმნელობა შემოქმედებითი პროცესია და არა მხოლოდ დედნის გაგებას, არამედ მის ადექვატურ გადმოტანასაც გულისხმობს.

მინდა კონკრეტულად წარმოვაჩინო ზოგიერთი ბუნდოვანი და გაუმართავი ფრაზა. აი, ვთქვათ, ამგვარი მაგალითი: „ხომ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ბოდლერი ამხელს ახალი ფუფუნების სახით პოეზიის სიტყვების უსარგებლო ოქროს, რომელიც ღარიბებს შეურაცხყოფს“ („პარიზის სპლანი“ ბოდლერი, მთარგმნელი სიბილა გელიძე). ან ვთქვათ ასეთი აბზაცი ნადინ სატიის „სორე დე ბალზაკიდან“ (მთარგმნელი ელდარ ჭიჭიაძელი): „ბალზაკი დიდიბადა ქ. ტურში მე-12 წლის | პრერიალს (1799 წ. 20 მაისი) 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების, დირექტორიის მოსყიდული და აღვირახსნილი მმართველობის დამხობისა და ძალაუფლების იტალიის სახელმობეჭილი გენერლის, ეგვიპტიდან სასწრაფოდ დაბრუნებული და გმირად შერაცხული ბონაპარტის მიერ ხელში ალებს გარიჟრაჟზე“. ამ ფრაზით იწყება ბალზაკის ბიოგრაფია.

მაგალითების შოტანა კიდევ და კიდევ შეიძლება, მაგრამ მე აქ შევჩერდები, ვინაიდან ეჭვი არ მეპარება, რომ ფრანგული ნიგნების გამოცემლები, შემდგენლები და მთარგმნელები თავიანთ მნიშვნელოვან საქმეს უფრო მეტ სინატრეცს და სინათლეს შესძენენ. ქართულ ენაზე მთარგმნელი, უპირველეს ყოვლისა, კარგი მოქართულე უნდა იყოს.



თბილისი, რუსთაველის გამზ. №28  
 ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61  
 განყოფილებების — 99-91-00

გადაეცა ასანყობად 25.06.2001 წ. ხელმონერილია დასაბეჭდად 1.08.2001  
 ტირაჟი 300. შეკვეთა №72

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის გამზ. №42

2-2002

ნ 3529/2

2007-210



ფანი მრი ლარი

ი6დჟძსი  
76125